



ცვლადები და მუდმივები კონცეპტის აქსიოლოგიურ ველში

(ქართული და ინგლისური ენის მაგალითზე)

ავტორი: ხატია ჯოჯუა

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია

საქართველოს უნივერსიტეტის

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი მაია ჩხეიძე

თანახელმძღვანელი: პროფესორი თინა ღუდუშაური

თბილისი

2026

მიმოხილვა

ღირებულების ცნება ფუნდამენტურია ადამიანისთვის. ღირებულება წარმოადგენს ცნობიერების ერთ-ერთ ატრიბუტს. ადამიანი თავისი შემეცნებითი მოღვაწეობის პროცესში აფასებს რეალობას. ადამიანსა და გარესამყაროს შორის არსებული რთული მიმართების კვლევისას, ღირებულება, ისევე როგორც შეფასება, გვევლინება ცნობიერების ერთ-ერთ ფუნდამენტურ კატეგორიად.

ღირებულებებზე ორიენტაცია წარმოადგენს ადამიანის მიერ სამყაროს შემეცნების ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებელს, ვინაიდან თავად ღირებულებები ქმნიან ადამიანის მსოფლმხედველობის, მსოფლაღქმისა და მსოფლგანცდის საფუძველს. ღირებულებები წარმოადგენენ ადამიანის ცნობიერების ძირითად ორიენტირებს კულტურასა და საზოგადოებაში. სწორედ ამიტომ იკავებენ ღირებულებები ესოდენ მნიშვნელოვან ადგილს ენობრივი პიროვნების სტრუქტურაში.

ღირებულებები არ არიან ერთმანეთისაგან იზოლირებული - ისინი ყოველთვის ქმნიან ერთგვარ ინტეგრალურ სისტემას. ღირებულებათა სისტემა მოიცავს ღირებულებათა სხვადასხვა ჯგუფს, რომლებიც ქმნიან კულტურის ბირთვს. თითოეულ საზოგადოებას აქვს თავისი სპეციფიკური ღირებულებითი სტრუქტურა, თავისი „ძირითადი“ ღირებულებები, რომლებსაც აღიარებს და მხარს უჭერს ამ საზოგადოების უდიდესი ნაწილი.

ღირებულებითი სტრუქტურის ბირთვი წარმოადგენს გარკვეულ იდეალს - სასურველი მომავლის სოციალურ-პოლიტიკურ და მორალურ ხატს. ღირებულებითი ორიენტაციები, რომლებსაც ადამიანი სტანდარტად მიიჩნევს, ასე თუ ისე, შეესაბამებიან იდეალს. ღირებულებითი ორიენტაციები აყალიბებენ ცხოვრებისეული მიზნების საკუთარ იერარქიას, ღირებულებებს, საშუალებებს და წარმოდგენებს ქცევის ნორმების შესახებ.

ღირებულებები, უპირველეს ყოვლისა, მოქმედებენ ადამიანის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების, იდეალების, შერჩევის კრიტერიუმებისა და ზნეობრივი ქმედებების შეფასების სახით.

ადამიანურ ღირებულებებთან მიმართება სამყაროსთან, ღირებულებათა მიკუთვნებულობა არა მხოლოდ ცნობიერებისადმი, არამედ ინდივიდის ქცევისადმი, ანიჭებს ღირებულებას ქმედით ხასიათს და სძენს მას მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას - რეგულატორის ფუნქციას.

პიროვნების ღირებულებითი ორიენტაციები დინამიურია. პიროვნების ჩამოყალიბების ისტორია კი შეიძლება გააზრებულ იქნას, როგორც ღირებულებათა აქტუალიზაციისა და უგულებელყოფის ისტორია.

ენაში ღირებულებათა კვლევის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს აქსიოლოგიური ველის კონსტრუირება.

აქსიოლოგიური ველი წარმოადგენს იმ ტიპის პოლისტურ ფენომენს, რომელიც ყალიბდება ადამიანის გონებაში მისი შემეცნებითი მოღვაწეობის პროცესში.

აქსიოლოგიური ველი მოიცავს ჰეტეროგენულ (სხვადასხვაგვარ), ჰეტეროქრონულ (დროის სხვადასხვა პერიოდში შეცნობად), ჰეტეროსუბსტრატულ (სხვადასხვა შემეცნებითი საფუძვლის მქონე) ინფორმაციას სამყაროსა და ადამიანის ცნობიერების შესახებ.

აქსიოლოგიური ველი წარმოადგენს იმ ტიპის თეორიულ კონსტრუქტს, რომელიც მოიცავს ადამიანურ ღირებულებათა მთელ კომპლექსსა და ღირებულებათა შორის არსებულ მიმართებებს. აქსიოლოგიური ველი განიხილება სხვადასხვა ღირებულებების, რწმენისა და ეთიკური პრინციპების დინამიურ ურთიერთქმედებად ინდივიდებში, ჯგუფებსა და საზოგადოებებში.

აქსიოლოგიური ველი ხასიათდება მთლიანობრივობით, კომპლექსურობით, ისტორიულობით, მრავალფეროვნებით, პოლიინტერპრეტაციულობით, დინამიურობითა და სტატიკურობით.

აქსიოლოგიური ველი, როგორც დინამიური კონსტრუქტი, მუდმივად ვითარდება: იგი ასახავს ინდივიდებისა და საზოგადოების ცვალებად საჭიროებებს, ღირებულებებსა და მისწრაფებებს. აქსიოლოგიურ ველზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის კულტურული დინამიკა, ტექნოლოგიური მიღწევები და ინდივიდუალური გამოცდილება, საზოგადოებების განვითარება და ახალი გამოწვევები. აქსიოლოგიური ველი ექვემდებარება რევიზიას, რაც იწვევს ღირებულებების, რწმენისა და ეთიკური პარადიგმების ცვლილებებს.

აქსიოლოგიური ველი, როგორც სტატიკური კონსტრუქტი, ასახავს ფუნდამენტურ ღირებულებებსა და პრინციპებს, რომლებიც დროთა განმავლობაში მუდმივი და უცვლელი რჩებიან. ეს ღირებულებები წარმოადგენს სტაბილურ და უნივერსალურ იდეალებს,

რომლებიც გვევლინებიან საზოგადოების ეთიკური სივრცის მტკიცე საყრდენებად. აქსიოლოგიური ველის სტატიკური ასპექტები წარმოადგენს ერთგვარ საფუძველს, რომელზედაც აგებულია ღირებულებებისა და ქცევის ნორმების უფრო დინამიური მანიფესტაციები.

აქსიოლოგიური ველი, როგორც ღირებულებების, რწმენისა და ეთიკური პრინციპების რთული სისტემა, რომელიც აყალიბებს ინდივიდების ქცევასა და საზოგადოების ნორმებს, ეფუძნება სტატიკური და დინამიური ასპექტების კომპლექსურ ურთიერთობას.

მიუხედავად იმისა, რომ სტატიკური ღირებულებები იძლევიან უწყვეტობისა და ტრადიციის განცდას, დინამიური ძალები უზრუნველყოფენ ახალ რეალობებთან, ცვალებად სოციალურ საჭიროებებთან და ახალ ეთიკურ გამოწვევებთან გამკლავების უნარს. ბალანსი ხელს უწყობს მდგრადობას, ადაპტირებას და ეთიკურ სიცოცხლისუნარიანობას საზოგადოებებში.

აქსიოლოგიური ველის სტატიკურობასა და დინამიურობას შორის არსებული ბალანსი უზრუნველყოფს საზოგადოების მდგრადობასა და სიცოცხლიუნარიანობას.

თავისი არსით, აქსიოლოგიური ველი გვევლინება კონცეპტუალურ საფუძველად, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია იმის გააზრება, თუ როგორ ყალიბდება, დომინირებს და ვლინდება ღირებულებები ენასა და ადამიანის ქცევაში.

სარჩევი

მიმოხილვა.....	2
შესავალი	7
თავი I. სამყაროს ხატი, მენტალობის დომინანტები და ღირებულებითი მუდმივები.....	14
1.1. მენტალობის დომინანტები და ღირებულებითი მუდმივები	14
1.2. ეთნოსის ღირებულებითი ორიენტირები და კონცეპტუალური დომინანტები	24
1.3. კონცეპტუალურ სისტემათა ტრანსფორმაცია, კონცეპტთა ტრანსფერი და ტრანსლაცია	30
1.4. კონცეპტთა კონცეპტოგრაფიული ფიქსაციის პრობლემა.....	43
თავი II. აქსიოლოგიური ასპექტები ლინგვისტიკასა და ენაში	49
2.1. ღირებულების კატეგორია თანამედროვე ლინგვისტურ კვლევებში	49
2.2. აქსიოლოგიური ანალიზის ძირითადი ცნებები	58
2.3. ლინგვისტური აქსიოლოგიური ანალიზის მეთოდები.....	66
2.4. აქსიოლოგიური ანალიზის ფსიქოლინგვისტური მიმართულება	73
თავი III. ეროვნული ენის ფრაზეოლოგიური სისტემის ღირებულებითი პოტენციალი....	87
3.1. ფრაზეოლოგიაში ობიექტივირებული ღირებულებები	87
3.2. კონცეპტების „მეგობრობა“ და „მტრობა“ კოგნიტური მოდელებისა და შეფასებითი მახასიათებლების განვითარების სპეციფიკა ინგლისურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ⁹³	
3.3. კონცეპტები „სისულელე“ და „გონიერება“: კოგნიტური მოდელებისა და შეფასებითი მახასიათებლების განვითარება ინგლისურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში	103
3.4. კონცეპტები „სიცრუე“ და „სიმართლე“, „ილზალი“ და „უილზლობა“: კოგნიტური მოდელების შეფასებითი მახასიათებლების განვითარება ინგლისურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში.....	111
თავი IV. კულტურული, ასაკობრივი და გენდერული ცვლადები.....	120
4.1. ახალგაზრდების ღირებულებითი ორიენტაციები	120
4.2. ზრდასრულ ადამიანთა ღირებულებითი ორიენტაციები	134
4.3. ქართული და ინგლისური საზოგადოებების შედარებითი ანალიზი	141
4.4. კონცეპტი „სიღარიბე“ ინგლისური და ქართული საზოგადოებების სამყაროს ენობრივ ხატში	149
თავი V. სტატიკა და დინამიკა.....	155

5.1. აქსიოლოგიური ველების სტატიკურობა და დინამიურობა	155
5.2. ინგლისური და ქართული აქსიოლოგიური ველების დომინანტური ღირებულებები და დინამიკა	164
5.3. ინგლისური და ქართული აქსიოლოგიური ველების უცვლელობის მიზეზები	170
5.4. ინგლისური და ქართული აქსიოლოგიური ველების შინაარსობრივი და სტრუქტურული თავისებურებები	178
დასკვნა.....	184
გამოყენებული ლიტერატურა	190

შესავალი

ანთროპოცენტრული პარადიგმის კონტექსტში, კაცობრიობის მიერ სამყაროს აღქმა გააზრებულია როგორც იმ ტიპის ფუნდამენტური ფენომენი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ცნობიერებისა და კულტურული თვითშეგნების ფორმირებას. არსებითად, ინდივიდები საკუთარ ცნობიერებაში ქმნიან ანთროპოცენტრულ სივრცეს, რომელიც განსაზღვრავს მათ სულიერ არსს, წარმართავს მათ ქცევით მოტივაციებსა და აყალიბებს ღირებულებათა იერარქიულ სტრუქტურას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის მიერ სამყაროს აღქმა არ არის დაზღვეული შეცდომისაგან, რაც განაპირობებს კიდევ აღქმის შედეგთა უწყვეტ ევოლუციურ ცვლილებას. სწორედ აღქმის ეს დინამიური ბუნება განაპირობებს ადამიანის ლინგვისტური ცნობიერების მუდმივ ტრანსფორმაციას.

ცნობიერებაზე საუბრისას, ჩვენ ვგულისხმობთ რეალობის გაგებისა და რეფლექსიის აბსტრაქტულ, არამატერიალურ ფორმას. რეალობის გაგება და რეფლექსია განხორციელებადია იმ კონცეპტების, მენტალური რეპრეზენტაციებისა და მენტალური ხატების გააზრებით, რომლებიც კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტებში გადაჯაჭვულნი არიან ენასთან, კულტურასა და სოციალურ ყოფასთან.

ენობრივი ანთროპოცენტრიზმის ფუნდამენტური დებულების თანახმად, სამყარო აღიქმება როგორც ფაქტების ერთიანობა და არა მხოლოდ ობიექტთა უბრალო ერთობლიობა. აღნიშნული ერთობლიობის კვლევა გულისხმობს მისი არსის -სემანტიკური ბირთვის - გააზრებას. აღნიშნული პარადიგმა მოითხოვს, რომ თანამედროვე ლინგვისტიკა განაგრძობდეს საკუთარი კვლევის საზღვრების გაფართოებას და ისწრაფოდეს საკუთარი მეთოდოლოგიური შეზღუდვების გადალახვისკენ.

ანთროპოცენტრული პერსპექტივა აჩენს ახალ სამეცნიერო გამოწვევებს, ვინაიდან ანთროპოცენტრიზმის კვლევა საჭიროებს ინტეგრალური მიდგომების ჩამოყალიბებას.

საკვლევი თემის აქტუალობა განისაზღვრება კომპლექსურობით - კვლევა განხორციელებულია ფსიქოლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკის, კოგნიტური ლინგვისტიკისა და აქსიოლოგიური ლინგვისტიკის კვეთაზე.

საკვლევი თემის აქტუალობა ასევე განსაზღვრა ლინგვისტური აქსიოლოგიის თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტების სპეციფიკაციის აუცილებლობამ.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ანთროპოცენტრისტული პარადიგმის ფარგლებში სამყაროს ღირებულებითი ხატის ეთნოცენტრისტული სპეციფიკის გამოვლენა სხვადასხვა შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე აქსიოლოგიურ ველებში ცვლადებისა და მუდმივების იდენტიფიცირების გზით თანამედროვე ინგლისური და ქართული ენების მაგალითზე.

დასახული მიზნის განხორციელებამ მოითხოვა პასუხების გაცემა შემდეგ საკვლევ კითხვებზე:

რა ტიპის სტრუქტურული მოდელით შეიძლება იყოს წარმოდგენილი კონცეპტის აქსიოლოგიური ველი თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში?

აქვს თუ არა აქსიოლოგიურ ველს ზოგადად ენობრივი ველისათვის დამახასიათებელი იერარქიული სტრუქტურა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იკვეთება თუა არა აქსიოლოგიურ ველში ერთმანეთის მიმართ დომინანტური სეგმენტები?

რა ტიპის ელემენტები შეიძლება იყოს მსგავსი (უნივერსალური) ორივე ენაში კონსტრუირებულ აქსიოლოგიურ ველებში?

რა ტიპის ელემენტები შეიძლება იყოს განსხვავებული (უნიკალური) სხვადასხვა ენაში კონსტრუირებულ აქსიოლოგიურ ველებში?

როგორ გავლენას შეიძლება ახდენდეს ეროვნული მენტალობა, კულტურა და ისტორიული გამოცდილება სხვადასხვა ენაში კონსტრუირებული აქსიოლოგიური ველების პროფილზე?

რამ შეიძლება უზრუნველყოს ელემენტის სტაბილურობა-ცვალებადობა აქსიოლოგიურ ველში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რამ შეიძლება უზრუნველყოს ელემენტთა სტატუსის (დომინანტურობა-არადომინანტურობა), შესაბამისად კი, ელემენტის ადგილის შენარჩუნება-ცვლილება აქსიოლოგიურ ველში?

რა მსგავსება (მუდმივები) შეიძლება დაფიქსირდეს ენათა შედარებისას და რას შეიძლება ეფუძნებოდეს მათი უნივერსალურობა?

რა განსხვავება (ცვლადები) შეიძლება დომინირებდეს ენათა კონტრასტირებისას და რას შეიძლება უკავშირდებოდეს მათი უნიკალურობა?

როგორ შეიძლება იცვლებოდეს კონცეპტების აქსიოლოგიური ველები დროთა განმავლობაში თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში?

რა ტენდენციები შეიძლება გამოიკვეთოს აქსიოლოგიური ნიშნების მოდერნიზაციისა და ტრანსფორმაციის თვალსაზრისით?

დასახული მიზანი მიღწევადი აღმოჩნდა კვლევის ისეთი ეტაპების განხორციელების შედეგად, როგორიცაა:

კომპლექსური მეთოდოლოგიის შემუშავება ენობრივი ცნობიერების თავისებურებათა ანალიზისათვის;

ენობრივი ცნობიერების ღიაობა/დახშულობის - დროითა და სივრცით განპირობებული შესაძლო ცვლილებების მიმდებლობა/არამიმდებლობის - ხარისხის განსაზღვრა;

„ცოცხალი“ სიტყვის მნიშვნელობის თავისებურებათა გამოვლენა, რაც იძლევა კონკრეტული ენისა და კულტურის მატარებელთა ყოფაში ენობრივ ერთეულთა ფუნქციონირების თავისებურებაზე დაკვირვების საშუალებას.

აღნიშნულ ეტაპებს მიღმა იკვეთება ისეთი საკითხების გარკვევის აუცილებლობა, როგორიცაა:

სხვადასხვა შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე აქსიოლოგიური ველების კომპონენტთა რეპერტუარების იდენტიფიცირება თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში;

აქსიოლოგიური ველების კომპონენტთა ანალიზი მათი დომინანტურობა-არადომინანტურობისა და მუდმივობა-ცვლადობის თვალსაზრისით;

აქსიოლოგიური ველების კომპონენტთა დომინანტურობა-არადომინანტურობისა და მუდმივობა-ცვლადობის განმსაზღვრელ ფაქტორთა გარკვევა;

სხვადასხვა შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე აქსიოლოგიური ველების სტატიკურობისა და დინამიურობის განმსაზღვრელ ფაქტორთა გამოვლენა თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში;

აქსიოლოგიური ველების სტატიკურობასა და დინამიურობას შორის ბალანსის უზრუნველყოფა და დისბალანსის გამომწვევ ფაქტორთა დადგენა;

სხვადასხვა შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე აქსიოლოგიური ველების კომპონენტთა რეპერტუარის ანალოგიზაცია-კონტრასტირება თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში.

აღნიშნულ ამოცანათა გადაჭრამ მოითხოვა კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების სინთეზირება, ასევე საკუთრივ ლინგვოკულტუროლოგიის, კონტრასტიკის, ინტერკულტურული კომუნიკაციის, ფსიქოლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკისა და კულტურული ანთროპოლოგიის სააზროვნო სივრცეებისათვის რელევანტური მეთოდების გამოყენება.

კვლევის მასალა მოპოვებულია ლექსიკონებიდან, რესპოდენტთა ინტერვიუებისაგან, ასევე თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის შედეგებიდან.

ნაშრომისათვის ფუძემდებლურია შემდეგი დებულებები:

შეხედულებების, პრინციპებისა და იდეოლოგიების საფუძველს წარმოადგენს აქსიოლოგიური ველის - კონცეპტუალური ჩარჩოს ცნება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანურ ღირებულებათა დინამიკასა და მათ ურთიერთქმედებას ინდივიდებსა და საზოგადოებებში;

აქსიოლოგიური ველის შინაარსობრივი განსაზღვრულობა დეტერმინირებულია ღირებულებების, თვალსაზრისების, ნორმების, იდეოლოგიებისა და კულტურული კონტექსტების მრავალფაქტორული ურთიერთქმედების თავისებურებით;

ეროვნული კულტურის ღირებულებები და იდეალები ობიექტივირდება ენობრივი შეფასების კატეგორიაში;

სამყაროს ენობრივი კონცეპტუალიზაციის შედეგი ასახულია სამყაროს ღირებულებით ხატში, რომელიც წარმოადგენს სამყაროს ეროვნული, ენობრივი ხატის კომპონენტს;

სამყაროს ღირებულებითი ხატის ფარგლებში კვლევას ექვემდებარება ღირებულებითი მნიშვნელობები და შინაარსები, როგორც აქსიოლოგიურად მარკირებულ კონცეპტთა სისტემა;

სამყაროს ენობრივი ხატი წარმოადგენს მოცემული ენობრივი კოლექტივის მიერ რეალობის თავისებური აღქმის სქემას, რომელიც ენაშია ფიქსირებული;

ობიექტსა და ამ ობიექტის აღმნიშვნელ სიტყვას შორის არსებობს ცნება, რომელიც დეტერმინირებულია კონკრეტული ენობრივი კოლექტივის კულტურითა და ენობრივი კოლექტივის მიერ სამყაროს ხედვის თავისებურებით;

სამყაროს აღქმისა და ორგანიზების (კონცეპტუალიზაციის) გზა უნივერსალურიცაა და რაციონალურად განსაკუთრებულიც (უნიკალური);

უნივერსალურისა და უნიკალურის კვეთაში იკვრებიან მნიშვნელობები თვალსაზრისთა ერთიან სისტემად (კოლექტიურ ფილოსოფიად);

სამყაროს ენობრივი ხატი არის სამყაროს ზოგადეროვნული ხატის ყველაზე ღრმა ფენა, რომელშიც ენის მეშვეობით ადამიანის მიერ სამყაროს ხედვის შედეგია აღბეჭდილი;

სამყაროს ენობრივი ხატი განსაზღვრავს ადამიანის სამყაროსადმი მიმართებასა და არეგულირებს ადამიანის სამყაროში ორიენტაციას;

ღირებულებათა ფორმირების პროცესი და სოციალურ ურთიერთობათა დინამიკა ურთიერთგანპირობებულია;

ღირებულებითი ორიენტაციები და იდეალები ქმნიან სუბიექტის საქმიანობის ორიენტირებს, რაც დიდწილად განსაზღვრავს მისი სოციალური ქცევის მიმართულებას;

ღირებულებები მიუწვდომელია უშუალო აღქმისთვის, თუმცა, ღირებულებათა სისტემის დესკრიფცია და ანალიზი შესაძლებელია, ვინაიდან ჩვენ ვიყენებთ ენას, ვინაიდან ენის ლექსიკა მოიცავს სიტყვებს, რომელთა უკან დგას მნიშვნელობები, რომლებიც მოიცავენ ღირებულების ცნებას.

რაც შეეხება ნაშრომის ჰიპოთეზებს, საფიქრებელია, რომ:

თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში სხვადასხვა კონცეპტების აქსიოლოგიურ ველებში უნდა არსებობდეს უნივერსალური მუდმივები, რომლებიც მსგავსად რეალიზდება ორივე ენაში, თუმცა იმავდროულად უნდა ფიქსირდებოდეს ეროვნული მენტალობითა და კულტურულ - ისტორიული გამოცდილებით დეტერმინირებული აქსიოლოგიური ცვლადები;

აქსიოლოგიურ ველებში უნდა იკვეთებოდეს კონცეპტის ბირთვული (მუდმივები) და პერიფერიული (ცვლადების) ზონების ტიპოლოგიური კორელაცია: ორივე ენაში კონცეპტების აქსიოლოგიური ველები უნდა მოიცავდნენ სტაბილურ ბირთვულ ზონასა და დინამიურ პერიფერიას;

ქართულ ენაში სხვადასხვა კონცეპტების აქსიოლოგიური ველები უფრო მეტად უნდა იყვნენ მარკირებული კოლექტივისტური ფილოსოფიით, მაშინ როდესაც ინგლისურში უნდა დომინირებდნენ ინდივიდუალისტური და ფუნქციურ-პრაგმატული ღირებულებები.

ენობრივი ცნობიერების თავისებურებათა კვლევის მეთოდოლოგია ხასიათდება კომპლექსურობით. მეთოდოლოგიის კომპლექსურობასთან დაკავშირებულ სირთულეთა დაძლევა შესაძლებელია ანალიზის მიმართ კოგნიტურ-დისკურსული მიდგომის თეორიული დასაბუთების, ასევე შინაარსის შემქმნელი პროცესების (ბუნებრივი სემიოზისის) აქტუალიზაციაზე ორიენტირებული სპეციალური მეთოდისა და ექსპერიმენტალური პროცედურების შემუშავების გზით.

ღირებულებების ცნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცნებაა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. ღირებულების კატეგორიას იკვლევს ფილოსოფია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, პოლიტიკური მეცნიერება და ა.შ.

თითოეულ აღნიშნულ მეცნიერებას შემუშავებული აქვს თავისი მიდგომები, კვლევის მიზნებისა და სააზროვნო სივრცის სპეციფიკით დეტერმინირებული კვლევის მეთოდები. უნდა ითქვას, რომ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა არ განიცდის ღირებულებათა კვლევის პრობლემისადმი მიძღვნილ ნაშრომთა სიმწირეს. მიუხედავად აქტიური ინტერესისა აქსიოლოგიის სფეროს მიმართ, თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტები, ღირებულებების კულტურული, სოციალური და ფსიქოლოგიური საფუძვლების ანალიზი კვლავ საჭიროებს გარკვეულ დაზუსტებას. სწორედ კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტების, ღირებულებების კულტურული, სოციალური და ფსიქოლოგიური საფუძვლების ანალიზის დეტალიზირება წარმოადგენს კვლევის თეორიულ ღირებულებას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კვლევის თეორიული ღირებულება მდგომარეობს იმ ტიპის მეთოდოლოგიის შემუშავებაში, რომლის კონტექსტშიც კომპლექსურობა წარმოადგენს არა მხოლოდ ენობრივი ცნობიერების თავისებურებათა წვდომის საფუძველს, არამედ თავად ენობრივი ცნობიერების ანალიზის სტრატეგიასაც.

კვლევის მეცნიერული სიახლე იკვეთება სხვადასხვა შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე ინგლისური და ქართული აქსიოლოგიური ველების ანალოგიზაცია-კონტრასტირების, ასევე ინგლისური ენის ფრაზეოლოგიური ერთეულების აქსიოლოგიური პოტენციალის განსაზღვრის ფონზე.

კვლევის შედეგების პრაქტიკულ ღირებულებას განსაზღვრავს მათი ვალიდურობა ლინგვოკულტუროლოგიის, კონტრასტივიკის, ინტერკულტურული კომუნიკაციისა ფსიქოლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკისა და კულტურული ანთროპოლოგიის სასწავლო კურსებისათვის.

ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, თავებს, ქვეთავებს, დასკვნებსა და ბიბლიოგრაფიას.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა და სამეცნიერო სიახლე; განსაზღვრულია კვლევის მიზანი, მიზნის მიღწევისათვის საჭირო ამოცანები და კვლევის ეტაპები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის მეთოდოლოგია.

თავი I. სამყაროს ხატი, მენტალობის დომინანტები და ღირებულებითი მუდმივები

1.1. მენტალობის დომინანტები და ღირებულებითი მუდმივები

თვითიდენტიფიკაციის არსი მდგომარეობს საკუთარი კულტურული იდენტობის საზღვრების განსაზღვრის პროცესში საკუთარი თავის მთლიანობად აღქმაში. (Griffin / გრიფინი, 1986) ყველაზე ხშირად ეს პროცესი ხასიათდება საკუთარი თავისა და კონკრეტული კულტურის (მასობრივი, კლასიკური და ა.შ.) გაიგივებაში, ან სუბკულტურების გაჩენის შემთხვევაში, დამკვიდრებული კულტურული ნორმებიდან დისტანცირებაში.

მორალური ღირებულებები არ წარმოადგენს აბსტრაქტულ ცნებას - მორალური ღირებულებები მჭიდრო კავშირშია მორალურ თვისებებთან. (Scheler / შელერი, 1973).

მორალური ღირებულება - ადამიანებისადმი თავგანწირული სიყვარული - მოითხოვს ისეთი პიროვნული თვისებების ფორმირებას, როგორიცაა: კეთილგანწყობა და კეთილი საქმის კეთების სურვილი; სხვათა ნაკლოვანებებისა და შეცდომებისადმი შემწყნარებლობა; ადამიანის პატიებისა და ადამიანისათვის პატიების თხოვნის უნარი; ჩხუბის წამომწყეებ ადამიანთან შერიგების სურვილი და ბოროტების სიკეთით გადახდის უნარი; ქველმოქმედება, პიროვნების ინდივიდუალობისა და სხვისი აზრის პატივისცემა; პასუხისმგებლობა საკუთარი გადაწყვეტილებზე; პატიოსნება და სამართლიანობა; ნაკლოვანებების დანახვისა და შეცდომების აღიარების უნარი; პასუხისმგებლობა, მზრუნველობა და ადამიანების მიმართ თანაგრძნობა; შრომისმოყვარეობა, სხვისი საქმისადმი ფრთხილი დამოკიდებულება, სხვათა საქმით სიხარულის განცდის უნარი; კეთილსინდისიერება, მოკრძალება და „სინდისის ხმის” მოსმენის უნარი. (Williams / უილიამსი, 2006, გვ. 33–42).

ცნებაში „ღირებულება” გაერთიანებულია მნიშვნელობის სამი ასპექტი: პიროვნების გარეგანი (ფიზიკური) მახასიათებლები; პიროვნების ფსიქოლოგიური თვისებები; ადამიანებს შორის არსებული ურთიერთობები, ინტერპერსონალური ურთიერთობები. (Wilson / ვილსონი, 1983).

კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების ისტორიაში საზოგადოება შეიძლება შევადაროთ ცოცხალ ორგანიზმს, სადაც ყველა ორგანო, ყველა უჯრედი ასრულებს თავის

ფუნქციას. საზოგადოებაში სოციალური ღირებულებები წარმოადგენს სოციალური კონსტრუქტების ბირთვს. (Alexander & Seidman / ალექსანდრე & სეიდმანი, 1990).

კაცობრიობის ისტორიაში არსებობდა სხვადასხვა საზოგადოებები, ცივილიზაციები, რომლებიც განვითარდნენ თავიანთი დროის შესაბამისად, სხვადასხვა კულტურული, კლიმატური, სოციალური, ტექნოლოგიური და გეოპოლიტიკური ფაქტორების გავლენის გათვალისწინებით. საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ბირთვი ყოველთვის იყო სულიერი და მორალური ღირებულებები, რომლებიც აყალიბებდნენ საზოგადოების სოციალურ-კულტურულ საქმიანობის ტენდენციებს და განსაზღვრავდნენ სხვადასხვა ცივილიზაციის განვითარების ვექტორს. (Habermas / ჰაბერმასი, 1990).

ღირებულებები წარმოადგენს ძირითადი მსოფლმხედველობის სტანდარტს, რომელიც ახორციელებს საზოგადოებისა და მისი წევრების საქმიანობის კოორდინირებას. (Korsgaard / კორსგარდი, 1996). ღირებულებები გააზრებულია მოქმედების ნორმად, რომელიც ფიქსირებულია „დასაშვებისა“ და „დაუშვებლის“ სკალაზე და რომელსაც ან აღიარებს ან გმობს საზოგადოება. სწორედ „დასაშვებისა“ და „დაუშვებლის“ არსი იწვევს საზოგადოების პროგრესს ან მის დეგრადაციას. (Brandt / ბრანდტი, 1979).

საზოგადოების სულიერ, მორალურ და სოციალურ-კულტურულ სივრცეში განვითარებული მოვლენების ფონზე შესამჩნევია ტრადიციულ ფასეულობათა არაჯეროვნად შეფასების, ასევე ღირებულებითი სისტემის ახლებურად ხედვისა და ინტერპრეტაციის ტენდენციები. (Frankfurt / ფრანკფურტი, 1988; Fairclough / ფერკლაუ, 1992).

აღნიშნული ტენდენციები განსაკუთრებით ძლიერდება მოზარდებში და ახალგაზრდებში სულიერების კრიზისის პირობებში.

საზოგადოების სულიერ და კულტურულ ქსოვილში ორგანულად „ჩაშენებული“ ღირებულებები მოქმედებენ როგორც სოციალური გამოცდილების კონდენსირებული, ლაკონური და ხელმისაწვდომი მატარებლები. (Abelson / აბელსონი, 1973). ისინი ასახავენ ეთნოსის, ერისა და მთლიანად საზოგადოების სასიცოცხლო პოტენციალს, დროში გამოცდილ ნორმებს, ქცევის მოდელებსა და მსოფლმხედველობას. (Givón / გივონი, 1989). ღირებულებები წარმოადგენენ ისტორიის მიერ შემუშავებულ ორიენტირებასა და

პრიორიტეტებს საზოგადოების შინაგანი მოწყობისთვის. (McDowell / მაკდაუელი, 1998).
 ღირებულებები უზრუნველყოფენ საზოგადოების სტაბილურობასა და ერთიანობას,
 უწყვეტობას, მემკვიდრეობითობას, წარსულისა და აწმყოს კავშირს, ასევე მომავალისაკენ
 სვლის შესაძლებლობას. (McShane / მაკშეინი, 2012, გვ. 783-794).

ღირებულებითი ორიენტაციების ტრანსფორმაცია განიხილება როგორც არსებული
 ღირებულებათა სისტემის საფუძვლის ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც ხასიათდება
 სისტემის ელემენტთა თვისებრივი ცვლილებებით. (Kagan / კაგანი, 1998, გვ. 277-297). უნდა
 აღინიშნოს, რომ თვისებრივი ცვლილებები ხდება საზოგადოების მენტალიტეტისა და
 ტრადიციული კულტურის თავისებურებათა გათვალისწინებით.

ღირებულებები პირობითად შეიძლება დაიყოს ტრადიციულ და ახალ ღირებულებებად.
 საზოგადოებაში ყველაზე გავრცელებულ ტენდენციას წარმოადგენს, ერთი მხრივ,
 ლიბერალური შეხედულებების არსებობა, მეორე მხრივ კი, ტრადიციული შეხედულებების
 შენარჩუნება საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად სფეროებში. შეიძლება დავასკვნათ, რომ
 სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე ხელს უწყობს ლიბერალური
 ღირებულებების განვითარებას, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი
 დონე კი განაპირობებს ტრადიციონალიზმის შენარჩუნებას. (Anderson / ანდერსონი, 1993).

ამრიგად, საზოგადოების ღირებულებითი ორიენტაციების სფეროში არსებობს ერთგვარი
 „მენტალური ბზარის“ გაჩენის ალბათობა. ამ სიტუაციაში საზოგადოების ერთი ნაწილი
 ითვისებს ახალ ღირებულებებსა და მსოფლმხედველობას, ხოლო მეორე ნაწილი კი
 აგრძელებს ტრადიციული ღირებულებებით ცხოვრებას. ღირებულებებზე შინაგან და
 გარეგან გავლენათა ერთობლიობამ შეიძლება გამოიწვიოს ეკლექტიკური (ტრადიციული და
 ახალი) ღირებულებითი ორიენტაციების ჩამოყალიბება. სავარაუდოდ, მოკლე და
 საშუალოვადიან პერსპექტივაში ეს ტენდენცია შეიძენს მნიშვნელოვნებას ახალი
 ღირებულებითი ორიენტაციის ფორმირების თვალსაზრისით. (Larmore / ლარმორი, 1996).

ადამიანის სამყარო - კულტურის სამყაროა. მენტალურად კულტურა წარმოდგენილია
 სამყაროს ხატით. (Hiebert / ჰიბერტი, 1997). სამყაროს ხატი კი წარმოადგენს რეალური
 სამყაროს არა სარკისებურ გამოსახულებას, არამედ ჰოლისტურ ხატს, რომელიც ყალიბდება
 ადამიანის გონებაში მისი შემეცნებითი მოღვაწეობის პროცესში.

სამყაროს ხატი ადამიანის ცნობიერების რეალობაა. ეს არის ჰეტეროგენული (სხვადასხვაგვარი), ჰეტეროქრონული (შეცნობადი დროის სხვადასხვა პერიოდში), ჰეტეროსუბსტრატული (სხვადასხვა შემეცნებითი საფუძვლის მქონე) ინფორმაცია სამყაროს შესახებ. სამყაროს ხატი შეიძლება იქნეს გააზრებული, როგორც კულტურის მენტალური რეპრეზენტაცია და კულტურის თავისებურების შედეგი. აღნიშნული თავისებურება კი გულისხმობს მთლიანობრიობას, კომპლექსურობას, ისტორიულობას, მრავალფეროვნებას, პოლიინტერპრეტაციულობას, ევოლუციურობას და ა.შ.

ტერმინი „სამყაროს ხატი“ პირველად შემოგვთავაზა ლ. ვიტგენშტაინმა. (Wittgenstein / ვიტგენშტაინი, 2005) სამყაროს ხატის ცნება კონკრეტდება, როგორც სამყაროს მეცნიერული, ზოგადმეცნიერული, საბუნებისმეტყველო, ისტორიული, ფიზიკური, ბიოლოგიური, ენობრივი, ეროვნული და ა.შ. ხატი. ადამიანი საკუთარ გონებაში კონსტრუირებული ხატით (სურათით) ცდილობს შეცვალოს (ჩაანაცვლოს) რეალური სამყარო.

სამყაროს ხატთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სამყაროს ენობრივ ხატს, რომელიც მოიცავს (ფარავს) ადამიანის ცოდნის ყველა სფეროს. სამყაროს ენობრივ ხატთა სისტემაში, სამყაროს ენობრივი ხატი გამოირჩევა გამძლეობის, სტაბილურობის (რა თქმა უნდა, მხოლოდ დროის ამა თუ იმ კონკრეტულ მონაკვეთში) და სტანდარტულობის ყველაზე მაღალი ხარისხით.

სამყაროს ენობრივი ხატის სტანდარტულობის მაღალი ხარისხი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ იგი კონსტრუირებულია ენის სტანდარტული, უზუალური ენობრივი ერთეულებით. (Wierzbicka / ვიეზბიკა, 2006). როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ აღმოჩნდა სამყაროს ენობრივი ხატის კვლევა ბოლო წლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მეცნიერული ცოდნის ყველა სფეროსთვის და, პირველ რიგში, ფილოსოფიისთვის, ყოფიერების შემეცნებისათვის.

ცნობილია, რომ ლინგვისტური აზროვნების ტრადიციაში დომინირებდა კვლევის გზა, რომელიც მიემართებოდა აღსანიშნი რეალიიდან (ელემენტიდან, რეალობის საგნიდან) მის ნომინაციამდე, მის სიტყვიერ აღნიშვნამდე, სიტყვამდე. ადამიანის ირგვლივ არსებული რეალური სამყარო ლექსიკონშია „ფიქსირებული“. (Meinong / მაინონგი, 1972).

XX საუკუნეში კი გაჩნდა ყოფიერების, სამყაროს კვლევის განსხვავებული გზა, რომელიც მიემართება სიტყვიდან სიტყვით აღნიშნულ საგნამდე. აღნიშნული გზა გულისხმობს არსებულის შემეცნებას სიტყვის, სიტყვის სემანტიკის გააზრების მეშვეობით. დღეს არა მხოლოდ ფილოსოფია, არამედ ლინგვისტიკაც ცდილობს ლექსიკონიდან რეალიების შესახებ არსებული მონაცემების მოპოვებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღნიშნული მცდელობა გულისხმობს სამყაროს როგორც რეალობის შეცნობას ლექსიკონის მეშვეობით. (Fishman / ფიშმენი, 1972)

ნებისმიერი ეროვნული ენა უნივერსალურია. იგი წარმოადგენს კოლექტიური ცნობიერების მუშაობის შედეგად მიღებულ გლობალურ ცოდნას. არსებობს ადამიანის ცნობიერების სხვადასხვა სახეობა: ცალკეული ადამიანის ინდივიდუალური ცნობიერება, ერის კოლექტიური ცნობიერება, მეცნიერული ცნობიერება. (Wilson / ვილსონი, 2005, გვ. 227-236).

ვ. ფონ ჰუმბოლდტის თანახმად, „თითოეული ენა აღწერს იმ ხალხის გარშემო არსებულ სივრცეს (წრეს), რომელსაც თავადვე ეკუთვნის... ამ სივრციდან (წრიდან) ადამიანის გამოსვლა ნიშნავს მის სხვა ენის სივრცეში (წრეში) დაუყოვნებლივ შესვლას“. (Гумбольдт / ჰუმბოლდტი, 1984, გვ.80). ვ. ფონ ჰუმბოლდტის თვალსაზრისით, ენა წამყვან როლს ასრულებს სამყაროს კატეგორიზაციის პროცესში, ვინაიდან ენა წარმოადგენს სამყაროს, რომელიც ძვეს „გარე სამყაროს ფენომენებსა და ადამიანის შინაგან სამყაროს შორის“. მოგვიანებით მეცნიერი ამ შუალედურ სამყაროს „ნამდვილ (ჭეშმარიტ) რეალობას“ (wahre Welt) უწოდებს.

ე.სეპირი თვლიდა, რომ სამყარო აგებულია ეთნიკური ჯგუფის ენობრივ ჩვევებზე. მეცნიერის აზრით, ადამიანი ადაპტირდება სამყაროსთან ენის დახმარებით - ენა წარმოადგენს შუამავალს სოციალურ კომუნიკაციისათვის. (Сепир / სეპირი, 2002)

სპეციალური ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

სამყაროს ენობრივი ხატი წარმოადგენს ენაში დაფიქსირებული და მოცემული ენობრივი კოლექტივისათვის დამახასიათებელი რეალობის თავისებური აღქმის სქემას;

სამყაროს აღქმისა და ორგანიზების (კონცეპტუალიზაციის) გზა უნივერსალურიცაა და რაციონალურად განსაკუთრებულიც (უნიკალური). სწორედ აღნიშნულ კვებაში იკვრებიან

მნიშვნელობები თვალსაზრისთა ერთიან სისტემად (კოლექტიურ ფილოსოფიად), რომელიც სავალდებულოა მშობლიური ენის ყველა მატარებლისათვის;

სამყაროს ენობრივი ხატი წარმოადგენს სამყაროს ზოგადეროვნული ხატის ყველაზე ღრმა ფენას, რომელშიც ენის მეშვეობით ადამიანის მიერ სამყაროს ხედვის შედეგია აღბეჭდილი. სამყაროს ენობრივი ხატი განსაზღვრავს ადამიანის სამყაროსადმი მიმართებასა და არეგულირებს ადამიანის სამყაროში ორიენტაციას;

სამყაროს ენობრივი ხატი წარმოადგენს ერის მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას, რომელიც რეპრეზენტირდება ენობრივ კომბინაციათა მეშვეობით; აღნიშნული კომბინაციები გვევლინებიან მთლიანობრივი და მრავალსახეობრივი სამყაროს ენობრივ ობიექტივატორებად. (Putnam / პუტნამი, 1975).

ამრიგად, შეგვიძლია ვისაუბროთ „მრავალ სამყაროზე“, სამყაროს სხვადასხვა ენობრივი ხატის არსებობაზე. სამყაროს ხატი აყალიბებს ადამიანის დამოკიდებულების ტიპს სამყაროს მიმართ.

ზემოაღნიშნულ განმარტებათა გაანალიზების შემდეგ შეიძლება გამოვყოთ სამყაროს ენობრივი ხატის შემდეგი ინვარიანტული კომპონენტები:

1. რეალობის აღქმის მოდელი, სქემა (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცოდნის ერთობლიობა);
2. რეალობის შემეცნების შედეგი, ერის საუკუნოვანი გამოცდილებით შემუშავებული ცოდნა;
3. ენაში ასახული ცოდნა;
4. ადამიანის სამყაროსადმი მიმართების მაორიენტირებელი;
5. დროში ცვალებადი;
6. ეროვნულად სპეციფიკური;
7. ნაივური, სამყაროს მეცნიერული ხატისაგან განსხვავებით. (Heidegger / ჰაიდეგერი, 1962).

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი მსოფლმხედველობა, გარკვეულწილად, იმყოფება სამყაროს ენობრივი ხატის ტყვეობაში. ამ კონტექსტში სრულიად ბუნებრივად ჟღერს ლ.

ვიტგენშტაინის სიტყვები: „ჩემი ენის საზღვრები ნიშნავს ჩემი ცნობიერების საზღვრებს”.
(ვიტგენშტაინი, 2005, გვ. 180)

ენაში აისახება ეროვნული ხასიათი, ეროვნული მენტალიტეტი. ეროვნული ხასიათი წარმოადგენს „ჩვენში” არსებულ საზოგადოებას, რომელიც რეპრეზენტირებულია ერთი და იმავე კულტურის წარმომადგენლთა ერთი და იმავე ტიპის რეაქციებით ტიპურ სიტუაციებზე. აღნიშნული სიტუაციები აღძრავენ მშობლიური ენის მატარებლის გონებაში გრძნობათა მთელ სპექტრს. ეს გრძნობები წარმოადგენენ ჩვეული და ტრადიციებით განმტკიცებულ ენობრივ და არაენობრივ ქმედებათა იმპულსს. ეთნოსი, ისევე როგორც ეროვნული კულტურა, რომელიც მას ახასიათებს, არის ზოგადისა და კერძოს (განსაკუთრებულის) ერთობლიობა. (Ayer / აიერი, 1936)

თითოეულ ადამიანს აქვს სამყაროს საკუთარი ხატი. ხალხის სული წარმოადგენს სასურველსა და რეალურს (არსებულს) შორის არსებულ არასტაბილურ წონასწორობას.

ა. ვიეჰბიკას აზრით, თითოეული ენა აყალიბებს საკუთარ სემანტიკურ სამყაროს: „არა მხოლოდ ფიქრია შესაძლებელი მხოლოდ ერთ ენაზე; გრძნობების განცდაც შესაძლებელია მხოლოდ ერთი და არა რომელიმე სხვა ლინგვისტური ცნობიერების ფარგლებში”.
(Wierzbicka /ვიეჰბიკა, 1999, გვ. 527)

თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანი ატარებს თავისი ენობრივი და ეროვნული ჯგუფის კულტურულ ცოდნას. აღნიშნული ტიპის ცოდნას ადამიანი ეპყრობა საკუთარი შეხედულებისამებრ და კონკრეტული სიტუაციის სპეციფიკის გათვალისწინებით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანი დაკავებულია ამ ცოდნის მუდმივი გადააზრებით. (Geertz / გირტცი, გვ. 1973).

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე სამყაროში ინდივიდს შეუძლია შეხება ჰქონდეს ერთდროულად არა ორ, არამედ რამდენიმე ეროვნულ კულტურასთან.

შეუძლებელია ენისა და კულტურის ერთმანეთისაგან იზოლირებულად განხილვა, ვინაიდან ენა წარმოადგენს კულტურის ორგანულ ნაწილს, რომელიც ყალიბდება სამყაროს ენობრივ ხატში. ენის ფაქტები - კულტურის ფაქტებია (Alefirenko / ალფირენკო, 2015, გვ. 2-18). სწორედ დიალოგში, „უცხოთან” კონტაქტში იკვეთება ინდივიდუალურ-ეროვნული,

სტერეოტიპული წარმოდგენა კონკრეტული ხალხის, კონკრეტული ქვეყნისა და მისი კულტურის შესახებ. (Kramsch / კრამში, 1998). კულტურათაშორისი დიალოგის, მშობლიური კულტურის მიღმა გასვლის, სხვა კულტურის მითვისების, მისი კოპირების პროცესში კონკრეტული მშობლიური ეროვნული ენის მატარებელი არ თმობს სამყაროს საკუთარ ენობრივ ხატს. (კრამში, 1998). ძველი ცოდნა ინტეგრირდება ახალ ცოდნაში. ინდივიდის მონოკულტურული ცნობიერების შესუსტებისას - მაშინ, როდესაც ერთი კულტურის წარმომადგენელი, სხვა კულტურის წარმომადგენელთან კონტაქტში, ცდილობს გაიაზროს სამყაროს აღქმის „უცხო“ სისტემა, აზროვნების ლოგიკა, ღირებულებები და მოქმედებები, ინდივიდი „რთავს“ „უცხო“ კულტურულ მოდელს მშობლიური კულტურის კულტურულ ველში.

ობიექტსა და ამ ობიექტის აღმნიშვნელ სიტყვას შორის არსებობს ცნება, რომელიც დეტერმინირებულია კონკრეტული ენობრივი კოლექტივის კულტურითა და ენობრივი კოლექტივის მიერ სამყაროს ხედვის თავისებურებით. (Kripke / კრიპკე, 1980). ე. სეპირისა და ბ. ჟორფის თეორიის მიხედვით, რომელსაც „ლინგვისტური ფარდობითობის ჰიპოთეზა“ ეწოდება, თვით იმ სამყაროს აღქმა, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს და მოქმედებს, დეტერმინირებულია ენითა და კულტურით. კონცეფციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები, რომლებიც საუბრობენ სხვადასხვა ენაზე, ცხოვრობენ ერთმანეთისგან განსხვავებულ სამყაროებში, ვინაიდან რეალური სამყარო ადამიანის ცნობიერებაში არსებობს სწორედ იმ სახით, რა სახითაც იგი აისახება ენაში. (Whorf / ვორფი, 1960).

ენაში ასახულ სამყაროში იკვეთება ღირებულებითი მუდმივების, ანუ კონკრეტული ერისათვის დამახასიათებელი ფსიქიკური მუდმივების არსებობა.

ღირებულებითი მუდმივები მოქმედებენ როგორც ტრადიციების, მენტალიტეტის, ეროვნული ხასიათისა და სოციალური გამოცდილების რეტრანსლატორები.

ლექსიკოგრაფიული მონაცემების ლინგვოკოგნიტური ანალიზის თანახმად ეროვნული ცნობიერების ბირთვს შეადგენს დომინანტური ცნებები (ბედნიერება, სახლი, სიყვარული, ოჯახი, ცხოვრება, მეგობარი, შვილები, სიკეთე, სიხარული და ა.შ.) მშობლიური ენის მატარებელთა ეროვნული ცნობიერების ბირთვის შემადგენლობა ცვალებადია. ცვალებადობა

კი განპირობებულია მნიშვნელოვანი სტრუქტურული, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ძვრებით საზოგადოების ცხოვრებაში.

აღნიშნული ძვრები იწვევენ ენის მატარებელთა ენობრივი ცნობიერების ტრანსფორმაციას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალი ღირებულებების, პრეფერენციებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.

ღირებულ ინფორმაციას რეალობის აღქმის კოგნიტური მექანიზმებისა და აღქმის შეფასებითი ინტერპრეტაციის შესახებ მოიცავს ენობრივი ერთეულები, სწორედ ამ უკანასკნელთა მეშვეობით ხორციელდება პერცეპტიულ ოპოზიციათა ობიექტივაცია. ამგვარ ოპოზიციათა მეტაფორული „სახის“ შესწავლა უზრუნველყოფს:

1. ადამიანის პერცეპტიული გამოცდილების როლის განსაზღვრას ადამიანის შემფასებლურ საქმიანობაში;
2. სამყაროს შესახებ შეგრძნებებისა და რაციონალური შეფასების გზით მიღებული ემპირიული ცოდნის ურთიერთქმედების გამოვლენას;
3. შესაფასებელი ობიექტის მოცემულ ლინგვოკულტურულ საზოგადოებაში არსებულ სტანდარტსა თუ ნორმებთან კორელაციურობის იდენტიფიცირებას.

პერცეპტიულ ოპოზიციათა გამომხატველი და გადატანითი შემფასებლური მნიშვნელობის მატარებელი ენობრივი ერთეულების ანალიზი ცხადყოფს, რომ პერცეპტიული ოპოზიციები სხვადასხვაგვარად მონაწილეობენ სამყაროს შემფასებლური გააზრების პროცესში.

შეიძლება გამოიყოს ოპოზიციათა ენობრივი ერთეულების „ქცევის“ სამი მოდელი:

პირველ მოდელში შეფასება ემყარება მითოლოგიურ იდეებს, რომლებიც ჩამოყალიბდა ოპოზიციის საფუძველში არსებული ნიშნებზე დაკვირვების გზით და ამ ნიშნებში ადამიანის სიცოცხლისთვის მნიშვნელოვანი თვისებების გამოვლენის შედეგად. სწორედ ამ ისტორიულად ჩამოყალიბებულ იდეებში ფიქსირდება სტაბილური კავშირები. ამ ტიპის სემანტიკური მოდელი დამახასიათებელია ისეთ ოპოზიციათა ენობრივი ერთეულების შინაარსისთვის, როგორიცაა: „ნათელი-ბნელი“, „სუფთა-ჭუჭყიანი“. აღნიშნულ ოპოზიციათა ენობრივი ერთეულების შინაარსი ეფუძნება ვიზუალურად აღქმულ მახასიათებლებს. (Kant / კანტი, 1996)

მეორე მოდელში შეფასებული მნიშვნელობის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ოპოზიციის საფუძველში არსებული ატრიბუტის (მახასიათებლის) ფუნქცია. ენობრივი ერთეულების მეტაფორული შესაბამისობა მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა მახასიათებლებია მნიშვნელოვანი ენობრივი საზოგადოებისთვის მათი ფუნქციის განხორციელების თვალსაზრისით და თუ როგორ შეიძლება მათი გამოყენება ადამიანის შემფასებლურ საქმიანობაში. (Nissim & Markert / ნისიმი & მარკერტი, 2003, გვ. 23-48). ფუნქციური ოპოზიციები განსხვავდება ერთმანეთისაგან მათი პერცეპტიული ბუნებით:

სივრცითი ოპოზიციები („ღრმა-ზედაპირული“), რომელთა მეტაფორიზაციისას მნიშვნელოვანია სივრცის რაციონალური გამოყენება;

ტაქტილურად აღქმული ოპოზიციები („ბასრი-ბლაგვი“), რომელთა მეტაფორიზაციაშიც მთავარია ობიექტის ფუნქციური თვისება და მისი გავლენა ადრესატზე;

მესამე მოდელში მეტაფორიზაცია ემყარება ატრიბუტის ექსპერიმენტულ ბუნებას და ასახავს მის კომფორტულობა-არაკომფორტულობას სუბიექტისთვის სხვადასხვა გონებრივად წვდომად სფეროებში. აღნიშნული მოდელი აერთიანებს ოპოზიციებს, რომლებსაც ახასიათებთ თვისების (მახასიათებლის) აღქმის გარკვეული ტიპი, კერძოდ კი, ექსპერიმენტული. ამგავარ ოპოზიციათა ენობრივი ერთეულების სემანტიკაში ვლინდება სუბიექტის რეაქცია ატრიბუტის (თვისების, მახასიათებლის) ზემოქმედებაზე. ამ ტიპის ოპოზიციებში შემფასებლური დამოკიდებულება ემყარება ადამიანის ობიექტთან ურთიერთქმედების სპეციფიკას. ეს ურთიერთქმედება ხასიათდება გარკვეული თვისებებით (გემო, წონა, ტემპერატურა), რომლებიც იწვევენ სუბიექტში სასიამოვნო ან უსიამოვნო შეგრძნებებს. ეს შეგრძნებები ადამიანის გონებაში შერწყმულია თავად თვისებებთან (მახასიათებლებთან) და, შესაბამისად, მათ ნომინანტებთან, რომლებსაც ენობრივი საზოგადოება იყენებს მსგავს შეგრძნებათა გადმოსაცემად. (კრიპკე, 1980)

რეალობის აღქმის სხვადასხვა ტიპის გამოცდილების რეპრეზენტანტი პერცეპტიული ოპოზიციების, ასევე ენობრივი ერთეულების „ქცევის“ სხვადასხვა მოდელების ანალიზი იძლევა შემდეგი თვალსაზრისის ჩამოყალიბების საშუალებას: ენაში სისტემურ გამოხატულებას პოულობს ნაივური იდეები სენსორულად აღქმული თვისებების (მახასიათებლების) მნიშვნელოვნების შესახებ. ამ ტიპის თვისებების (მახასიათებლების)

შემცველი ოპოზიციების არსებობა ფიქსირდება შემეცნების პროცესსა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. მათი ლინგვისტური რეპრეზენტანტები კი გამოიყენება რეალური და გამოგონილი სამყაროს ხატის შექმნის პროცესში. (Casson / კასონი, 1981).

1.2. ეთნოსის ღირებულებითი ორიენტირები და კონცეპტუალური დომინანტები

ლინგვოკულტურის ღირებულებითი ორიენტირების ერთობლიობა წარმოადგენს სისტემას, რომელშიც შეიძლება იდენტიფიცირდეს დომინანტური (მთავარი) და პერიფერიული (მეორეხარისხოვანი) მახასიათებლები. (Sharifian / შარიფიანი, 2017).

ამ ტიპის მახასიათებელთა ერთობლიობა ახასიათებს ყველა ხალხს, გამონაკლისის გარეშე და მთლიანად კაცობრიობას. თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ კულტურის ეთნიკურ უნიკალურობას განსაზღვრავს სხვადასხვა ლინგვოკულტურაში ღირებულებითი ორიენტირების პრიორიტეტულობისა და მათი კომბინატორიკის სპეციფიკა. (Silverstein / სილვერშტეინი, 1979, გვ. 53–68).

არიან რა ენაში ფიქსირებული, აღნიშნული მახასიათებლები იძენენ ერთგვარი შეფასებითი კოდის სტატუსს და განსაზღვრავენ შესაბამისი ლინგვოკულტურის მატარებელთა ქცევას, მათი თვითშეფასებისა და მათ მიერ სხვა ეთნოსების შეფასების თავისებურებებს. (Choi & Kim / ჩოი & კიმი, 2000).

თითოეულ ეროვნულ კულტურაში შეიძლება აღმოჩნდეს სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც განსაკუთრებულ როლს თამაშობენ ეროვნული ხასიათისა და ეროვნული მენტალიტეტის ჩამოყალიბებაში.

სწორედ ამ ტიპის მახასიათებლებს ვუწოდებთ კულტურულ-ეთნიკურ დომინანტებს. სწორედ აღნიშნული ერთეულებითაა დეტერმინირებული ადამიანთა ქცევის, მსოფლმხედველობისა და მსოფლალქმის ეროვნული მახასიათებლები. (Duranti / დურანტი, 2013).

კონცეპტუალური დომინანტები წარმოადგენენ ეთნოსის ეგზისტენციალური სივრცის, ეთნოსის სამყაროს ვერბალიზებულ მნიშვნელობებს. ეთნოსის სამყარო გვევლინება იმ გარემოდ, რომელშიც ხორციელდება ადამიანის საქმიანობა. ეს გარემო წარმოადგენს

ობიექტური (რეალური, ფიზიკური, ეკოლოგიური, ექსტრალინგვისტური) სამყაროს ნაწილს, რომელიც მოიცავს ეპისტემურ სამყაროს დეკლარაციული და პროცედურული ცოდნით.

რა ტიპის აბსტრაქციებისგანაც არ უნდა შედგებოდეს ეთნოსის ეგზისტენციალური სივრცე, იგი ყოველთვის ასახავს ინდივიდის და/ან ეთნოსის რეალურ მოთხოვნილებებსა და ღირებულებით ორიენტაციებს. (Bahm / ბაჰმი, 1993).

ამის გათვალისწინებით, სავსებით ლოგიკურია ისეთი ნორმებისა და ღირებულებების შემუშავება, რომლებიც აღიარებულია ინდივიდების მიერ და რომლებიც განსაზღვრავენ მათ ქმედებებსა და ქცევას. (Baier / ბაიერი, 1969, გვ. 33–67).

კულტუროლოგიაში განასხვავებენ ღირებულებების სამ ტიპს:

1. ტერმინალურ ღირებულებებს - უმაღლეს ღირებულებებსა და იდეალებს;
2. ინსტრუმენტულ ღირებულებებს - ტერმინალური ღირებულებების მისაღწევად და შესანარჩუნებლად საჭირო საშუალებებსა და პირობებს;
3. დერივაციულ ღირებულებებს - ტერმინალური და ინსტრუმენტული ღირებულებების შედეგებს ან გამოხატულებას, ტერმინალური და ინსტრუმენტული ღირებულებების ნიშნებსა და სიმბოლოებს. (Langacker / ლანგაკერი, 1991).

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს მეცნიერებაში ჯერ კიდევ არ არსებობს მკაფიო სადემარკაციო ხაზი ეთნოსის კონცეპტუალურ დომინანტებსა და ღირებულებით ორიენტირებს შორის.

ღირებულებით ორიენტირები, მაგალითად, კონცეპტუალიზებულია მათი სამი ფორმის ერთიანობით: (შარიფიანი, 2011).

1. საზოგადოებრივი იდეალები - საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების მიერ შემუშავებული განზოგადებული წარმოდგენები სრულყოფილების შესახებ;
2. აღნიშნული იდეალების რეალიზაცია კონკრეტული ადამიანების საქმიანობაში;
3. ინდივიდის მოტივაციური სტრუქტურები (სათანადოობის მოდელები), რაც ხელს უწყობს ინდივიდს სოციალური იდეალების რეალიზაციაში.

ღირებულებითი ორიენტირების აღნიშნული ფორმები ერთგვრიან ერთგვარ სპირალში (Crisp / ქრისპი, 2005).

1. ინდივიდები ითვისებენ საზოგადოებრივ იდეალებს „სათანადოობის მოდელების“ ფორმით;
2. საზოგადოებრივი იდეალები აძლევენ ინდივიდს აქტივობის მოტივაციას;
3. ინდივიდის აქტივობის პროცესში ხდება საზოგადოებრივი იდეალების რეალიზაცია;
4. რეალიზებული ღირებულებები იქცევიან იდეალებისა და სტერეოტიპების ჩამოყალიბების საფუძვლად.

აქ იკვეთება ორი მომენტი, კერძოდ:

1. კავშირი ეთნოკულტურის მატარებელ პიროვნებასთან, როგორც შეფასების სუბიექტთან;
2. ღირებულებების აღიარება საზოგადოების ან ჯგუფის მიერ.

თუ საზოგადოების ან ჯგუფის მიერ ღირებულებათა აღიარების პირობა დაკმაყოფილებულია, ღირებულებები იძენენ ნორმებისა და იდეალების სტატუსს. (Chisholm / ჩიშოლმი, 1978).

აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ ორი, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფი ცნება - ღირებულებითი ორიენტირი და კონცეპტუალური დომინანტა.

ღირებულებითი ორიენტირი წარმოადგენს ნებისმიერ ობიექტს (მათ შორის, იდეალებს), რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა სუბიექტისთვის (ინდივიდისათვის, ჯგუფისათვის, ეთნოსისათვის). (Fenner / ფენერი, 1998).

რაც შეეხება კონცეპტუალურ დომინანტას, იგი ასოცირდება, ერთი მხრივ, აბსტრაქტულად მიმზიდველ მნიშვნელობებთან, ხოლო მეორე მხრივ კი - იმ სიკეთეებთან, რომლებიც სტაბილურად მნიშვნელოვანია კონკრეტული ეთნოკულტურის წარმომადგენლებისთვის.

მაშასადამე, კონცეპტუალური დომინანტები ასევე გვევლინებიან ღირებულებებად, მაგრამ იმ ღირებულებებად, რომლებიც განზოგადების მაღალი ხარისხის მქონე სიტყვის მეშვეობით

ობიექტივირებულია სულიერ იდეებში. კონცეპტუალურ დომინანტებს ზოგჯერ უწოდებენ „ბირთვულ კონცეპტებს“ ან „კულტურის ბირთვულ სიტყვებს“. (დურანტი, 2001).

ეთნოსის ღირებულებითი დომინანტები-ორიენტირები წარმოადგენენ სამყაროს კონცეპტუალური ხატის ნაწილს. სამყაროს კონცეპტუალური ხატი:

1. ასახულია ცნობიერებაში ობიექტური სამყაროს მეორადი არსებობის სახით;
2. Homo loquens -ის მახასიათებელი აქტივობის შედეგის სახით.

წარმოადგენს რა რეალობის გააზრების თავისებურ გზას, სამყაროს კონცეპტუალური ხატი ფიქსირებულია გარკვეული ლინგვოკულტურული საზოგადოების კოლექტიურ ცნობიერებაში და გვევლინება სამყაროს შესახებ სწორედ ამ კონკრეტული საზოგადოების ცოდნისა და იდეების მთლიანობად. (ჰაბერმასი (1990).

კონცეპტუალური დომინანტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ მაშინ, როდესაც იწყებენ ასოციაციებით, მეტაფორიზირებული ხატებით, შეფასებითი სტერეოტიპებითა და დამოკიდებულებებით შევსებას. (Kövecses / კიოვეჩესი, 2005).

კონცეპტუალური დომინანტები ხდებიან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ერთეულები ასევე მაშინაც, როდესაც იწყებენ ეთნიკური პორტრეტების, ავტოპორტრეტებისა და ტიპაჟების გამოსახვას და ამ უკანასკნელთა სიმბოლოების რანგში აყვანას.

საკვლევ ენათა ეთნიკურ სფეროებში არსებული სხვაობები განპირობებულია:

1. საკვლევ ენათა ეთნიკურ სფეროებში კონცეპტებისადმი დამოკიდებულების სხვაობით;
2. საკვლევ ენათა ეთნიკურ სფეროებში კონცეპტებისადმი განსხვავებული დამოკიდებულების დეტერმინირებულობით სოციოკულტურული, ისტორიული და სოციოდისკურსული ფაქტორებით;
3. რეალობისადმი პრაგმატიკული დამოკიდებულებით, რომელიც განსაზღვრავს ეთნოკულტურაში იმ კონცეპტუალურ დომინანტთა წარმოშობას, რომლებიც ქმნიან და ახორციელებენ ამ ეთნოკულტურის აქსიოლოგიური სისტემის მახასიათებლებს.

4. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კონცეპტუალური დომინანტების ერთობლიობა ქმნის კონკრეტული ეთნოკულტურის სამყაროს კონცეპტუალური ხატის ზოგად მონახაზს. (Goddard / გოდარდი, 2006, გვ.129-169)

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ კონცეპტუალური დომინანტები ხასიათდებიან:

1. აბსტრაქციის მაღალი ხარისხით;
2. იდეოლოგიური შინაარსით;
3. ასოციაციური ველის სიმჭიდროვით;
4. ვალორატიულობის მაღალი ხარისხით.

აწესებენ რა კულტურის ღირებულებით ორიენტირებს, კონცეპტუალური დომინანტები ასახავენ ეთნიკური მენტალიტეტის თავისებურებებს. კონცეპტუალური დომინანტები იძლევიან კონკრეტული ტიპის კულტურის პარამეტრულ მახასიათებლებზე მსჯელობის საშუალებას.

ყველა კონცეპტუალური დომინანტა ობიექტივირდება ლექსიკური ნომინაციების მეშვეობით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონცეპტუალური დომინანტების ლექსიკური ობიექტივაციის თავისებურებათა ანალიზი ცხადყოფს მეტად მნიშვნელოვანი კანონზომიერების არსებობას, კერძოდ ,იმ შემთხვევაში, როცა კონკრეტულ კულტურაში კონკრეტული კონცეპტი არ სარგებლობს მნიშვნელოვანი კონცეპტის სტატუსით, მაშინ ამ კონცეპტის ლექსიკური ასახვა ნაკლებ დიფერენცირებულია; (Foley / ფოლეი, 1997).

1. რაც უფრო მაღალია კონკრეტულ კულტურაში კონკრეტული კონცეპტის სტატუსი, მისი მნიშვნელობისაგან გამომდინარე, მით უფრო დიფერენცირებულია ამ კონცეპტის ლექსიკური ასახვა.

კონცეპტუალურ დომინანტებს განსაზღვრავს როგორც ეთნიკური მენტალიტეტი (ეროვნული ფსიქოლოგია), ისე ეთნოსის ისტორიული განვითარების თავისებურებები. (გოდარდი & ვიეჟბიკა, 2014).

და კიდევ ერთი რამ: კონცეპტუალური დომინანტების კორპუსი არ ხასიათდება სტაბილურობის მაღალი ხარისხით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციოკულტურის

პროგრესული განვითარების პროცესში კონცეპტუალური დომინანტების კორპუსი ცვლადია როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად. (Searle / სირლი, 1995).

ქმნიან რა ეროვნული ღირებულებების იერარქიებს, როგორც ლინგვოკულტურასა და თავად კულტურას შორის არსებულ შუალედურ რგოლს, კონცეპტუალური დომინანტები განეკუთვნებიან ორივე სფეროს (Perry / პერი, 1926).

1. ერთი მხრივ, კონცეპტუალური დომინანტები წარმოადგენენ იმ სიტყვებისა და მნიშვნელობების სემანტიკურ ექსტრატს, რომლებიც ახდენენ კულტურის თეზურუსის ნიუანსირებას;
2. მეორე მხრივ, კონცეპტუალური დომინანტები გვევლინებიან ამ კულტურის აქსიოლოგიური ორიენტაციების კვანტებად.

ამრიგად, კულტურის კონცეპტუალური დომინანტები:

1. ხასიათდებიან ობიექტურობით და ექვემდებარებიან პარამეტრიზაციას;
2. წარმოადგენენ სემანტიკური კანონის გამოვლინებას, რომლის მიხედვითაც კონკრეტული კულტურის მატარებელთათვის ყველაზე მნიშვნელოვან კონცეპტებს გააჩნიათ მრავალფეროვანი და დეტალური ნომინაცია;
3. ექვემდებარებიან აღწერას ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულების კარტირების მეშვეობით, ასევე კონკრეტული კულტურის მატარებელთა ქცევისათვის რელევანტური სტერეოტიპების იდენტიფიცირების გზით;
4. ექვემდებარებიან დეტალიზაციას დამატებითი მახასიათებლების (მაგალითად, სოციოკულტურული და სოციოდისკურსული) იდენტიფიცირების გზით;
5. გააჩნიათ განსხვავებული ვერბალური რეპრეზენტაცია სხვადასხვა ენაში, რაც ძირითადად გამოიხატება არა გარკვეული ნიშნების არსებობა-არარსებობაში, არამედ ამ ნიშნების სიხშირესა და მათ სპეციფიკურ კომბინატორიკაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა ვისაუბროთ კონცეპტუალური დომინანტების კვლევის მეთოდოლოგიაზე. ჩვენი აზრით, იგი წარმოადგენს კვლევის ტექნიკისა და პროცედურების სისტემას, რომელიც ორიენტირებული ლინგვოკონცეპტების სხვადასხვა განზომილების გამოვლენაზე. (Dijk / დეიკი, 1998).

და ბოლოს, კონცეპტუალური დომინანტების კვლევის ვალიდურობა მიღწევადია მხოლოდ სხვადასხვა სააზროვნო სივრცეთა ინტეგრაციით.

1.3. კონცეპტუალურ სისტემათა ტრანსფორმაცია, კონცეპტთა ტრანსფერი და ტრანსლაცია

კონცეპტუალურ სისტემათა აღწერა ისეთი ფენომენების მეშვეობით, როგორიცაა „კონცეპტუალური ველი“ და „კონფიგურაცია“, ხელს უწყობს კონცეპტუალიზაციის პროცესების გააზრებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ფენომენების მეშვეობით კონცეპტუალურ სისტემათა აღწერა მაინც ვერ იძლევა სრულ სურათს კონცეპტუალური სისტემების მთელი პარამეტრული პალიტრის შესახებ. (Fauconnier / ფოკონიერი, 1985).

საქმე ისაა, რომ კონცეპტუალურ სისტემათა ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა სტაბილურობა-არასტაბილურობა, წინააღმდეგობრიობა-არაწინააღმდეგობრიობა, რჩებიან ინტერპრეტაციის ფარგლებს მიღმა. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს, მაშინ, როდესაც ამა თუ იმ მიზეზის გამო მთლიანის შიგნით ირღვევა კოგნიტურ-ლოგიკური კავშირები, ხოლო თავად სისტემა კი იშლება იზოლირებულ ელემენტებად. (Cienki / ჩიენკი, 2007)

კონცეპტუალური სისტემების სტაბილურობა და არასტაბილურობა, ევოლუცია და ინვოლუცია დიდწილად დამოკიდებულია ატრაქტორზე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დომინანტურ მნიშვნელობაზე, რომელიც უნდა განიხილებოდეს, როგორც სიმეტრიისა და ასიმეტრიის ჰარმონიზაციის ზონა, ხოლო ორგანიზებულობა და დეზორგანიზებულობა კი - როგორც სისტემათა შედარებით სტაბილური მდგომარეობა. (Barsalou / ბარსალუ, 1992).

დისკურსის კოგნიტური რუკის ცვლილება ასახავს კონცეპტუალური სისტემის თვითორგანიზაციის პრინციპს, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ ლინგვოკულტურაში ზოგიერთი კატეგორიის, სიტყვის, კონცეპტის გაქრობასთან და ახლის გაჩენასთან.

სამყაროს მეცნიერული და ენობრივი ხატების პერმანენტული ცვალებადობის ფონზე ცვლილებები ხდება როგორც თავად კონცეპტთა სტრუქტურაში, ისე კონცეპტუალურ სისტემებში.

კონცეპტუალური სისტემების ცვალებადობის პრინციპი განისაზღვრება ონტო- და ფილოგენეზის კანონებით. აღნიშნული კანონები წარმოადგენენ ურთიერთდაპირისპირებულთა ერთიანობასა და ბრძოლას, კერძოდ კი, კონსტრუირებასა და დეკონსტრუქციას, კონვერგენციასა და დივერგენციას შორის არსებულ ბრძოლასა და ერთიანობას.

ნებისმიერი სისტემა ყოველთვის არის ენტროპიული ძალების მოქმედების სივრცე. ენტროპიის შეჭრას სისტემაში თან ახლავს ბიფურკაციისა და დისიპაციის პროცესები, რომლებიც იწვევენ ქაოსსა და განადგურებას.

ამავდროულად, სისტემა საკმაოდ სიცოცხლისუნარიანია - იგი მუდმივად ეწინააღმდეგება ენტროპიას. სისტემაში ჩადებულია წონასწორობის შენარჩუნების უნარი. სწორედ ეს უნარი უზრუნველყოფს სისტემის ბალანსირებულობას.

სისტემაში არსებული შიდა დამაბულობა წარმოადგენს სისტემაში ორ დაპირისპირებულ ვექტორს - კონსტრუქტიულ და დეკონსტრუქტიულ ვექტორებს შორის არსებული ბრძოლის გამოხატულებას.

სისტემაში დაპირისპირებულ ვექტორთა ურთიერთქმედება უზრუნველყოფს სისტემის თვითორგანიზებას. სწორედ სისტემის თვითორგანიზებულობა იცავს სისტემას ენტროპიის ზემოქმედებისგან და მიმართავს მის განვითარებას ახალი თვისებების შეძენისკენ. ეს კი იცავს სისტემას განადგურებისაგან და უზრუნველყოფს მის განვითარებას. ასე იქმნება სისტემაში სტატიკურის (სტაბილურის) და დინამიურის (ცვალებადის) განუყოფელი ერთიანობა.

დისკურსში კონცეპტთა შორის არსებულ მიმართებათა ქსელს გააჩნია ლინგვოკულტურულ ცნობიერებაში ცვალებადობის უნარი. (Karasik / კარასიკი, 2002).

იქიდან გამომდინარე, რომ კონცეპტს არ ახასიათებს იზოლირებულად, თავისთავადი არსებობა და განიხილება როგორც რომელიმე სისტემის ელემენტი, კონცეპტი ყოველთვის განიცდის მის „მსგავსთა“ გავლენას. დროთა განმავლობაში იცვლება კონცეპტთა რაოდენობაც და მათი შინაარსის მოცულობაც. (Talmy / ტალმი, 2000).

სახელდება კონცეპტის სტრუქტურის ცვალებადობის ორი მთავარი მიზეზი:

1. ექსტრალინგვისტური, რომელიც ეფუძნება სოციოკულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებს, მორალური ღირებულებებისა და ვალორატიული პრიორიტეტების ცვლილებას; (Baier / ბაიერი, 1958; Mackie / მაკი, 1977; Calhoun / კალჰუნი, 1992).
2. ინტრალინგვისტური, რომელიც ეფუძნება სესხებისა და დერივაციის პროცესებს.

კონცეპტუალური სისტემების თვითორგანიზებულობის ინტრალინგვისტური ფაქტორები, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია კონცეპტის ლექსიკურ ობიექტივატორთა ვარიაციულობასთან.

კოგნიტური სემანტიკის თვალსაზრისით, ლექსიკური ვარიაციულობა გულისხმობს არა ცვალებადობას, არამედ მხოლოდ სემანტიკური სტრუქტურის მობილურობას. (Croft & Cruse / კროფტი & კრუზი, 2004).

სემანტიკური სტრუქტურის მობილურობა ვლინდება ერთდროულად ორ დონეზე - ვირტუალურ და აქტუალურ დონეებზე.

ვირტუალურ დონეზე კონცეპტის სემანტიკური სტრუქტურა არსებობს როგორც პოტენციური სემანტიკური სტრუქტურა, ხოლო აქტუალურ დონეზე კი - როგორც სტრუქტურა, რომლის არსებობის აუცილებელ და საკმარის პირობას წარმოადგენს კავშირი მისსავე სტრუქტურულ-სემანტიკურ მთლიანობასთან.

თუმცა, კონცეპტის ევოლუცია არ უნდა მივიჩნიოთ კონცეპტის მიერ საკუთარი მოცულობის დამოუკიდებელად ზრდის პროცესად. კონცეპტის ახალი ასოციაციებით გამდიდრებასთან ერთად, იკარგება ძველი ასოციაციები. ეს კი განპირობებულია როგორც ადამიანის მეხსიერების შეზღუდულობით, ისე ექსტრალინგვისტური რეალობის ცვლილებებით, რომელიც ექვემდებარება კონცეპტუალიზაციას. (Evans & Green / ევანსი & გრინი, 2006).

ნებისმიერი ლინგვოკულტურული ფენომენის მსგავსად, კონცეპტიც არ შეიძლება იყოს სტატიკური. ენობრივი საზოგადოების განვითარებასთან ერთად, იცვლება კონცეპტის სტრუქტურაც - იცვლება სამყარო და მასთან ერთად, ადამიანის ღირებულებათა სისტემაც. კონცეპტის შინაარსი მუდმივად გაჯერებულია ახალი იმპულსებით, ხოლო მისი მოცულობა კი იზრდება ახალი თვისებების დამატებით.

იმართება რა ონტო- და ფილოგენეზის კანონებით, ცვალებადობის პრინციპი ხელს უწყობს სისტემიდან იმ კონცეპტთა ამოვარდნას, რომლებმაც ინდივიდუალური ან კოლექტიური ცნობიერებისთვის დაკარგეს აქტუალობა.

ამავდროულად, ცვალებადობის პრინციპი უზრუნველყოფს სისტემაში ახალი მენტალური ერთეულების ინტეგრირებას. უნდა ითქვას, რომ ახალ მენტალურ ერთეულებში იგულისხმება ის მენტალური ერთეულებიც, რომლებიც მიიღება არა ემპირიული გამოცდილებით, არამედ ენის მეშვეობით.

კონცეპტთა რაოდენობისა და ბევრი მათგანის შინაარსის მუდმივი ცვლილება მოწმობს კონცეპტთა უსასრულოდ ინტერპრეტაციის შესაძლებლობაზე სხვადასხვა კომუნიკაციურ სიტუაციაში.

მასლოვს თქმით, „რადგანაც სამყარო მუდმივად იცვლება, ადამიანებმა მუდმივად უნდა ისწავლონ ახალი რამ. ადამიანურ ცოდნას უნდა გააჩნდეს ისეთი ფორმა, რომელიც სწრაფად მოერგება ამ ცვლილებებს, ამიტომ ცოდნის გადაცემისა და შენახვის ერთეულიც უნდა იყოს მოქნილი და მობილური”. (Маслова / მასლოვა, 2004)

კონცეპტებისა და კონცეპტუალური სისტემების ცვალებადობას განსაზღვრავს სოციოკულტურული და სოციოდისკურსული ფაქტორები:

1. ექსტრალინგვისტური რეალობის მუდმივი ცვლილება;
2. აქტუალობის ხარისხის ცვალებადობა;
3. კონცეპტუალური სუბსტრატის ტრანსფორმაცია ან დაკარგვა;
4. ასოციაციური ადსტრატისა და ვალორატიული ეპისტრატის ცვლილება;
5. აქსიოლოგიური პოლუსის ცვალებადობა;
6. კონცეპტის ფუნქციური ტრანსფორმაცია, მისი სოციოკულტურული მიმოქცევიდან ამოღების ჩათვლით.

ამ პირობებში მოქმედებს სინერგეტიკის ერთ-ერთი წამყვანი პრინციპი - რთული სისტემის ყველა ელემენტის დაქვემდებარება ყველაზე არასტაბილურ ელემენტზე. ჩვენს შემთხვევაში, არასტაბილური ელემენტია ის კონცეპტი, რომელიც ეთნოსის თვითგანვითარების გარკვეულ პერიოდში იწყებს აქტუალობის კარგვას ლინგვოკულტურული ცნობიერებისთვის.

გამოეყოფა რა თანდათანობით ღირებულების დომინანტთა სისტემას, ამ ტიპის კონცეპტს გააჩნია გარკვეული მარეგულირებელი ძალა, ვინაიდან მას გამოჰყავს სისტემა ქაოტური, ინფორმაციულად მოუწესრიგებელი მდგომარეობიდან და მოჰყავს იგი ინფორმაციულ წონასწორობაში. ცოდნის ინფორმაციულად დაბალანსებულ ტრანსფერს ხელს უწყობს ევოლუციური დინამიკის პროცესები: მიტიგაცია, ინტენსიფიკაცია, აკომოდაცია.

მიტიგაციის მექანიზმი ასახავს კონცეპტუალური სისტემის სწრაფვას, თავი დააღწიოს იმ ერთეულებს, რომლებმაც დაკარგეს აქტუალობა კონკრეტული სოციოკულტურისთვის. კონცეპტის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები შესაძლოა ასოცირდეს აქტუალობის ხარისხის ცვლილებასთან. ამ ტიპის ცვლილება დაკავშირებულია იმ ენობრივი ერთეულების რაოდენობის ზრდასთან ან შემცირებასთან, რომლებიც მეშვეობითაც ხორციელდება კონცეპტის რეპრეზენტაცია.

ახალ ნომინაციათა წარმოქმნასთან ერთად, კონცეპტუალური სისტემების გენეზისში მეტად მნიშვნელოვანი მომენტი კონცეპტუალური სუბსტრატის დაკარგვაა. ყველაზე ხშირად ეს ხდება დისკურსში, რომელიც ხასიათდება საკმაოდ აქტიური დინამიური პროცესებით საზოგადოების მიმდინარე სოციოკულტურული ტრანსფორმაციების ფონზე.

დიაქრონიაში, ისევე როგორც სინქრონიაში, კონცეპტი ექვემდებარება კატეგორიზაციის პროცესებს. (Rosch / როში, 1978). ამ ფაქტმა კი შეიძლება გავლენა მოახდინოს მის ლექსიკურ რეალიზაციაზე.

ამრიგად, სწორედ ლექსიკურ საშუალებებში მომხდარი ცვლილებები ინკორპორირდება კოგნიტურ სტრუქტურებში. ეს კი ანაცვლებს ან ავსებს უკვე არსებულ ელემენტებს.

ამან, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს ცვლილებები კონცეპტუალურ დონეზე. თუ ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში ცვლილებები გამოწვეულია ექსტრალინგვისტური ფაქტორებით, სამყაროს შესახებ ახალი ინფორმაცია ექვემდებარება კატეგორიზაციას პროტოტიპული მახასიათებლების საფუძველზე. ამან კი შეიძლება გავლენა იქონიოს ახალი ნომინანტისათვის ლექსიკური ნიშნის არჩევაზე.

რაც შეეხება კონცეპტთა ტრანსფერს, იგი დაკავშირებულია მის გადანაცვლებასთან: ერთი კულტურიდან მეორეში; ერთი ონტოლოგიური სფეროდან მეორეში; ერთი მეტყველი სუბიექტიდან მეორეზე. (Spencer-Oatey / სპენსერ-ოუტი, 2008).

კონცეპტთა ინტერკულტურული ტრანსფერი გულისხმობს მათ ექსპორტს ან იმპორტს. ამ ორი ფენომენის ერთმანეთისაგან გამიჯვნა დამოკიდებულია დამკვირვებლის თვალსაზრისზე (Kecskes / კეჩკესი, 2014).

1. თუ დამკვირვებელი არის A ლინგვოკულტურის წარმომადგენელი, მაშინ ამ ლინგვოკულტურის B კონცეპტი, რომელიც გადაეცემა C ლინგვოკულტურას, იქნება ექსპორტირებული კონცეპტი;
2. თუ დამკვირვებელი განეკუთვნება B ლინგვოკულტურას, მაშინ სხვა A ლინგვოკულტურიდან მის (B) ლინგვოკულტურაში შემოსული C კონცეპტი იქნება იმპორტირებული კონცეპტი.

კონცეპტუალური შინაარსის ინტერკულტურული ტრანსლაცია გულისხმობს მის გადაცემას, რეკოდირებას, რევერბალიზაციას სხვა ენის საშუალებით, კონცეპტის ცნებობრივი, პერცეპტიული ან ვალორატიული კომპონენტების ინტერიორიზაციის სხვადასხვა ხარისხით. (Strauss & Quinn / შტრაუსი & ქუინი, 1997).

ყველაზე ხშირად, კონცეპტთა ინტერკულტურული ტრანსლაციისას იქმნება მნიშვნელოვანი დაბრკოლება: საქმე ისაა, რომ სხვადასხვა ენობრივ ცნობიერებაში სხვადასხვაგვარად ყალიბდება კონცეპტთა პერცეპტიულ-ხატობრივი და ვალორატიული კომპონენტები.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ კომპონენტებს ძალიან იშვიათად აფიქსირებენ ლექსიკონები, რომლებიც ძირითადად ორიენტირებულნი არიან კონცეპტის ცნებობრივი (დენოტატიური) კომპონენტის ფიქსაციაზე.

კონცეპტის ასოციაციურ და ვალორატიულ შემადგენელთა წვდომა შესაძლებელია მხოლოდ კომუნიკაციურ პრაქტიკაში მიღებული ინდივიდუალური გამოცდილებით. კონკრეტულ ლინგვოკულტურაში კონცეპტის სამი სტრუქტურულად რელევანტური კომპონენტიდან შეიძლება არ აქტუალიზდეს სამივე ან აქტუალიზდეს განსხვავებულად. (Broadbent / ბროუდბენტი, 1958)

კონცეპტის პულსაცია ტრიადაში „კონცეპტი - ასოციაცია - ღირებულება“ წარმოადგენს კონცეპტთა ინტერკულტურული ტრანსლაციის მეთოდოლოგიურ წინაპირობას.

შინაარსი, რომელიც ექვემდებარება სხვა ლინგოკულტურაში ტრანსლაციას, გარდატყდება მთარგმნელის ცნობიერებაში იმ ცოდნის შესაბამისად, რომელსაც იგი ფლობს სამიზნე ლინგოკულტურის კოგნიტური ბაზის არქტიტექტონიკის შესახებ.

ცხადია, როდესაც ვსაუბრობთ ამა თუ იმ კონცეპტის ტრანსლაციის შესაძლებლობაზე რეპრეზენტაციის სხვა ვერბალური საშუალებებით, ვგულისხმობთ ცნების ზენაციონალურ ბუნებას - კონცეპტის ლოგიკურ-კოგნიტურ სუბსტრატს. (Piller / პილერი, 2017).

სხვა ლინგოკულტურაში ტრანსლაციისას, კონცეპტის ეთნოსპეციფიკურმა ბუნებამ შეიძლება წარმოშვას მნიშვნელოვანი სირთულეები. არსებობს კონცეპტები, რომლებიც მოკლებულნი არიან სხვა ლინგოკულტურაში ასახვის შესაძლებლობას იმ მიზეზის გამო, რომ ამ ტიპის კონცეპტებს არ გააჩნიათ კორელატი სხვა ლინგოკულტურაში.

ასეთ შემთხვევაში ჩნდება კომპარაბელურობის არსებობა-არარსებობის პრობლემა. სწორედ ეს ფაქტი იძლევა კონცეპტთა ტრანსლაციის სამ ძირითად კროსკულტურულ მოდელზე საუბრის საშუალებას:

1. ტრანსლირებული კონცეპტის კონცეპტუალური შინაარსის უნივერსალურობა ორივე - წყარო და სამიზნე - ლინგოკულტურისთვის (სრული ტრანსლაცია);
2. სამიზნე ლინგოკულტურაში იმ ვერბალურ რეპრეზენტატთა არსებობა, რომლებსაც შეუძლიათ ნაწილობრივ გადმოსცენ ტრანსლირებული კონცეპტის შინაარსი (ნაწილობრივი ტრანსლაცია);
3. წყარო ლინგოკულტურაში კონცეპტის ვერბალურ რეპრეზენტატთა არარსებობა (ლაკუნარული ტრანსლაცია).

კონცეპტის ტრანსლაციის სრული (ეკვივალენტური), ნაწილობრივი და ლაკუნარული (არაეკვივალენტური) მოდელები, პირდაპირ თუ ირიბად, ეხებიან კონცეპტის სამშრიან სტრუქტურაში სემანტიკურ ნიშანთა დამთხვევა-შეუსაბამობის პრობლემას.

სრული ტრანსლაცია (ეკვივალენტურობა) შესაძლებელია მაშინ, როდესაც კონცეპტი უნივერსალურია, ხოლო სამიზნე ლინგოკულტურაში არსებობს მისი მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი ვერბალური რეპრეზენტატები. ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ იმ კონცეპტუალურ ღირებულებებს, რომლებიც ზენაციონალურია.

უნივერსალური (კატეგორიული, თეოსოფიური, ტელეონომიური, მორალური და ეთიკური) კონცეპტების ტრანსლაცია არ წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულ სირთულეს, სანამ ისინი ფუნქციონირებენ სამყაროს შესახებ უნივერსალური წარმოდგენების ფარგლებში. (Zagzebski / ზაგზებსკი, 1996).

კონცეპტის ნაწილობრივი ტრანსლაცია წარმოადგენს კონცეპტუალურ ერთეულთა ერთი ენიდან მეორეზე გადატანის ყველაზე გავრცელებულ გზას.

ნებისმიერი ინტერკულტურული კონტაქტი გულისხმობს კონცეპტუალური შინაარსის გადაცემას წყარო ლინგვოკულტურის საშუალებებით. კონტაქტში მყოფი კულტურების კულტურული და ენობრივი კოდების მსგავსების ხარისხიდან გამომდინარე, შეიძლება დადგინდეს ეკვივალენტურობის ტიპი ენობრივი ერთეულებისთვის, რომელთა მეშვეობითაც სამიზნე კულტურა ახდენს კონცეპტის ვერბალიზაციას. სხვა ლინგვოკულტურის კონცეპტის რეპრეზენტატები არიან ნაწილობრივი ან აბსოლუტური (სრული) ეკვივალენტები. ყველაზე ხშირად ამ პრობლემას ეთნოსპეციფიკური კონცეპტები ქმნიან. (შარიფიანი, 2015, გვ. 10-17)

ამრიგად, თუ ხდება ორი ლინგვოკულტურისთვის უნივერსალური ან საერთო კონცეპტუალური ინფორმაციის ტრანსლაცია, მაშინ, როგორც წესი, არ შეიმჩნევა მნიშვნელოვანი დანაკარგები. კულტურულად მარკირებული შინაარსის ტრანსლაციისას შესაძლებელია შინაარსის ნაწილის დაკარგვა.

ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ კონტაქტში მყოფი ორი კულტურის სამყაროს ხატები განსხვავდება ერთმანეთისაგან, ვინაიდან, როგორც ცნობილია, მათში სხვადასხვაგვარად ხორციელდება სამყაროს ენობრივი სეგმენტაცია. შესაბამისად, განსხვავებულია კოგნიტური ბაზებიც და ამიტომ მათში რეალიზებულ განსხვავებულ კონცეპტუალურ მნიშვნელობებს გააჩნიათ განსხვავებული ენობრივი ობიექტივაცია.

როდესაც მიმღებ კულტურას გააჩნია ვერბალური რეპრეზენტატები, რომლებსაც შეუძლიათ მხოლოდ ნაწილობრივ გადმოსცენ ტრანსლირებული კონცეპტის შინაარსი, ამ შემთხვევაში ეს უკანასკნელი რეალიზდება მოზაიკურად, ანუ სამიზნე ლინგვოკულტურის რამდენიმე კონცეპტის მნიშვნელობათა მოზაიკით. აქ ჩნდება კომპარაბელურ შესაბამისობათა ან

ნაწილობრივი არარსებობის, ან, პირიქით, რამდენიმე კომპარაბელური შესაბამისობის არსებობის პრობლემა.

ამ ტრანსლაციური მოდელის ფარგლებში კომპარაბელურ კონცეპტთა ეკვივალენტურობა შეიძლება იქნას გააზრებული როგორც ნაწილობრივი. აქ საუბარია კონცეპტუალურ ასიმეტრიაზე, რაც გამოიხატება ერთი ლინგვოკულტურის კონცეპტთა მეორე ლინგვოკულტურაში გადაკოდირების შესაძლებლობაში. ამ მოდელის ფარგლებში ხორციელდება შესაბამისი კონცეპტის კალიდოსკოპიურად ვარიაციული რეპრეზენტაცია სხვა ლინგვოკულტურაში.

კონცეპტის ლაკუნარული ტრანსლაცია პირდაპირ კავშირშია „ნულოვან“ ეკვივალენტურობასთან (არაეკვივალენტურობასთან) და გავლენას ახდენს სამიზნე კულტურაში შესაფერისი ვერბალური რეპრეზენტაციების ნაკლებობაზე. ლაკუნა არის ვირტუალური ლექსიკური ფენომენი, სემემა, რომელიც არ არის მატერიალიზებული ლექსემის სახით.

უნდა აღინიშნოს, რომ ლაკუნა შეიძლება გამოვლიდეს სინტაქსური ობიექტივაციის დონეზე, კონცეპტის არსებობის კომუნიკაციური საჭიროების შემთხვევაში. მაშასადამე, შემთხვევითი არ არის, რომ კონცეპტებად მიიჩნევენ მხოლოდ იმ სემანტიკურ წარმონაქმნებს, რომლებიც დგანან იმ სიტყვებს მიღმა, რომლებსაც ვერ უპოვიათ ერთსიტყვიანი ეკვივალენტები სხვა ენაში ტრანსლაციისას.

გარკვეული კონცეპტის არსებობა ერთ ლინგვოკულტურაში და მისი არარსებობა მეორეში იძლევა უფლებას ვისაუბროთ ლაკუნარულობის კატეგორიაზე და დავახასიათოთ იგი არათანაზომიერობის, გაუგებრობის, უჩვეულობის, ეგზოტიკურობისა და უზუსტობის პარამეტრებით. (შარიფიანი, 2015, გვ. 10-17)

ეჭვგარეშეა, რომ ყველა სირთულე, რომელიც თავს იჩენს კონცეპტის სხვა ლინგვოკულტურისათვის „მორგებისას“, დაკავშირებულია კონცეპტის მრავალგანზომილებიანობასთან, უფრო ზუსტად კი, მის სამშრიანობასთან.

ის ფაქტი, რომ ერთ ენაში არსებულ კონცეპტს არ გააჩნია ეკვივალენტი მეორეში, მიუთითებს ამ უკანასკნელში შესაბამისი დანაწევრებული კონცეპტის არარსებობაზე.

სამიზნე ენაში განსხვავებული ლინგვოკულტურის კონცეპტის ეკვივალენტების დეკოდირება-გააზრება ხორციელდება აღქმის ზოგადი კანონების შესაბამისად: რეციპიენტი გარდაქმნის მიღებულ ინფორმაციას კოგნიტურ სტრუქტურებად და აკავშირებს მათ საკუთარ კოგნიტურ ბაზასთან. შემდეგ კი, ამ შინაარსის მნიშვნელობიდან და აქტუალობიდან გამომდინარე, რეციპიენტი ან აფიქსირებს მას გრძელვადიანი მეხსიერების სტრუქტურებში, ან თანდათან კარგავს მას.

უმეტეს შემთხვევაში, ეთნოკულტურული კონცეპტის ეკვივალენტები არ არის აღიარებული სამიზნე ლინგვისტური კულტურის წარმომადგენლის მიერ. „უცხო კულტურა“ იგრძნობა მხოლოდ თარგმანის სტრატეგიის განხორციელებისას, რომელშიც კულტურული კონოტაციების შინაარსი სრულად არის გადმოცემული, ანუ მიზანია ეროვნული სპეციფიკის მაქსიმალურად სრულად ასახვა და განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება ეკვივალენტურობასა და ადეკვატურობაზე. (Khrolenko / ხროლენკო, 2004).

ამრიგად, კონცეპტთა ტრანსფერი ერთი ლინგვოკულტურული სივრციდან მეორეში, რომელიც ეფუძნება ექსპორტ-იმპორტის იდეას, შეიძლება ეფუძნებოდეს აბსოლუტურ, ნაწილობრივ ან ნულოვან ვერბალურ ეკვივალენტთა არსებობას.

აბსოლუტური ვერბალური ეკვივალენტების არსებობა მიუთითებს სამიზნე ლინგვოკულტურაში წყარო და სამიზნე კონცეპტუალურ მნიშვნელობათა მსგავსებაზე.

კონცეპტთა ტრანსფერი ერთი ლინგვოკულტურული სივრციდან მეორეში კონცეპტთა ნაწილობრივი ვერბალური ეკვივალენტების მეშვეობით მიუთითებს, ერთი მხრივ, კონცეპტის გარკვეულ მახასიათებელთა არსებობაზე სამიზნე კულტურაში, მეორე მხრივ კი, ურთიერთქმედებაში მყოფ კონცეპტუალურ სისტემებს შორის არსებულ სტრუქტურულ-აზრობრივი ასიმეტრიის არსებობაზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც უცხო კულტურის კონცეპტს არ გააჩნია არც სრული და არც ნაწილობრივი ეკვივალენტები, შეგვიძლია ვისაუბროთ სამიზნე ლინგვოკულტურაში ასეთი კონცეპტების არარსებობაზე. ამ დროს ამ ტიპის კონცეპტების ტრანსლაციის ერთადერთი შესაძლო გზა აღწერითია.

კონცეპტთა ერთი ლინგოკულტურიდან მეორეში სრული, ნაწილობრივი ან აღწერითი ტრანსლაციის შედეგი პირდაპირ დამოკიდებულია კონცეპტთა უნივერსალურობისა და ეთნოსპეციფიკურობის ხარისხზე.

კონცეპტთა პოლილინგვალური (შეპირისპირებითი, კონტრასტირების) აღწერის პრაქტიკა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებას, ვინაიდან ერთი ენის კონცეპტის შეპირისპირების გზით სხვა ენაში არსებულ მის ეკვივალენტთან (ანალოგთან) ვლინდება სწორედ ის ლინგოკულტურული სპეციფიკა, რომელიც აკონსტრუირებს სამყაროს თავისებურ და განუმეორებელ ხატს.

კონცეპტების კულტურული თვალსაზრისით რელევანტურობა ვლინდება (Maslova / მასლოვა, 2001)

1. კონცეპტთა ენობრივ გამოხატულებაში საკვლევი ენების ლექსიკურ, ფრაზეოლოგიურ და სინტაქსურ დონეებზე;
2. საკვლევ ენებში კონცეპტთა განსხვავებულ რაოდენობაში;
3. საკვლევ ენებში კონცეპტების ენობრივ ობიექტივატორთა სემანტიკური მრავალფეროვნების ხარისხის ვარიაბელურობაში;
4. იმ სხვაობაში, რომელიც ფიქსირდება საკვლევ ენებში კონცეპტთა სინტაგმატური პლანის შეთანხმებულობაში;
5. საკვლევ ენებში კონცეპტთა მეტაფორული გააზრების თავისებურებაში;
6. საკვლევ ენებში კონცეპტთა პარემიული ინტერპრეტაციის სპეციფიკაში.

ერთი ენის კონცეპტის სხვა ენაში არსებულ მის ეკვივალენტთან (ანალოგთან) შეპირისპირების შედეგთა ობიექტურობის მიღწევა შეუძლებელია კონცეპტის ვალორატიული ეპისტრატის გათვალისწინების გარეშე. საქმე ისაა, რომ სწორედ კონცეპტის ვალორატიულ ეპისტრატში ვლინდება კოლექტიურ ეთნოკულტურულ ცნობიერებაში კოდირებული დამოკიდებულება ამ კონცეპტის მიმართ.

საკვლევ ენებში კონცეპტის ვალორატიული ეპისტრატის კვლევა ეფუძნება:

1. კონცეპტის ცნებობრივი ბირთვის ანალიზს;
2. კონცეპტის ასოციაციური აურის გამოვლენას;

3. კონცეპტის მიმართ კოლექტიურ ეთნოკულტურულ ცნობიერებაში კოდირებული ღირებულებითი (აქსიოლოგიური) სუბსტრატის იდენტიფიცირებას.

ამ ტიპის კვლევა ეფუძნება შემდეგ პოსტულატებს (Geeraerts / გერარტსი, 2010):

1. კონცეპტი ობიექტივირდება სხვადასხვა საშუალებით, პირველ ყოვლისა, სხვადასხვა ბირთვული ლექსიკური ნომინანტებით;
2. წარმოებული ლექსემებით;
3. ფრაზეოლოგიზმებით;
4. მყარი სიტყვათშეთანხმებებით;
5. წინადადებებით.

კონცეპტთან და მის კატეგორიულ მახასიათებლებთან დაკავშირებულ ნიშანთა მრავალფეროვნების გათვალისწინებით, შესაძლებელია კონცეპტთა კვლევის სპეციალური მეთოდის შემუშავება. აღნიშნული მეთოდიკა შეიძლება მოიცავდეს ერთმანეთის შემავსებელ ისეთ ეტაპებს, როგორიცაა (Evseeva / ევსეევა, 2020, გვ.165 -184):

1. კონცეპტის მამოტივირებელი - კონცეპტის რეპრეზენტატორი ნიშნის განსაზღვრა; აღნიშნული ნიშანი საფუძვლად უდევს კონცეპტის ნომინაციას და წარმოადგენს კონცეპტის პროტოტიპულ ბირთვს, რომელიც თანდათანობით ივსება ახალი ნიშნებით;
2. კონცეპტის ხატობრივი ნიშნების იდენტიფიცირება; აღნიშნულ ეტაპზე ხდება საგანთა სისტემატიზაცია არა მათი არსობრივი ნიშნების, არამედ საგანთა ანალოგიზაციის საფუძველზე; კონცეპტუალიზაციის საშუალებათა განხილვა შესაბამის ლექსიკურ ნომინანტთა მეორად გადააზრებად ითვალისწინებს კონცეპტუალური მეტაფორებისა და მეტონიმების კვლევას; კონცეპტუალური მეტაფორები და მეტონიმები გვევლინებიან იმ მნიშვნელოვან მექანიზმებად, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია აბსტრაქტულ ცნებათა წვდომა;
3. კონცეპტის პრაგმატიკული, ვალორატიული პარამეტრების აღწერა; აღნიშნული პარამეტრები მოიცავენ ბირთვულ აქსიოლოგიურ ნიშნებს, ასევე იმ ნიშნებს, რომლებიც ჩნდებიან მეორადი გადააზრების შედეგად; ვალორატიული ნიშნების აქტუალიზაცია ხდება კონოტაციების ფორმით;
4. კონცეპტთა ფუნქციონალური და კატეგორიალური ნიშნების განსაზღვრა;

5. სამყაროს ენობრივ ხატში კონცეპტთა მეორადი კატეგორიზაციის საშუალებათა აღწერა და ანალიზი;
6. კონცეპტთა ცნებობრივი ნიშნების გამოვლენა კონცეპტთა ვერბალური რეპრეზენტაციების ლექსიკურ მნიშვნელობათა აღწერისა და მათი იმ სემანტიკური კომპონენტების გამოყოფის გზით, რომლებიც რელევანტურია მათ ირგვლივ გენერირებული სინონიმური რიგების სისტემატიზაციისათვის; აღნიშნულ ეტაპზე ხდება ენციკლოპედიურ და იდეოგრაფიულ წყაროებში ფიქსირებულ მონაცემთა ინტეგრაცია;
7. კონცეპტთა სიმბოლურ ნიშანთა ანალიზი; ამ ტიპის ნიშნების არსებობა ფიქსირდება მითებში ან რიტუალებში; მეტაფორების, ალეგორიების, ალუზიებისა და კულტურული ნიშნების სახით არსებული კონცეპტთა სიმბოლური ნიშნები ინახავენ უწინ არსებულ წარმოდგენებს სამყაროს თაობაზე; კონცეპტთა სიმბოლური ნიშნები წარმოადგენენ კონცეპტუალური სტრუქტურის ელემენტებს, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ კონცეპტს თავად ძალუმს იტვირთოს კულტურის სიმბოლოს ფუნქცია; ახალი ეპოქა გვთავაზობს ახალ კულტურულ სიმბოლოებს, შესაბამისად, ენის მეტაფორული ხატი ივსება ახალი ნიშნებით.

საკვლევი მასალის მრავალფეროვნება და სისრულე წარმოადგენს აღნიშნულ დებულებათა ვერიფიკაციის, ვალიდურობისა და სარწმუნოების აუცილებელ პირობას.

კონცეპტთა რეპრეზენტაციის საშუალებათა იდენტიფიცირება დისკურსში - სივრცეში, სადაც ხდება კონცეპტთა აქტუალიზაცია - მნიშვნელოვნად აფართოებს მონაცემთა ველს. ამ ტიპის ველი გაცილებით უფრო პანორამულია, ვიდრე ლექსიკოგრაფიული წყაროების, ტექსტებისა და პარემიების ანალიზის შედეგად კონსტრუირებული ველი.

განზოგადების დისკურსულ დონეზე გადანაცვლება ადასტურებს იმ ფაქტს, რომ კონცეპტუალიზაციის პროცესი არ წარმოადგენს მენტალიტეტის ერთეულთა ევოლუციის სასრულ წერტილს და რომ კონცეპტუალიზაციის პროცესის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს კატეგორიზაციის პროცესი.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კონტრასტივიკის ფარგლებში დადგა შეპირისპირებით კონცეპტოლოგიაზე საუბრის დრო. ვფიქრობთ, ამ ვარაუდს გააჩნია გარკვეული საფუძველი

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შეპირისპირებითი კონცეპტოლოგიის საგანი უკვე იძენს მკაფიო კონტურებს.

აქ იგულისხმება სხვადასხვა ლინგვოკულტურულ სისტემათა კონცეპტუალური ორგანიზების გზები და საშუალებები, რომელთა არსებობა ფიქსირდება უნივერსალური და ეთნოსპეციფიკური კატეგორიების, კონცეპტუალური სფეროს სემიოზის, გენდერული, ასაკობრივი და კონცეპტუალური კონსტრუქტების სხვა ტიპის სქემების რეალიზაციის ფონზე ენასა და მეტყველებაში.

კონცეპტთა შეპირისპირებითი კვლევის შედეგები განსაკუთრებით ღირებულია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სწორედ ამ ტიპის კვლევის შედეგების ანალიზის გზით შესაძლებელი ხდება ცოდნის ფორმირებაში კონცეპტუალურ სტრუქტურათა მონაწილეობის, ასევე ეთნიკური მენტალობისა და ეროვნული ცნობიერების თავისებურებათა ექსპლიკაცია.

1.4. კონცეპტთა კონცეპტოგრაფიული ფიქსაციის პრობლემა

კონცეპტს არ გააჩნია მკაფიო საზღვრები და ხისტი სტრუქტურა - იგი არსებობს ადამიანის მენტალურ სამყაროში, როგორც იდეა, რომელიც ფიქსირებულია მასობრივ ცნობიერებაში გარკვეული ლინგვოკულტურის ფარგლებში, მისი სოციოისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე. (ბარსალუ, 1992).

სწორედ ამიტომ, კონცეპტები ხშირად მიიჩნევა კულტურის ინდიკატორებად, ხოლო კულტურა, მათი არსებობის გარემოდ. ეს საკმაოდ ნათლად ჩანს კულტურულ კონსტანტებში. ამ უკანასკნელთა შორის განასხვავებენ ძირითად და სიმბოლურ კონცეპტებს. ძირითად ეთნოკულტურულ სფეროებად აღიარებულია სხვადასხვა ტიპის ეროვნული პრეფერენციები.

უნდა ითქვას, რომ კულტურული კონსტანტების არცერთი არსებული ნუსხა არ არის იდეალური და მრავალი თვალსაზრისით საკამათოა, თუმცა ერთი რამ ცხადია: კულტურული კონსტანტების ნუსხის შედგენა აუცილებელია ამა თუ იმ ერის ენაში რეალიზებულ ეთნოსპეციფიკურ ფასეულობათა წვდომისათვის.

ეთნო-სოციო-იდიოსპეციფიკური კონცეპტების „კატალოგიზაცია“ წარმოადგენს ძიების პროცესს და ეს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ჯერ კიდევ არსებობს კონცეპტუალური ლექსიკის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფენა, რომელიც უნდა იქნას გააზრებული ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა:

1. სხვა თემატური დომენები;
2. ერთი და იმავე ეთნოსის ფარგლებში არსებული რეგიონალური განსხვავებები;
3. ენის ვარიანტები;
4. ეკვივალენტურ კონცეპტთა კვეთა სხვადასხვა ლინგვოკულტურაში.

კატეგორიალურისგან განსხვავებით, ძირითადი კულტურული კონცეპტების ნუსხა ღიაა. იგი ნებისმიერ დროს შეიძლება გაფართოვდეს და/ან გამდიდრდეს ახალი ერთეულებით. ძირითადი კულტურული კონცეპტების ნუსხის დინამიურობა განპირობებულია იმ რეალიების მუდმივი ცვალებადობით, რომლებშიც არსებობს კულტურა.

უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი კულტურული კონცეპტების ნუსხის ვარიაბელურობა ასევე დამოკიდებულია მკვლევარის თეორიული პოზიციაზე. (Palmer / პალმერი, 1996).

და ბოლოს კიდევ ერთი მოსაზრება: რაც უფრო მიახლოვდება კონცეპტუალური სფეროს სიღრმეებს ლინგვისტური აზროვნება, მით უფრო ღია გახდება კულტურული კონცეპტების ნუსხა.

ცხადია, ამ ტიპის ნუსხათა შემადგენლობა ვერ დაიყვანება მხოლოდ ლინგვოკულტურის ძირითად ერთეულებზე. მათთან ერთად, ყველა ეროვნულ კულტურაში არსებობს აბსტრაქციის კიდევ უფრო მაღალი დონის კონცეპტები - სიმბოლური კონცეპტები, კონცეპტ-სიმბოლოები. ამ ერთეულებში შერწყმულია თავად კონცეპტი და სიმბოლო.

როგორც ცნობილია, სიმბოლო სემიოტიკაში ერთ-ერთი ყველაზე მრავალმნიშვნელოვანი ცნებაა. სიმბოლო ესთეტიურად კანონიზებული, კულტურულად ნიშნადი კონცეპტუალური სტრუქტურაა. სიმბოლო განსხვავდება რეალიის, ნიშნის ან კონცეპტუალური სფეროს პირველადი შინაარსისაგან. (Karasik / კარასიკი, 2002).

სიმბოლო წარმოადგენს ენობრივი ლინგვოკულტურის ერთეულს, რომლის ძირითადი ფუნქციაა, ფორმის მიხედვით, რაიმეს რაიმეთი ჩანაცვლება მნიშვნელობის სერიოზული ცვლების გარეშე.

ასეთ შემთხვევაში ერთი ფენომენი ჩანაცვლდება უფრო მარტივი ფორმის მქონე მეორე ფენომენით. ამავდროულად, ნარჩუნდება პირველი ფენომენის მნიშვნელობისა და

კონოტაციების მთლიანობა მეორე ფენომენის ზოგიერთი მნიშვნელობისა და კონოტაციის შესაძლო დამატებით.

პირველი ფენომენის მნიშვნელობისა და კონოტაციების რეპერტუარის გამდიდრება მეორე ფენომენის მნიშვნელობებითა და კონოტაციებით არ იწვევს პირველი ფენომენის ადგილის ცვლილებას კულტურაში. და ბოლოს, მეორე ფენომენი გაიაზრება და ფუნქციონირებს პირველი ფენომენის მეშვეობით.

სიმბოლოს ახასიათებს ინტენციონალურობა, ხატობრიობა, მოტივირებულობა, დეიქტიკურობა, იმპერატიულობა, ფსიქოლოგიურობა და შინაარსის კომპლექსურობა.

სიმბოლო მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს სოციუმის, სახელმწიფოს, რელიგიურ და იდეოლოგიურ ერთობათა ცხოვრებაში. სწორედ ამის გამო ხდება შესაძლებელი ამ ცნების პროეცირება არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ ეთნიკურ საზოგადოებაზე, არამედ მთელ ცივილიზაციაზე.

და მაინც, სწორედ ეროვნულ-კულტურული ტრადიციის საფუძველზე შეიძლება სიმბოლო იქცეს ხატ-იდეად, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ ეროვნულ-კულტურული ტრადიციის საფუძველზე შეიძლება სიმბოლო იქცეს კონცეპტუალურად ნიშნად ფენომენად.

ვერბალიზებული სიმბოლო იძენს ნაციონალურად, სოციალურად და კულტურულად ნიშნადი ცნების მახასიათებლებს, უფრო ზუსტად კი, ვერბალიზებული სიმბოლო ხდება კონკრეტული კულტურის ფარგლებში გააზრებული ხატი.

და ბოლოს, სიმბოლოს ბუნება ვლინდება იერარქიაში „სიტყვა - ხატი - სიმბოლო - მნიშვნელობა - კონცეპტი“. (ლანგაკერი, 1991).

უნდა აღინიშნოს, რომ კონცეპტსა და სიმბოლოს შორის არსებული მიმართება არ დაიყვანება მარტივ ფორმულამდე „ხატში განსხეულებული ცნება“. კონცეპტსა და სიმბოლოს შორის არსებული მიმართება მრავალგანზომილებიანი და არაერთმნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი განპირობებულია არა მხოლოდ ეროვნული ცნობიერებით, არამედ კონკრეტული ენობრივი კოლექტივის წარმომადგენლის ინდივიდუალური ცნობიერებითაც.

კონცეპტი რეალიზდება სიტყვაში, ხატში და მატერიალურ საგანშიც. ეს კი გულისხმობს ძირითადი (სალექსიკონო) მნიშვნელობის საფუძველზე ასოციაციათა ფენის დართვას კულტურულ კონოტაციებზე.

რაც შეეხება ვერბალიზებულ სიმბოლოს, იგი უზრუნველყოფს კონცეპტის რეალიზაციის სამივე ფორმას: სიმბოლო არის ერთდროულად სიტყვა, ხატი და უმეტესწილად თავად აღნიშნული მატერიალური ობიექტიც.

კონცეპტ-სიმბოლოებს შეუძლიათ მოიცვან რელევანტურ მნიშვნელობათა სისტემა კონდენსირებული ფორმით. კონცეპტ-სიმბოლოს კონდენსირებულობა გულისხმობს კონდენსირებულ ფრეიმს ან ტექსტს.

ფრეიმში ან ტექსტში კონცეპტ-სიმბოლოს კონდენსირებულობა ფაქტობრივად წარმოადგენს კულტურული ცოდნის ორგანიზების განზოგადებულ მოდელს. სწორედ ამ ფაქტითაა განპირობებული კონცეპტ-სიმბოლოს მრავალგანზომილებიანობა, რომელიც გულისხმობს კონცეპტ-სიმბოლოში ისეთი შრეების არსებობას, როგორიცაა რაციონალური და ემოციური, აბსტრაქტული და კონკრეტული, უნივერსალური და ეთნოსპეციფიკური, ეროვნული და ინდივიდუალურ-პიროვნული შრეები. (Pavlenko / პავლენკი, 2005).

ნათელია, რომ თითოეულ ლინგვოკულტურულ საზოგადოებას გააჩნია საკუთარი კონსტანტები - ძირითადი და სიმბოლური ღირებულებები, რომლებიც შეიძლება გამოვლინდეს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში: სოციალურ სტრუქტურაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში, ეროვნულ სიმბოლოებში და ა.შ.

ბოლო დროს განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა კონცეპტთა ინვენტარიზაციის პრობლემამ. ეს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან კონცეპტთა ინვენტარიზაცია წარმოადგენს შთამომავლობისათვის ცალკეული ეთნიკური ჯგუფების ლინგვოკულტურული იდენტობის შენარჩუნების საშუალებას. ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გლობალიზაციის პროცესების ფონზე.

ლინგვოკულტურული კონსტანტების ძიება გულისხმობს მათი შერჩევის, აღწერისა და დაფიქსირების პროცესებს. ლინგვოკულტურული კონსტანტების კორპუსის კონსტრუირება იძლევა იმის ამოცნობის საშუალებას, თუ რა არის კონკრეტულ კულტურაში აღიარებული როგორც მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო.

გარდა ამისა, ლინგვოკულტურული კონსტანტების კორპუსის კონსტრუირების გზით შესაძლებელი ხდება იმის ამოცნობა, თუ რომელ ერთეულებში და როგორ ხდება კონკრეტული კულტურისათვის მნიშვნელოვან კონცეპტთა ობიექტივაცია.

კონცეპტოგრაფია წარმოადგენს შედარებით ახალ მიმართულებას კულტურული კონსტანტების შესწავლაში. იგი ახალი კვლევითი კონსტრუქტია, რომლის მიზანსაც წარმოადგენს იმ კონცეპტთა აღნუსხვა, რომლებიც დომინირებენ კონკრეტულ კულტურაში.

კულტურულ კონცეპტთა კორპუსი მოიცავს როგორც უნივერსალური ადამიანური ღირებულებების, ისე გარკვეული ეთნიკური ჯგუფის ღირებულებითი პრინციპების რეპერტუარებს. (Underhill / ანდერჰილი, 2012).

უნივერსალური ადამიანური ღირებულებებისა და გარკვეული ეთნიკური ჯგუფის ღირებულებითი პრინციპების მთლიანობა იძლევა კულტურის კონცეპტთა კორპუსზე საუბრის საშუალებას.

კონცეპტოლოგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კონკრეტულ ეთნოკულტურაში იდენტიფიცირებული კონსტანტების რაოდენობის საკითხს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა კულტურაში კონცეპტთა რაოდენობა სხვაობს და ამის მიზეზი, გარდა რეალურად არსებული რაოდენობრივი სხვაობისა, არის მკვლევარის სუბიექტური თეორიული პოზიცია.

ზოგადად, კონცეპტოლოგიაში კულტურული კონსტანტები სარგებლობენ განსაკუთრებული ინტერესით იმის გამო, რომ მათ გააჩნიათ შესაბამისი კულტურულ-სემანტიკური სივრცეების კვანტირების უნარი. (ვიეჟბიცკა, 1996).

კულტურული კონცეპტების სრული ნუსხის შექმნა მეტისმეტად რთული ამოცანაა. არანაკლებ რთულ ამოცანას წარმოადგენს კონცეპტთა ლინგვოკულტურული მნიშვნელობის თანმიმდევრული და არაწინააღმდეგობრივი ინტერპრეტაცია, თუნდაც იმიტომ, რომ ენის კონცეპტუალური პალიტრა ის იდეალური ფენომენია, რომლის მიმართებაშიც არარელევანტურია იმის გამოყენება, რასაც ზუსტ მეცნიერებებში ზომას უწოდებენ.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ თავად კონცეპტები მატერიალიზდებიან ენაში, კონცეპტთა ანალიზის მეთოდები ყოველთვის არ ექვემდებარება ფორმალიზებას და, შესაბამისად, მათ

ნებისმიერ თვისებრივ და რაოდენობრივ რაჩურებას დიდი ხნის განმავლობაში დაემჩნევა ფილოლოგიური სუბიექტივიზმის კვალი.

ბუნებრივი ენის კონცეპტთა კორპუსის სპეციფიკის წვდომა რაოდენობისა და თვისებრიობის ტერმინების მეშვეობით იძლევა იმის გააზრების საშუალებას, რომ ძიება ამ მიმართულებით შეიძლება იყოს როგორც პრესკრიპტიული (იმის ძიება, რაც პოტენციურად წინასწარაა ჩადებული კულტურულ სცენარში), ისე დესკრიპტიული (იმის აღწერა, რითაც რეალურად ოპერირებს მეტყველი სუბიექტი).

ორივე მიმართულება ორიენტირებულია იმის აღნუსხვაზე, რაც მნიშვნელოვანია კონკრეტულ ენაში ობიექტივირებულ ეთნოსპეციფიკურ ღირებულებათა წვდომისათვის.

ამავდროულად, ორივე მიმართულება იძლევა ძლიერ იმპულსს შემდგომ ძიებაზე ფიქრისთვის. შემდგომი ძიება კი მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია სხვადასხვა ლინგვოკულტურაში და სხვადასხვა თემატურ დომენში კორელაციური ცნებების გადაკვეთის გზებისა და საშუალებების იდენტიფიცირების პრობლემა.

ეს პრობლემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეთნიკურ მენტალიტეტთა შორის არსებული მსგავსებისა და სხვაობის იდენტიფიცირების კონტექსტში.

თავი II. აქსიოლოგიური ასპექტები ლინგვისტიკასა და ენაში

2.1. ღირებულების კატეგორია თანამედროვე ლინგვისტურ კვლევებში

ღირებულებების ცნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცნებაა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. ღირებულების კატეგორიას იკვლევს ფილოსოფია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, პოლიტიკური მეცნიერება და ა.შ. თითოეულ აღნიშნულ მეცნიერებას შემუშავებული აქვს თავისი მიდგომები, კვლევის მიზნებისა და სააზროვნო სივრცის სპეციფიკით დეტერმინირებული კვლევის მეთოდები. უნდა ითქვას, რომ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა არ განიცდის ღირებულებათა კვლევის პრობლემისადმი მიძღვნილ ნაშრომთა სიმწირეს. მიუხედავად აქტიური ინტერესისა აქსიოლოგიის სფეროს მიმართ, თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტები, ღირებულებების კულტურული, სოციალური და ფსიქოლოგიური საფუძვლების ანალიზი კვლავ საჭიროებს გარკვეულ დაზუსტებას.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და სულიერ სფეროებში მომხდარი ცვლილებები იწვევს ცვლილებებს ადამიანების ფსიქიკაში, ღირებულებით ორიენტაციებსა და ქმედებებში.

ღირებულების კატეგორია აქსიოლოგიის ცენტრალური კატეგორიაა. აქსიოლოგია ორიენტირებულია ღირებულებათა ბუნების, რეალურ სამყაროში მათი ადგილისა და ღირებულებითი სამყაროს სტრუქტურის თავისებურებების კვლევაზე, ასევე სხვადასხვა ღირებულებებს შორის არსებული კავშირის, ღირებულებებს, სოციალურ, კულტურულ ფაქტორებსა და პიროვნების სტრუქტურას შორის არსებულ მიმართებათა გამოვლენაზე.

ღირებულებები წარმოადგენს ადამიანის საქმიანობის იდეალებსა და პრიორიტეტებს. სწორედ ღირებულებებითაა დეტერმინირებული როგორც პიროვნების სულიერი სამყარო, ისე ენაში დაფიქსირებული და ასახული ეროვნულ-კულტურული მსოფლმხედველობა. (Dewey / დიუი, 1939).

ლინგვოაქსიოლოგიის თვალსაზრისით, ყველაფერი, რაც ღირებულია, აისახება ენობრივ შეფასებაში, ხოლო, რაც აისახება ენაში, ღირებულია მშობლიური ენის მატარებლისათვის. ღირებულებები და ნორმები გვევლინება სამყაროს აქსიოლოგიური ხატის ძირითად ერთეულებად. ლინგვისტთა უმრავლესობას ღირებულება ესმის როგორც ზოგადად

ადიარებული ნორმა, რომელიც ჩამოყალიბებულია კონკრეტულ კულტურაში, რომელიც ადგენს ქცევის მოდელებსა და სტანდარტებს, გავლენას ახდენს არჩევანზე ამა თუ იმ შესაძლო ქცევას შორის. ღირებულება ნებისმიერი კულტურის საფუძველია. ღირებულებები სოციალური, სოციალურ-ფსიქოლოგიური იდეები და დამოკიდებულებებია, რომლებსაც ითავისებს, იზიარებს და მემკვიდრეობით იღებს ყოველი ახალი თაობა. (ფერკლაუ, 1992).

ღირებულებები მიუწვდომელია უშუალო აღქმისთვის, თუმცა, ღირებულებათა სისტემის დესკრიფცია და ანალიზი შესაძლებელია, ვინაიდან ჩვენ ვიყენებთ ენას, ვინაიდან ენის ლექსიკა მოიცავს სიტყვებს, რომელთა უკან დგას მნიშვნელობები, რომლებიც მოიცავენ ღირებულების ცნებას.

ერთი შეხედვით, საკმაოდ ლოგიკური იქნებოდა, რომ ღირებულებათა კვლევის არეალი დაგვეთმო ფსიქოლოგებისა და სოციოლოგებისათვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლინგვისტური მიდგომა შესაძლებელს ხდის ღირებულებითი წარმოდგენებისა და ორიენტაციების სხვა კუთხით ხედვას. ფსიქოლინგვისტური მიდგომა გვთავაზობს ექსპერიმენტის ორგანიზებისა და ექსპერიმენტული მონაცემების გაანალიზების საკუთარ მეთოდებს. ღირებულებითი წარმოდგენებისა და ორიენტაციების შესწავლისას ენა არ წარმოადგენს მიზანს - იგი კვლევის ინსტრუმენტია. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, ლინგვისტიკისა და კოგნიტური მეცნიერებების მონაცემთა კვლევაში სინთეზირების შესაძლებლობის რელიზაციას. აღნიშნული სინთეზი კი იძლევა ღირებულებითი წარმოდგენებისა და ორიენტაციების არსის ენობრივი ცნობიერების პერსპექტივიდან ახსნის საშუალებას.

ენობრივი ცნობიერების კვლევა შესაძლებელია ინდივიდის ენობრივი აქტივობის კვლევის გზით. ინდივიდის ენობრივი აქტივობის კვლევა წარმოდგენილია საზოგადოების მიღმა, ვინაიდან სწორედ საზოგადოება წარმოადგენს ადამიანის არსებობის ბუნებრივ გარემოს. შესაბამისად, ინდივიდის ენობრივი აქტივობის კვლევა წარმოდგენილია საზოგადოებრივი მორალის, მეცნიერების, რელიგიისა და ხელოვნების დამკვიდრებული იდეოლოგიური სისტემის მიღმა. გაბატონებული სოციალურ-კულტურული ორიენტაციები, ენაში ობიექტივირებული ლინგვისტური სტერეოტიპებისა და ნორმების სახით, ქმნიან ღირებულებათა გარკვეულ სკალას. აღნიშნული სკალა გათავისებულია ადამიანის მიერ და

გამოიხატება ადამიანის მიერ ცხოვრებისეული პრიორიტეტების არჩევისას. ღირებულებათა სკალა განსაზღვრავს ადამიანის ყოფიერების ეგზისტენციალური ჰორიზონტის თავისებურებას.

სამეცნიერო კვლევების უმეტესობას, რომლის ობიექტსაც წარმოადგენს ენა, შეიძლება გააჩნდეს აქსიოლოგიური კომპონენტი. ამჟამად არსებობს რამდენიმე დისციპლინა, რომელშიც ინტეგრირებულია აქსიოლოგია. ეს დისციპლინებია ეთნოლინგვისტიკა, ლინგვისტური კულტუროლოგია, ეკოლინგვისტიკა, სოციალური დისკურსის ანალიზი, პოლიტიკური ლინგვისტიკა და ა.შ. (Bartmiński / ბარტმინსკი, 2009).

ღირებულების ცნება ფუნდამენტურია ადამიანისთვის. ღირებულება წარმოადგენს ცნობიერების ერთ-ერთ ატრიბუტს. ადამიანი თავისი შემეცნებითი მოღვაწეობის პროცესში აფასებს რეალობას. ადამიანსა და გარესამყაროს შორის არსებული რთული მიმართების კვლევისას, ღირებულება, ისევე როგორც შეფასება, გვევლინება ცნობიერების ერთ-ერთ ფუნდამენტურ კატეგორიად.

ღირებულების ცნება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის არსს, ხოლო ღირებულებათა სისტემა ადამიანის ცნობიერების პროდუქტია და განსაზღვრავს კიდევ ადამიანის ცხოვრებას. ადამიანის კოგნიტური აქტივობა ქმნის ცნებათა სისტემას, რომელიც აწვდის სუბიექტს ინფორმაციას გარემომცველ სამყაროში არსებული ობიექტებისა და თუ მოვლენების შესახებ. (Audi/აუდი, 2015).

აქსიოლოგიის ფარგლებში შემუშავებული განმარტების თანახმად, ღირებულება არის ობიექტის ღირებულება სუბიექტისთვის. მნიშვნელობა შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, შესაბამისად, მისი სტრუქტურა ბიპოლარულია: თითოეული მნიშვნელობა შეესაბამება ანტიღირებულებას. (ბაჰმი, 1993).

კულტურის მახასიათებლები და ადამიანის შესახებ არსებული ცოდნის სისტემა სუბიექტისათვის წარმოადგენს სამყაროს მთლიანობრივ ღირებულებით ხატს. სამყაროს ეს ხატი შედგება ჯგუფური და ინდივიდუალური ღირებულებებისგან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ღირებულებები ექვემდებარება ტრანსფორმაციას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ღირებულებები არ არის სტატიკური.

ანთროპოცენტრიზმი განუყოფლადაა დაკავშირებული ადამიანურ ფაქტორთან. რაც შეეხება ენის შესწავლას, აქ მეტად მნიშვნელოვანია ენისა და ადამიანის საქმიანობის უშუალო შედეგების ურთიერთგანსაზღვრულობა. ადამიანის საქმიანობის უშუალო შედეგებში იგულისხმება კულტურა, კომუნიკაცია, ღირებულებებისადმი და გარე სამყაროსადმი დამოკიდებულება. ამრიგად, ადამიანი წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტიკის ცენტრს. (Daems, Zenner & Heylen / დეიმზი, ზენერი & ჰეილენი, 2015).

ამჟამად, მიღებულია თეზისი ადამიანის ცნობიერების აქსიოლოგიური ბუნების შესახებ. შეფასება კოგნიტური აქტივობის იმანენტურია, ხოლო ღირებულებათა სისტემა კი - კულტურის არსია. ღირებულება წარმოადგენს გარემომცველი სამყაროს ობიექტების დადებით ან უარყოფით ღირებულებას ადამიანისათვის, სოციალური ჯგუფისთვის, მთლიანად საზოგადოებისთვის. ღირებულება ყოველთვის ანთროპოგენურია, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ღირებულება ადამიანის აზროვნებისა და ადამიანის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგია. ღირებულებათა სისტემა ასახავს კულტურულ თვალსაზრისს ნორმის (ღირებულების) და ნორმისაგან გადახრის (ანტიღირებულების) შესახებ. (Krzeszowski / კრჟესოვსკი, 1997).

ლინგვისტური აქსიოლოგიის ობიექტს წარმოადგენს განუყოფელი კომპლექსი „ენობრივი ცნობიერება - კულტურა - მშობლიური ენის მატარებლები“. ლინგვისტური აქსიოლოგიის საგანი კი არის ენა, როგორც ღირებულებათა ფორმირების, გამოხატვისა და ტრანსპოზიციის საშუალება.

აქსიოლოგიური ანალიზის მიზანს წარმოადგენს სამყაროს ეროვნულ ხატში ღირებულებითი ფრაგმენტის - აქსიოლოგიური სფეროს - გამოვლენა და აღწერა. აქსიოლოგიური ანალიზი ასევე ორიენტირებულია სოციალურად დეტერმინირებული ფრაგმენტების სეგმენტების იდენტიფიცირებაზე. (Puzynina / პუზინინა, 1992).

ლინგვისტიკაში ანთროპოცენტრული პარადიგმის გაჩენა წინასწარ იყო განსაზღვრული, რადგან თავად ენა, ისევე როგორც ღირებულება, თავისი არსით ანთროპოცენტრულია: ადამიანი ენაში აღბეჭდავს თავის გარეგნობას, შინაგან მდგომარეობას, ემოციებს, ინტელექტს, დამოკიდებულებას სამყაროსა და ბუნების მიმართ, ასევე დამოკიდებულებას ადამიანების ჯგუფისა თუ სხვა ადამიანისადმი.

კვლევის ვექტორი გადანაცვლებულია ცოდნის ობიექტიდან სუბიექტზე, ადამიანის ანალიზი გულისხმობს მის ანალიზს ენის დონეზე, ხოლო ენის ანალიზი კი ხორციელდება მხოლოდ ადამიანის საზღვრებში. მთელი ყურადღება მიმართულია მშობლიური ენის მატარებლის პიროვნებაზე. ახალი მიდგომა ითვალისწინებს ადამიანური ფაქტორის როლს ენაში; ფორმაზე დაყრდნობის ნაცვლად, აქცენტირებულია არა ენის საფუძველში არსებული მექანიზმი, არამედ კონტენტი და ენის გამოყენება.

ბოლო ათწლეულებში ლოგიკური ან სისტემურ-სტრუქტურული ასპექტების დომინაცია სამყაროს არსის გააზრებაში (ღირებულება გაიგივებული იყო ცნებასთან) ჩანაცვლდა კონცეფციით, რომელიც ორიენტირებულია მშობლიური ენის მატარებელზე - ადამიანზე, რომელიც იყენებს ენას, ადამიანზე, რომლის ცნობიერებაზეც გავლენას ახდენენ ღირებულებები. რეალობის კატეგორიების განმარტება, რომელიც ასახულია სიტყვის მნიშვნელობაში, მომდინარეობს მშობლიური ენისა და კულტურის მატარებლისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ კოგნიტური სისტემის თვალსაზრისით, ცოდნის რეპრეზენტაციის ფორმა არ არის ფიქსირებული და წინასწარ განსაზღვრული - იგი უფრო დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სიტუაციაში ხორციელდება შემეცნების ეს აქტი. შემეცნების სუბიექტის საქმიანობაზე, იმაზე, თუ როგორ აფასებს მის შესაძლებლობებს, როგორ აღიქვამს კონკრეტულ სიტუაციას. ამჟამად ლინგვისტიკაში იკვეთება ლექსემის სემანტიკური ლოგიკის კანონებით ინტერპრეტაციისათვის თავის არიდების ტენდენცია. (Fillmore / ფილმორი, 1982, გვ.111-137). აღნიშნული ტენდენციის ლოგიკა საკმაოდ მყარია: ლექსემა არ წარმოადგენს თვითკმარ ცნებას - ლექსემა მხოლოდ სამყაროს ინდივიდუალურ-პიროვნული ხატის არსის, მახასიათებლებისა და მასში არსებული მიმართებების სპეციფიკის წვდომის საშუალებაა.

ენით რეპრეზენტირებული სამყაროს აქსიოლოგიური ხატის მეშვეობით ადამიანი ორიენტირებს ღირებულებათა სისტემაში. სამყაროს აქსიოლოგიური ხატი აძლევს მიმართულებას ადამიანის მისწრაფებებსა და მიზნებს. სამყაროს ნაივური ხატის აქსიოლოგიურ პროექციაში ხდება იმ ინფორმაციის პროგრამირება, რომელიც აკუმულირდება ადამიანის მთელი ცხოვრების განმავლობაში. სამყაროს აქსიოლოგიური ხედვის საფუძველზე ადამიანი აყალიბებს საკუთარ შეფასებით მსჯელობას იმ რეალიათა შესახებ, რომლებიც ჩნდებიან მის ცხოვრებაში. (Herman / ჰერმანი, 1993).

თანამედროვე მეცნიერული თვალსაზრისით, შეფასების კვლევა შეუძლებელია ღირებულებითი სისტემის მიღმა და იმ კონტექსტის გარეშე, რომელიც ქმნის ადამიანის ცხოვრებას. ეს კონტექსტი შეიძლება იყოს კულტურული, ეროვნული ან ისტორიული.

ენის თითქმის ყველა დონე შეიძლება მოიცავდეს შეფასების მნიშვნელობებს. აღნიშნული მნიშვნელობები შეიძლება მოიცავდნენ ინფორმაციას როგორც სიტყვის, ისე მთლიანი ტექსტის შეფასებითი სემანტიკის შესახებ. (Thompson / ტომპსონი, გვ. 142–175).

შეფასებითი პრედიკატების კლასიფიკაციისას გამოიყოფა შემდეგი კლასები: (დიუი, 1939). შესაძლებლობისა და აუცილებლობის ღირებულების თვალსაზრისით მოდალურ-შეფასებითი ლექსიკა, რომელიც, როგორც წესი, იყოფა ალექტიკურ, დეონტიკურ და ეპისტემიკურ მოდალობად: საჭიროა, აუცილებელია, საჭირო, აუცილებელი და ა.შ.;

1. პრედიკატები, რომელთა სტრუქტურაში არ იკვეთება დესკრიფციული მნიშვნელობები: კარგი, ცუდი, ლამაზი, საზიზღარი და ა.შ.;
2. უტილიტარული პრედიკატები, რომლებიც გამოხატავენ ადამიანის პრაქტიკულ ინტერესებთან და ყოველდღიურ გამოცდილებასთან დაკავშირებულ რაციონალურ შეფასებას: სასარგებლო, ხელსაყრელი, მავნე, წამგებიანი და სხვ.; (Mill / მილი, 1998).
3. ეთიკური პრედიკატები, რომლებიც გამოხატავენ ზნეობრივი ნორმების, სიკეთისა და ბოროტების შესახებ სოციალურად დეტერმინირებულ იდეებზე დაფუძნებული მორალური გრძნობების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ შეფასებას: კეთილი, ჰუმანური, ბოროტი, სასტიკი, პატიოსანი, მოკრძალებული და ა.შ.;
4. ესთეტიკური პრედიკატები, რომლებიც გამოხატავენ სილამაზის გრძნობის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ შეფასებას: ლამაზი, მომხიბვლელი, მახინჯი და ა.შ.;
5. ჰედონისტური პრედიკატები, რომლებიც გამოხატავენ მხოლოდ იმ ტიპის შთაბეჭდილებებს, რომლებიც მომდინარეობენ შეგრძნებებიდან, სენსორული გამოცდილებიდან: სასიამოვნო, უსიამოვნო, ამაზრზენი, გემრიელი და ა.შ.

სუბიექტის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს პრაქტიკული ქმედება. შესაბამისად, აქტივობის პროცესში სუბიექტმა უნდა მოიძიოს გარკვეული საყრდენი საკუთარი იდეალებისა და მის მიერ აღიარებული ნორმებისათვის. იდეალებისა და ნორმების ჩამოყალიბება ხდება ადამიანის ექსპლიციტური და იმპლიციტური შეფასებითი მსჯელობის მეშვეობით. (პერმანი, 1993).

ამრიგად, აუცილებელია, რომ ადამიანის გონებამ დააკავშიროს ობიექტები მათ ვერბალურ რეპრეზენტაციებთან. ღირებულება არის არა ობიექტის საკუთრება, არამედ ადამიანის (სუბიექტის) მიმართება რომელიმე კონკრეტულ ობიექტთან (საგანთან ან მოვლენასთან), სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ღირებულება წარმოადგენს რეალობასა და აზრს შორის არსებულ კავშირს.

ენა აფიქსირებს და ასახავს კონკრეტული საზოგადოების ღირებულებათა სისტემას. ამიტომ, შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ღირებულებითი ორიენტაციების გაანალიზებისას შესაძლებელი ხდება გარკვეული ერის ან ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა ენობრივი ცნობიერების სიღრმისეული კვლევა.

მნიშვნელობის ფაქტორი დიდი ფუნქციონალური დატვირთვის მატარებელია, მისი პრაქტიკული რეალიზაცია დიდწილად დამოკიდებულია პირად და სოციალურ მიზეზებზე. ადამიანის გარშემო სამყარო განისაზღვრება მისი ქცევით, მისი ცნობიერებით. ეს კი, პირველ რიგში, აისახება ლექსიკაში.

მაშასადამე, სამყაროს ენობრივი ხატი ხასიათდება ბინარულობით: ერთი მხრივ, იგი წარმოადგენს გარე ფაქტორთა კომპლექსს, რომელიც ყალიბდება სუბიექტის არსებობის, მისი ცნობიერების, ქცევის, გარე სამყაროს შეფასებისაგან. ეს უკანასკნელნი კი რეპრეზენტირებულია ენაში, სამყაროს ენობრივ ხატში. თავის მხრივ, ადამიანის მიერ სამყაროს აღქმა დამოკიდებულია იმ ენის არსებობისა და რეალიზაციის ფორმაზე, რომლის მატარებელსაც თავად წარმოადგენს. მშობლიური ენის კატეგორიები განსაზღვრავენ სუბიექტის ქცევას, მისი აზროვნების სტილს.

სამყაროს ენობრივი ხატი წარმოადგენს ობიექტური სამყაროს სუბიექტურ ხატს (სურათს). ეს ობიექტური სამყარო მოიცავს სუბიექტის მსოფლმხედველობის, მისი სულიერი და

მატერიალური საქმიანობის, მისი გარემოსთან კომუნიკაციური ურთიერთობის შედეგებს. სწორედ აქედან მომდინარეობს ენაში ანთროპოცენტრიზმის ცნება.

სამყაროს ნებისმიერი ენობრივი ხატი ასრულებს:

1. ინტერპრეტაციის ფუნქციას (მსოფლმხედველობისა და მსოფლალქმის რეპრეზენტაციის ფუნქცია);
2. რეგულაციის ფუნქციას (ადამიანის ქცევის ნორმებისა და წესების დადგენის ფუნქცია);
3. ნომინაციის ფუნქციას (ობიექტის ირგვლივ მომხდარი მოვლენების, ფენომენების, ფაქტების, ურთიერთობების, საგნებისა და ა.შ. სახელდების ფუნქცია);
4. ექსპლიციტურ ფუნქციას (რეალობის ფენომენებისა და კატეგორიების ახსნისა და განმარტების ფუნქცია);
5. ორიენტაციულ ფუნქციას (სუბიექტის საზოგადოებაში, კულტურასა და გარე სამყაროში სოციალური ადაპტაციის ფუნქცია).

ნებისმიერ ეთნიკურ ჯგუფს გააჩნია სამყაროს საკუთარი ხატი. სწორედ ამ ხატის საფუძველზე ენობრივი პიროვნება, რომლის მსოფლალქმაც მარკირებულია სამყაროს აღქმის როგორც ინდივიდუალური, ისე ზოგადსაკაცობრიო (უნივერსალური) ნიშნებით, აორგანიზებს საკუთარი გამონათქვამის შინაარსს. სამყაროს ენობრივი ხატი ადგენს ადამიანის ქცევის ნორმებს და განსაზღვრავს ადამიანის სამყაროსადმი დამოკიდებულების თავისებურებას.

არსებობს ენაში დაფიქსირებულ ერთგვარ „მნიშვნელობათა სივრცე“, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამყაროს ცოდნა, რომელშიც ინტეგრირებულია კონკრეტული ენობრივი კოლექტივის ეროვნული და კულტურული გამოცდილება. ყალიბდება ამ ენის მოლაპარაკე სამყარო, ე.ი. სამყაროს ენობრივი სურათი, რომელიც წარმოადგენს სამყაროს შესახებ ცოდნის ერთობლიობას, ასახულია ენის ლექსიკაში, გრამატიკასა და ფრაზეოლოგიაში.

ადამიანის მენტალიტეტს განსაზღვრავს მისი გარემო, ის, თუ როგორ ხედავს და აღიქვამს იგი მას. ადამიანის მიერ გარემოს შეფასება, რა თქმა უნდა, აისახება მის ენობრივ ცნობიერებაში. (Martin & White / მარტინი & ვაითი, 2005). ასე ყალიბდება გარემოს გარკვეული კონცეფცია,

რომელიც გამოხატავს ადამიანის არსებობის, მისი გარემოსთან კავშირის სპეციფიკას. სამყაროს სრულყოფილი ხატი წარმოადგენს ადამიანის ფსიქიკის აქტიური მუშაობის, ადამიანის მიერ ობიექტური რეალობის აღქმის შედეგს. ადამიანი ახდენს საზოგადოებასთან, ბუნებასთან, კულტურულ გარემოსთან მისი მიმართების შედეგთა ვერბალიზაციას.

მართალია, ადამიანს ზოგჯერ უჭირს საკუთარი აქტივობის, მის ცხოვრებაში მიმდინარე ყველა პროცესის ვერბალიზაცია, მაგრამ სუბიექტის გონებრივი აქტივობის ყველა ფრაგმენტი ცალსახად მონაწილეობს სუბიექტის მიერ სამყაროს საკუთარი ხატის კონსტრუირების პროცესში. ინდივიდი ვიზუალური გამოსახულების მეშვეობით აღიქვამს სამყაროს და ცდილობს ლექსიკის მეშვეობით ასახოს რეალობის ინტერპრეტაციის შედეგები. ყველა ეს ქმედება აყალიბებს ადამიანის მსოფლმხედველობას.

ადამიანზე გარემომცველი სამყაროს აღქმის შედეგები აისახება არა მხოლოდ ენაში, არამედ ჟესტებში, მუსიკაში, ეტიკეტსა და ქცევაში. ამრიგად, გარემო (სამყაროს ხატი) ქმნის ადამიანის მიერ სამყაროს, ბუნებისა და სხვა ადამიანების ადეკვატური აღქმის საფუძველს. გარემო (სამყაროს ხატი) აყალიბებს ადამიანის დამოკიდებულების ტიპს სამყაროსადმი, ბუნებისა და სხვა ადამიანებისადმი, გარემო (სამყაროს ხატი) ადგენს ადამიანის სამყაროში ქცევის სტანდარტებს და განსაზღვრავს მის დამოკიდებულებას ცხოვრებისადმი.

ღირებულება მიუთითებს რეალობის კულტურულ, სოციალურ და პიროვნულ მნიშვნელობაზე, რის შედეგადაც ინდივიდის ღირებულებითი სისტემა ქმნის კულტურის ბირთვს, რომელიც დაკავშირებულია გარკვეული სოციუმის საჭიროებებთან და ინტერესებთან. თავის მხრივ, სოციუმი გავლენას ახდენს სოციალურ ინტერესებსა და საჭიროებებზე და გვევლინება ადამიანის სოციალურად დეტერმინირებული ქცევის ყველაზე მნიშვნელოვან სტიმულად.

ღირებულებითი ორიენტაციები წარმოადგენს იმ ტიპის წარმონაქმნებს, რომლებიც ყოველთვის წარმოდგენილია იერარქიული სისტემის სახით. ეს წარმონაქმნები არსებობენ პიროვნების სტრუქტურაში მხოლოდ როგორც მისი ელემენტები. ღირებულებითი ორიენტაციები არა მხოლოდ განსაზღვრავენ ადამიანის ცხოვრებისეულ მიზნებს, არამედ, გამოხატავენ იმასაც, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანისათვის.

ღირებულებითი ორიენტაციების სისტემის თავისებურებითაა დეტერმინირებული პიროვნების ქმედებათა შინაარსობრივი ასპექტი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღნიშნული სისტემა განსაზღვრავს პიროვნების ორიენტაციის შინაარსობრივ მხარეს და აყალიბებს მის ურთიერთობას გარე სამყაროსთან, სხვა ადამიანებთან და საკუთარ თავთან.

ღირებულებითი ორიენტაციების სისტემა წარმოადგენს პიროვნების მსოფლმხედველობისა და ცხოვრებისეული კონცეფციის საფუძველს. აღნიშნულ ორიენტაციათა ძირითადი შინაარსი რეპრეზენტირებულია პიროვნების ზნეობასა და მისი ქცევის პრინციპებში.

ღირებულებითი ორიენტაციების ერთობლიობა დინამიური სისტემაა - იგი შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში. ცვლილებები ხშირად განპირობებულია ასაკით, სქესით, რწმენით, შეხედულებებით, საჭიროებებით და ა.შ. გარდა აღნიშნული ფაქტორებისა, ცვლილებები შეიძლება იყოს განპირობებული ადამიანის პიროვნული თავისებურებებით. უნდა აღინიშნოს, რომ ღირებულებითი ორიენტაციების იერარქიის ტრანსფორმაცია შეიძლება გამოიწვიოს გარე სამყაროში მიმდინარე მოვლენებმაც.

თანამედროვე ეპოქა ხასიათდება ღირებულებათა ევოლუციის ახალი ეტაპით. მძლავრი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სწრაფად რეაგირებენ თანამედროვე სამყაროში სწრაფად ცვალებადი ინფორმაციის როგორც მოცულობაზე, ისე ხარისხზე. შესაბამისად, აღნიშნული ტექნოლოგიები ახდენენ ინფორმაციის აკუმულაციას და გვევლინებიან ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ რესურსად. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ხელს უწყობენ კულტურის აქსიოლოგიურ სფეროში ღირებულებათა ახალი ტიპის იერარქიის ჩამოყალიბებას.

2.2. აქსიოლოგიური ანალიზის ძირითადი ცნებები

აქსიოლოგიური ანალიზის ძირითადი ურთიერთგანმსაზღვრელი ცნებები აყალიბებენ კვლევის შემდეგ პარადიგმას: შეფასება, ღირებულება, ღირებულებითი ორიენტაცია, ღირებულებითი მნიშვნელობა (შინაარსი). ზოგადად, ღირებულებები გააზრებულია, როგორც ის, რასაც ადამიანები, საკუთარი გრძნობების კარნახით, აღიარებენ, როგორც ყველაფერზე მაღლა მდგომს.

ამ კონტექსტში ღირებულებები წარმოადგენს განზოგადებულ მიზნებსა და მათი მიღწევის საშუალებებს. ღირებულებები ასრულებენ ფუნდამენტური ნორმებისა თუ იდეალური მიღწევების როლს. ამავე კონტექსტში მეტად მნიშვნელოვანია დებულება, რომლის თანახმადაც, რომელიმე კონკრეტული საგანი, როგორც რეალური ღირებულება, წვდომადია (აღიქმება) ემოციურ და არა ინტელექტუალურ რაციონალურ აქტში.

ღირებულების დანიშნულებას წარმოადგენს ყოფიერების კონსტრუირების რეგლამენტების დაწესება. აღნიშნული რეგლამენტები უზრუნველყოფენ საზოგადოების ინტეგრაციას, ეხმარებიან ინდივიდებს გააკეთონ სოციალური თვალსაზრისით აღიარებულ ქმედებათა არჩევანი ცხოვრებისეულ სიტუაციებში. ღირებულებათა სისტემა ქმნის კულტურის ბირთვს, ინდივიდებისა და სოციალური ჯგუფების საჭიროებებისა და ინტერესების სულიერ კვინტესენციას. ამრიგად:

1. ღირებულებებს ახასიათებს ადამიანების განზოგადებული წარმოდგენები მათი ქცევის მიზნებისა და ნორმების შესახებ;
2. ღირებულებები ასრულებენ ფუნდამენტური ნორმების როლს;
3. ღირებულებები გამოხატავენ კულტურისათვის ნიშნად შინაარსებს (მნიშვნელობებს);
4. ღირებულებები ზემოქმედებენ ინტერესებსა და ქმედებათა მოტივებზე;
5. ღირებულებები არსებობენ ინდივიდსა და საზოგადოებაში.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ღირებულებები ასოცირდებიან ადამიანთან - ისინი არ არსებობენ ადამიანსა და საზოგადოებას მიღმა. ღირებულებები არ ექვემდებარებიან კლასიფიკაციას ადამიანთან მიმართების მიღმა - ისინი ყალიბდებიან ადამიანის მიერ მისი პროდუქტიული საქმიანობის პროცესში.

„ზოგადი შეფასების“ ცნების გარდა, რომლის თანახმადაც ნებისმიერი აღქმა - რეფლექსიის ნებისმიერი ობიექტი შეიძლება შეფასდეს დადებითად ან უარყოფითად, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გააზრებულ იქნას „ღირებულების“ აქსიოლოგიური სტატუსით; ტრადიციულად გამოიყოფა ყოფიერების ხუთი სფერო და ამ სფეროთა რელევანტური ღირებულებების ხუთი ტიპი:

1. ჭეშმარიტების სფერო, სადაც ღირებულება განისაზღვრება ტერმინებით „ჭეშმარიტი-მცდარი“;
2. მშვენიერების სფერო - ესთეტიკური სფერო, სადაც ღირებულება განისაზღვრება ტერმინებით „ლამაზი-მახინჯი“;
3. ეთიკის სფერო, სადაც ღირებულება განისაზღვრება ტერმინებით „კარგი-ცუდი“, „კეთილი-ბოროტი“. აღნიშნული მახასიათებლები მიეწერება ადამიანის ქცევას, რომელიც დეტერმინირებულია კონკრეტული საზოგადოების სოციალური მორალის თავისებურებით;

კონკრეტული საზოგადოების სოციალური მორალი „თავს ახვევს“ ინდივიდს ქცევის იმ წესებს, რომლებიც დადგენილია ან „სოციალური კონსენსუსით“, ან ინდივიდის „შინაგანი“ მორალით, იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდი თავად ადგენს საკუთარი ქცევის წესებს.

4. სიამოვნების სფერო - ჰედონისტური სფერო, რომელშიც ღირებულება განისაზღვრება ტერმინებით „სასიამოვნო-ამაზრზენი“.

აღნიშნული მახასიათებლები ეხება შეგრძნებათა სფეროს - სიამოვნების წყაროს ადამიანებთან, მოვლენებთან თუ საგნებთან კონტაქტის შედეგად განცდილ მდგომარეობას.

5. უტილიტარისტული სფერო - პრაგმატული სფერო, სადაც ღირებულება განისაზღვრება ტერმინებით „სასარგებლო-უსარგებლო-მავნე“.

აღნიშნული მახასიათებლები დგინდება შესაფასებელი ობიექტის დადებითი და უარყოფითი მხარეების იდენტიფიცირების შედეგად.

გასათვალისწინებელია, რომ ღირებულებათა ვერც ერთი გაანალიზებული ტიპოლოგია ვერ აცხადებს პრეტენზიას უნივერსალურობაზე. ფორმალური თვალსაზრისით, ღირებულებები იყოფა:

1. დადებით და უარყოფით ღირებულებებად;
2. ფარდობით და აბსოლუტურ ღირებულებებად;
3. სუბიექტურ და ობიექტურად ღირებულებებად.

შინაარსის მიხედვით, გამოიყოფა საგნობრივი, ეთიკური, ესთეტიკური და ლოგიკური ღირებულებები, რომლებიც, შინაარსობრივი თვალსაზრისით, კორელირებენ ისეთ ტერმინებთან-ცნებებთან, როგორიცაა: „სიკეთე“ „მშვენიერება“, „ჭეშმარიტება“.

ღირებულებითი ორიენტაციები განიხილება, როგორც „პიროვნების სტრუქტურის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები“. ღირებულებითი ორიენტაციები ეფუძნებიან ინდივიდის ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს პიროვნების განცდათა ერთობლიობას (მთლიანობას), რომელიც მიჯნავს ერთმანეთისაგან მნიშვნელოვანს უმნიშვნელოსაგან, არსებითს არარსებითისაგან. (აბელსონი, 1973).

ღირებულებითი ორიენტაციების ინტეგრირება პიროვნების სტრუქტურაში იძლევა პიროვნების ქცევის მოტივაციის ყველაზე ზოგადი სოციალური დეტერმინანტების იდენტიფიცირების საშუალებას.

პიროვნების ქცევის სპეციფიკა მარკირებულია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლებით, საზოგადოების მორალის, იდეოლოგიისა და კულტურის თავისებურებით. სწორედ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური, ზნეობრივი, იდეოლოგიური და კულტურული მარკერების ზეგავლენით ყალიბდება პიროვნების სოციალური ინდივიდუალიზმი.

ადამიანურ ღირებულებათა მიმართება სამყაროსთან, ღირებულებათა მიკუთვნებულობა არა მხოლოდ ცნობიერებისადმი, არამედ ინდივიდის ქცევისადმი, ანიჭებს ღირებულებას ქმედით ხასიათს და სძენს მას მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას - რეგულატორის ფუნქციას. პიროვნების ღირებულებითი ორიენტაციები დინამიურია. პიროვნების ჩამოყალიბების ისტორია კი შეიძლება გააზრებულ იქნას, როგორც ღირებულებათა აქტუალიზაციისა და უგულებელყოფის ისტორია.

უმალეს ღირებულებათა იერარქიის (პირამიდას) მწვერვალს წარმოადგენს „ადამიანი“, ვინაიდან სწორედ იგი არის ყველაფრის მიზანი და საზომი. ადამიანი, რომელიც ითვისებს სამყაროს და ავსებს მას მნიშვნელობით, ყოველ ჯერზე ანიჭებს მას ახალ, ღირებულებით-სემანტიკურ განზომილებას.

ლინგვისტური აქსიოლოგია განიხილავს „შეფასების“ ცნებას, როგორც აქსიოლოგიურ პარადიგმაში არსებულ ყველაზე ზოგად პროცესუალურ კონცეპტს. ამ კონტექსტში შეფასება გააზრებულია, როგორც შემეცნების სპეციფიური ფორმა, როგორც კოგნიტური ფენომენი. (მარტინი & ვაითი, 2005).

შეფასება განხილულია, როგორც სუბიექტის მიერ სამყაროში აღქმულისა და გააზრებულის საკუთარი გამოცდილების „ბადეში“, საკუთარ სასიცოცხლო სივრცეში მოქცევა, რასაც აუცილებლად მოსდევს სუბიექტის მიერ სამყაროში აღქმულისა და გააზრებულის ინტერპრეტაცია. და ბოლოს, შეფასება გულისხმობს რეალობის კონცეპტუალიზაციას. (Гадамер / გადამერი, 1988)

დღეს სრულიად წარმოდგენელია ჭეშმარიტების თეორიის, ან ინტერპრეტაციის თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი შეფასებითი ასპექტების გათვალისწინების გარეშე, ვინაიდან სამყაროს შესახებ ნებისმიერი განსჯა მოიცავს არა მხოლოდ ინფორმაციას სამყაროში არსებული ობიექტების შესახებ, არამედ თვალსაზრისსაც ამ ობიექტების შესახებ. შესაბამისად, აქტუალურია არა თავად „ფაქტი“, არამედ დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი.

დადებითი ან უარყოფითი შეფასების აქტუალიზაციისას ვეხებით დისკურსული სამყაროს ისეთ ფენომენებს, როგორცაა, ერთი მხრივ, სოციუმის ენობრივი ცნობიერება, რომელიც აღიარებს სტერეოტიპულ წარმოდგენას ამ ფაქტის შესახებ, მეორე მხრივ კი, „სხვის“ ენობრივ ცნობიერებას. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ დისკურსში, შეტყობინების ექსპრესიული სტრუქტურირების თვალსაზრისით, შეფასების გამოხატვა ლოგიკურად ასოცირდება შეტყობინების ემოციურ და სემანტიკურ ინტენსიფიკაციასთან.

უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს შეფასების ტიპების შედარებით სრული, თანმიმდევრული და არაწინააღმდეგობრივი კლასიფიკაციის ჩამოყალიბება. აღნიშნული სირთულე განპირობებულია იმ ფაქტით, რომ შეფასების ტიპების სისტემატიზაცია დამოკიდებულია როგორც სისტემის ფორმულირების თავისებურებაზე, ისე მეტყველი სუბიექტის „მოდუსების“ სუბიექტურ გამოვლინებაზე. და მაინც, მიუხედავად აღნიშნული სირთულისა, მაინც შესაძლებელია შეფასების შემდეგი ტიპების გამოყოფა:

1. ზოგადი შეფასება (დადებითი თუ უარყოფითი) - დაკავშირებულია რაიმეს კვალიფიკაციასთან, რომელიც ხორციელდება შემფასებელი სუბიექტის პრესუპოზიციის ან შესაფასებელი ობიექტის ფენომენოლოგიის საფუძველზე;
2. ეპისტემიური შეფასება - დაკავშირებულია ინტერპრეტაციის/შეფასების სანდოობის ხარისხთან და ასახავს მეტყველი სუბიექტის ცოდნას მეტყველების საგნის შესახებ;

ეპისტემიური შეფასების გამოხატვის საშუალებებს წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, გამონათქვამის „ეპისტემური არტიკულატორები“, გამონათქვამის შინაარსის სანდოობის ინდიკატორები (ალბათ, როგორც ჩანს, შესაძლოა, როგორც ჩანს, უთუოდ, აუცილებლად და ა.შ.). შეფასება ამ შემთხვევაში ასახავს მეტყველი სუბიექტის მიერ სამყაროს აღქმა-გააზრების პირობებს (Pascall / რასელი, 2001). გამონათქვამში სპეციალური მოდალური ინდიკატორის არსებობა, რომელიც მიუთითებს მეტყველი სუბიექტის ინტენციაზე, მოახდინოს აღქმის გარკვეული მოდელის ექსპლიკაცია, ანიჭებს გამონათქვამის შეფასებას „ეპისტემიურ პერსპექტივას“.

3. აპრიორული შეფასება - არ ექვემდებარება ემპირიულ, ობიექტურ ვერიფიკაციას. ამ ტიპის შეფასებას ადგილი აქვს ისეთ შეფასებაში, რომელიც არ არის ორიენტირებული განცხადების შინაარსსა და რეალობას შორის გარკვეული შესაბამისობის დადგენაზე;

აპრიორული შეფასება ახდენს შინაარსის დისტანცირებას ფაქტებისაგან, მიმართულია ვითარების სუბიექტური ხედვისკენ და გამორიცხავს ვერიფიკაციას (ყველაფერზე ეტყობა, რომ ნამდვილი ინტელექტუალია. ჩემთვის ასეა).

4. აპოსტერიორული შეფასება - ეყრდნობა აღქმა-გააზრების შედეგებს და ექვემდებარება გარკვეულ ემპირიულ, ობიექტურ ვერიფიკაციას (ეს კომპეტენტური სპეციალისტია);
5. ინდივიდუალური შეფასება - ობიექტივირდება გამონათქვამებში, როდესაც შეფასება არ შეესაბამება აღწერის ეტალონს და ნათლად ავლენს ავტორისეულ ინდივიდუალიზმს (მას ნამდვილი ფერიას თმა აქვს.);

6. კოლექტიური შეფასება - შესაბამისობაშია სტანდარტთან და ეწინააღმდეგება ინდივიდუალურ, ავტორისეულ შეფასებას;
7. არასტანდარტული შეფასება - თავისი არსით ახლოსაა ინდივიდუალურ შეფასებასთან, ითვალისწინებს შეფასების არასტანდარტულ პროცედურას - შეფასების საფუძველში არსებული ინფორმაციის მოდიფიკაციას, ინდივიდუალური, ავტორისეული ხედვის თვალსაზრისით;
8. რაციონალური შეფასება - ეფუძნება ლოგიკურ მსჯელობას (იგი ძალიან ჭკვიანია, რადგან წყვეტს ასეთ რთულ პრობლემებს);
9. სტერეოტიპიზირებული შეფასება - შეფასება, რომელიც ხორციელდება შეფასების კონვენციონალური საშუალებებით. ამ ტიპის შეფასებაში იკვეთება უწინ არსებული შეფასების მოტივაციის მხოლოდ „კვალი“;

სტერეოტიპიზირებული შეფასებით წარმოდგენლია შეფასების თვალსაზრისით „უფერული“ გამონათქვამი, რომელიც სემანტიკური თვალსაზრისით განეკუთვნება შეფასებით გამონათქვამს, თუმცა დაკარგული აქვს რეალური შეფასებითი მნიშვნელობა. მაგალითად, „გამქრალ“ შეფასებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ სივრცითი ლოკალიზაციის საშუალებები აღნიშნავენ ობიექტის არსებობა-არარსებობას სივრცითი ლოკალიზაციის ფაქტობრივი შეფასების გარეშე (კარგია, როდესაც მეგობარი გვერდით გყავს.).

10. ფუნქციონალური შეფასება - განისაზღვრება ფუნქციონალური რელევანტურობის კოორდინატებით, განსხვავებით იმ შეფასებისგან, რომელიც დგინდება აბსოლუტური მნიშვნელობის კოორდინატებით;

ფუნქციონალური შეფასება კორელაციაშია აბსოლუტურ შეფასებასთან იმ თვალსაზრისით, რომ პირველი ფასდება და ასოცირდება აღსაქმელი საგნის ფუნქციურ არსებობასთან (ახლოსაა, ორი ნაბიჯშია), ხოლო მეორე კი გამორიცხავს აღსაქმელი საგნის ფუნქციურ არსებობას, არ იძლევა შემდგომი სპეციფიკაციის საშუალებას, არ ექვემდებარება გრადაციას, გააზრებულია არარსებობისა და ირეალურობის „პოლუსზე“ (ეს შორს, ძალიან შორსაა).

11. ექსპრესიული შეფასება - „გადაანაცვლებს“ ინტერპრეტაციას ფაქტების სფეროდან შეფასების ინტენსივობის სფეროში;

12. ემოციური შეფასება - ხორციელდება სიხარულით, სევდით, აღშფოთებით, შიშით, აღტაცებითა და გაკვირვებით გამოწვეული ემოციური მდგომარეობის შეფასების გამოხატვისას;
13. ეტალონური შეფასება - ხორციელდება გამონათქვამის შინაარსის რეალურ მდგომარეობასთან შესაბამისობის დადასტურების კონტექსტში (ეს არის ნამდვილი მეგობრობა).

ღირებულებების, როგორც მსოფლმხედველობრივი, პიროვნებისა და საზოგადოების იდეოლოგიური და სულიერი დომინანტების ბუნება უკავშირდება:

1. ღირებულებების სოციალურ-კულტურულ პოტენციალს. სოციალური „მდებარეობს“ ფსიქოლოგიურსა და მატერიალურს შორის (მ. ვებერი) და იქმნება ადამიანების ურთიერთობით საზოგადოებაში, ასევე საკომუნიკაციო პროცესებით, რომლებშიც ყალიბდება სოციალურ ღირებულებათა სამყარო. ეს სამყარო ყალიბდება საზოგადოებაში აღიარებული და დამკვიდრებული ნორმატიული ორიენტირების შესაბამისად;
2. ღირებულებების მამოტივირებელ, მიზნობრივ და მაორიენტირებელ პოტენციალს, რომელიც წარმოაჩენს ღირებულებებს, როგორც ადამიანის თვალსაზრისით მთლიანობრივი სისტემის ბირთვს;
3. ღირებულებების პოტენციალს, დაარეგულიროს ჩამოყალიბებულ შეფასებით დამოკიდებულებასა და ნორმატივებს, იმპერატივებს შორის შესაბამისობა; (კორსგარდი, 1996). შეფასების პროცესში სუბიექტი ეყრდნობა, ერთი მხრივ, საკუთარ დამოკიდებულებას შესაფასებელი ობიექტისადმი, მეორე მხრივ კი, შესაფასებელ ობიექტზე სოციალურ სტერეოტიპულ წარმოდგენებს. ცნება „სოციალური სტერეოტიპი“ გულისხმობს მოწესრიგებულ, სქემატურ, კონკრეტული კულტურის წარმომადგენელთა ცნობიერებაში არსებულ „სამყაროს ხატს“.

შეფასების მენტალური ბუნება, მისი ფსიქოლოგიური და კოგნიტური ონტოლოგია, რომელშიც ინტეგრირებულია ინდივიდუალური და კოლექტიური ფენომენოლოგია, შეფასების დისკრეტულობა და მისი „ჩართულობა“ ადამიანისა და საზოგადოების

„სასიცოცხლო სივრცისათვის” რელევანტურ მდგრად სტრუქტურებში განსაზღვრავს შეფასების ფენომენის ანალიზისადმი ინტერდისციპლინარული მიდგომის საჭიროებას.

2.3. ლინგვისტური აქსიოლოგიური ანალიზის მეთოდები

თანამედროვე ლინგვისტიკის ანთროპოცენტრიზმი თავისი არსის საწყისად განიხილავს მეტყველ ადამიანს (homo verbo agens), ხოლო ენას კი - ადამიანის ეგზისტენციალურ არსად. თანამედროვე ლინგვისტიკის ანთროპოცენტრიზმის კვლევის ველში აქცენტირებულია ეპისტემოლოგიური ინტერდისციპლინარული ცნებების მნიშვნელოვნება.

რამდენადაც თანამედროვე ლინგვისტიკის აღნიშნული ინტეგრალური ცნებები „ადამიანური” წარმოშობისაა და ახასიათებთ ღრმა შეფასებითი განზომილება, ნაშრომში გათვალისწინებულია მათი კონცეპტუალური და ლინგვისტური პარამეტრები, ასევე აღნიშნულ განზომილებაში არსებული სტატიკისა და დინამიკის თანაფარდობა.

თანამედროვე ლინგვისტიკისათვის დამახასიათებელი ინტეგრაციულობა ასახავს ადამიანის ყოფიერების ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, სოციოკულტურულ, ტრანსცენდენტულ და ეგზისტენციალურ განზომილებათა ურთიერთგანსაზღვრულობის კონცეფციას. სწორედ აღნიშნული კონცეფცია მოითხოვს ისეთ კატეგორიათა საკითხის ფორმულირებას პიროვნებისა და საზოგადოების აქსიოლოგიური განზომილების კონტექსტში, როგორიცაა: ავთენტურობა, იდენტობა და პიროვნება. მხოლოდ ადამიანური სამყაროა ჭეშმარიტად ღირებულებითი სამყარო, რომელიც ეფუძნება შეფასებას - ყოფიერების დაყოფას არსებულად და სასურველად, არსებულად და მართებულად, არსებულად და წარმოსახვითად.

სამყაროს ხატისა და დისკურსის შეფასებითი განზომილებები განისაზღვრება ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრების სპეციფიკით. ადამიანი და საზოგადოება მუდმივად იმყოფებიან სამყაროს ათვისება-დაუფლების პროცესში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იდენტობის, ფუნდამენტური პრინციპებისა და ფუძემდებლური მნიშვნელობების ძიების პროცესში. ეს პროცესი გულისხმობს, ერთი მხრივ, საკუთარი არსებობის ნაკადში აქტუალურისა და მოსალოდნელის (პოტენციალურის) დიფერენცირებას, მეორე მხრივ კი, მოცემულ ვექტორთა ეგზისტენციალურ თანაფარდობაში მოყვანას.

სიცოცხლის სამყაროს ორი ვექტორი - რეტროსპექტულობა და პროსპექტულობა - ერთ საყრდენზეა ფიქსირებული. ამ საყრდენს კი წარმოადგენს ადამიანის შეფასებითი აქტივობა. ადამიანი - არსება, რომელიც ისწრაფვის თვითდამკვიდრებისაკენ, „კითხვებს სვამს არა იმაზე, რაც არის, არამედ იმაზე, რაც შეიძლება იყოს“. შეფასება განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრების სპექტრს, რომელიც მოიცავს როგორც საკუთარი ძალების რწმენით სავსე კრეატიულობას, ისე ინერტულობასა და პასიურობას.

თანამედროვე ლინგვისტიკაში სულ უფრო დომინირებს იდეა იმის თაობაზე, რომ ადამიანის სამეტყველო ქმედება წარმოადგენს ცხოვრებისეული სამყაროს გარკვეულ სიტუაციებში მიღებული გამოცდილების განცდის, გააზრებისა და შეფასების, ასევე ამ გამოცდილების დისკურსში მატერიალიზაციის (ვერბალიზაციის) გზას. ამავდროულად, მეტყველი სუბიექტი ენის მეშვეობით აყალიბებს საკუთარ თავს სუბიექტად. სამყაროს მატერიალიზაციის (ვერბალიზაციის) პროცესში სუბიექტი ითვისებს სამყაროს და ახდენს სამყაროს მოდელირებას დისკურსში.

ღირებულებითი შეფასება წარმოადგენს აღქმულის, განცდილისა და გააზრებულის ემოციურ- ინტელექტუალურ გამოვლინებას. მეტყველი სუბიექტი წარმოადგენს მხოლოდ სამყაროს მოვლენებზე „დამკვირვებელს“ - მეტყველი სუბიექტი არ არის დაკავებული მოვლენათა მხოლოდ იდენტიფიცირებითა და დესკრიფციით. მეტყველი სუბიექტი იმანენტურად აყალიბებს პროპოზიციულ აზრობრივ სტრუქტურებს, რომლებიც მარკირებულია სოციალური მიზნობრიობითა და ინტერპერსონალურ კომუნიკაციაში რეალიზაციის პოტენციალით.

ენის სიმბოლურ სტრუქტურებში ობიექტივირდება ადამიანის აზროვნება. სწორედ აღნიშნული სტრუქტურების მეშვეობით ცდილობს მეტყველი სუბიექტი სამყაროსა და სამყაროში საკუთარი თავის მოდელირებას. მეტყველების პროცესში ადამიანი ქმნის საკუთარ სოციალურ „სახეს“, საკუთარი წარმოსახვის მენტალურ სამყაროს, საკუთარ ცოდნასა და რწმენას. ეს ყველაფერი კი, თავის მხრივ, ქმნის ადამიანის ყოფიერების მოდულსებს. (Captr/სარტრი, 2004)

ერთი მხრივ, თანამედროვე აქსიოლოგია ორიენტირებულია ადამიანის ყოფიერების კონცეფციის, როგორც უნივერსალური ჰუმანიზმის ფილოსოფიის საფუძვლის,

შემუშავებაზე. აღნიშნული კონცეფცია ყოფიერებას განიხილავს როგორც პიროვნების სულიერი და პრაქტიკული მოღვაწეობის, ადამიანის თვითრეალიზაციის უწყვეტ პროცესს. ეს კონცეფცია ორიენტირებულია იმ ეგზისტენციალურ პრობლემათა გადაჭრის გზების იდენტიფიცირებაზე, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანისა და კაცობრიობის გადარჩენის გზების ძიებასთან და ადამიანში ჰარმონიის მიღწევის შესაძლებლობებთან.

მეორე მხრივ, მეცნიერება ღირებულებების შესახებ არ შეიძლება არ კონცენტრირდებოდეს ანტინომიაზე - ადამიანის ანტიჰუმანიზმზე, რომელიც ვლინდება ადამიანის თვითდესტრუქციულ და კულტურის დამანგრეველ საქმიანობაში, იმ სიტუაციებში, როდესაც ერთმანეთს ეჯახება ღირებულება და ანტიღირებულება, როდესაც რწმენის *de facto* სიმბოლოდ გვევლინება ურწმუნობა (არა არსებობს არაფერი წმინდა; ნამუსი ფიქციაა). ამ ტიპის კონცეფციები, პრაქტიკულად, „ხერგავენ“ ყველა გზას დიალოგისკენ და გამორიცხავენ სხვა ადამიანის თვალსაზრისის გაზიარების შესაძლებლობას. (Rokeach / როკიჩი, 1973).

ლინგვისტისათვის, რომელიც მიზნად ისახავს საზრისის წვდომას სამეტყველო ქმედების მამოტივირებელი ფაქტორების განსაზღვრის საფუძველზე, რელევანტურია აზროვნებისა და ნების ნებისმიერი აქტის სუბიექტურობა და მიზანმიმართულობა (ინტენციურობა). აქ ასევე მეტად მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ:

1. თავად „სუბიექტის“ ფენომენის სირთულე;
2. ნაფიქრსა და გამოთქმულს შორის არსებული შეზღუდვის ლინგვოკულტუროლოგიური ფაქტორები;
3. გამონათქვამის წინააღმდეგობრიობა და უსრულობა;
4. გამონათქვამის არაგულწრფელობა ან გამონათქვამის ჭეშმარიტი მნიშვნელობის - კომუნიკაციის მიზნის მიზანმიმართული „მიჩქმალვა“;
5. სიტუაცია, რომელშიც იკვეთება შეტყობინების პროდუცირების იძულება;
6. დებულება, რომლის მიხედვითაც, მეტყველებაში არ ხდება ღირებულების, როგორც ასეთის, ფორმულირება - მეტყველებაში ადგილი აქვს მეტყველი სუბიექტის თვალსაზრისის ან რწმენის გამოხატვას მისი ღირებულებით-მოტივაციური დამოკიდებულების საფუძველზე.

აშკარაა, რომ პიროვნული სამყაროსა და სოციალური რეალობის „ჭეშმარიტი“ მნიშვნელობების ახსნის მცდელობისას, აუცილებელია ადამიანის ინდივიდუალური და სოციალური ყოფიერების სპეციფიკის სიღრმისეული წვდომა. ისიც აშკარაა, რომ აღნიშნული მცდელობა მსოფლმხედველობრივი და ინტერდისციპლინარული ხასიათისაა. (Halliday / ჰალიდეი, 1978).

დროთა განმავლობაში ღირებულებების პრობლემამ შეიძინა განსაკუთრებული სოციალური და მორალური მნიშვნელობა. ამ პრობლემამ კიდევ უფრო დიდი აქტუალობა შეიძინა გარდამტეხ მომენტებში, როდესაც ძველმა ტრადიციებმა დაკარგეს მნიშვნელოვნება.

თანამედროვეობის სოციალურ-კულტურულ მდგომარეობას ახასიათებს ადამიანის იმ ტიპის მსოფლმხედველობა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „გარდამტეხი“. სწორედ ამ ტიპის მსოფლმხედველობა ამძაფრებს ადამიანის მიერ მიზნების დასახვისა და აზრის ძიების პრობლემას. სწორედ ასეთ დროს უჩნდება ადამიანს განცდა იმისა, რომ მისი სულიერი განვითარება ჩამორჩა სამეცნიერო და ტექნოლოგიურ პროგრესს. სწორედ ასეთ დროს ჩნდება პიროვნული გაუცხოებისა და კულტურული მეხსიერების კარგვის პროცესები, კულტურის საინფორმაციო ველის არასტაბილურობა ან აგრესიულობა.

დესტრუქციული პროცესების გამოვლინებები მრავალფეროვანია. დესტრუქციული პროცესები შეიძლება გამოვლინდეს ეთნორეგიონული და სოციალური კონფლიქტების, ასევე ეროვნული იდენტობის კრიზისის სახით.

მასობრივი, უტილიტარიზმით მარკირებული კულტურისათვის ტიპური „ახალი“ ღირებულებების ზეწოლის ქვეშ ხდება ტრადიციული ეროვნული ღირებულებების (რეალური თუ წარმოსახვითი) განადგურება. მასობრივი, უტილიტარიზმით მარკირებული კულტურისათვის დამახასიათებელია ღირებულებების, ანტიღირებულებების, ფსევდოღირებულებებისა და სოციალური ფენომენების იმიტაციების თანაარსებობა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მასობრივ, უტილიტარიზმით მარკირებული კულტურაში ადგილი აქვს ღირებულებათა ერთგვარ ინფლაციას.

კულტურის სემიოტიკის დონეზე (ბარტი, ბუბერი, დერიდა და სხვ.) პროდუქტიულია მიდგომა, რომლის ფარგლებშიც სამყაროს აღნიშვნის (სახელდების) სპეციფიკის კვლევა

დაკავშირებულია ადამიანის სოციალიზაციასთან. სწორედ აღნიშნული მიდგომის ფარგლებში გაიჟღერა დასკვნამ იმის შესახებ, რომ აღნიშვნის (სახელდების) პრაქტიკა უკავშირდება იდეოლოგიას.

ინდივიდის სამეტყველო ქმედება წარმოდგენილია სოციუმს მიღმა, ვინაიდან სწორედ სოციუმში წარმოადგენს ადამიანის არსებობის ბუნებრივ გარემოს. შესაბამისად, შეუძლებელია საზოგადოებრივი მორალის, მეცნიერების, ხელოვნებისა და რელიგიის არსებობა დამკვიდრებული იდეოლოგიური სისტემის მიღმა. თავის მხრივ, ენას, რომელშიც ხდება სოციალური თვალსაზრისით აქტუალური მნიშვნელობების ობიექტივაცია, გააჩნია სოციალური „ძალა“.

კონკრეტულ დროსა და სივრცეში აღიარებული და დამკვიდრებული სოციოკულტურული დამოკიდებულებები, პოზიციები და პრინციპები გვევლინებიან ენაში ობიექტივირებული სტერეოტიპებისა და ნორმების სახით. ეს უკანასკნელნი კი ქმნიან ღირებულებათა გარკვეულ სკალას, რომელიც მანიფესტირდება ადამიანის ცხოვრებისეული პრიორიტეტების არჩევანში, ადამიანის ღირებულებით ორიენტაციებსა და მის მოლოდინებში.

ბოლო წლების აქსიოლოგიურად და სოციალურად ორიენტირებულმა კვლევებმა გამოავლინა მნიშვნელოვანი კონცეპტუალური ძვრები ისეთ სემანტიკურ პროცესებში, როგორიცაა:

1. სემანტიკური დერივაცია - ახალი ბაზისური ფენების გაჩენა კონცეპტის სტრუქტურაში;
2. აზრობრივი მოდიფიკაცია - ნიშანთა ერთობლიობის ცვლა კოგნიტურ ფენაში;
3. კონცეპტის აზრობრივი სტრუქტურის რესტრუქტურიზაცია - სიტყვის კონცეპტუალური სტრუქტურის ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია კოგნიტური ფენების აქტუალიზაცია-რედუქციასთან. აღნიშნული ცვლილება გულისხმობს ნიშანთა გადაადგილებას ბირთვიდან პერიფერიაში და პირიქით;
4. სიტყვის სტიქიური „დრეიფი“ - კონცეპტუალური შინაარსის ევოლუცია ენის მატარებელთა ცნობიერებაში, კონცეპტუალური შინაარსის „გაბუნდოვანება“;
5. დეიდეოლოგიზაცია - კონცეპტის აზრობრივი სტრუქტურის რესემანტიზაცია;

6. იმ ნეოლოგიზმთა იდეოლოგიზაცია, რომლებიც განეკუთვნებიან სოციალურ სამყაროს.

ენის კონცეპტუალურ სფეროში მომხდარ ცვლილებებს აფიქსირებს ჯერ ინდივიდუალური, შემდეგ კი კოლექტიური ენობრივი ცნობიერება. აღნიშნული ცვლილებები წარმოადგენენ მიმდინარე ენობრივი ცხოვრების სოციალური და მენტალური პარამეტრების ექსპლიკატორებს. (Wilson / ვილსონი, 2005, გვ. 227-236).

დღეს სოციალურად ორიენტირებული კვლევისთვის განსაკუთრებით აქტუალურია ეროვნული და ინდივიდუალურ-პიროვნული ღირებულებების კორელაციის ანალიზი. უნდა ითქვას, რომ სწორედ სოციალურად ორიენტირებული კვლევა განსაზღვრავს კულტურათაშორისი დიალოგის პრობლემათა გადაჭრის გზებსა და კულტურათაშორისი დიალოგის პერსპექტივებს.

ლინგვისტური აქსიოლოგია ორიენტირებულია კონკრეტული კულტურისათვის, დროისა და სივრცისათვის რელევანტური ადამიანური გამოცდილებისა და რეფლექსიის რეპრეზენტაციათა გზების ძიებაზე.

ლინგვისტური ანალიზის ღირებულებას განსაზღვრავს არა მხოლოდ მისი მნიშვნელოვნება აღწერით-ტაქსონომიური თვალსაზრისით (რომელიც ეფუძნება ენობრივი სტრუქტურებისა და ფუნქციების ანალიზს), არა მხოლოდ რეგულაციის თვალსაზრისით (რომელიც მომდინარეობს ენისა და მეტყველების ლოგიკურ-რიტორიკული საფუძვლებიდან) და არა მხოლოდ ინტერპრეტაციულ-კლასიფიკაციური თვალსაზრისით (რომელიც გამომდინარეობს ფილოსოფიაში, სემიოლოგიაში, კულტურულ კვლევებში ან სოციალურ ფსიქოლოგიაში დამკვიდრებულ, კონოტატიურ-შეფასებითი სემანტიკის მქონე სიტყვებითა და გამოთქმებით ობიექტივირებულ კონცეპტთა ანალიზიდან) - ლინგვისტურ ანალიზს გააჩნია უდიდესი ღირებულება დიაგნოსტიკური თვალსაზრისით, ასევე ადამიანისა და მთლიანად საზოგადოების „ღირებულებითი“ მდგომარეობის „გაზომვისა“ და გამოვლენის თვალსაზრისით კონკრეტულ დროსა და სივრცეში, კვლევის კოგნიტურ და დისკურსულ საფუძვლებზე დაყრდნობით. (კრეესზოვსკი, 1997).

ამ ტიპის ლინგვისტური აქსიოლოგიური ანალიზი, ბუნებრივია, უნდა ეყრდნობოდეს შეფასების პროცესში არსებითი შინაარსების ანალიზისადმი კონცეპტუალურ მიდგომას, ვინაიდან:

1. ამ ტიპის შინაარსების მეშვეობით ადამიანი ორიენტირებს სოციალურად დერეკტრინირებულ ყოფიერებასა და გარკვეული კულტურის ეთნოქრონოტოპში;

კონცეპტი წარმოადგენს ფრეიმში სტრუქტურირებული ცოდნის სიმბოლოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კონცეპტი ასახავს არა მხოლოდ ობიექტის არსებით მახასიათებლებს (ნიშნებს), არამედ იმ მახასიათებლებსაც (ნიშნებსაც), რომლებიც მოცემულ ენობრივ კოლექტივში „ივსება“ შეფასების შედეგად მიღებული ცოდნით. სამყარო გვევლინება ერთგვარი პოლარიზებულ კულტურულ ველად, რომელსაც ახასიათებს როგორც მიზიდულობა, ისე განზიდულობა.

2. ამ ტიპის შინაარსები მსოფლმხედველობრივი ხასიათისაა. ისინი ყალიბდებიან სოციალურ დისკურსიულ სამყაროში, რომლისთვისაც დამახასიათებელი მიმართება: „მე-სამყარო-სხვები“;

აღნიშნული ტიპის შინაარსები ასახავენ სუბიექტივაციის მომენტს, რომელიც გულისხმობს სამყაროს „ათვისებისა“ და „მიკუთვნების“ გზით, „საკუთარი“ სამყაროს აგებას მეტყველებაში.

3. ამ ტიპის შინაარსები ყალიბდება დისკურსის დონეზე, როგორც პირდაპირი გზით - შეფასებითი ნომინაციური ერთეულების ან მთლიანი შეფასებითი განსჯის გზით;

ყველაზე ხშირად ამ ტიპის შინაარსები ყალიბდება არაპირდაპირი ასოციაციური გზით, მათ შორის სტაბილური სემანტიკური საყრდენების მეშვეობით, რომლებიც აღიარებულია მოცემულ საზოგადოებაში (ჯგუფში) სიმბოლოებად - პრეცედენტული ცოდნის მატარებლებად. (Martin / მარტინი, 2000).

ზოგადად ლინგვისტიკის და კერძოდ ენის ღირებულებითი განზომილების ლინგვისტური ანალიზის ანთროპოცენტრიზმი იძლევა შინაარსისადმი როგორც სუბიექტურ, ისე ობიექტურ მიდგომათა გამოყენების შესაძლებლობას ტექსტისადმი-დისკურსისადმი სუბიექტზე

ცენტრირებული მიდგომის ფარგლებში. აღნიშნულ მიდგომაში დომინირებს იდეა იმის შესახებ, რომ ტექსტს აგენერირებს ადამიანი, რომელიც აკონსტრუირებს საკუთარ თავს სუბიექტად „ენის მისაკუთრების“ მომენტში.

რამდენადაც შინაარსთა სამყარო არალინეარულია, მისი ინტერპრეტაციისას აუცილებელია აზრის წვდომის ჰერმენევტიკული პროცედურების გამოყენება. აზრის წვდომა შესაძლებელია, უპირველეს ყოვლისა, რელევანტურობის პრინციპისა და აქსიოლოგიური ინტერპრეტაციის ნორმის გათვალისწინების გზით. აქსიოლოგიური ინტერპრეტაცია იძლევა კონცენტრირების საშუალებას როგორც შინაარსის, ისე გამოხატვის პლანზეც.

2.4. აქსიოლოგიური ანალიზის ფსიქოლინგვისტური მიმართულება

ანთროპოცენტრული ლინგვისტიკის თითოეული მიმართულება ფუნდამენტურად მიმართულია ფრაზაში „ადამიანი ენაში და ენა ადამიანში“ ასახული სიმბიოზური ურთიერთობის კვლევისა და ინტერპრეტაციისკენ. აღნიშნული ანთროპოცენტრული პერსპექტივა აჩენს ახალ სამეცნიერო გამოწვევებს, ვინაიდან ანთროპოცენტრიზმის კვლევა საჭიროებს არა მხოლოდ ახალი აღწერითი მეთოდოლოგიების შემუშავებას, არამედ ენობრივი ცნობიერების ფენომენის შესწავლისადმი ინოვაციური მიდგომების დანერგვასაც. (დეიმზი, ზენერი & ჰეილენი, 2015).

ენობრივი ანთროპოცენტრიზმის ფუნდამენტური დებულება შეიძლება ლაკონურად ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: სამყარო აღიქმება როგორც ფაქტების ერთიანობა და არა მხოლოდ ობიექტთა უბრალო ერთობლიობა, რომლის კვლევა მიზნად ისახავს მისი არსის - სემანტიკური ბირთვის - გააზრებას. აღნიშნული პარადიგმა მოითხოვს, რომ თანამედროვე ლინგვისტიკამ განაგრძოს საკუთარი კვლევის საზღვრების გაფართოება და საკუთარი მეთოდოლოგიური შეზღუდვების გადალახვა.

თანამედროვე ლინგვისტიკის სფეროში, ანთროპოცენტრული პარადიგმის ფარგლებში, ჩამოყალიბდა მრავალი კვლევითი მიმართულება, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ფსიქოლინგვისტიკა.

ლექსიკოგრაფიულ წყაროებზე დაფუძნებული ინფორმაცია ხშირად ვერ უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ და სანდო ლექსიკურ მონაცემთა ბაზის ფორმირებას, რომელიც სრულად

ასახავს ენის მრავალფეროვან და დეტალიზირებულ პოტენციალს. ამ კონტექსტში, კონცეპტის ასოციაციური განზომილების განვითარება გადამწყვეტ როლს ასრულებს კონცეპტთან დაკავშირებული შინაარსობრივი პოზიციების, აგრეთვე კონკრეტული ლექსემის მნიშვნელობათა განსაზღვრაში - მშობლიური ენის მატარებელთა კოგნიტური სტრუქტურებისა და მნიშვნელობათა რთული იერარქიის კონტექსტში.

თანამედროვე ლინგვისტიკის ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანათა შორის იკვეთება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა სამეტყველო ქცევის შესწავლა. თითოეულ ხალხს, თითოეულ ერს გააჩნია საკუთარი წარმოდგენები მის გარშემო არსებულ სამყაროზე, ადამიანებზე, ღირებულებებზე, საკუთარ თავზე.

თითოეული ეთნოსი უნივერსალური ადამიანური ღირებულებების მატარებელია. აღნიშნული ღირებულებები თავდაპირველად ეროვნულ ფორმებშია რეპრეზენტირებული. ენა, როგორც ერის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი, გამოხატავს მასზე მოლაპარაკე ხალხის კულტურას, ე.ი. ეროვნულ კულტურას.

ამავე დროს, ენა წარმოადგენს გონების განუყოფელ და ორგანულ კომპონენტს - ენა მჭიდროდაა დაკავშირებული ცნობიერებასთან. სწორედ ამ ორ ცნებას შორის არსებულმა მიმართებამ შეუწყო ხელი ტერმინის „ენობრივი ცნობიერება“ გაჩენას.

ენობრივი ცნობიერება განიმარტება, როგორც ეთნოსის გარემომცველ სამყაროსთან ადაპტაციის მექანიზმი, როგორც სამყაროს ხატი (გამოსახულება), რომელიც დეტერმინირებულია კონკრეტული ხალხის ენასა და კულტურაში აკუმულირებული სივრცითი, მიზეზობრივი, ემოციური და სხვა ტიპის კავშირებით.

ენობრივი ცნობიერება ასევე გააზრებულია, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების არსებითი ნაწილი. აქედან გამომდინარე, ენობრივი ცნობიერება, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ნაწილი, მჭიდროდაა დაკავშირებული ეროვნულ ცნობიერებასთან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ენობრივი ცნობიერება ეთნიკურადაა დეტერმინირებული. (Tomasello / ტომასელო, 1999).

ენობრივ ცნობიერებაში არსებობს კატეგორიები, რომლებიც უნივერსალურია და, ამავე დროს, ეთნოსპეციფიკურია თავისი შინაარსით. სწორედ ამ კატეგორიათა თავისებური

კონფიგურაცია განსაზღვრავს კულტურის ტიპს, სამყაროს ეროვნული ხატების სპეციფიკას. უნივერსალური და, ამავე დროს, თავისი შინაარსით ეთნოსპეციფიკური კატეგორიები ენაში პოულობენ გამოხატულებას. ამ ტიპის ბაზისური კატეგორიები მოიცავენ შეფასებას, რომელიც მათებს სამყაროს იდეალიზირებულ ტონებს და გარკვეულ მოდალობას ანიჭებს ადამიანის მიერ სამყაროს აღქმას. (ვიეუბიცკა, 1996).

შეფასების ექსპლიკაცია აყალიბებს ეროვნულ ენაში კონკრეტული ხალხის სამყაროს ღირებულებით სურათს, რომლის სიღრმეშიც ძვეს ეთნოკულტურული ცნობიერება.

სამყაროს ნებისმიერი ხატი წარმოადგენს ადამიანის სამყაროსადმი დამოკიდებულების შედეგს; იგი ადგენს სამყაროში ადამიანის ქცევის ნორმებს. ყოველი ბუნებრივი ენა აფიქსირებს კოლექტიურ სტერეოტიპულ და ეტალონურ (სტანდარტულ) იდეებს, ახდენს ადამიანის ცნობიერების ინტერპრეტაციული საქმიანობის ობიექტივაციას. (Aitchison / ეიჩისონი, 2012).

ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის სამყაროს ხატი ხდება ეროვნულ-კულტურული სტერეოტიპების საფუძველი. აღნიშნულ სტერეოტიპთა ანალიზი ხელს უწყობს სხვადასხვა ხალხის ეროვნულ კულტურებს შორის არსებულ სხვაობათა გამოვლენას, სხვადასხვა ხალხის ღირებულებითი ორიენტაციების დადგენას.

აქსიოლოგიური ლინგვისტიკის თვალსაზრისით, ენობრივი ცნობიერება განიხილება, როგორც ცნობიერების ერთ-ერთი სახეობა, რომელიც წარმოადგენს სამეტყველო ქმედების მართვის მექანიზმს. სხვადასხვა კულტურული საზოგადოების ენობრივი ცნობიერების შესწავლა, სამყაროს შესახებ მათ წარმოდგენათა შედარების გზით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანთა საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე, როდესაც ეთნიკური კონტაქტების გაფართოება ავლენს შედარებულ კულტურათა შორის არსებულ სხვაობებს. ენობრივი ცნობიერების კვლევა, ჩვენი აზრით, უნდა დაიწყოს ამა თუ იმ ობიექტისადმი, ფენომენისადმი ღირებულებითი დამოკიდებულების ანალიზით.

ადამიანი ცხოვრობს კულტურის სამყაროში და მისი არსებობა წარმოუდგენელია ღირებულებების, ღირებულებითი ორიენტაციებისა და მოთხოვნილებათა სისტემის მიღმა. სამყაროსთან ადამიანის ურთიერთობის სპეციფიკა იმგვარია, რომ ადამიანები ყოველთვის

განიხილავდნენ ობიექტებს, ფენომენებს, პროცესებს, სხვა ადამიანებს და საკუთარ თავს არანეიტრალურად - ადამიანები ყოველთვის აფასებდნენ ობიექტებს, ფენომენებს, პროცესებს, სხვა ადამიანებს და საკუთარ თავს სიმართლის თუ სიცრუის, სიკეთისა თუ ბოროტების, მშვენიერებისა თუ სიმახინჯის, სამართლიანობისა თუ უსამართლობის პოზიციიდან. (Brentano / ბრენტანო, 1969; Hegel / ჰეგელი, 1991; Foot / ფუტი, 2001).

ღირებულებათა სამყარო, უპირველეს ყოვლისა, კულტურის სამყაროა ამ სიტყვის ფართო გაგებით. ღირებულებათა სამყარო წარმოადგენს ადამიანის სულიერი საქმიანობის, მისი მორალური ცნობიერების, მის მიერ განხორციელებულ შეფასებათა სფეროს. კაცობრიობის ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ნებისმიერ დროს პრიორიტეტულია ზოგადსაკაცობრიო უნივერსალური ღირებულებები, რომლებიც ითვლება მეტ-ნაკლებად სტაბილურ წარმონაქმნებად. (მარტინი & ვაითი, 2005).

კულტურული მნიშვნელობის მიხედვით, ღირებულებები შეიძლება განლაგდეს შესაბამის აღმავალ რიგში, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ იერარქიას.

ღირებულებები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ზოგი მათგანი ასოცირდება ადამიანის უმაღლეს სულიერ მოთხოვნილებებთან, ზოგი კი - უშუალოდ ადამიანის მატერიალურ ყოფასთან (არსებობასთან). (Gewirth / გევრითი, 1978).

რაც უფრო მაღალია იერარქიის საფეხური, რომელზეც განთავსებულია ობიექტში განსახიერებული ღირებულება, მით უფრო მაღალია ამ ობიექტის კულტურული მნიშვნელობა. და პირიქით, თუ ობიექტი კარგავს მის თანდაყოლილ ღირებულებას, მაშინ იგი კარგავს კულტურის ობიექტის სტატუსსაც. სხვადასხვა კულტურის მატარებელთა მეტალინგვისტური ცნობიერების ფარგლებში გამოვლენილ ღირებულებათა იერარქიის პრობლემები აქსიოლოგიური ლინგვისტიკის ობიექტია.

ცნობილია, რომ ენობრივი ცნობიერების არსებობის ერთ-ერთი მთავარ ფორმას წარმოადგენს სამყაროს ვერბალური ასოციაციებით ობიექტივირებული ხატები.

ვერბალური ასოციაციები ყალიბდება ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტების მსვლელობისას, სადაც მშობლიური ენის მატარებელი წარმოადგენს არა მხოლოდ ინფორმანტს, რომელიც ახდენს საკუთარი ენობრივი ცოდნის რეპრეზენტაციას, არამედ -

სუბიექტსაც, რომელსაც გააჩნია საკუთარი ღირებულებების სისტემა და მოტივები. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა აქსიოლოგიური ლინგვისტიკის ფსიქოლინგვისტური მიმართულების შემუშავება, რომელიც ორიენტირებულია ასოციაციური ექსპერიმენტის მეთოდის გამოყენებაზე.

ენობრივი ცნობიერების კვლევისადმი ფსიქოლინგვისტური მიდგომა ეფუძნება ასოციაციის ცნებასა და სიტყვის ასოციაციურ მნიშვნელობას. ასოციაცია განისაზღვრება, როგორც გარკვეულ სუბიექტებსა თუ ფენომენებს შორის არსებული კავშირი. (Deese / დიზი, 1965). აღნიშნული კავშირი ეფუძნება ინდივიდის პირად, სუბიექტურ გამოცდილებას. ეს გამოცდილება შეიძლება ემთხვეოდეს კიდეც იმ კულტურის გამოცდილებას, რომლის მატარებელიცაა ინდივიდი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოცდილება ყოველთვის პირადია - იგი ეფუძნება ინდივიდის წარსულ გამოცდილებას. ამრიგად, ასოციაციების კვლევისას ჩვენ ვეხებით ადამიანის ფსიქიკის არაცნობიერ, ღრმა ფენას.

ასოციაციური მეთოდი შეიძლება ჩაითვალოს მოცემული კულტურისა და ენისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ცნობიერების „ასოციაციურ პროფილად“, რომელიც აერთიანებს კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის ცოდნასა და სენსორულ გამოცდილებას.

ასოციაციური ექსპერიმენტის მეთოდის გამოყენების შედეგად შესაძლებელია მონაცემების მოპოვება ენობრივი ნიშნის ეროვნულ-კულტურული მარკირებულობისა და ეთნო-ლინგვისტური ცნობიერების სპეციფიკის თაობაზე. ასოციაციური ექსპერიმენტის შედეგები შეიძლება განიმარტოს, როგორც შესადარებელ ლინგვოკულტურათა წარმომადგენლების ენობრივი ცნობიერების ხატთა ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის ობიექტივაცია. სწორედ ეს ხატები ასახავენ სამყაროს შესაბამის ენობრივ სეგმენტებს.

ფსიქოლინგვისტური ასოციაციური ექსპერიმენტის გამოყენება ენობრივი ცნობიერების ეროვნულად დეტერმინირებული აქსიოლოგიური სტერეოტიპების იდენტიფიცირების მიზნით იძლევა ენობრივ ერთეულთა შორის ცნობიერებაში აკუმულირებული კავშირების რეკონსტრუქციის, ასევე ენობრივ ერთეულთა ურთიერთქმედების სპეციფიკის გამოვლენის საშუალებას ინფორმაციის გააზრების, შენახვისა და პროდუცირების პროცესებში.

თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის ჩატარების მეთოდიკა დეტალურადაა აღწერილი ბევრ ფსიქოლინგვისტურ კვლევაში. უნდა თქვას, რომ ამ ტიპის ექსპერიმენტის ჩატარება არ არის დაკავშირებული განსაკუთრებულ სირთულეებთან. სირთულეს წარმოადგენს ასოციაციური ველების ანალიზის სწორი მეთოდების შერჩევა და ექსპერიმენტული მონაცემების ადეკვატური და მრავალმხრივი ინტერპრეტაცია.

ცნობილია, რომ ასოციაციური ექსპერიმენტის შედეგების ინტერპრეტაციისას მხედველობაში მიიღება როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მახასიათებლები. რაოდენობრივი ანალიზი ითვალისწინებს რეაქციათა სტერეოტიპულობის დონეს, სიტყვა-სტიმულზე სხვადასხვა რეაქციათა რაოდენობასა და რეაქციების გაჩენის ალბათობას. თვისებრივი ანალიზის არსი მდგომარეობს ასოციაციური ველის სტრუქტურის რეკონსტრუქციაში. ასოციაციური ველის სტრუქტურის სპეციფიკა განპირობებულია ველის ელემენტთა შორის არსებული ასოციაციური კავშირის ტიპისა და შინაარსის თავისებურებით. ხშირად სწორედ თვისებრივი ანალიზი იწვევს სირთულეებს. (Fitzpatrick / ფიცპატრიკი, 2007, გვ. 319–331)

თანამედროვე კვლევებში მოიპოვება ასოციაციური რეაქციების მრავალი კლასიფიკაცია. არსებული კლასიფიკაციები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმ საფუძველით, რომელსაც ისინი ეყრდნობიან. ეს შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური, ლინგვისტური, ლოგიკური, ფსიქოლინგვისტური და ა.შ. საფუძველი. (Postman & Keppel / პოსტმანი & კეპელი, 1970; Cramer / კრამერი, 1968).

ასოციაციების არსებულ კლასიფიკაციათა დეტალურად გაანალიზების შემდეგ, მივედით დასკვნამდე, რომ თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის შედეგების თვისებრივი ანალიზის პრობლემა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გადაჭრილი და ასოციაციების ერთგვარი იდეალური - არაწინააღმდეგობრივ და თანმიმდევრულ პრინციპზე დაფუძნებული - კლასიფიკაციის აგება შეუძლებელია, უფრო მეტიც, ამ ტიპის კლასიფიკაციის აგება არც არის საჭირო, ვინაიდან ასოციაციების არაწინააღმდეგობრივი და თანმიმდევრული პრინციპის მიხედვით განაწილების პრობლემა პირდაპირ კავშირშია ასოციაციური კავშირის არსის დადგენის პრობლემასთან.

ცხადია, რომ ასოციაციების აქტუალიზაციის პროცესების აღწერა, რომლებსაც ადგილი აქვს თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის დროს, შეუძლებელია მხოლოდ ლინგვისტური,

ლოგიკური, ფსიქოლინგვისტური ან ფილოსოფიური კატეგორიებით. ამავე დროს, აუცილებელია იმის გათვალისწინება, თუ რა არის „ჩადებული“ თავად „ასოციაციის“ ცნებაში - თავად ვერბალური რეაქცია, თუ კავშირი, რომელიც წარმოიქმნება სტიმულსა და რეაქციას შორის. უნდა ითქვას, რომ ასოციაციური სტრუქტურის სამივე კომპონენტის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ასოციაციური ტრიადის ანალიზზე დაფუძნებული კლასიფიკაცია, როგორც წესი, უფრო ეფექტურად „მუშაობს“ და შეუძლია მნიშვნელოვნად გააფართოოს კვლევის ობიექტი.

არსებული კლასიფიკაციების, ასევე ამ კლასიფიკაციებზე დაფუძნებული კვლევების დეტალურმა ანალიზმა მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ყველა კლასიფიკაციას გააჩნია საერთო მახასიათებლები და, ზოგადად, ერთმანეთს ემთხვევა თითოეული მათგანის საკლასიფიკაციო ასპექტები.

ყოველი კლასიფიკაცია ითვალისწინებს სტიმულსა და რეაქციას შორის არსებული კავშირის ხასიათს და სწორედ ამის საფუძველზე გამოიყოფა ჯგუფები, კლასები თუ ნიშნები, რომელთა მიხედვითაც ხდება ასოციაციური ექსპერიმენტის შედეგად მიღებული ასოციაციების ანალიზი. კლასიფიკაციის ტიპებად დიფერენცირების ძირითად პრინციპს ყველა კლასიფიკაციაში წარმოადგენს ან ფორმალური კავშირის (რეაქციები სემანტიკურად არ უკავშირდება სტიმულს) ან სემანტიკური კავშირის (რეაქციები სემანტიკურად დაკავშირებულია სტიმულთან) პრინციპი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ასოციაციური რეაქციების ანალიზისას, კონკრეტული კლასიფიკაციის შერჩევა დამოკიდებულია კვლევის მიზანსა და ასოციაციური ექსპერიმენტის შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემების რაოდენობაზე.

ამრიგად, ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს ენობრივი ცნობიერების ეროვნულად დეტერმინირებული აქსიოლოგიური სტერეოტიპების გამოვლენა რამდენიმე ბაზისური კონცეპტის მაგალითზე. შესაბამისად, კვლევის შედეგების აღწერისა და ინტერპრეტაციისას, ნაშრომში გამოყენებულია რეაქციათა ორი ტიპის კლასიფიკაცია: ფორმალური და სემანტიკური. პირველი კლასიფიკაცია ითვალისწინებს კავშირის ხასიათს, მეორე კლასიფიკაცია კი ეფუძნება კავშირის შინაარსს. ეს უკანასკნელი გამოიყენება სამყაროს

ხატისა და ენობრივი ცნობიერების რეკონსტრუქციისათვის. (Szalay & Deese, / სზალაი & დიზი, 1978).

ფორმალურ მიმართებათა მიხედვით განხორციელებული კლასიფიკაციისას გამოიყოფა ასოციაციების მხოლოდ ორი ძირითადი (ტრადიციული) - პარადიგმატული და სინტაგმატური - ტიპი კავშირის ხასიათის მიხედვით. ასოციაციების პირველი ტიპი გვაწვდის ინფორმაციას მშობლიური ენის მატარებლის ცნობიერებაში არსებული კონცეპტების პარადიგმატიკის შესახებ, ხოლო მეორე ტიპი კი იძლევა ინფორმაციას ერთეულთა შეთანხმებისა და სიტყვა-სტიმულების კონტექსტური გარემოს მახასიათებელთა შესახებ.

სემანტიკური კლასიფიკაციისას გამოიყოფა რეაქციათა სამი ტიპი:

1. რეაქციები, როგორც სემანტიკური მნიშვნელები, რომლებიც იძლევიან სტიმულსა და რეაქციას შორის არსებული საერთო სემანტიკური კომპონენტების იდენტიფიცირებისა და ნებისმიერი კონცეპტის ცნებობრივი კომპონენტის ასახვის საშუალებას;
2. ემოციურ-შეფასებითი კონოტაციის მქონე რეაქციები, რომლებშიც გამოხატულია ინფორმანტების დამოკიდებულება მათთვის შეთავაზებული სტიმული-კონცეპტისადმი;

თითოეული კონცეპტი, გარდა შინაარსისა, მოიცავს შეფასებასაც, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს ემოციას - ინდივიდის სუბიექტურ-შეფასებით დამოკიდებულებას გარკვეული ობიექტის ან ფენომენისადმი. ამ ტიპის რეაქციებში ერთიანდება შეფასებითი ან აქსიოლოგიური სტერეოტიპები, ე.ი. სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ ნიშანთა სტანდარტულ ერთობლიობას. ადამიანის ან მთელი სოციალური თვალსაზრისით, ნიშანთა ეს ერთობლიობა უნდა ახასიათებდეს კონცეპტს ან პიროვნებას. ერთი სიტყვით, მახასიათებლების ეს სტანდარტული ნაკრები საერთოა მოცემული საზოგადოების ყველა ან უმეტესი წევრისთვის. მაშასადამე, ემოციურ-შეფასებითი კონოტაციის მქონე რეაქციები წარმოადგენენ ნებისმიერი კონცეპტის ემოციურ-შეფასებით ან ღირებულებით კომპონენტს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გვევლინებიან კონცეპტის აქსიოლოგიურ კომპონენტად.

3. სტიმულით დასახელებულ ობიექტთა ფუნქციონირების სფეროს ამსახველი რეაქციები. აღნიშნული ტიპის რეაქციებში გაერთიანდა ის სიტყვები, რომლებშიც ასახულია საკვლევ კონცეპტთა ფუნქციონირების ტიპური სიტუაციები.

ამ ტიპის რეაქციები წარმოადგენენ კონცეპტის ფიგურალურ (ხატობრივ) კომპონენტს. უნდა აღინიშნოს, რომ კონცეპტთა ხატობრივი კომპონენტის ანალიზი თითქმის ყოველთვის ასოცირდება მათი ღირებულებითი მნიშვნელობის იდენტიფიცირებასთან კონკრეტული ხალხის მიერ კონსტრუირებულ სამყაროს მოდელში. ეს კი განპირობებულია შემდეგი ფაქტით: ხატობრიობას, ისევე როგორც შეფასებას, გააჩნია ერთიანი ონტოლოგიური ბუნება - ორივე გამოხატავს ადამიანის სუბიექტურ დამოკიდებულებას ფენომენის, ობიექტისა თუ კონცეპტისადმი. (ვაითი, 2015).

ცნებათა განმარტებები, რომლებიც აკუმულირებულია ეთნიკური ჯგუფის ენობრივ ცნობიერებაში, მოიცავს მრავალ ნიშანს და ძირეულად განსხვავდება ლექსიკოგრაფიულ წყაროებში ფიქსირებული მონაცემებისაგან - ლექსიკოგრაფიულ წყაროებში არ არის მოცემული კონცეპტთა მეტად მნიშვნელოვანი კომპონენტები, კერძოდ კი, ღირებულებითი და ხატობრივი კომპონენტები.

ამრიგად, აქსიოლოგიური ლინგვისტიკის ფსიქოლინგვისტური მიმართულების შემუშავება, რომელიც ორიენტირებულია ასოციაციური ექსპერიმენტის მონაცემთა გამოყენებაზე, შესაძლებელს ხდის იმის განსაზღვრას, თუ:

1. როგორია სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა შეფასებითი დამოკიდებულება კონკრეტული ობიექტისა თუ ფენომენის მიმართ;
2. როგორაა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა ენობრივ ცნობიერებაში წარმოდგენილი ეს დამოკიდებულება;
3. როგორ აღიქვამენ და აფასებენ ადამიანები ამა თუ იმ ობიექტს ან ფენომენს. (Bartlett / ბარტლეტი, 1932)

თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის ჩატარება და სტატისტიკური მონაცემების დამუშავება იძლევა იმის განსაზღვრის საშუალებას, თუ რა არის ღირებული ან არაღირებული კონკრეტული ეთნიკური ჯგუფისათვის.

ამრიგად, ფსიქოლინგვისტური მეთოდოლოგიის ფარგლებში, კონცეპტები აღიქმება, როგორც დინამიური ერთეულები, რომლებიც წარმოქმნიან სეგმენტირებულ ასოციაციურ განზომილებებს. ამ განზომილებებში გამოვლენილი კომბინაციების რთული ურთიერთქმედება იძლევა ღრმა კოგნიტური ხედვების მრავალფეროვანი სპექტრის გამოვლენის შესაძლებლობას, კერძოდ:

1. მკაფიოდ იკვეთება კონცეპტების თანამედროვე აღქმის დეტალისტური თავისებურებები, რომლებიც დამახასიათებელია მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთა კოგნიტური ცნობიერებისთვის.
2. ენობრივი ცნობიერების არსი განიცდის ცვლილებებს, რომელთა ადაპტაცია რთულად ხორციელდება განვითარებად ექსტრალინგვისტურ რეალობებთან.

ჩვენი პოზიცია ეფუძნება მოსაზრებას, რომ ასოციაციურმა განზომილებამ უნდა:

1. ჩამოაყალიბოს ყოვლისმომცველი თეორიული ჩარჩო, რომელიც ასახავს ხატოვანი სტრუქტურების რთულ ქსელს და მათ შორის არსებულ დინამიურ ურთიერთქმედებას;
2. გამოავლინოს კონკრეტული ეთნიკური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სამყაროს აღქმისა და ინტერპრეტაციის მოდელები;
3. გააერთიანოს ენობრივი და ექსტრალინგვისტური სინთეზის სფეროები და შექმნას ერთიანი სემანტიკური სისტემა, რომელიც სცილდება მხოლოდ ენის საზღვრებს;
4. მოიცავდეს მრავალმხრივ კომპონენტებს - მათ შორის ენის ცოდნას, ექსტრალინგვისტურ ცოდნას (სიტუაციურ კონტექსტსა და მიმდების პერსპექტივასთან დაკავშირებულს) და ზოგად კოგნიტურ ცოდნას.

ცოდნის ამ მრავალფეროვანი ფორმების შეუფერხებელი ინტეგრაცია, ადამიანის აღქმის მრავალმხრივ ასპექტებთან თანხვედრაში, ქმნის ინდივიდუალური და კოლექტიური არსებობის რთულ კოგნიტურ ქსელს, რომელიც განსაზღვრავს ენობრივი ცნობიერების განვითარების ბუნებასა და მის სოციალურ განზომილებას.

ასოციაციური განზომილების მოდელირება ეფუძნება რამდენიმე ფუნდამენტურ პრინციპს, რომლებიც განსაზღვრავენ სისტემის შიდა სტრუქტურას, ფუნქციონირებასა და ელემენტებს შორის ურთიერთკავშირს. ეს პრინციპებია:

1. შესაბამისობა სტრუქტურული რეგულარობის მეშვეობით;

თითოეული შემადგენელი ნაწილის მნიშვნელობა განისაზღვრება იმ რეგულარული კანონზომიერებებით, რომლებიც ახასიათებს მთელ სტრუქტურას. შესაბამისად, ელემენტის მნიშვნელობა განუყოფლად არის დაკავშირებული სისტემის საერთო თანმიმდევრულობასთან და განისაზღვრება მისადმი შეტანილი წვლილის მიხედვით.

2. ელემენტარული დეტერმინიზმი;

ასოციაციური განზომილების თითოეული ელემენტი განისაზღვრება სხვა ელემენტებთან ურთიერთქმედების შედეგად. სისტემური დინამიკა განსაზღვრავს ინდივიდუალური კომპონენტების თვისებებსა და მახასიათებლებს, რითაც ხაზგასმულია მათი ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთგანპირობებულობა. შედეგად, ასოციაციური განზომილება განიხილება როგორც თვითრეგულირებადი სტრუქტურა, რომლის შიდა ბალანსიც ემყარება ურთიერთქმედებით ფორმირებულ კანონზომიერებებს.

3. ორგანული გამოყოფის პრინციპით მართვა;

ასოციაციური განზომილება უნდა ეფუძნებოდეს ორგანული გამოყოფის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ თითოეული ელემენტი ინარჩუნებს თავის უნიკალურობას სისტემის ჰოლისტურ კონტექსტში. აღნიშნული გამოყოფა უზრუნველყოფს ინდივიდუალური წვლილის მკაფიო დიფერენცირებას საერთო სტრუქტურაში, ამავდროულად კი უწყობს ხელს მთლიანობის ჰარმონიის შენარჩუნებას.

4. შემადგენელი ელემენტების ორმხრივი გავლენა

ასოციაციური განზომილების ორგანული ერთობა ეფუძნება ელემენტებს შორის ორმხრივ გავლენასა და დინამიურ ურთიერთქმედებას. თითოეული ელემენტი არა მხოლოდ განიცდის სხვა ელემენტების ზეგავლენას, არამედ თავადაც აქტიურად ცვლის სისტემის

ზოგად დინამიკას. ამგვარი ორმხრივი ინტეგრაცია წარმოადგენს ასოციაციური განზომილების ფუნქციონირების არსებით მექანიზმს და განსაზღვრავს მის შიდა ბალანსს.

თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტებით მიღებული მონაცემების ანალიზი იძლევა შესაძლებლობას, გამოიკვეთოს არა მხოლოდ კონცეპტის ემპირიულად დადასტურებადი ფსიქოლოგიური შინაარსი, არამედ მისი ასოციაციური განფენილობის მრავალმხრივი სპექტრი. აღნიშნული ასპექტი არსებითად ასახავს იმ დინამიურ და სიცოცხლით სავსე ფსიქოლოგიურ სტრუქტურას, რომელიც განსაზღვრავს „ცოცხალი“ კონცეპტის არსს. (Bobrow, & Norman / ბობროუ & ნორმანი, 1975, გვ.131-149).

ენისა და მეხსიერების მკვლევრები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ვერბალურ ასოციაციებს, რადგან ისინი წარმოადგენენ არსებით ინსტრუმენტს ცოდნის სტრუქტურის შესასწავლად - იმ ცოდნის, რომელიც ყალიბდება გამოცდილების შედეგად და ენით გადაიცემა. (Grant & Dagenbach / გრანტი & დაგენბახი, 2000). ამასთან, ასოციაციათა ანალიზი იძლევა შესაძლებლობას, გამოიკვეთოს სიტყვებს შორის არსებული რთული ურთიერთობებისა და მათი დინამიური ურთიერთმოქმედების ბუნება.

სიტყვებს შორის არსებული ასოციაციური ჯაჭვები ასახავენ იმ სტრუქტურულ ურთიერთობებს, რომლებიც კონცეპტების შიდა ორგანიზაციას და მათ კოგნიტურ სტრუქტურას განსაზღვრავენ. ასოციაცია, როგორც შემეცნებითი სისტემის ერთ-ერთი ფუნდამენტური მექანიზმი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენობრივი ცოდნის ორგანიზებასა და ლექსიკური წვდომის პროცესებში (დიზი, 1965).

ვერბალური ასოციაციების ანალიზში ჩაღრმავება იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, გამოიკვეთოს ლექსიკური ცოდნის ორგანიზების რთული სტრუქტურები და უკეთ მოხდეს ადამიანის შემეცნებითი პროცესების სიღრმისეული ბუნების შესწავლა. ნაცნობ სიტყვებთან დაკავშირებული ასოციაციური ქსელები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მეხსიერების ეფექტურობაზე. (Nünning & Young / ნონინგი & იანგი, Erll / ერლი, 2008). ზოგიერთი მეცნიერის თვალსაზრისით, ვერბალურ ასოციაციებს გააჩნიათ პროგნოზირების უნარი ეპიზოდურ მეხსიერებაში სემანტიკური სიახლოვის ეფექტების წინასწარ განსასაზღვრად.

კონცეპტის გარშემო ასოციაციური განზომილების კონსტრუქცია წარმოადგენს მეთოდოლოგიურ საშუალებას, რომლის მეშვეობითაც კონცეპტის შინაარსი აღიქმება როგორც კონკრეტული ფსიქოლოგიური ერთეული. აღნიშნული პროცესი მოიცავს კონცეპტის შინაარსში ინტეგრირებული როგორც სტაბილური, ისე ცვალებადი კომპონენტების სისტემატურ იდენტიფიკაციას.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ სიტყვები და კონცეპტები ადამიანის ცნობიერებასა და მეხსიერებაში არ არსებობენ იზოლირებულად. ენობრივ და კონცეპტუალურ ერთეულებს შორის არსებული კავშირები ზოგჯერ შეიძლება მოჩვენებითად არაპროგნოზირებად ან პარადოქსულად აღიქმებოდეს. მიუხედავად ამისა, ენისა და აზროვნების ფუნქციონირების სპეციფიკა სწორედ ამ პარადოქსებსა და წინააღმდეგობებში ვლინდება.

ვერბალური ასოციაციების კვლევა საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს სემანტიკური ურთიერთობების რთული ქსელები, დაფუძნებული ისეთ ასოციაციურ ტიპოლოგიებზე, როგორიცაა მსგავსება, მომიჯნაობა და კონტრასტი. (Clark / კლარკი, 1970).

თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის საშუალებით ენობრივი ცნობიერების კვლევას შეუძლია რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზნის მიღწევა:

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სიღრმისეულ გაგებას, თუ როგორ აღიქვამენ თანამედროვე მშობლიური ენაზე მოსაუბრეები კონკრეტულ ცნებებს, რითაც ფარდა ეხდება ენობრივ ცნობიერებაში არსებულ დინამიურ კოგნიტურ ჩარჩოებს;

კვლევა ეფექტურად ასახავს ენობრივი ცნობიერების ადაპტაციურ და დინამიურ ბუნებას, რითაც გამოიკვეთება მისი უნარი მოერგოს და რეაგირება მოახდინოს ცვალებად ექსტრალინგვისტურ გარემოზე;

ექსპერიმენტული მიდგომა საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს ენობრივი ცნობიერების რთული დინამიკა, რაც გვაძლევს სიღრმისეულ ხედვას მნიშვნელობის, კონცეპტისა და მათი სხვადასხვა ასპექტების ურთიერთკავშირის რთულ მექანიზმებზე;

ექსპერიმენტული მიდგომა საშუალებას იძლევა გამოკვეთოს ენას, შემეცნებასა და კულტურულ დინამიკას შორის არსებული რთული ურთიერთქმედება, რაც ფასდაუდებელ

ინფორმაციას გვთავაზობს იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამენ ინდივიდები გარკვეულ კონცეპტებს და როგორ ადაპტირებენ მათ ცვალებადი სოციალური და კულტურული კონტექსტების პირობებში.

ასოციაციური განზომილების მოდელირება შესაძლებელს ხდის იდენტიფიცირდეს კონკრეტული ეთნიკური საზოგადოების ენობრივი სენსუალობის როგორც სტაბილური, ასევე ცვალებადი კომპონენტები. შესაბამისად, ასოციაციური განზომილების კონსტრუირება წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს კონკრეტული საზოგადოების ენობრივი სენსუალობის სიღრმისეული სტრუქტურების კვლევისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ასოციაციური განზომილება გვევლინება მნიშვნელოვან ანალიტიკურ ინსტრუმენტად კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის უნიკალური ენობრივი ცნობიერების გამოსაკვეთად, მისი მნიშვნელობა არ შემოიფარგლება ადამიანის ვერბალური მეხსიერების ცალკეული ფრაგმენტებით. იგი ასევე მოიცავს იმ კოლექტიური მსოფლმხედველობის კომპონენტებს, რომლებიც ასახულია ეთნიკური საზოგადოების ენობრივ ცნობიერებაში.

თავი III. ეროვნული ენის ფრაზეოლოგიური სისტემის ღირებულებითი პოტენციალი

3.1. ფრაზეოლოგიაში ობიექტივირებული ღირებულებები

ამჟამად ჰუმანიტარულ კვლევებში, ანთროპოცენტრიზმის იდეებზე, კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის დებულებებზე დაყრდნობით, აქტიურად ვითარდება ენის კვლევისადმი ლინგვოაქსიოლოგიური მიდგომა. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში, მნიშვნელობის ღირებულებითი ასპექტები განიხილება სამყაროს ეროვნულ ხატში კულტურის ფიქსირებულ კატეგორიათა გამოხატვის საშუალებად.

ეროვნული კულტურის ღირებულებები და იდეალები ობიექტივირდება ენობრივი შეფასების კატეგორიაში. სამყაროს ენობრივი კონცეპტუალიზაციის შედეგია მსოფლიოს ღირებულებითი ხატი, რომლის ფარგლებშიც კვლევას ექვემდებარება ღირებულებითი მნიშვნელობები და შინაარსები, როგორც აქსიოლოგიურად მარკირებულ კონცეპტთა სისტემა. (Dobrovol'skij & Piirainen / დობროვოლსკი & პირაინენი, 2005).

ლინგვოაქსიოლოგიის ცალკე ასპექტად განიხილება ეროვნული ენის ფრაზეოლოგიური სისტემის ღირებულებითი პოტენციალის კვლევა. ეს სრულიად ბუნებრივია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულების უმრავლესობა გამოხატავს, უპირველეს ყოვლისა, შეფასებას, როგორც გარე სამყაროზე ეთნოსის მენტალური რეაქციის გარკვეულ ტიპს. სწორედ ფრაზეოლოგიურ ერთეულებშია აღბეჭდილი ეთნოსის სულიერი მოღვაწეობის მთელი კომპლექსი, ეთნოსის მსოფლმხედველობა და ღირებულებათა სისტემა. (Bragina / ბრაგინა, Oparina / ოპარინა & Sandomirskaja / სანდომირსკაია, 1998).

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ეროვნულ-კულტურული მარკირებულობა გამოიხატება სიმბოლიკის დონეზე. ეს უკანასკნელი ემყარება სტანდარტებსა და სტერეოტიპებს და წარმოადგენს ეთნოსის კულტურული მეხსიერების ერთგვარ გასაღებს. (ვიეჟბიცკა, 1992). ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ეროვნულ-კულტურული მარკირებულობა ასევე ვლინდება მათი სემანტიკის კორელაციაში ეთნოსის სოციალურ-კულტურული და ისტორიული განვითარების, მისი სულიერი ევოლუციის თავისებურებებთან. (ვიეჟბიცკა, 1997). ეს აუცილებელს ხდის ფრაზეოლოგიური ერთეულების ფუნქციონირებისას დიაქრონიული თავისებურებების გათვალისწინებას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ისტორიულ-ლინგვისტურ ანალიზს. (გოდარდი, 2004, გვ. 1211–1230).

ინგლისურ ფრაზეოლოგიაში ეთნოსის ღირებულებათა გამოხატვის ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის, როგორც სამყაროს ენობრივი კონცეპტუალიზაციის განსაკუთრებული ტიპის აღწერა, მოითხოვს ანალიზისათვის კოგნიტური ლინგვისტიკის სამეცნიერო ინსტრუმენტების, კერძოდ კი, კოგნიტური ლინგვისტიკის მეთოდოლოგიისა და კონცეპტუალური ანალიზის მეთოდის გამოყენებას. (Moon / მუნი, 1998).

კვლევაში კონცეპტი გააზრებულია როგორც დისკრეტული მენტალური წარმონაქმნი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის სააზროვნო კოდის ძირითად ერთეულს. კონცეპტი ხასიათდება მოწესრიგებული შინაგანი სტრუქტურით და წარმოადგენს ადამიანის შემეცნებითი აქტივობის შედეგს, მოიცავს კომპლექსურ ენციკლოპედიურ ინფორმაციას საგნისა თუ ფენომენის შესახებ. კონცეპტში აღბეჭდილია საზოგადოებრივი ცნობიერების მიერ ამ ინფორმაციის ინტერპრეტაციისა და საგნისა თუ ფენომენის მიმართ საზოგადოებრივი ცნობიერების დამოკიდებულების სპეციფიკა.

კვლევაში ინგლისური ფრაზეოლოგიური ერთეულები განიხილება კოგნიტური მოდელირების რეფლექსებად. კვლევაში გამოყენებული კოგნიტური მოდელირების მეთოდი გულისხმობს ამა თუ იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულს მიღმა არსებული აქსიოლოგიურად მარკირებული კოგნიტური მოდელების გამოვლენას. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ეს კოგნიტური მოდელები ქმნიან ფრაზეოლოგიურ ერთეულთა დადებითი თუ უარყოფითი შეფასების ხასიათს.

ღირებულებათა ექსტრალინგვისტური კატეგორიის ენობრივი ობიექტივაცია თავის გამოხატულებას პოვებს ენობრივ შეფასებაში. ლინგვოკოგნიტურ ინტერპრეტაციაში შეფასება გააზრებულია როგორც სიტყვებით, ფრაზეოლოგიური ერთეულებით, სიტყვათშეთანხმებებით, კატეგორიებით, პროპოზიციებით და ა.შ. ვერბალიზებული შემეცნებითი ერთეულის მთლიანი კონცეპტუალური შინაარსის კომპონენტი. (დობროვოლსკი & პირაინენი, 2009, გვ. 13-32). შეფასება გამოხატავს შემფასებელი სუბიექტის დამოკიდებულებას გარესამყაროში არსებული შესაფასებელი ობიექტის მიმართ, აღნიშნული ობიექტის მახასიათებელთა შესაბამისობაში მოყვანის გზით მოცემულ ენობრივ სოციუმში დამკვიდრებულ ღირებულებათა სისტემასთან. ლინგვისტური შეფასების კატეგორიულ ნიშნებს წარმოადგენს ანთროპოცენტრულობა, შემეცნებითი ბუნება, პრაგმატიზმი, არარეფლექსურობა, სუბიექტურობა, კოგნიტური ხასიათი, ნორმატიულობა,

რეგულირებადობა და ბინარულობა. აქსიოლოგიური მნიშვნელობა გააზრებულია როგორც სამყაროსა და მის სტერეოტიპულ მოდელს - ნორმას შორის არსებული კავშირი, რომელიც ფიქსირებულია საზოგადოების წევრების ცნობიერებაში და რომელიც აყალიბებს ენობრივი ერთეულის აქსიოლოგიურ პოტენციალს.

აქსიოლოგიურად მარკირებული „ფრაზეოლოგიური კონცეპტის“, როგორც კოგნიტური მოდელის, მთლიანი კონცეპტუალური შინაარსი მოიცავს ღირებულებით კომპონენტს. თავის მხრივ, ელემენტებს, რომლებიც ქმნიან ფრაზეოლოგიური ერთეულის კონცეპტუალური შინაარსის ღირებულებით კომპონენტს, წარმოადგენენ შეფასებითი (კოგნიტური) ნიშნები.

კვლევაში გამოყენებული სინქრონულ-დიაქრონული მიდგომა, რომელიც ანალიზებს ფრაზეოლოგიური ერთეულების აქსიოლოგიურ დინამიკას, ენის ერთეულებისა და კატეგორიების შეფასების სფეროში მომხდარ ცვლილებებს ექსტრალინგვისტური და ინტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებით, ეფუძნება აქსიოლოგიური ნიშნების შინაარსის ინტრალინგვისტურ შეპირისპირებას საშუალო და თანამედროვე ინგლისურის ფრაზეოლოგიურ ერთეულებში. (Burger / ბარგერი, 2015).

სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებული თეორიებისა და მეთოდოლოგიის განხილვის შედეგებზე დაყრდნობით, ჩამოყალიბდა კვლევის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, თანდათან უნდა გამოიკვეთოს საშუალო და თანამედროვე ინგლისურის ფრაზეოლოგიურ ერთეულებში შეფასებითი (კოგნიტური) ნიშნები. (Langlotz / ლანგლოცი, 2006). ინგლისური ფრაზეოლოგიური ერთეულების ანალიზმა შესაძლებელი გახადა ღირებულებათა ენობრივი ობიექტივიზაციის სფეროში მნიშვნელოვანი მარკერის გამოვლენა, რომელიც დამახასიათებელია მსოფლიოს ენებისთვის, შესაბამისად კი, უნივერსალურია. საუბარია იმ ფაქტზე, რომ „სამყაროს ღირებულებით ხატში“ დადებითი შეფასების ნიშნები ჭარბობს უარყოფითი შეფასების ნიშნებს.

აღნიშნული მარკერის ინტერპრეტაცია ხდება სამყაროს ენობრივ ხატში ღირებულებითი სფეროს ორგანიზაციის თავისებურებათა ანალიზის გზით. დადებითი მახასიათებლები აღიქმება ნორმად და, შესაბამისად, ისინი არ დომინირებენ ეთნიკური ჯგუფის ენობრივ ინტენსიურ შემფასებლურ ქმედებაში. რაც შეეხება უარყოფით მახასიათებლებს, ეთნიკური ჯგუფი ცდილობს განახორციელოს მათი მაქსიმალურად დეტალური მარკირება, რათა მაქსიმალური სიზუსტით გამოკვეთოს და დააფიქსიროს ეთნოსის კოლექტიურ მემსიერებაში

ნორმიდან მნიშვნელოვანი გადახრის ზონები, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოტენციური რისკის ზონები. (Gibbs / გიბსი, 1995, გვ. 97-116).

საშუალო და თანამედროვე ინგლისურში ფრაზეოლოგიურ ერთეულთა დიაქრონიულმა შეპირისპირებამ გამოავლინა გარკვეული ტენდენციები კოგნიტური მოდელების აქსიოლოგიურ დინამიკაში. (Grant & Bauer / გრანტი & ბაუერი, 2004). ტენდენციათა იდენტიფიცირების შესაძლებლობა უზრუნველყო თვისებრივმა ანალიზმა, რომელმაც ცხადყო, რომ არსებობს მთელი რიგი შეფასებითი ნიშნები, რომლებიც გაჩნდნენ საშუალო ინგლისურში და რომლებიც ფიქსირდებიან თანამედროვე ინგლისურში. აქ საქმე გვაქვს შეფასების მუდმივ მახასიათებლებთან.

ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც აღწერენ ადამიანის შინაგანი სამყაროსათვის რელევანტურ კონცეპტებს, მოიცავენ მრავალ კონსტანტურ მახასიათებელს, კერძოდ კი, დადებითი შეფასების ისეთ კონსტანტურ ნიშნებს, როგორიცაა: „სისულელის, გულწრფელობის ამბივალენტურობა“ (კონცეპტები „სისულელე“ და „გონება“); „იღბლის ღირებულება“ (კონცეპტი „იღბალი“); „სიმართლის ძალა“ (კონცეპტი „სიმართლე“).

ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც აღწერენ ადამიანის შინაგანი სამყაროსათვის რელევანტურ კონცეპტებს, მოიცავენ უარყოფითი შეფასების კონსტანტურ ნიშნებსაც: „მეგობრობის დაკარგვა, მტრებისაგან მოსალოდნელი საშიშროება, ღალატი“ (კონცეპტები „მეგობრობა“ და „მტრობა“); „მოლაყბეობა, არაშორსმჭვრეტელობა, არაპრაქტიკულობა, საკუთარი თავის კონტროლის შეუძლებლობა, სიჯიუტე“ (კონცეპტები „სისულელე“ და „გონება“).

საშუალო და თანამედროვე ინგლისურის ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ობიექტივირებული კოგნიტური მოდელებისა და შეფასებითი ნიშნების კვლევამ გამოავლინა ინგლისურ ფრაზეოლოგიაში ობიექტივირებული რეპრეზენტატული თავისებურებები, რომლებიც იკვეთება აქსიოლოგიურ სფეროში და რომლებიც ასახავენ ფრაზეოლოგიური ერთეულების ეროვნულ-კულტურულ სპეციფიკას. ფრაზეოლოგიური ერთეულები ასახავენ ინგლისური კულტურის ძირითად ღირებულებებს, რომლებიც ტრადიციულად ასოცირდებიან პროტესტანტულ ეთიკასთან. აღნიშნული ღირებულებები გვევლინებიან დადებითი შეფასებით მარკირებულ წარმოდგენებად.

ნაშრომში შემუშავებულია კოგნიტური აქსიოლოგიური მოდელირების მეთოდოლოგია ინგლისური ენის ფრაზეოლოგიურ ერთეულებთან მიმართებაში, რაც მნიშვნელოვნად აფართოებს კოგნიტური კვლევის სფეროში არსებულ შესაძლებლობებს. აღნიშნული მეთოდოლოგია იძლევა ინგლისური ფრაზეოლოგიური ერთეულების შეფასებითი ნიშნების სხვადასხვა ასპექტის შესწავლის საშუალებას. ნაშრომში ინგლისური ფრაზეოლოგიის კვლევისათვის აგებულია მეთოდოლოგიური კოგნიტური ტრიადა „კონცეპტი - „მოდელი - ნიშანი“.

ნაშრომში გამოყენებული სინქრონულ-დიაქრონული მიდგომის ფარგლებში შესწავლილია კონცეპტთა აქსიოლოგიური პოტენციალი, რომელიც განსაზღვრავს საშუალო და თანამედროვე ინგლისურის ფრაზეოლოგიური ერთეულების ფუნქციონირებისა და მნიშვნელობის სპეციფიკას. (Omazić / ომაზიჩი, 2008, გვ. 67-79). სწორედ სინქრონულ-დიაქრონული მიდგომის გამოყენებამ უზრუნველყო ღირებულებათა სისტემის ენობრივი ობიექტივაციის დინამიკის განპირობებულობა ფრაზეოლოგიური ერთეულის ტიპით და ფრაზეოლოგიური ფონდის ისტორიული განვითარების თავისებურებით.

ანალიზის პირველ ეტაპზე, ინგლისური ენის ლექსიკონებზე დაყრდნობით, განხორციელდა ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ობიექტივირებული სამყაროს ენობრივი კონცეპტუალიზაციის აქსიოლოგიურად მარკირებული მოდელების დინამიკის სისტემური აღწერა. ლექსიკონებიდან შერჩეულ იქნა კონცეპტების რეპრეზენტანტი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანის შინაგანი სამყაროს მახასიათებლებს: „მტრობა“, „მეგობრობა“, „სისულელე“, „გონიერება“, „იღბალი“, „უიღბლობა“, „ტყუილი“, „სიმართლე“.

შეფასებითი ნიშნების კვლევისათვის ნაშრომში გამოყენებულია კონცეპტთა „ატომური“ ერთეულების შესწავლისადმი მრავალვექტორული მიდგომა. კონცეპტთა „ატომური“ ერთეულები საფუძვლად უდევს ფრაზეოლოგიური ერთეულების მნიშვნელობებს როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ კრილში. ანალიზმა ცხადყო, რომ ადამიანის შინაგანი სამყაროსათვის რელევანტური კონცეპტები, უმეტესად, ახდენენ ემოციური, სოციალური და ინტელექტუალური ხასიათის შეფასებათა ობიექტივაციას.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კვლევამ უზრუნველყო ინგლისური ენის ფრაზეოლოგიურ სისტემაში ღირებულებითი დომინანტების იდენტიფიცირება. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ღირებულებითი დომინანტები განსაზღვრავენ ეთნოსის ენობრივი ხატის კონფიგურაციას.

კვლევისათვის ფუნდამენტურია შემდეგი დებულებები:

1. ინგლისური ენის ფრაზეოლოგიური ერთეულები წარმოადგენენ ღირებულებითი ორიენტაციების დაფიქსირების საშუალებას; მათი აღწერა შესაძლებელია კვლევაში შემუშავებული აქსიოლოგიური მნიშვნელობების შესწავლის მეთოდის ფარგლებში, რომელიც ეფუძნება ტრიადას „კონცეპტი - მოდელი - ნიშანი“;
2. ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, რომლებიც ასახავენ ადამიანის შინაგანი სამყაროს თავისებურებებს, ვლინდება საშუალო და თანამედროვე ინგლისური ენის მატარებელთა ძირითადი ღირებულებითი ორიენტაციების ევოლუციის ენობრივი რეპრეზენტაციის სპეციფიკა. ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ახასიათებს აქსიოლოგიური ტრანსფორმაციის უნარი, რომელიც მოქმედებს როგორც ენის კუმულაციური ფუნქციის გამოვლინება და განპირობებულია, ერთი მხრივ, ეპოქების ცვლილებით, გარკვეული ძვრებით გამოწვეული ცვლილებებით მშობლიური ენის მატარებელთა სოციალურ-კულტურულ გარემოში, მეორე მხრივ კი, მშობლიური ენის მატარებელთა დისკურსული აქტივობის თავისებურებებით;
3. დროთა განმავლობაში, ინგლისურენოვანი კულტურის განვითარებასთან ერთად, მის მატარებლებს უჩნდებათ მზარდი ინტერესი მორალური ღირებულებების მიმართ, რაც გამოწვეულია XVII საუკუნიდან ინგლისურ საზოგადოებაში დიდაქტიკური და საგანმანათლებლო ორიენტაციების გაძლიერებით.

ადამიანის მიერ რეალობის აღქმის სუბიექტური ასპექტები ინტეგრირებულია სამყაროს ხატში. ეს უკანასკნელი კი იქნება მოლაპარაკე სუბიექტთა გონებაში რეალობის ასახვის შედეგად და გამოიხატება სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით.

ნაშრომში გაანალიზებულია ის ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ახდენენ ადამიანის შინაგანი სამყაროს მახასიათებლების რეპრეზენტაციას აბსტრაქტული ცნებების ენობრივი ობიექტივაციის გზით. აბსტრაქტული ცნებები ობიექტივირებულია მენტალური, ემოციური, ფსიქოლოგიური და მორალური ხასიათის აბსტრაქტულ კატეგორიათა ნომინაციებში.

3.2. კონცეპტების „მეგობრობა“ და „მტრობა“ კოგნიტური მოდელებისა და შეფასებითი მახასიათებლების განვითარების სპეციფიკა ინგლისურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ფრაზეოლოგიურ ერთეულებში აქსიოლოგიურად მარკირებული კონცეპტები „მეგობრობა“ და „მტრობა“ წარმოადგენს ბინარულ ოპოზიციას, რომელიც ეფუძნება ელემენტთა შორის არსებულ ანტონიმიურ მიმართებას.

კონცეპტის „მეგობრობა“ დადებითი შეფასების მახასიათებლები საშუალო ინგლისურში: საშუალო ინგლისურში ფიქსირდება ნიშნები: „მეგობრობის გულწრფელობა“ და „მეგობრობის ფასი“.

ბაზისური მოდელი „მეგობრობა საჭიროებს გამოცდას“ შეესაბამება ფრაზეოლოგიურ ერთეულს „a friend in need is a friend indeed“ (1035). აღნიშნული იდეა ეკუთვნის ევრიპიდეს, ხოლო ინგლისურ ენაში აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეული ჩნდება აბატ ელფრიკის თხზულებებში. ეს ერთეული ფიქსირდება ალფრედ დიდის თარგმანებში (ლათინურიდან). ამ ფრაზეოლოგიური ერთეულის ვარიანტს აქვს შემდეგი სახე: „a friend is never known till a man has need“ (1303). ფრაზეოლოგიური ერთეული „prove your friend before you have need of him“ (1400) მოდალურ პრესკრიფციას: არ შეიძლება იმ ადამიანებზე დაყრდნობა, რომლებიც არ შეგიძლიათ. ფრაზეოლოგიურ ერთეულში „he is my friend that succors me“ (1477) წარმოდგენილია უტილიტარულ-შეფასებითი იდეა იმის თაობაზე, რომ მეგობარი არის ის, ვინც მზად არის გამოგიწოდოს დახმარების ხელი.

ბაზისურ მოდელში „მეგობრობა ფულზე უფრო ღირებულია“ წარმოდგენილია შეფასების სკალა, რომლის ფარგლებშიც მეგობრობა შედარებულია მატერიალურ ფასეულობასთან და უპირატესობა მეგობრობას ენიჭება. ფრაზეოლოგიური ერთეული „a friend in court is better than a penny in purse“ (1400) ახდენს იმ წარმოდგენის კონცეპტუალიზაციას, რომლის თანახმადაც, პენს ჯიბეში სჯობს მეგობარი სასამართლოში. ფრაზეოლოგიურ ერთეულში „lend your money and lose your friend“ (1474) წარმოდგენილია რჩევა, რომ მეგობრები არ შევიდნენ მსესხებლებისა და გამსესხებლების ურთიერთობაში, ვინაიდან ამ ურთიერთობამ შეიძლება გამოიწვიოს მეგობრის დაკარგვა. აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეული გამოჩნდა ანდაზების პირველ ბეჭდურ კრებულებში, კეკსტონის ნაშრომებში. ამ ფრაზეოლოგიურმა ერთეულმა შეინარჩუნა თავისი აქტუალობა ასი წლის შემდეგაც: იგი გამოიყენა შექსპირმა ტრაგედიაში „ჰამლეტი“. ფრაზეოლოგიური ერთეული „among friends all things are common“

(1477) ახდენს იმ წარმოდგენის კონცეპტუალიზაციას, რომლის თანახმადაც, მეგობრებს ყველაფერი საერთო აქვთ. აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეული ასახავს მეგობრობის პრიორიტეტს საკუთრებაზე.

კონცეპტის „მეგობრობა“ უარყოფითი შეფასების მახასიათებლები საშუალო ინგლისურში: აღნიშნული კონცეპტის უარყოფითი შეფასების მახასიათებლებს მიეკუთვნება „მეგობრობის ამბივალენტურობა“ და „მეგობრობის დაკარგვა“.

ბაზისური მოდელი “God defend me from my friends and I will keep from my enemies” (1477) ასახულია ფრაზეოლოგიურ ერთეულში “God defend me from my friends and I will keep from my enemies”. ეს ფრაზა ეკუთვნის ოვიდიუსს. ინგლისურ ენაში ეს ფრაზა ჩნდება ბექდვის განვითარების პერიოდში (XIV საუკუნის დასასრული).

ბაზისური მოდელი „მეგობრობის დაკარგვა ანტილირებულება“ ასახულია ფრაზეოლოგიურ ერთეულში “poverty parts fellowship” (1406). მეტაფორიზაციის ანთროპომორფულ მოდელში ასევე რეპრეზენტირებულია იდეა იმის შესახებ, რომ სიღარიბეს შეუძლია მეგობრობის განადგურება, სხვა სიტყვებით, სიღარიბემ შეიძლება გამოიწვიოს მეგობრულ ურთიერთობათა გაწყვეტა.

რაც შეეხება მტრობას, მტრის ხატი ძალიან ძველია დისკურსში (Tomber / ტომბერგი, 2018, გვ. 41-48) იგი გამოიყენება ეშმაკის ევფემისტური დახასიათებისათვის: “the enemy of mankind” (New Testament), “the great (Last) enemy” (New Testament Corinthians XV, 26). გარდაუვალი საფრთხის აღწერისას გამოიყენება ფრაზეოლოგიური ერთეული “the enemy at the gate” (Psalms CXXVII, 5), რომელმაც პოპულარობა მოიპოვა XX საუკუნეში.

კონცეპტის „მტრობა“ დადებითი შეფასების ნიშანი საშუალო ინგლისურში: ბაზისურ მოდელში „მტერს არ უნდა უჩვენო შენი განცდები (გრძნობები)“ ფიქსირდება კულტურის დიდაქტიკური ფორმულა - რჩევა, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი მტრის წინაშე.

მოცემულ კონტექსტში კონცეპტი „მტერი“ აღწერს დადებითი შეფასების ნიშანს.

ფრაზეოლოგიურ ერთეულში “never tell your enemy that your foot aches” (1320)

ობიექტივირებულია იდეა იმის შესახებ, რომ მტერთან ადამიანმა არ უნდა გამოავლინოს საკუთარი სისუსტეები. ფრაზეოლოგიური ერთეული “don’t boast until you see your enemy

dead” (1477) ახდენს მტერზე გამარჯვების წინასწარ აღნიშვნის წინააღმდეგ გაფრთხილების კონცეპტუალიზაციას.

კონცეპტის „მტრობა“ უარყოფითი შეფასების ნიშნები საშუალო ინგლისურში: ბაზისური მოდელი „მტერი წარმოადგენს საფრთხეს“ ფიქსირდება ჩოსერის ეპოქის ფრაზეოლოგიურ ერთეულში “there is no little enemy” (1386). აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ ერთეულში ობიექტივირდება გაფრთხილება იმის შესახებ, რომ არ ღირს მტრების არაჯეროვნად შეფასება მაშინაც კი, როდესაც ისინი არ ჩანან საშიშნი.

ფრაზეოლოგიური ერთეულით “an enemy’s mouth seldom says well” (1481) (მტრის ბაგენი იშვიათად ამბობენ კარგს) ობიექტივირებულია იდეა იმის შესახებ, რომ მტრები იშვიათად ამბობენ სიმართლეს.

ბაზისური მოდელი „მეგობრები ხდებიან მტრები ღალატის გზით“ ფიქსირდება ჩოსერთან. ფრაზეოლოგიური ერთეულით “friends through fortune become enemies through mishap” (1386) რეპრეზენტირებულია აქსიოლოგიურად კონოტირებული იდეა იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც თვალთმაქცურად ეფიცებიან ადამიანს ერთგულებას მაშინ, როდესაც იგი მდიდარი და გავლენიანია და ხდებიან მისი მტრები მაშინ, როდესაც ადამიანს უდგება ცხოვრებაში წარუმატებლობისა და უიღბლობის პერიოდი.

საშუალო ინგლისურში ფიქსირდება ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელიც გამოხატავს შეფასებას მათში კონცეპტუალიზირებული კონცეპტების „მეგობრობა“ და „მტრობა“ მეშვეობით. აქ შეფასება წარმოდგენილია ობიექტისა და სიტუაციის მოდელებით. შეფასებები კი მონოპოლარულია: მეგობრობა იღებს მხოლოდ დადებით შეფასებას, მტრობა კი - მხოლოდ უარყოფითს.

მეგობრობა: თანამედროვე ეპოქას ახასიათებს ინტერესი როგორც ადამიანის გარეგნობის, ისე მისი შინაგანი სამყაროს მიმართ. კონცეპტი “მეგობრობა” ობიექტივირებულია მრავალ ინგლისურ ფრაზეოლოგიურ ერთეულში.

კონცეპტის „მეგობრობა“ დადებითი შეფასების ნიშნები თანამედროვე ინგლისურში: კონცეპტის „მეგობრობა“ დადებითი შეფასების ნიშნები „მეგობრობის ფასი“ და „მეგობრობის „გულწრფელობა“ ფიქსირდება თანამედროვე ინგლისურშიც.

მეგობრობის უტილიტარულ-შეფასებითი ბუნება, რომლის თანახმადაც, მეგობრობა მხოლოდ მაშინაა ნამდვილი, თუ იგი საქმეში გამოცდილია, გამოხატულია ბაზისურ მოდელში “a true friend is known in a doubtful matter” (1591). აღნიშნულით რეპრეზენტირებულია აქსიოლოგიურად მარკირებული იდეა იმის შესახებ, რომ მეგობარი უნდა გამოსცადო არა მხოლოდ რთულ, არამედ „საეჭვო“ შემთხვევაშიც.

ფრაზეოლოგიურ ერთეულში “he is a friend who speaks well on us behind our backs” (1678) (მეგობარი არის ის, ვინც კარგს ლაპარაკობს ჩვენზე ჩვენს ზურგს უკან) ობიექტივირებულია იდეა იმის შესახებ, რომ ნამდვილი მეგობარი არასდროს იტყვის ჩვენზე ცუდს ჩვენს ზურგს უკან. ფრაზეოლოგიურ ერთეულში “one friend watches for another” (1611) გამოხატულია პროპოზიცია: მეგობრები ზრუნავენ ერთმანეთზე. ფრაზეოლოგიურ ერთეულში “if you have one true friend, you have more than one share” (1732) ეკონომიკის სააზროვნო სფეროსათვის რელევანტური ხატის (წილი) მეშვეობით აქცენტირებულია მეგობრობის ნამდვილი ფასი. კომპარატიული ერთეული “choose your friends like your books few but choice” (1659) გულისხმობს მეგობრებისა და წიგნების, მეგობრებისა და ცოდნის თანაბარღირებულებიანობას.

ბაზისური მოდელი „ნამდვილი მეგობარი განსაცდელში გეხმარება“ გვხვდება რიგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში: “when a friend asks there is no tomorrow” (1640); “it is good to have friends but bad to need them” (1669).

ბაზისური მოდელი „მეგობრობა ფულზე ღირებულია“, რომელიც ფიქსირდება საშუალო ინგლისურში, ობიექტივირებულია თანამედროვე ინგლისური ენის ფრაზეოლოგიურ ერთეულებშიც: “a friend in the market is better than money in the chest” (1732); “friendship is not to be bought at a fair” (1619).

ბაზისური მოდელი „მეგობრობა უნდა ეფუძნებოდეს თანაბარუფლებიანობას“ ასახულია ფრაზეოლოგიურ ერთეულში “make not your friend too cheap to you, nor too dear to him” (1659); “who has too many friends eats too much salt” (1659).

ბაზისური მოდელი „მეგობარი არის ის, ვინც ღირებულ მსახურებას გიწევს“ ასახავს ფრაზეოლოგიური ერთეულის “short reckoning makes long friends” (1530) უტილიტარულ-აქსიოლოგიურ შინაარსს: „მეგობრობის შესანარჩუნებლად მინიმუმამდე უნდა დაიყვანო

ფულის ინტერესი. ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელიც გამოჩნდა საშუალო ინგლისურში “he is my friend that succors me” (1477), თანამედროვე ინგლისურში გადააზრებულ იქნა ფრაზეოლოგიურ ერთეულში “he is my friend that grinds at my mill” (1633). აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ ერთეულში შენარჩუნდა სტრუქტურა, თუმცა შეიცვალა კონცეპტუალური შინაარსი სასოფლო-სამეურნეო თემატიკისათვის რელევანტური ხატის მეშვეობით.

თანამედროვე ინგლისური პერიოდისათვის ავთენტურია დადებითი ნიშნები: „მეგობრობა და მეზობლობა“, „მეგობრები და ნათესავები“, „მეგობართან შეხვედრის სიხარული“, „ძველი და ახალი მეგობრები“, „ადამიანი საკუთარი თავის მეგობარია“.

მოდელს „მეზობლობა გარდაუვალია, კეთილმეზობლური ურთიერთობები უნდა განიხილებოდეს როგორც ღირებულება“ ასახავს შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულები: “we can live without our friends but not without our neighbors” (1732); “no one is rich enough to do without his neighbor” (1732). ადამიანის სიმდიდრე არ ნიშნავს მის თავისუფლებას საზოგადოებისგან, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის აუცილებლობისგან. აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში შეფასების კატეგორია „შენდება“ შეუძლებლობის მოდალობის სემანტიკაზე.

მეგობრობასა და ნაცნობობას შორის არსებულ სხვაობას ასახავს მოდელი „ნაცნობი შეიძლება ბევრი გყავდეს, მეგობარი კი - ცოტა“. მეგობრობისა და ნაცნობობის არათანაბარღირებულებიანობა გამოიხატება რაოდენობრივი ინდიკატორების მეშვეობით შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში: “have but few friends though much acquaintance” (1659); “many humble servants but not one true friends” (1732, WDP).

ბაზისურ მოდელში „მეგობრობა ნათესაობაზე არანაკლებ ღირებულია“ ერთმანეთს უკავშირდება ადამიანისათვის მნიშვნელოვან ინტერპერსონალურ ურთიერთობათა ორი ტიპი. ფრაზეოლოგიური ერთეულით “many kinsfolk and few friends” (1546) (ბევრი ნათესავი და ცოტა მეგობარი) რეპრეზენტირებულია მეგობრულ ურთიერთობათა უპირატესობა ნათესაურ კავშირთან შედარებით, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ ღარიბი ნათესავი ბევრია, ხოლო ის მეგობრები, რომელთაც დახმარება შეუძლიათ - ცოტა.

ადამიანს ეშინია მეგობრებთან და ნათესავებთან ურთიერთობის გაფუჭების, ამიტომ არასასურველია მათი ქვეშევრდომებად გამოყენება იმ შემთხვევებში, როდესაც რთულია

მათზე პასუხისმგებლობის დაკისრება მათ მიერვე ჩადენილ შეცდომებზე. ეს იდეა ობიექტივირებულია შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულში: “if you want to have a good servant, take neither kinsman, nor friend” (1659).

ბაზისური მოდელი „მეგობრებთან შეხვედრას სიხარულს მოაქვს“ წარმოდგენილია ფრაზეოლოგიურ ერთეულებში: “it is merry when friends meet” (1639); “friends may meet but mountains never” (1530). ბაზისური მოდელი „ძველი მეგობრები ისევე ღირებული არიან, როგორც - ახლები“ ასახულია ფრაზეოლოგიურ ერთეულში “an old friend and old wine are best” (1589). აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ ერთეულში ძველი მეგობრობის ღირებულება ინტერპრეტირებულია ძველი ღვინის თვისებების მეშვეობით. ფრაზეოლოგიურ ერთეულში “a new friend makes the old forgotten” (1611) რეპრეზენტირებულია მეგობრების გრადაცია დროით ინდიკატორთან მიმართებაში.

ბაზისური მოდელი „ადამიანი საკუთარ თავს უნდა დაეხმაროს“ ასახავს ღირებულებათა ინგლისური სისტემის ეროვნულ და კულტურულ სპეციფიკას, რომელიც დაკავშირებულია პროტესტანტული ეთიკის იდეებთან - ინდივიდუალიზმის ღირებულებებთან, საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობასთან. აღნიშნული სპეციფიკა ასახულია ფრაზეოლოგიურ ერთეულში “be a friend to yourself and others will be too” (1732). იდეა იმის შესახებ, რომ ადამიანი საკუთარი თავის საუკეთესო მაგობარი და ყველაზე ცუდი მტერია, ასახულია ფრაზეოლოგიურ ერთეულში “no man has a worse friend than he brings with him from home” (1605).

კონცეპტის „მეგობრობა“ უარყოფითი შეფასებითი ნიშნები თანამედროვე ინგლისურში: თანამედროვე ინგლისურში ფიქსირდება ნიშანი „მეგობრობის დაკარგვა“. ბაზისური მოდელი „მეგობრობის დაკარგვა ანტიღირებულება“ ასახულია ფრაზეოლოგიურ ერთეულში “friends must part” (1620). აღნიშნული ერთეულით კონცეპტუალიზირებულია იდეა იმის შესახებ, რომ რაც არ უნდა ძლიერი იყოს მეგობრობა, მეგობრები მაინც შორდებიან.

ფრაზეოლოგიურ ერთეულში “friends are like fiddle-strings, they should not be screwed too tight” (1855) იკვეთება მუსიკალური ინსტრუმენტების თემატური სფერო. მეგობრული ურთიერთობა შეიძლება შევადაროთ ვიოლინოს დაჭიმულ სიმებს; სიმები არ უნდა დაჭიმო მეტისმეტად, თორემ ისინი შეიძლება გაწყდეს. ფრაზეოლოგიურ ერთეულში “broken friendship may be soldered but it will never be sound” (1732) ობიექტივირებულია იდეა იმის

შესახებ, რომ დიდი ჩხუბის შემდეგ მეგობრობის გაწყვეტილი კავშირი შეიძლება აღადგინო, მაგრამ ეს კავშირი არასოდეს იქნება ისეთივე ძლიერი, როგორიც ჩხუბამდე იყო.

ფრაზეოლოგიური ერთეული “it’s better to lose a jest than a friend” (1598) ასახავს მეგობრებთან მიმართებაში თავშეკავების აუცილებლობას. ფრაზეოლოგიური ერთეულით “a good friend never offends” (1659) რეპრეზენტირებულია იდეა იმის შესახებ, რომ ნამდვილი მეგობარი არასოდეს მიაყენებს საკუთარ მეგობარს შეურაცხყოფას. მეგობრობის ფასი გამოხატულია მეგობრობის დაკარგვის შიშში. ის, რისი მიღწევაც რთულია, წარმოადგენს ჭეშმარიტ ღირებულებას. ეს იდეა კი ობიექტივირებულია შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულში: “a friend is not so soon gotten as lost” (1567).

ფრაზეოლოგიურ ერთეულში “friendship that flames goes out in a flash” (1732)

კონცეპტუალიზირებულია შემდეგი იდეა: იმისათვის რომ ადამიანებმა შეინარჩუნონ მეგობრობა, მათ უნდა გააცნობიერონ ამ ურთიერთობის არსი: მეგობრობა, რომელმაც სწრაფად იფეთქა, შეიძლება სწრაფადვე გაცივდეს და ჩაქრეს.

ბაზისური მოდელი „მეგობრობა და მტრობა ფარდობითი ცნებებია“ იძლევა ისეთ კონტრასტულ კონცეპტთა შედარების საშუალებას, როგორებიცაა: „მეგობარი“ და „მტერი“. შუაინგლისურ პერიოდთან შედარებით, კონტრასტულ კონცეპტთა შორის არსებული ანტაგონიზმი ფერმკრთალდება. არისტოტელეს გამონათქვამი “a friend to all is a friend to none” (1623) ასახავს შინაგან ანტინომიურ წარმოდგენას იმის შესახებ, რომ ყველას მეგობარი, არავის მეგობარი არაა. ფრაზეოლოგიური ერთეული “all are not friends that speak us fair” (1639) შეიცავს გაფრთხილებას იმის თაობაზე, რომ ყველა ადამიანის სიტყვაზე ნდობა არ შეიძლება.

კონტრასტულ კონცეპტებში „მეგობარი“ და „მტერი“ აქტივირდება კონტრასტული კონცეპტები „ღმერთი“ და „ეშმაკი“. სწორედ ასე კონცეპტუალიზირდება წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ნამდვილი მეგობრობა ღვთის საჩუქარია, ხოლო მტერი კი ეშმაკის მოციქულია: “God has few friends, the devil has many” (1610). მეგობრობისა და მტრობის ამბივალენტურობა, რომელიც შლის მათ შორის არსებულ ზღვარს, წარმოდგენილია ფრაზეოლოგიურ ერთეულში: “God send me a friend and he will tell me of my faults, if not, send me an enemy and he will” (1678). ფრაზეოლოგიური ერთეულით “save man from his friends and leave him to struggle with his enemies” (1869) კონცეპტუალიზირებულია დიდაქტიკური ფორმულა: უნდა განთავისუფლდე მეგობრების არასათანადო ქმედებათაგან, რათა შეძლო მტრებთან ბრძოლა.

ადამიანებს შორის არსებული ურთიერთობები შეიძლება იყოს არაგულწრფელი. ეს იდეა აისახება შემდეგ მოდელში: „ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელია მოჩვენებითი მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნება“. აღნიშნული მოდელი წარმოადგენს შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულის კოგნიტურ საფუძველს: *“a friend as far as conscience permits”* (1732). აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ ერთეულში ობიექტივირებულია იდეა იმის შესახებ, რომ პრინციპები, მეგობრობის შენარჩუნების მიზნით, აიძულებს ადამიანს, თავი შეიკავოს არასასურველი ქმედებებისგან. ინდოეთიდან ნასესხები ფრაზეოლოგიური ერთეული *“if you have to live near the river it is best to be friends with the crocodile”* (1882) მოიცავს ერთეულს „ნიანგი“, როგორც საშიში და გავლენიანი მეზობლის სიმბოლოს, რომელთანაც აუცილებელია მეგობრულ ურთიერთობათა დამყარება.

ფიქსირდება ბაზისური მოდელი, რომელიც არღვევს მითს მეგობრულ ურთიერთობათა იდეალურობის შესახებ. ფრაზეოლოგიური ერთეული *“a friend’s frown is better than an enemy’s smile”* (1570) წარმოადგენს რევერსული შეფასებითი სკალის მაგალითს. მეგობრის მიერ გამოხატული უკმაყოფილება სჯობს მტრის ცბიერ ღიმილს. ამ ფრაზეოლოგიურ ერთეულს მოეპოვება სინონიმი *“a friend’s frown is better than a fool’s smiles”* (1732). ამ უკანასკნელში მტრის ხატი ჩანაცვლებულია სულელის ხატით.

კონცეპტის „მტრობა“ დადებითი შეფასებითი ნიშნები თანამედროვე ინგლისურში: აქ ფიქსირდება ბაზისური მოდელი „ზოგიერთ შემთხვევაში მტრის ქმედებებს შეიძლება ჰქონდეს დადებითი შეფასება“. ფრაზეოლოგიურ ერთეულებში *“a wise enemy is better than a foolish friend”* (1732); *“an enemy may chance to give a good council”* (1732) წარმოადგენილია რევერსული შეფასებითი სკალა (ფიქსირდება ანტითეზა „ჭკვიანი მტერი“ - „სულელი მეგობარი“).

ფრაზეოლოგიურ ერთეულში *“a foe vanquished is a foe no more”* (1732) ბაზისური მოდელის მეშვეობით „მტრების მიმართ უნდა გამოვიჩინოთ გულმოწყალება“ ობიექტივირდება მორალური ღირებულება. ფრაზეოლოგიურ ერთეულში, რომელიც მიეწერება არისტიდეს, *“it is good to make a bridge of gold to a flying enemy”* (1576) გამოიყენება ოქროს ხიდის ხატი იმ მტერთან მიმართებაში, რომელმაც უკან დაიხია.

კონცეპტის „მტრობა“ უარყოფითი შეფასების ნიშნები თანამედროვე ინგლისურში ობიექტივირებულია ახალი ერთეულების ბაზაზე.

ძირითადი მოდელი „ღალატი იმსახურებს გმობას“ რეალიზდება ინგლისური ენის რიგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში. მეგობრის ღალატი ცალსახად აქცევს მას მტრად. აღნიშნული იდეა აისახება ფრაზეოლოგიურ ერთეულში: „the friend that faints is foe“ (1611). ანგარებით მოტივირებული არაგულწრფელი მეგობრობა (მეგობარია მანამ, სანამ კვებავ) წარმოდგენილია ფრაზეოლოგიურ ერთეულში „while the pot boils friendship blooms“ (1875). ფრაზეოლოგიურ ერთეულში „a fair-weather friend“ გამოყენებულია სხვა ხატი: „მეგობარი მხოლოდ კარგ ამინდში, ან პირველ ქარიშხალამდე“.

იდეა იმის შესახებ, რომ გაცხადებული მტერი ცრუ მეგობარზე უკეთესია, ანტითეზას მეშვეობით („გაცხადებული მტერი“ - „ცრუ მეგობარი“) ასახულია ფრაზეოლოგიურ ერთეულში: „it is better to have an open foe than a dissembling friend“ (1548). აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ ერთეულს გააჩნია ვარიანტები: „a foe is better than a dissembling friend“ (1548); „false friends are worse than bitter enemies“ (1732). იდეა მეგობრობისა და მტრობის შესახებ ობიექტივირებულია ფრაზეოლოგიურ ერთეულში: „friend or foe“. ფრაზეოლოგიურ ერთეულში რეპრეზენტირებულია „afraid of one's friends when none is near“ (1699) წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მეგობრებიც შეიძლება იყვნენ უსიამოვნების მიზეზი.

ბაზისური მოდელი „უნდა უფრო ხილდე არაკეთილმოსურნეთა მტრულ ქმედებებს“ აისახება მთელ რიგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში. ფრაზეოლოგიური ერთეულით „man's life is filled by his foe“ (1659) რეპრეზენტირებულია იდეა იმის შესახებ, რომ მტერი ყურადღებით ადევნებს თვალს ჩვენს ქმედებებს და ელოდება დარტყმის მიყენების შესაძლებლობას.

რევერსული შეფასებითი სკალის გამოყენების მაგალითი იკვეთება შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში: „one enemy can do more hurt than ten friends can do good“ (1640); „one enemy is too much for a man in a great post, one hundred friends is too little“ (1877). აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეულებით კონცეპტუალიზირებულია იდეა იმის შესახებ, რომ ერთი მტრის მიერ გაკეთებული ბოროტება აღემატება ათი მეგობრის მიერ გაკეთებულ სიკეთეს.

ფრაზეოლოგიურ ერთეულში „a man has many enemies when his back is to the wall“ (1639) იკვეთება ალუზია ფრაზეოლოგიურ ერთეულზე „to have one's back against the wall“. აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეულით კონცეპტუალიზირებულია იდეა იმის შესახებ, რომ განსაცდელში მყოფ ადამიანს ბევრი მტერი ჰყავს.

ფრაზეოლოგიური ერთეულით “a foe worthy of smb.’s steel” (1800), რომელსაც მიაწერენ უოლტერ სკოტს, „იარაღის“ მნიშვნელობაში მეტონიმიური ხატის „ფოლადი“ მეშვეობით ობიექტივირდება იდეა ღირსეული მტრისა, რომელიც იმსახურებს ორთაბრძოლას.

ფრაზეოლოგიური ერთეული “speak well of your friend, of your enemy say nothing” (1875) გვევლინება კულტურის დიდაქტიკურ ფორმულად, ქცევის ინსტრუქციად - მტრებზე არ უნდა თქვა არაფერი, მეგობრებზე კი კარგად უნდა ისაუბრო. ფრაზეოლოგიური ერთეული “how goes the enemy?” (1856) ასოცირდება ჩარლზ დიკენსთან. ფრაზეოლოგიურ ერთეულში მტრის ხატის სახით მოდელირებულია დრო: იგი შეუქცევად აახლოებს ადამიანს სიბერესა და სიკვდილთან.

ჩნდება ახალი ნიშნებიც: „განურჩევლობა მეგობრების არჩევისას“ და „სისულელე“.

ბაზისურ მოდელში „მეგობრობაში განურჩევლობა უარყოფითად ფასდება“ რეპრეზენტირებულია იდეა მეგობრების არჩევისას სიფრთხილის გამოჩენის აუცილებლობაზე. ასე რომ, ფრაზეოლოგიურ ერთეულებში “trust not a new friend nor an old enemy” (1569); “a rash friend is worse than a foe (1732); tell nothing to thy friend that thine enemy may not know” (1533) რეალიზებულია რევერსული შეფასებითი სკალა, რომელშიც მტერი უფრო სასურველი ფიგურაა, ვიდრე - უგუნური მეგობარი.

ბოლო დროის (აშშ, XX საუკუნე) ერთ-ერთ ფრაზეოლოგიურ ერთეულს, რომელიც ასოცირდება კონტრასტულ კონცეპტთა „მეგობარი და „მტერი შეპირისპირებასთან, წარმოადგენს ფრაზეოლოგიური ერთეული “the enemy of my enemy is my friend” (1985). ექსპრესიული ეფექტი იქმნება გამეორების ორი ტიპის - სინონიმისა და ანტონიმის - თანაარსებობით.

ბაზისური მოდელი „ადამიანს უფრო მეტ ზიანს აყენებს ზოგიერთი მისივე ქმედება, ვიდრე - მტრის ქმედება“. აღნიშნული მოდელი იმით გამოირჩევა, რომ მასში სუბიექტი - ადამიანი - ერთდროულად ობიექტიცაა, ვინაიდან სუბიექტი თავის თავზე მიმართავს მოქმედებას. უნდა ითქვას, რომ ეს მოქმედებები უარყოფითი შეფასებით ხასიათდებიან. აღნიშნულ მოდელს გააჩნია შემდეგი ვარიანტები: “every man is his own worst enemy” (1533); “he is no one’s enemy but his own” (1600).

თანამედროვე ინგლისური ხასიათდება მეგობრობისა და მტრობის შესახებ არსებულ წარმოდგენათა ამბივალენტურობით.

3.3. კონცეპტები „სისულელე“ და „გონიერება“: კოგნიტური მოდელებისა და შეფასებითი მახასიათებლების განვითარება ინგლისურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში

ინგლისურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ასახულია სისულელის სხვადასხვა ნიშანი და არაგონივრული ქცევის სპეციფიკა.

კონცეპტების დადებითი შეფასების ნიშნები საშუალო ინგლისურში - „გულწრფელობა“ და „სიბრიყვის ამბივალენტურობა“, როგორც დადებითი ინტელექტუალური შეფასების ტიპი საკვლევი კონცეპტების რეპრეზენტანტ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში თანამედროვე საშუალო ინგლისურში: ბაზისური მოდელი „ზოგიერთ სიტუაციაში სულელის ქცევას დადებითი შეფასება აქვს“ ფიქსირდება შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში: “a fool may give a wise man a council”(1350); “a fool may sometimes give a wise man a council”(1350). აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში იშლება სიბრძნესა და სიბრიყვეს შორის არსებული ზღვარი.

ბაზისური მოდელი „სულელები მხოლოდ სიმართლეს ამბობენ“ ერთმანეთთან აკავშირებს კონცეპტებს „სისულელე“ და „ტყუილი“: “children and fools tell the truth”(1425).

კონცეპტთა უარყოფითი შეფასებითი ნიშნები საშუალო ინგლისურში: აქ ყალიბდება ინგლისელების წარმოდგენა სისულელესა და გონიერებაზე. ეს წარმოდგენა ასახავს ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა: „ლაყბობა“, „არაშორსმჭვრეტელობა“, „არაპრაქტიკულობა“, „თავშეუკავებლობა“, „სიჯიუტე“.

სისულელის ნიშანია ვერბალური ქცევა, რომელიც ასახულია ბაზისურ მოდელში „სულელელს ლაყბობა გამოარჩევს“. შევადაროთ: “a fool is known by his speech” (1303) და “fools will be meddling”(1380). პირველ ფრაზეოლოგიურ ერთეულს გააჩნია უფრო გვიანდელი ვერსია: “fools are known by their babbling” (1477). საწყისი მოდელის შენარჩუნებისას ფრაზეოლოგიურ ერთეულში იცვლება ნომინაცია, რაც მიუთითებს „სიბრიყვის“ ნიშანზე - ნაცვლად “speech” (მეტყველება) გამოიყენება უფრო ექსპრესიული, სტილისტურად კონოტირებული “babbling” (ბუტბუტი).

ფრაზეოლოგიურ ერთეულში “a fool’s bolt is soon shot” (1270) აქტივირებულია სამხედრო თემატიკა. ნაჩქარევად ნასროლი შვილდ-ისრის ხატის გამოყენებით აღნიშნულ

ფრაზეოლოგიურ ერთეულში ობიექტივირდება იდეა დაუფიქრებელი ლაპარაკისა და ქმედების შესახებ. ფრაზეოლოგიური ერთეული “a fool’s bell is soon talk” (1400) მოიცავს ალუზიას ჯამბაზის მახასიათებლებზე და ახდენს ლაყბობის კონცეპტუალიზაციას.

ფრაზეოლოგიურ ერთეულში “a fool according to his folly” (1484) კონცეპტუალიზირებულია წარმოდგენა იმის შესახებ, რომ არ ღირს დროის დახარჯვა სილელი ადამიანისათვის თავისთავად ცხადი ჭეშმარიტების ახსნაში: სულელი ადამიანი არ იმსახურებს თავაზიან მოპყრობასა და პატივისცემას.

ბაზისური მოდელი „სულელ ადამიანს არ შეუძლია განჭვრიტოს საკუთარ ქმედებათა უარყოფითი შედეგები“ აისახება ჩოსერის ტექსტებში ფიქსირებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულში: “fools’ thoughts often fail” (1374). ფრაზეოლოგიური ერთეულით “a fool loses his estate before he finds his folly” (1489) რეპრეზენტირებულია იდეა იმის შესახებ, რომ მხოლოდ სულელია მზად, დაკარგოს ყველაფერი თავისი სურვილების დასაკმაყოფილებლად.

ბაზისური მოდელი „ჭკვიანი ადამიანისაგან განსხვავებით, სულელ ადამიანს არ შეუძლია საკუთარი შრომის შედეგით ტკბობა“ წარმოდგენილია ერთ-ერთი პირველ ფრაზეოლოგიურ ერთეულში “fools lade the water and wise men catch fish” (1400), რომელიც აგებულია სულელ და ჭკვიან ადამიანს შორის არსებულ კონტრასტზე ფუნქციონალური თვალსაზრისით. იდეა იმის შესახებ, რომ „მსგავსი მსგავსისაკენ ილტვის“ რეალიზდება შემდეგი ბაზისური მოდელის მეშვეობით: „სულელებს ურთიერთობა აქვთ თავის მსგავს ადამიანებთან“. აღნიშნული მოდელი ობიექტივირდება შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულში: “he is a fool that deals with fools” (1350).

ბაზისური მოდელი „სულელი, გამოუცდელი ადამიანი არაადეკვატურად იქცევა“ ასახულია ფრაზეოლოგიურ ერთეულში “he is a fool that forgets himself” (1270). ბაზისური მოდელი „სულელ ადამიანს ახასიათებს არამოტივირებული სიჯიუტე ასახულია ფრაზეოლოგიურ ერთეულში “a fool will not part with his bauble for the Tower of London” (1480). აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ ერთეულში ფიქსირდება შეუთავსებელ კომპონენტთა ანალოგიზაცია.

კონცეპტის დადებითი შეფასების ნიშნები თანამედროვე ინგლისურში: თანამედროვეობა სრულად ინარჩუნებს საკვლევი კონცეპტის ნიშანთა რეპერტუარს.

ბაზისური მოდელი „სულელები მხოლოდ სიმართლეს ლაპარაკობენ“ ფიქსირდება არა მხოლოდ საშუალო ინგლისურში, არამედ თანამედროვე ინგლისურშიც: “fools and madmen speak the truth” (1621); “fool love all that is good” (1738).

ბაზისური მოდელი „ზოგიერთ სიტუაციაში სულელის ქცევა დადებითად ფასდება“ ასახავს მოსაზრებას, რომ სისულელე, მისი დადებითი გამოვლინების ჩათვლით, შეიძლება იყოს სიტუაციური: “a fool knows more in his own house than a wise man in another’s” (1620); “no one is a fool always, every one sometimes” (1640).

ინგლისურ ენაში ფიქსირდება არაერთი გამონათქვამი, რომელშიც ვლინდება სულელი ადამიანისადმი ირონიული დამოკიდებულება. ამ ტიპის გამონათქვამებში სულელი ადამიანი და მისი ქმედებები შედარებულია ქალის ქცევის მოდელს: ამ ეპოქის მონაცემებისათვის დამახასიათებელია გენდერული უთანასწორობა: სულელი ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია მამაკაცზე დაკისრებული მოვალეობების შესრულება, ასრულებს ქალზე დაკისრებულ მოვალეობებს: “fools are wise men in the affairs of women” (1732); “fools and little dogs are ladies’ playfellows” (1583).

ფრაზეოლოგიური ერთეულით “better foolish with all than wise by yourself” (1732) რეალიზდება რევერსული შეფასების სკალა. მასში ფიგურირებს კონტრასტული მახასიათებლები: „სისულელე“, „გონიერება“, „მარტოობა“ და „აღიარება“. ეს ფრაზეოლოგიური ერთეული უფრო მაღალ შეფასებას აძლევს სულელი ადამიანის საზოგადოებრივ მხარდაჭერას, ვიდრე - ბრძენის მარტოობას.

კონცეპტების უარყოფითი შეფასების მახასიათებლები თანამედროვე ინგლისურში: თანამედროვეობა ხასიათდება კონცეპტის „სისულელე“ დამამცირებელი ნიშნების გამოყენების რაოდენობის ზრდით. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ინგლისურში შენარჩუნებულია საშუალო ინგლისურში ფიქსირებული ყველა ნიშანი. ეს ეხება წინა ეპოქებიდან გადმოსულ კონსტანტურ ნიშნებს. ბაზისური მოდელი „სულელ ადამიანს არ შეუძლია განჭვრიტოს თავისი ქმედებების უარყოფითი შედეგები“ ასახულია ფრაზეოლოგიურ ერთეულებში: “fools never know when they are well” (1519); “fools refuse favours” (1659). სულელია ის ადამიანი, ვინც არ იცის როგორ ისარგებლოს ხელსაყრელი სიტუაციით. ფრაზეოლოგიური ერთეულით “more people know Tom Fool than Tom Fool Knows”

(1656) ობიექტივირებულია წარმოდგენა იმის შესახებ, რომ სულელი ადამიანის რეპუტაცია გაცილებით უფრო სწრაფად ყალიბდება, ვიდრე - სამყაროს შესახებ მისი ცოდნა.

ბაზისური მოდელი „სულელ ადამიანს არ შეუძლია გონივრულად დაგეგმოს საკუთარი ქმედებები“ გამოხატავს მოქმედებების, მათი თანმიმდევრობის შეფასებას დროის ფაქტორის გათვალისწინებით. აღნიშნული ბაზისური მოდელი კონცეპტუალიზირებულია შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში: “a fool looks at the beginning, a wise man regards to the end” (1535); “that which a fool does at last a wise man does at first” (1666); “fool’s haste is no speed” (1732). სულელი ადამიანების არაშორსმჭვრეტელობა იწვევს მათი გეგმების ჩაშლას.

თანამედროვეობა აგრძელებს საშუალო ინგლისურის ტრადიციებს სულელი ადამიანის შეფასებაში, რაც ასახავს მოდელს „სულელი ადამიანი იქცევა არარაციონალურად, არადეკვატურად“. უნდა აღინიშნოს, რომ არადეკვატურობა ვლინდება გარკვეულ სიტუაციებში, რომლებშიც იკვეთება სამყაროს ხატის კონსტანტები. ამ უკანასკნელთა რიგს განეკუთვნება გემის ჩადირვა: “a fool may laugh when he is drowning” (1577); მოგზაურობა: “a fool lacks his clothes on a rainy day” (1732); “a fool on a bridge sounds like a drum” (1611); ხეზე მუშაობა: “he is a fool that makes a wedge of his fist” (1611).

განსაკუთრებულადაა აღწერილი სულელი ადამიანების გართობა, რომელიც შეიძლება იყოს სრულიად უადგილო და უდროო “play with the fool at home and he will play with you at the market” (1640), ასევე არამოტივირებული “a fool can dance without a fiddle” (1732); “fools are pleased by their own blunders” (1732); “fools laugh at their own disport” (1855).

იმქვეყნიური სამყაროს ხატები წარმოდგენილია შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში: “fools rush where angels fear to tread” (1711); “a fool always rushes to the fore” (1711). აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეულებით კონცეპტუალიზირებულია აქსიოლოგიურად მარკირებული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ სულელი ადამიანები თავიანთი ქმედებებით მიექანებიან ჯოჯოხეთისაკენ, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, სულელ ადამიანებს შეუძლიათ ბევრი ცუდ საქმის ჩადენა. ფრაზეოლოგიურ ერთეულში “fools’ paradises are wise men’s purgatories” (1763), ერთი მხრივ, ჯოჯოხეთისა და სამოთხის, მეორე მხრივ კი, სულელი და ბრძენი ადამიანების დაპირისპირების გზით („სულელების სამოთხე ბრძენთათვის განსაწმენდელია“) რეპრეზენტირებულია შემდეგი იდეა: ის, რაც ჭკვიანი ადამიანისათვის ცუდია, სულელ ადამიანს შეიძლება კარგი ეჩვენოს.

„ლაყბობას“, როგორც დამამცირებელ ნიშანს, რომელიც საერთოა როგორც საშუალო ისე თანამედროვე ინგლისურისათვის, ასახავს ბაზისური მოდელის ძირითად შაბლონს „სულელს გამოარჩევს ჭარბსიტყვაობა“. ფრაზეოლოგიურ ერთეულში „a fool’s heart is in his tongue“ (1566) გამოყენებულია სომატური კონცეპტები „გული“ და „ენა“. აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ ერთეულში მეტაფორულადაა რეპრეზენტირებული იდეა იმის შესახებ, რომ სულელი ადამიანის არსი მის სიტყვებშია და არა საქმეებში ან აზრებში.

ფრაზეოლოგიურ ერთეულში „a fool may ask more questions than the wisest can answer“ (1666) სიბრძნე, როგორც სისულელის კონტრასტული კონცეპტი, წარმოდგენილია კითხვებზე პასუხების გაცემის უნარით, ხოლო სისულელე კი წარმოდგენილია მხოლოდ შეკითხვების დასმის უნარით. ფრაზეოლოგიურ ერთეულში „a fool’s speech is a bubble of air“ (1732) კონცეპტუალიზირებულია აზრი იმის შესახებ, რომ სულელი ადამიანის სიტყვები არაფერს ნიშნავს.

სუფრასთან ჭარბსიტყვაობა ობიექტივირებულია შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულში: „only fools and fiddlers sing at meals“ (1813). იდეა იმის შესახებ, რომ სულელი ადამიანის ლაყბობა შეიძლება საფრთხედ იქცეს თავად მისი სიცოცხლისთვის, ობიექტივირებულია შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულში: „a fool’s speech is long enough to cut his own throat“ (1777).

ფუნქციონალური თვალსაზრისით, ჭკვიანსა და სულელს შორის დაპირისპირება ღრმავდება თანამედროვე ინგლისურში. აღნიშნული დაპირისპირება ფიქსირდება საბაზისო მოდელში: „სულელი ადამიანი ვერ სარგებლობს (ვერ იღებს სიამოვნებას) საკუთარი შრომის ნაყოფით; საკუთარი შრომის ნაყოფით (შედეგით) სარგებლობა ჭკვიანი ადამიანის პრეროგატივაა. აღნიშნულ ბაზისურ მოდელში რეპრეზენტირებულია შეფასების უტილიტარული ტიპი, რომელიც ობიექტივირებულია შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში: „fools build houses and wise men live in them“ (1670); „fools build and wise men buy“ (1997).

ფულის გამომუშავებასთან დაკავშირებული სიტუაცია რეპრეზენტირებულია შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულში: „a fool may make money but it needs a wise man to spend it“ (1869). ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული წარმოდგენა ობიექტივირებულია შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულში: „fool may invent fashions that wise men will wear“ (1732).

ბაზისური მოდელი „სულელ ადამიანს ახასიათებს არამოტივირებული სიჯიუტე“ ასახულია ფრაზეოლოგიურ ერთეულში „as the fool thinks, so the bell clinks“ (1607). აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ ერთეულში ფიქსირდება ასოციაცია ჯამბაზის სამოსთან, კერძოდ კი, ჯამბაზის სამოსის განუყოფელ ატრიბუტთან - ზანზალაკებთან. ფრაზეოლოგიურ ერთეულში „a fool believes the thing he would have so“ (1681) ჯიუტი და სულელი ადამიანების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების კონცეპტუალიზაციისათვის გამოყენებულია პირდაპირი ნომინაცია „a fool believes the thing he would have so“ (1681).

ამ პერიოდში დაფიქსირებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში რეპრეზენტირებულია ინგლისელების წარმოდგენა ამ კონცეპტის შესახებ. აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ობიექტივირებულია ინტელექტუალური შეფასების ასპექტები. კონსტანტურ ნიშანებს ემატება ახალი დროის ავთენტური ნიშნები: „გულუბრყვილობა“, „სიზარმაცე“, „ამპარტავნება“, „მავნებლობა“, „უკეთესობისაკენ შეცვლის უუნარობა“, „სიბერე“, „სიმრავლე“.

სულელ ადამიანს არ შეუძლია სხვა ადამიანების თვალსაზრისთა კრიტიკული შეფასება. აღნიშნული წარმოდგენა ობიექტივირებულია შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულში: „a fool believes everything“ (1625). ფრაზეოლოგიურ ერთეულში „a fool and his money are soon parted“ (1573) უტილიტარული შეფასება კონცეპტუალიზებულია სულელი ადამიანისა და მისი ფულის განშორების მეტაფორით: სულელი ადამიანი, რომელიც არ არის ადაპტირებული საქმიან გარემოსთან და არ არის გამოცდილი საქმიანი გარემოს მკაცრი კანონების დაცვაში, იოლად კარგავს თავის ფულს. ფრაზეოლოგიურ ერთეულში „fool me once, shame on you, fool me twice, shame on me“ (1611) ინვერსიული იმპერატიული კონსტრუქციის მეშვეობით კონცეპტუალიზირებულია შემდეგი თვალსაზრისი: ჭკვიანი ადამიანის რამდენჯერმე მოტყუება შეუძლებელია - მას შეუძლია ტყუილის გამოვლენა.

ფრაზეოლოგიურ ერთეულებში კონცეპტი „სისულელე“ ცნება შეიძლება ასოცირდებოდეს კონცეპტთან „სიზარმაცე“: „six hours of sleep for a man, seven for a woman and eight for a fool“ (1623). აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ ერთეულში წარმოდგენილია უტილიტარული შეფასება. ამავე ფრაზეოლოგიურ ერთეულში იკვეთება ეროვნულ-კულტურული სპეციფიკა: რაც უფრო მეტი გძინავს, მით უფრო ნაკლებს მუშაობ. ბაზისური მოდელი „სულელ ადამიანს ახასიათებს საკუთარი გონებრივი შესაძლებლობების გადაჭარბებული შეფასება“ ასახულია

შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში: “a fool thinks himself wise” (1557); “he is a fool that thinks not that another thinks” (1640).

ფრაზეოლოგიური ერთეული “young folks think old folk to be fools, but old folks know young folks to be fools” (1577) უარყოფითად აფასებს ახალგაზრდების თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ მათი ინტელექტუალური შესაძლებლობები უფრო მაღალია, ვიდრე - უფროსი თაობის.

ფრაზეოლოგიურ ერთეულში “a wise man changes his mind, a fool never will” (1732)

კონცეპტუალიზირებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ სულელ ადამიანს ახასიათებს სიჯიუტე და საკუთარი შეცდომის აღიარების უუნარობა.

ბაზისური მოდელი „სულელ ადამიანს ახასიათებს მიკერძოებული მსჯელობა“ ასახულია შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში: “fools ask questions that wise men cannot answer” (1666); “it is the property of fools to be always judging” (1732); “every fool can find faults that a great many wise men cannot remedy” (1732). კულტურით მარკირებული კონცეპტუალური შინაარსი წარმოდგენილია შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულში: “he is a fool that is wiser abroad than at home” (1732). ამ ფრაზეოლოგიურ ერთეულში ობიექტივირებულია იდეა სამშობლოს პრიორიტეტულობის შესახებ ყველაფერი უცხოურის ღირებულების დაკნინების ფონზე.

სულელი ადამიანისათვის დამახასიათებელია ნაადრევი და უსაფუძვლო დასკვნების გამოტანა. ეს თვისება ობიექტივირებულია შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულში: “fools should not see half-done work” (1818). იდენტური კონცეპტუალური შინაარსი წარმოდგენილია უფრო ადრეულ ფრაზეოლოგიურ ერთეულში: “fools and bairns should never see half-done work” (1721).

ბაზისური მოდელი „სულელ ადამიანს შეუძლია სხვა ადამიანისათვის ზიანის მიყენება გულისხმობს იმ თვალსაზრისს, რომ სულელი ადამიანი ყოველთვის უვნებელი არ არის: სულელი ადამიანის ქმედებას, შესაძლოა, მოჰყვეს სავალალო შედეგი, რომლის გამოსწორებაც უწევს ჭკვიან ადამიანს.

აღნიშნული თვალსაზრისი ობიექტივირდება შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში გარკვეული ელემენტების აქტივაციის მეშვეობით: (ავეჯი) “fools set stools for wise men to stumble” (1605); (საკვების მომზადება) “set a fool to roast egg and a wise men to catch them” (1678); (სახლისა და ყოველდღიური ყოფის ელემენტები) “a fool may throw a stone into the well which a hundred wise men cannot pull out” (1640);); “fools tie knots and wise men loose them” (1639); “give a

fool a candle to light and he will light it at the end” (1883). ინგლისურ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ეროვნულ-კულტურულ სპეციფიკას წარმოადგენს იურიდიული ტერმინოლოგიის მეტაფორული გამოყენება. ფრაზეოლოგიური ერთეული “a man who is his own lawyer has a fool to his client” (1809) ეფუძნება კომიკურ პარადოქსს: „ადამიანი, რომელიც საკუთარი თავის ადვოკატია, ატყუებს საკუთარ კლიენტს (საკუთარ თავს)“.

ბაზისური მოდელი „სისულელე უკურნებელია“ აღწერს სისულელეს, როგორც კონსტანტას “send a fool to the market and a fool he will return” (1586). სისულელე შეიძლება იქნეს მეტაფორულად გადააზრებული და წარმოდგენილი გადამდები დაავადების ხატის მეშვეობით: “one fool makes many (1640)”; “who is born to be fool will never be cured” (1732). იდეა იმის შესახებ, რომ „მსგავსი მიილტვის მსგავსისაკენ“ ასახულია შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულში: “set a fool to catch a fool” (1654).

ფრაზეოლოგიურ ერთეულებში სულელი ადამიანის აღსაწერად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის (ბიოლოგიური, სივრცითი) რეალია: “fools grow without watering” (1732); “fools are of all sizes” (1901). ბაზისურ მოდელში „სულელი ადამიანი არ ჭკვიანდება ასაკთან ერთად“ კონცეპტი „სისულელე“ განიხილება მუდმივ ფენომენად. აღნიშნული თვალსაზრისი ობიექტივირებულია შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულში: “fools will be fools” (1650). ასაკთან ერთად ადამიანმა უნდა შეიძინოს გამოცდილება და სრულყოს საკუთარი ცოდნა, მაგრამ თუ ასაკთან ერთად ადამიანი არ ჭკვიანდება, ეს ფაქტი კიდევ უფრო ამძიმებს ადამიანის მიმართ გამოთქმულ უარყოფით შეფასებას: “there is no fool like an old fool” (1546); “a fool at forty is a fool indeed” (1557).

მოდელი „ადამიანი შეიძლება იყოს აბსოლუტურად სულელი“ იყენებს შემდეგ ერთეულებს: “April fool” (1732); “like a fool” (1732).

ბაზისური მოდელი „სისულელეს რომ ჰქონდეს ცხადი (თვალსაჩინო) ნიშნები, ეს ნიშნები ბევრ ადამიანს ექნებოდა“ რეპრეზენტირებულია შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში: “if all fools had baubles we should want fuel” (1611), WDP); “if all fools wore white caps we should see a flock of geese” (1640).

ანალიზმა ცხადყო, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულების თვისებრივი ნიშნების რეპერტუარი ინარჩუნებს სტაბილურობას.

3.4. კონცეპტები „სიცრუე“ და „სიმართლე“, „ილბალი“ და „უიღბლობა“: კოგნიტური მოდელების შეფასებითი მახასიათებლების განვითარება ინგლისურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში

ბაზისური მოდელი „სიმართლემ უნდა გაიმარჯვოს“ ასახულია საშუალო ინგლისურის ფრაზეოლოგიურ ერთეულში “truth will out” (1439), რომელშიც ობიექტივირებულია იდეა იმის შესახებ, რომ ჭეშმარიტება ყოველთვის იპოვის თავის გზას. ფრანგულ კალკში “children and fools tell the truth” (1425) უცოდველობა და უდანაშაულობა გააზრებულია როგორც ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მდგომარეობა, რომელშიც ადამიანებს ჯერ კიდევ არ უსწავლიათ ტყუილის თქმა. საშუალო ინგლისურში არ დასტურდება უარყოფითი შეფასებით აღბეჭდილი ფრაზეოლოგიური ერთეულების არსებობა.

კონცეპტის დადებითი შეფასების მახასიათებლები თანამედროვე ინგლისურში: ნიშანი „სიმართლის ძალა“ ვლინდება თანამედროვე ინგლისურშიც. ბაზისური მოდელი „სიმართლე ტყუილზე ძლიერია“ ობიექტივირებულია გამონათქვამში “truth is stranger than fiction” (1562). მოცემული მოდელი ანტროპომორფული ხატების მეშვეობით რეპრეზენტირებულია შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში: “a lie stands on one leg, the truth on two” (1592); “a lie has no legs” (1666). თუ პირველი ფრაზეოლოგიური ერთეული მიუთითებს სიცრუის გავრცელების სიჩქარეზე, მეორე - მიუთითებს იმაზე, რომ ტყუილს ადამიანები ავრცელებენ, ტყუილს შეუძლია საკუთარი თავის გავრცელება. ფრაზეოლოგიური ერთეული “bitter truth” იყენებს გემოს სიმბოლიკას და ახდენს ბაზისური მოდელის ობიექტივაციას: „სიმართლე შეიძლება იყოს უსიამოვნო“. სხვა მახასიათებელთა არსებობა არ დასტურდება.

კონცეპტის უარყოფითი შეფასების მახასიათებლები თანამედროვე ინგლისურში: თანამედროვე ინგლისური ენის ფრაზეოლოგიურ სისტემას ახასიათებს მთელი რიგი დამაკნინებელი ნიშნების არსებობა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნიშნების არსებობა არ დასტურდება ინგლისური ენის განვითარების წინა პერიოდში: „ტყუილის ძალა“, „ემმაკობა“, „ტყუილის აბსოლუტურობა“, „გულუბრყვილობა“, „ტყუილის პირველწყარო“.

ტყუილი შეიძლება განიხილებოდეს როგორც ანტროპომორფული ან ზომომორფული ერთეული. პერსონიფიკაცია, როგორც „აბსტრაქციის ობიექტივაციის“ ვარიანტი, კონცეპტუალური მეტაფორის მოდელის მიხედვით, წარმოადგენს ეთნოსის სამყაროს ნაივურ

ხატში სამყაროს ენობრივი კონცეპტუალიზაციის ტიპურ გზას. ამ ნიშნის ძირითადი მოდელი „ტყუილი, ჭეშმარიტებაზე უკეთ, უწყობს ადამიანს ხელს წარმატების მიღწევაში“ რეპრეზენტირებულია რიგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში. ფრაზეოლოგიური ერთეული “a lie is halfway around the world before the truth has got its boots” (1598), ასოცირდება ვირგილიუსთან და სიცრუისა და სიმართლის შესახებ არსებული ანთროპომორფული წარმოდგენის საფუძველზე გამოიყენება შექსპირთან. ანთროპომორფიზმი ვლინდება ფრაზეოლოგიურ ერთეულებში “lies have short wings” (1578); “lies have short legs” (1578), რომლებშიც სომატური კომპონენტების (ფეხები და ფრთები) მეშვეობით ხდება იმ იდეის ობიექტივაცია, რომ ტყუილი სწრაფად ვრცელდება.

ტყუილის ანთროპომორფულ ხასიათს ასახავს ფრაზეოლოგიური ერთეული “a lie begets lie” (1732). ფრაზეოლოგიურ ერთეულებში რეპრეზენტირებულია იდეა იმის შესახებ, რომ ნახევრად სიმართლე არაფრით განსხვავდება ტყუილისგან “half the truth is often the whole lie” (1758). აღნიშნულ ერთეულში გაიგივებულია ნახევრად სიმართლე და სიცრუე.

სიმართლის პოვნის სირთულე ასახულია ფრაზეოლოგიურ ერთეულში “truth lies at the bottom of the well” (1758), რომელშიც რეპრეზენტირებულია იდეა იმის შესახებ, რომ ჭეშმარიტების პოვნა ისეთივე რთულია, როგორც ჭის ფსკერამდე ჩაღწევა. რობერტ ბერნსთან ასოცირებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულში “the greater the truth the greater the libel” (1787) კომპარატიული მოდელის მეშვეობით ობიექტივირებულია იდეა იმის შესახებ, რომ რაც უფრო სარწმუნოა სიმართლე, მით მეტი ცილისწამებაა მის ირგვლივ.

ერთ-ერთი უახლესი ფრაზეოლოგიური ერთეული “truth is the first casualty of war” (1928) დაფიქსირდა როგორც რეაქცია პირველი მსოფლიო ომის ორაზროვან მიზეზებსა და შედეგებზე. აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ ერთეულში რეპრეზენტირებულია იდეა იმის შესახებ, რომ ომის პირველი მსხვერპლი სიმართლეა.

ინგლისურ კულტურაში ეშმაკი ამბივალენტური ხატია. ბოროტების უნივერსალური პრინციპის აღიარებით, კულტურა აერთიანებს ობიექტურად შეუთავსებელ ფენომენებს, კერძოდ კი: ძალასა და უძლურებას, დაუოკებელ ენერგიასა და უმაქნისობას. ასე შეიქმნა ეშმაკი. იგი არ შეიძლებაოდა გამოსახულიყო, როგორც ძლევამოსილი არსება, რადგან მაშინ იგი გახდებოდა ღმერთის თანასწორი და მიიზიდავდა მათ, ვინც თაყვანს სცემს ძალაუფლებას. მაგრამ მისი სისუსტის გაზვიადებაც შეუძლებელი იყო, რადგან მაშინ მას

სერიოზულად არავინ მიიღებდა. ფრაზეოლოგიური ერთეულების “tell the truth and shame the devil” (1548); truth makes the devil blush (1944) მეშვეობით კულტურაში ობიექტივირებულია დიდაქტიკური მოდელი: „თქვი სიმართლე და შეარცხვინე ეშმაკი“. აღნიშნული დიდაქტიკური მოდელი წარმოადგენს მორალურ პრესკრიფციას.

ბაზისური მოდელი „ადამიანს ძალუმს ტყუილის ოსტატურად თქმა“ აქტიურად გამოიყენება მთელ რიგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში. ახალი ინგლისური ფრაზეოლოგიური ერთეულები ხასიათდებიან მეტაფორული მოდელების ფართო გამოყენებით, რაც ასახულია შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულში “a false tongue will hardly speak the truth” (1633).

გამოცდილი მატყუარას აღსაწერად ზოომორფული ხატები გამოყენებულია კომპარატიულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში: (ძაღლი) “to lie as fast as a dog” (1530), “to lie as fast as a dog can lick a dish” (1546), (ცხენი) “to lie as fast as horse will trot” (1530).

ფრაზეოლოგიური ერთეულებით რეპრეზენტირებულია მატყუარას მახასიათებლები: კარგი მეხსიერება იმისათვის, რომ დაიმახსოვროს, ვისთან რა მოიტყუა “liars should have good memories” (1542), სხვისი ტყუილის ამოცნობის უნარი, იმისათვის, რომ არ გახდეს სხვისი ტყუილის მსხვერპლი “he will not let anybody lie by him” (1678).

ფრაზეოლოგიური ერთეულებისათვის დამახასიათებელია უკიდურესობის გამოვლენა შეფასებაში შედარების გამოყენებით. ბაზისურ მოდელს „სიცრუის უკიდურესი გამოვლინება“ ენიჭება უარყოფითი შეფასება.

ეტალონური ხატებისათვის, რომელთა მეშვეობითაც ობიექტივირებულია სიცრუე, გამოვლენილია: ანტროპომორფული “as false as Scot” (1670); “to lie like a trooper” (1870), ზოომორფული “as false as fox” (1886) და საგნობრივი “to lie like a bulletin” ელემენტები. ფრაზეოლოგიური ერთეული “a lie made out of the whole stuff” (1830) აღწერს ტოტალური სიცრუის სიტუაციას.

ტყუილი წარმოადგენს ადამიანის სამეტყველო ქმედების მნიშვნელოვან სტრატეგიას, რომელიც ასახავს ბაზისურ მოდელს „ადამიანი ტყუის სხვადასხვა მიზეზით“. ადამიანი იტყუება, როცა სიმართლის დამალვაა საჭირო: “ask no questions and you shall hear no lies” (1640); ტყუილი შეიძლება იყოს სტრატეგიის ნაწილი, რომელიც ორიენტირებულია სიმართლის გარკვევაზე: “tell a lie and find out the truth” (1678). ამრიგად, ფრაზეოლოგიური

ერთეულით “tell a man a lie and give him a reason for it” (1678) რეპრეზენტირებულია იდეა იმის შესახებ, რომ ადამიანი ყოველთვის ცდილობს საკუთარი, თუნდაც უკიდურესად არასასიამოვნო, ქმედებების გამართლებას და თუ ადამიანმა იცრუა, მაშინ იგი ცდილობს საკუთარ სინდისთან გარიგებას. ფრაზეოლოგიური ერთეული a white lie იყენებს ფერთა სიმბოლიკას „სასარგებლო“, „გამართლებული“ ტყუილის კონცეპტუალიზაციისათვის.

გამოუცდელი მატყუარას დესკრიფცია მოცემულია შემდეგ ბაზისურ მოდელში:

„გამოუცდელი მატყუარა გასცემს თავის თავს“. ფრაზეოლოგიურ ერთეულებში აღინიშნება ტყუილის მოქმელი ადამიანების ქცევის ფსიქოსომატური თავისებურებები: “if a lie could have choked him, it would have done it” (1678); “you licked not your lips when you lied last” (1732). აშკარა სიცრუე აღწერილია აუდიო ეპითეტის “that is a lie and a loud one” (1678) ან ფიტომორფული ეპითეტის გამოყენებით “his lies are latticed lies, and you may see through them” (1830).

რიგ კომპარატიულ-შეფასებით ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, ქრისტიანული იდეების შესაბამისად, ბაზისურ მოდელში „ეშმაკივით ყალბი“ ტყუილის პირველწყაროს სახით ფიგურირირებს ტრანსცენდენტული ხატი “as false as Devil” (1546); “as false as Hell” (1680). თავის მხრივ, ფრაზეოლოგიურ ერთეულში “as false as God is true” (1546) აქტივირებულია მეტაფიზიკური კონცეპტი „ღმერთი“.

რაც შეეხება კონცეპტების „იღბალი“ და „იუღბლობა“ კოგნიტური მოდელებისა და შეფასების მახასიათებელთა განვითარების სპეციფიკას ინგლისურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, ანალიზმა ცხადყო, რომ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში იღბალი და უიღბლობა სხვადასხვაგვარად განიხილება: როგორც ბედის გამოვლინება და როგორც პიროვნების რეაქცია საკუთარ საქმიანობაზე.

კონცეპტის „იღბალი“ მაობიექტივირებელი ფრაზეოლოგიური ერთეულის ერთადერთ დადებითად მარკირებულ ნიშანს წარმოადგენს „იღბლის ფასი (ღირებულება). შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელ დამოკიდებულებას იღბლისადმი აღწერს ბაზისური მენტალური მოდელი: „იღბალი ერთ-ერთი ფუნდამენტური ღირებულებაა“.

ფრაზეოლოგიური ერთეულით “opportunity makes a thief” (1220) რეპრეზენტირებულია წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ადამიანის ბედი, მისი ღირსეული და უღირსი ქმედებები მხოლოდ გარემოებებზეა დამოკიდებული. ფრაზეოლოგიურ ერთეულში “fortune favours the

brave” (1385), რომელიც პირველად დაფიქსირდა ჩოსერთან, ილბალი ინტერპრეტირებულია ანთროპომორფული ხატის მეშვეობით: „ილბალს მამაცი ადამიანები უყვარს”.

ფრანგული ენიდან ნასესხები ფრაზეოლოგიური ერთეულის “opportunity never knocks twice at any man’s door” (1500) ხატობრივი ბაზისი ასევე აგებულია ანთროპომორფიზაციის საფუძველზე: ბედნიერება კარზე უკაკუნებს მხოლოდ მას, ვისაც ბედი სწყალობს, მაგრამ ადამიანმა არ უნდა უნდა ისარგებლოს ბოროტად მისდამი ბედის კეთილგანწყობით.

კონცეპტების დადებითი შეფასების ნიშნები თანამედროვე ინგლისურში: კონსტანტურ ნიშანს, რომელიც ფიქსირდება როგორც საშუალო, ისე თანამედროვე ინგლისურში, წარმოადგენს „ილბლის ღირებულება”. ილბალი ასევე წარმოდგენილია თანამედროვე ინგლისურის იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, რომლებიც ასახავენ ბაზისურ მოდელს „ილბალი ერთ-ერთი ფუნდამენტური ღირებულებაა”. ფრაზეოლოგიური ერთეული “luck is a lord” (1564) აგებულია ილბლის ძალაუფლებისა და ძლევამოსილების სიმბოლოსთან ანალოგიზაციის საფუძველზე. ფრაზეოლოგიური ერთეულით “good luck never comes too late” (1610) კონცეპტუალიზირებულია წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ადრე თუ გვიან ადამიანს ეწვევა ბედი.

კომპარატიული მოდელის ფრაზეოლოგიურ ერთეულებში “better be born lucky than rich” (1639); “good luck reaches further than long arm”’s (1732) წარმოდგენილია აქსიოლოგიური სკალა, რომელზეც კონცეპტს „ილბალი” უფრო პრიორიტეტული ადგილი უკავია, ვიდრე - კონცეპტს „სიმდიდრე”. მეორე ერთეულში ძალა და ძალაუფლება კოდირებულია „გრძელი ხელების” ხატის მეშვეობით.

თანამედროვე ინგლისურის ფრაზეოლოგიურ ერთეულებში კონცეპტი „ილბალი” ობიექტივირებულია შესაბამის ეპოქაში დაფიქსირებული შემდეგი ნიშნების მეშვეობით: „ილბლის ამბივალენტობა”, „ილბლის დიალექტიკურობა”, „ცრურწმენა”, „შრომისმოყვარეობა”. თანამედროვე ინგლისურში გაჩნდა მოდელი: „მარცხს შეუძლია შემდგომში ილბალი მოიტანოს და პირიქით” (1605). აღნიშნული მოდელი ასახულია ფრაზეოლოგიურ ერთეულებში “ill luck is good for something” (1605); “bad luck often brings good luck” (1732), რომლებშიც კონცეპტუალიზირებულია აქსიოლოგიურად მარკირებული წარმოდგენა ილბილიანობის-უილბლობის დიალექტიკურობის შესახებ. ერთ-ერთ ფრაზეოლოგიურ ერთეულში, რომელშიც ილბალი სტქიასაც კი უმკლავდება “give a man luck

and throw him in the sea” (1576), მოდელირებულია სიტუაცია, რომელშიც ადამიანს აგდებენ ზღვაში მისი იღბლიანობა-უიღბლობის შესამოწმებლად.

იღბლისა და უიღბლობის სიტუაციის კოგნიტური მოდელირებისთვის გამოიყენება შინაური ცხოველების კონცეპტები. უიღბლობის განცდის აღსაწერად გამოიყენება ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელშიც, ირონიული ეფექტის შექმნის მიზნით, აქტივირებულია ალოგიკური, აბსურდული სიტუაცია, რომელშიც ძროხა თავის თავს ურქენს: “as good luck as had the cow that struck herself with her own horn” (1678). შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულში კი უიღბლობის განცდის კოგნიტური მოდელირებისა და ირონიული ეფექტის შექმნისათვის გამოყენებულია სიტუაცია, რომელშიც ავადმყოფი ხბო, რომელიც გადაურჩა ზამთარს - შინაური ცხოველებისთვის ყველაზე მძიმე პერიოდს - ზაფხულში მოულოდნელად კვდება: “as good luck as the lousy calf, that lived in winter and died in the summer” (1678).

თანამედროვე ეპოქა გვთავაზობს ახალ მსოფლმხედველობას, ადამიანის დამოკიდებულებას საკუთარი თავისა და სხვების მიმართ, რაც ასახულია ბაზისურ მოდელში: „ერთ საქმეში (სფეროში) იღბალი (წარმატება) მეორეში უიღბლობას (მარცხს) იწვევს“. აღნიშნული მოდელი ობიექტივირებულია შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში: “lucky at cards, unlucky in love” (1738); “good luck in card bad luck in marriage” (1755).

პირველ ფრაზეოლოგიურ ერთეულში რეპრეზენტირებულია იდეა იმის შესახებ, რომ სიყვარულში იღბალი ნიშნავს აზარტულ თამაშებში უიღბლობას და პირიქით. მეორე ფრაზეოლოგიურ ერთეულში კონცეპტი „ბედნიერება“ ობიექტივირდება იღბლიანი ქორწინების სახით.

ეკლესიის გავლენით ინგლისური ენის მატარებელნი თანამედროვე ინგლისურშიც აგრძელებენ თეოლოგიური ხატებით აზროვნებას, განიხილავენ ადამიანის უიღბლობას, განსაცდელსა და მის ბედს ღვთის განგებად. თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ადამიანის სიცოცხლეც და სიკვდილიც ღმერთის ხელშია, ობიექტივირებულია ფრაზეოლოგიურ ერთეულში “man’s extremity is God’s opportunity” (1629).

მსგავსი სიტუაცია ფიქსირდება ფრაზეოლოგიურ ერთეულში “England’s difficulty is Ireland’s opportunity” (1856), რომლის კონცეპტუალური შინაარსი მოიცავს ინგლისის ისტორიასთან დაკავშირებულ და აქსიოლოგიურად მარკირებულ კომპონენტს. ირლანდია საუკუნეების

განმავლობაში ებრძოდა ინგლისის საკუთარი დამოუკიდებლობისთვის. პრობლემები, რომლებმაც გამოიწვია ინგლისის დასუსტება, ყოველთვის წარმოდგენდა ირლანდიისათვის დამოუკიდებლობის მოპოვების ან ინგლისის გავლენის შემცირების შესაძლებლობას.

შუა საუკუნეებში მანკიერებად ითვლება დროსტარება და უსაქმოდ ყოფნა. თავისუფალი დრო, უსაქმურობა. ამასთან, თავისუფალი დროისადმი დამოკიდებულება იცვლება თანამედროვე ეპოქის დასაწყისისთვის, რაც ასახულია ფრაზეოლოგიურ ერთეულში “there is luck in leisure” (1683), რომელშიც თავისუფალი დროით ტკბობა განიხილება ბედნიერებად.

ილბლის შესახებ წარმოდგენები განუყოფელია ცრურწმენისგან, რაც ასახულია ბაზისურ მოდელში „ილბალი ეფუძნება იმ ფაქტს, რომ მინიშნებები ხდება“. ეს დაკავშირებულია „რიცხვთა მაგიასთან“, რაც ასახულია შექსპირის პიესებში გამოყენებულ ვირგილიუსის ციტატაში: “there is luck in odd numbers” (1598). იდეა იმის თაობაზე, რომ კენტ რიცხვებს ილბალი მოაქვს, ასოცირდება რომაელთა მკითხაობის რიტუალებთან. მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მესამე ცდა ილბლიანია, ასახულია ფრაზეოლოგიურ ერთეულში “third time is lucky” (1840). ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელიც ეფუძნება რითმულ გამეორებას, ახდენს კონცეპტუალიზაციას იმ წარმოდგენისა, რომლის თანახმადაც, ზედმეტი პრობლემები თავიდან უნდა იქნას აცილებული: “do not trouble trouble unless trouble troubles you”.

პროტესტანტულ ეთიკაზე დაფუძნებულ ინგლისურ კულტურაში ფიქსირდება შრომის კულტი. ბაზისურ მოდელში „მხოლოდ შრომისმოყვარე ადამიანებს უმართლებთ“ კონცეპტი „ილბალი“ დეტერმინირებულია კონცეპტით „შრომისმოყვარეობა“. ფრაზეოლოგიურ ერთეულში “every man is an architect of his own fortune” (1533) ილბლის ინტერპრეტაციისათვის გამოყენებულია მშენებლობასთან ასოცირებული კონცეპტუალური მეტაფორა. კაპიტალის ეპოქის ადამიანისთვის ბედნიერება სიმდიდრეშია, ხოლო სიმდიდრის მისაღწევად საჭიროა შრომა: “diligence is the mother of good luck” (1840). ფრაზეოლოგიური ერთეულით “lucky men need no council” (1855) კონცეპტუალიზირებულია იდეა იმის შესახებ, რომ ილბლიანი ადამიანები თვითკმარნი არიან და არ სჭირდებათ სხვა ადამიანების რჩევა.

შემდგომი პერიოდის ფრაზეოლოგიურ ერთეულებში კონცეპტუალიზირებულია ცნების ისეთი უარყოფითი მახასიათებლები, როგორიცაა „უილბლო“ და „სისულელე“.

ძირითადი მოდელი „მარცხი ერთ-ერთი ფუნდამენტური ანტიღირებულებაა“ ჩნდება თანამედროვე დროის რიგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში.

საკვლევი კონცეპტის უარყოფითი შეფასების ნიშნები არ არის ტიპური საშუალო ინგლისურის ეპოქისათვის. შემდგომ პერიოდში კი ფრაზეოლოგიური ერთეულებით კონცეპტუალიზირდება კონცეპტის უარყოფითი შეფასების ნიშნები: „უიღბლობა“ და „სისულელე“. ბაზისური მოდელი „უიღბლობა ერთ-ერთი ფუნდამენტური ანტიღირებულებაა“ ჩნდება თანამედროვე დროის რიგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში.

თანამედროვე ინგლისურ პერიოდში ფიქსირდება ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა კონცეპტუალური შინაარსის პლანში აქტივირებულია ხატი „იღბალი-ბედი“: “What is worse than ill luck?” (1639). აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეული აგებულია რიტორიკული შეკითხვის მოდელზე. კომპარატიულ ფრაზეოლოგიურ ერთეულში “ill luck is worse than lost money” (1670) კონცეპტუალიზირებულია აქსიოლოგიურად მარკირებული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ უიღბლობა ფულის დაკარგვაზე უარესია.

უიღბლობის ანთროპომორფული ხატი ჩნდება შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში: “when ill luck falls asleep, let nobody wake her” (1659); “do not trouble trouble till trouble troubles you” (1884). აღნიშნულ ერთეულებში უიღბლობა იძენს ცოცხალი არსებების თვისებებს: ძილის უნარი, რეაგირება სტიმულზე.

წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ უიღბლო ქორწინება ახალ უიღბლობათა საწინდარია, ასახულია შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულში: “an ill marriage is a spring of ill fortune” (1633). ირონია იკვეთება ფრაზეოლოგიურ ერთეულში “the devil’s children have the devil’s luck” (1732), რომელშიც რეპრეზენტირებულია იდეა იმის შესახებ, რომ არაჩვეულებრივი იღბალი მოდის არა ღმერთისგან, არამედ - ეშმაკისგან.

მოდელი „სულელებს უმართლებთ“ ლათინურიდან არის ნასესხები და აკავშირებს იღბლისა და სისულელის კონცეპტებს. იდეა იმის თაობაზე, რომ ბედნიერება სულელებს ანიჭებს უპირატესობას, ეკუთვნის ძველ რომაელებს. ფრაზეოლოგიური ერთეული “fools have fortune” და მისი ვარიანტები “fortune favours fools” (1568), “fools for luck” (1834); “a fool’s bolt may sometimes hit white” (1732) ასახავენ დაუმსახურებელი ბედნიერების იდეას.

კომპონენტური შემადგენლობის გაფართოება შეინიშნება გამონათქვამში “luck for the fools and chance for the ugly” (1754), რომელშიც იღბლიანობა გააზრებულია როგორც ნაკლოვანებების, კერძოდ კი, სისულელისა და სიმახინჯის ერთგვარი კომპენსაცია. ფრაზეოლოგიურ ერთეულში ობიექტივირებულია იდეა იმის შესახებ, რომ სულელებს შეუძლიათ იღბალი მოუტანონ სხვა ადამიანებს “a fool’s handsel is lucky” (1614).

დასკვნის სახით: ნაშრომში ფრაზეოლოგიური ერთეულების აქსიოლოგიურად მარკირებული მოდელი გააზრებულია როგორც კონცეპტუალური სტრუქტურა, რომელშიც აკუმულირებულია მშობლიური ენის მატარებლისათვის ღირებული წარმოდგენები.

თავი IV. კულტურული, ასაკობრივი და გენდერული ცვლადები

4.1. ახალგაზრდების ღირებულებითი ორიენტაციები

ღირებულებათა სისტემის ელემენტები (ღირებულებები) განლაგებული არიან გარკვეულ იერარქიაში, რომელშიც ზოგიერთი ღირებულება დომინანტურია, ზოგი კი - დაქვემდებარებული. ღირებულებათა მნიშვნელოვნების, სტატუსისა და, შესაბამისად, სისტემაში მათი ადგილის ცვლილებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სხვადასხვა ფაქტორმა.

ადამიანზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებაში აღიარებულ ღირებულებათა სისტემა. აღნიშნული სისტემა მოწიფულ ადამიანებსაც კი აიძულებს, შეცვალოს საკუთარი ცხოვრებისეული მრწამსი. ადამიანის ღირებულებით ორიენტაციების ცვლილებაზე ასევე შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ავტორიტეტულ ადამიანთა ღირებულებითმა ორიენტაციებმა.

შესაბამისად, ადამიანის ინდივიდუალურ ღირებულებათა რეპერტუარი არ არის უცვლელი: იგი ტრანსფორმირდება ცხოვრებაში მომხდარი სიტუაციების გავლენით. მაგრამ არსებობს მარადიული, აბსოლუტური, უნივერსალური ღირებულებები. ეს არის ღირებულებები, რომლებიც დროთა განმავლობაში უცვლელია და მნიშვნელოვანია არა გარკვეული შეზღუდული წრისთვის, არამედ მთელი კაცობრიობისთვის. მარადიული, აბსოლუტური, უნივერსალური ღირებულებები წარმოადგენენ კაცობრიობის სულიერი კულტურის საფუძვლებს. ამ ტიპის ღირებულებები კოდირებულია ყველა ადამიანის ცნობიერებაში, ისინი ერთნაირად მნიშვნელოვანია ყველა ადამიანისთვის: მარადიული, აბსოლუტური, უნივერსალური ღირებულებები არ არიან დეტერმინირებული ეროვნული, რასობრივი და. ა.შ. სპეციფიკით.

აბსოლუტური, უნივერსალური ღირებულებები ასოცირდებიან ადამიანის სინდისთან, სამართლიან ქცევასთან, შინაგან სიმშვიდესთან, სიყვარულთან და არა - ძალადობასთან.

თანამედროვე ტრანსფორმირებად საზოგადოებებში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს პიროვნების იდენტობა. ეს უკანასკნელი ურთიერთკავშირშია სოციალურ პირობებსა და სოციალურ სიტუაციასთან. სწორედ ამიტომ არის იდენტობა საკმაოდ რთულად მოსახელთებელი და არაპროგნოზირებადი ფენომენი.

საზოგადოების განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდების იდენტობას, ვინაიდან სწორედ იგი წარმოადგენს ნებისმიერი საზოგადოების სოციალურ პოტენციალს.

დღეს ახალგაზრდების როლი საზოგადოებაში არის არა მხოლოდ სოციალურ-პროფესიული როლებისა და ფუნქციების შესრულება მოცემულ საზოგადოებაში, ქცევაში სოციალურად თვალსაზრისით აღიარებული ნორმების დაცვა, საკუთარი თავისა და გარემომცველი სოციალური და ბუნებრივი გარემოსადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების ქონა - დღეს ახალგაზრდების როლსა და ფუნქციას საზოგადოებაში ასევე წარმოადგენს არსებული მოდელების, ღირებულებებისა და ღირებულებითი ორიენტაციების გარდაქმნა.

იდენტობა, როგორც ახალგაზრდული პოტენციალის წარმართვისა და რეალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, ვლინდება ახალგაზრდათა ცნობიერებაში გარკვეული ქმედებებზე ორიენტაციის სახით, სოციალური აქტივობის ინტენსივობით, ახალგაზრდების მიერ გარკვეული სოციალური როლებისა და სამოქალაქო მოვალეობების შესრულების მზაობით. სწორედ სოციალური როლებისა და სამოქალაქო მოვალეობების შესრულების გზით ხორციელდება ახალგაზრდების პოტენციალის რეალიზაცია.

ინგლისელ და ქართველ რესპოდენტთა ღირებულებითი ორიენტაციების კვლევა დაეფუძნა შერეულ მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომელიც მოიცავს როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს. (Bryman / ბრაიმანი, 2006). შერეულმა მიდგომამ უზრუნველყო ინგლისური და ქართული საზოგადოებების აქსიოლოგიური ველების სპეციფიკის სიღრმისეული ანალიზის განხორციელებისა და მიღებული მონაცემების ადეკვატური შეფასების საშუალება როგორც რაოდენობრივი ტენდენციების, ისე რესპოდენტების სუბიექტური გამოცდილებისა და დამოკიდებულებების გათვალისწინებით. (Bernard / ბერნარდი, 2006).

მონაცემთა შეგროვება განხორციელდა ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით. ინტერვიუები ჩატარდა ორ ფორმატში: ონლაინ პლატფორმების მეშვეობით; პირისპირ შეხვედრის ფორმატში.

აღნიშნულ ფორმატთა კომბინირებამ უზრუნველყო რესპოდენტთა ფართო ჩართულობა და კვლევის ხელმისაწვდომობის ზრდა. სულ გამოკითხულ იქნა 247 რესპოდენტი.

რესპოდენტთა კოჰორტაში დაცული იყო ძირითად დემოგრაფიულ და კულტურულ ცვლადებს შორის ბალანსი. რესპოდენტთა შერჩევისას გათვალისწინებული იყო ეროვნულ-კულტურული კუთვნილება, გენდერი და ასაკი.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო როგორც ქართველმა (124 რესპოდენტი), ისე ინგლისელმა რესპოდენტებმა (123 რესპოდენტი). რესპოდენტთა თითქმის თანაბარმა გადანაწილებამ ამ ორ ჯგუფს შორის შექმნა მყარი საფუძველი კონსტრუირებული აქსიოლოგიური ველების ანალოგიზაცია-კონტრასტირებისათვის.

გენდერული ბალანსის უზრუნველსაყოფად კვლევაში წარმოდგენილი იყო ორივე სქესის წარმომადგენლები: 124 ქალი; 121 მამაკაცი.

რესპოდენტები გადანაწილდნენ სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში: 18-24 წლის 52 რესპოდენტი, 35-44 წლის 61 რესპოდენტი, 45-54 წლის 41 რესპოდენტი, 55 და მეტი წლის 25 რესპოდენტი.

რაოდენობრივი მონაცემები დამუშავდა სტატისტიკური ანალიზის მეთოდის გამოყენებით.

თვისებრივი მონაცემების ანალიზი განხორციელდა თემატური ანალიზის მეთოდის გამოყენებით, რამაც უზრუნველყო ინტერვიუში გამოკვეთილი ძირითადი თემების იდენტიფიცირების საშუალება.

აქსიოლოგიური ველების შინაარსობრივი და სტრუქტურული თავისებურებები განისაზღვრა რესპოდენტთა უმრავლესობის პასუხების ანალიზის საფუძველზე.

კვლევის პროცესში დაცული იყო კვლევის ეთიკური სტანდარტები. ყველა რესპოდენტი ინფორმირებული იყო კვლევის მიზნების შესახებ და მონაწილეობდა ნებაყოფლობით. უზრუნველყოფილი იყო რესპოდენტთა ანონიმურობა და მონაცემთა კონფიდენციალურობა.

ინგლისელ და ქართველ რესპოდენტთა პასუხების ანალიზმა გამოავლინა შემდეგი კანონზომიერებები:

იმ ღირებულებით კომპონენტს, რომელიც ახასიათებს ახალგაზრდების სამოქალაქო იდენტობას, წარმოადგენს მიმართებათა სისტემა „სახელმწიფო და ახალგაზრდობა“. სწორედ აღნიშნულ მიმართებათა სისტემის თავისებურებები ვლინდება ახალგაზრდა თაობის იდეებში იმის შესახებ, თუ რა წარმოადგენს სახელმწიფოსა და ახალგაზრდებს შორის

ურთიერთობების დამყარების ყველაზე ეფექტურ გზას და რა მნიშვნელობას ანიჭებენ ახალგაზრდები მათსა და სახელმწიფოს შორის არსებულ მიმართებას.

ახალგაზრდების მასობრივ ცნობიერებაში სახელმწიფოს ხატი მატერიალიზებულია სახელმწიფო და სამოქალაქო ინსტიტუტების საქმიანობით. სწორედ აღნიშნულმა ინსტიტუტებმა უნდა შექმნან ხელსაყრელი პირობები მოქალაქეების, მათ შორის ახალგაზრდების, მისწრაფებების რეალიზაციისთვის.

მონაცემთა დამუშავებისას განისაზღვრა ზემოაღნიშნულ ღირებულებათა რეიტინგი. ანალიზმა ცხადყო, რომ მონაწილეთა უმრავლესობისათვის პირველ ადგილზე ოჯახია (27%). მეორე ადგილს ჯანმრთელობა იკავებს (19%). ინფორმანტთა მხოლოდ მცირე ნაწილი მიაკუთვნებს რელიგიას (5%) და პოპულარობას (3%) მთავარ ღირებულებათა რეპერტუარს. საკმაოდ დაბალია პატრიოტული სულისკვეთება რესპოდენტთა შორის (3%).

საკმაოდ მკვეთრია თანამედროვე სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების ორიენტაცია მატერიალურ კეთილდღეობაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მატერიალური კეთილდღეობა ჯერ კიდევ ჩამოუვარდება ისეთ სულიერ ღირებულებებს, როგორიცაა „ოჯახი“, „ჯანმრთელობა“ და „განათლების მიღება“.

ყველაზე გამორჩეული პასუხების მქონე ინფორმანტებს დავუსვით შემდეგი შეკითხვები: „რატომ არის თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის ღირებულება, რომელიც თქვენ პირველ რიგში დააყენეთ?“, „რატომ არის ღირებულება, რომელიც მიიჩნიეთ ყველაზე ნაკლებ რეიტინგულად, ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი თქვენთვის?“

რესპოდენტმა, რომელმაც პირველ რიგში „თავისუფლება და დამოუკიდებლობა“ დაასახელა, მოგვცა შემდეგი განმარტება: „მჯერა, რომ ადამიანი ბედნიერი ვერ იქნება, როცა მას აკონტროლებენ. ან თავისუფალი ხარ და ახდენ თვითრეალიზაციას ისე, როგორც გინდა, ან ცხოვრობ სხვისი ცხოვრებით“. იმ რესპოდენტმა კი, რომელმაც რელიგიას ღირებულებათა რეიტინგში ბოლო ადგილი მიაკუთვნა, გაგვცა შემდეგი პასუხი: „რელიგია ჩემთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ცხოვრებაში არ მაქვს იმ ტიპის პრობლემები, რომლებიც „იმქვეყნიური“ გზებით უნდა მოგვარდეს“.

ინფორმანტმა, რომელმაც დომინანტურ ღირებულებად რელიგია დაასახელა, ხოლო პოპულარობას და სახელს მიუჩინა ბოლო ადგილი, შემდეგი პასუხი გაგვცა: „მე გავიზარდე

იმ გარემოში, რომ სხვა პასუხი წარმოუდგენელი იქნებოდა. მე არ ვისწრაფვი პოპულარობისაკენ, ამიტომ პოპულარობას ბოლო ადგილი მივუჩინე”.

იმ ინფორმანტმა კი, რომელმაც პოპულარობას არგუნა პირველი ადგილი, ხოლო რელიგიასა და ოჯახს - ბოლო, შემდეგი პასუხი გაგვცა: „მინდა ამ ცხოვრებაში საკუთარი თავის რეალიზება, მინდა ისტორიაში ჩემი კვალი დავტოვო. მეჩვენება, რომ ვერ გახდები ცნობილი, თუ გყავს ცოლი, შვილი და ორი ძალი. ეს ყველაფერი ხელს უშლის კარიერას. ოჯახის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც გავხდები ცნობილი. რელიგიას იმიტომ მივაკუთვნე ასეთი დაბალი რეიტინგი, რომ ათეისტი ვარ და ღმერთის არ მწამს”.

რესპონდენტმა, რომელიც პირველ ადგილზე პატრიოტიზმი, ხოლო ბოლო ადგილზე კი ფინანსური სტაბილურობა დაასახელა, შემდეგი პასუხი გაგვცა: „ჩემთვის მთავარია ჩემი ქვეყნის მომავალი. მე მზად ვარ დავიცვა იგი, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად. მინდა ვიყო იქ, სადაც ქვეყანას ჩემი დახმარებაა დასჭირდება. ასე რომ, მე ფინანსურ სტაბილურობას ბოლო ადგილზე ვაყენებ“.

ინფორმანტებს ასევე ვთხოვეთ პასუხის გაცემა შემდეგ შეკითხვაზე: „რა ფაქტორმა მოახდინა გავლენა თქვენს ამჟამინდელ ღირებულებათა სისტემაზე?“ ინფორმანტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათ ღირებულებათა სისტემაზე გავლენა იქონია ოჯახმა.

კვლევის შედეგების ანალიზმა გამოკვეთა შემდეგი კანონზომიერება: ისეთი ღირებულებები, როგორიცაა „ფინანსური სტაბილურობა“, „თავისუფლება და დამოუკიდებლობა“, განსაკუთრებით მაღალრეიტინგულია სტუდენტებში. სავარაუდოდ, ეს ფაქტი შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ სტუდენტები, სკოლის მოსწავლეებისგან განსხვავებით, ხშირად მშობლებისგან განცალკევებით ცხოვრობენ, ამიტომ მათ უწევთ საკუთარ ფინანსურ მდგომარეობაზე ზრუნვა.

სკოლის მოსწავლეთა მნიშვნელოვან ნაწილს გაუჭირდა საკუთარ ღირებულებათა განსაზღვრა - მათ ვერ გადაწყვიტეს, თუ რომელი ღირებულებაა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. კვლევამ ცხადყო, რომ სკოლის მოსწავლეებს არ უფიქრიათ საკუთარ ღირებულებათა სისტემაზე. ეს კი ნიშნავს, რომ სკოლის მოსწავლეები არ აანალიზებენ საკუთარ ღირებულებათა სისტემას. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი შინაგანი პოზიცია ხელს

უწყობს იმ ფაქტს, რომ ადამიანი უფრო და უფრო კონტროლირებადი ხდება გარეგანი ძალებისაგან და ექვემდებარება მანიპულაციას.

ინფორმანტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ ახალგაზრდები ძალიან მაღალ შეფასებას აძლევენ ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა ოჯახი, განათლება და ჯანმრთელობა. ახალგაზრდების იდეალს კი წარმოადგენს ჭკვიანი, მიზანდასახული, თავდაჯერებული, გულისხმიერი და კეთილი ადამიანი, რომელსაც გააჩნია პასუხისმგებლობისა და იუმორის გრძნობა.

ახალგაზრდები გამოირჩევიან პრაქტიკულობით. ისინი აფასებენ მატერიალურ კეთილდღეობას, შრომას და ცდილობენ ყველაფერში დაეყრდნონ საკუთარ თავს. კვლევამ ცხადყო, რომ თანამედროვე ახალგაზრდებში პატრიოტული სულისკვეთება არ არის მაღალი. ამასთან, ახალგაზრდებში იკვეთება მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ პატრიოტს შეიძლება მშობლიურ ლიტერატურაზე მეტად უყვარდეს უცხოური ლიტერატურა ან თავი აარიდოს სამხედრო სამსახურს.

ამრიგად, მივდივართ დასკვნამდე, რომ ახალგაზრდების ღირებულებები და იდეალები იკვეთება ისეთ ცნებებთან, როგორიცაა: სიმართლე, სიკეთე და სილამაზე. შედეგად, ჩვენ ვიღებთ შემდეგ განმარტებებს:

1. ღირებულებები არის ხალხის მიერ აღიარებული იდეები მიზნებისა და მათი მიღწევის გზების შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის სოციალურად გამართლებულ ქცევას;
2. იდეალი წარმოადგენს ჰოლისტურ ხატს, რომელშიც აკუმულირებულია ყველაზე ღირებული და მიმზიდველი ადამიანური თვისებები.

ღირებულებითი ორიენტაციები და იდეალები ქმნიან სუბიექტის საქმიანობის ორიენტირებს, რაც დიდწილად განსაზღვრავს ახალგაზრდების სოციალური ქცევის მიმართულებას ყოველდღიურ საქმიანობაში. გარკვეულ ღირებულებათა პრიორიტეტულობა-არაპრიორიტეტულობა ასახავს ახალგაზრდების სულიერების ხარისხს.

ღირებულებითი ორიენტაციები და იდეალები წარმოადგენენ პიროვნების ძირითად სოციალურ მახასიათებელს. ამავდროულად, ახალგაზრდების ღირებულებები და იდეალები

ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული: დომინანტური ღირებულებები წინასწარ განსაზღვრავენ იდეალების არჩევანს.

თანამედროვე საზოგადოების პირობებში ახალგაზრდების ღირებულებითი ორიენტაციებისა და იდეალების ჩამოყალიბება რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გავლენით.

ახალგაზრდების უმრავლესობა, იძულებული გახდა შეეგუოს მუდმივად ცვალებადი ცხოვრების პირობებს - ახალგაზრდებმა წარმატებას მიაღწიეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ ნაკარნახევი ნორმებისათვის გვერდის ავლის ხელოვნებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა თაობა, გარკვეულწილად, ჩამორჩება უფროს თაობას ცხოვრების მორალურ კონტექსტში ჩართვის თვალსაზრისით. და მაინც, ახალგაზრდების უმრავლესობა ჯერ კიდევ აცნობიერებს ტრადიციულ ღირებულებათა მნიშვნელოვნებას საზოგადოებისთვის. ახალგაზრდების მასობრივ ცნობიერებაში „წარმატება ცხოვრებაში“ ასოცირდება, უპირველეს ყოვლისა, ძლიერ ოჯახთან, ასევე ჯანმრთელობასა და განათლებასთან.

რაც შეეხება იმ ქმედებებსა და ფენომენებს, რომლებიც მიჩნეულია ამორალურ ან სულ მცირე არაეთიკურ ქმედებად და ფენომენებად, მათზე ახალგაზრდების ნახევარზე მეტი მკვეთრად უარყოფითად რეაგირებს.

ახალგაზრდების იდეალი ჭკვიანი, მიზანდასახული, თავდაჯერებული და კეთილშობილი ადამიანია, რომელიც გამოირჩევა პასუხისმგებლობისა და იუმორის გრძნობით. ეს არის ადამიანი, რომელიც მზად არის მიაღწიოს დასახულ მიზნებს კონკურენტულ გარემოში, ისე, რომ არ დაკარგოს ადამიანური თვისებები და ღირებულებები.

თაობათა უწყვეტობა (მემკვიდრეობითობა) წარმოადგენს კულტურულ- ისტორიულ ღირებულებათა მუდმივი რეპროდუქციის რთულ, ისტორიულ და მიზანმიმართულ პროცესს, რომელიც განისაზღვრება სოციალური პირობებისა და ისტორიული ამოცანების ერთობით. აღნიშნული ტიპის ერთობა შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც უწყვეტობის (მემკვიდრეობითობის) თანმიმდევრული ფორმები, რომლებიც ხასიათდებიან ღირებულებითი ორიენტაციების უფროსი თაობიდან ახალგაზრდა თაობაზე ტრანსლაციის ციკლური ხასიათით.

კვლევამ გამოავლინა მემკვიდრეობითობის მექანიზმის შემდეგი მახასიათებლები:

1. ახალგაზრდა თაობის ღირებულებითი სისტემის ფორმირება არ შეიძლება განხორციელდეს უფროსი თაობების ღირებულებით სისტემებზე დაყრდნობის გარეშე;
2. გამოცდილების სტაბილური ელემენტების თაობიდან თაობაზე გადაცემის მექანიზმი გვევლინება იმ ძირითადი ღირებულებების სახით, რომლებსაც მემკვიდრე სწავლობს და ითვისებს, უარყოფს ზოგიერთ მათგანს და ტრადიციულ ღირებულებათა საფუძველზე ქმნის ახალ ღირებულებებს;
3. მემკვიდრეობითობის მექანიზმი გულისხმობს თაობათა დაპირისპირებას და კონფლიქტს აქსიოლოგიურ დონეზე;
4. თაობათა უწყვეტობის პროცესი შეიძლება იყოს როგორც გაცნობიერებული, ისე გაუცნობიერებელიც. მის სტრუქტურას ახასიათებს უწყვეტობა, თანმიმდევრულობა, პროგრესირება, შედარებითი მუდმივობა, შემოქმედებითობა და ინოვაციურობა.

კვლევამ ცხადყო, რომ უფროსი, საშუალო და ახალგაზრდა თაობის ჯგუფების აქსიოლოგიური ველი ერთდროულად მოიცავს ტრადიციული კულტურის ძირითად ღირებულებებს, ეპოქის იდეოლოგიურ ღირებულებებსა და ბოლო ათწლეულების ლიბერალურ ტენდენციებს. თაობათა ჯგუფების წარმომადგენელთა უმრავლესობა ინტეგრირებულია თანამედროვე საზოგადოებაში და თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თაობები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ტრადიციული ტიპის კულტურისადმი ერთგულების ხარისხით.

კვლევამ გამოვლინა ღირებულებები, რომლებიც აერთიანებს სხვადასხვა თაობას. ამ ტიპის ღირებულებებს განეკუთვნება: ალტრუიზმი, სიკეთე, სხვა ადამიანების დახმარება და გულმოწყალება სხვა ადამიანების მიმართ, აქტიურობა, ავტორიტეტი, სიმდიდრის უგულბელობა ტრადიციის დონეზე და მატერიალური კეთილდღეობის მნიშვნელოვნება ქცევის დონეზე.

თაობები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მიზნის მიღწევის გზებით, კონფორმიზმის, მდიდრული ცხოვრებისა და პოპულარობისადმი დამოკიდებულებით.

მემკვიდრეობითობის მექანიზმის კულტურულ სპეციფიკას წარმოადგენს „ორმაგი სტანდარტი“, რაც შემდეგში გამოიხატება: ითვისებს რა ძველი თაობის ღირებულებებს, ახალგაზრდა თაობა ითვისებს იმ შეუსაბამობასაც, რომლიც ფიქსირდება დეკლარირებულ ღირებულებებსა და ღირებულებათა რეალურ სტრუქტურას შორის.

თანამედროვე საზოგადოებაში ღირებულებითი ორიენტაციების თაობათაშორისი უწყვეტობის მექანიზმის მოქმედების თავისებურება შემდეგში მდგომარეობს: მიუხედავად სისტემური გარდაქმნებისა, რომლებიც ხდება თანამედროვე საზოგადოებაში, ღირებულებითი ორიენტაციები ინარჩუნებენ ძირითად ღირებულებით კომპონენტს, რომელიც წარმოადგენს თაობიდან თაობაზე ღირებულებათა სისტემის სტაბილური ელემენტების გადაცემის მექანიზმს.

ნორმატიული იდეალების დონეზე შენარჩუნებულია ღირებულებითი მემკვიდრეობითობა, ვლინდება უწყვეტი ღირებულებითი პროცესი, რომელიც უფროსი თაობიდან გადადის საშუალო და ახალგაზრდა თაობებზე. ღირებულებათა უწყვეტობის სიმძლავრის ხარისხი სხვაობს თაობებს შორის: ღირებულებათა უწყვეტობის სიმძლავრის ხარისხი მაღალია უფროს და საშუალო თაობებს შორის, ხოლო ღირებულებათა უწყვეტობის სიმძლავრის ხარისხი გაცილებით ნაკლებია უფროს და ახალგაზრდა თაობებს შორის.

ღირებულების ცნების რელატიურობა და მასში არსებული შინაგანი წინააღმდეგობრიობა დიდწილად განისაზღვრება ღირებულების არაერთმნიშვნელოვნებით.

ადამიანი თავისი საქმიანობის პროცესში ქმნის ახალ სოციალურ-კულტურულ სამყაროს, შედეგად კი, თავისი საქმიანობის პროცესში ადამიანი ბიოლოგიური არსებიდან გარდაიქმნება სოციოკულტურულ არსებად. ესთეტიკური ღირებულების ფორმირების პროცესი ყოველთვის მიმდინარეობს ცოცხალ სოციალურ ურთიერთობათა დინამიკასთან კონტაქტში. ესთეტიკური ღირებულების ფორმირების პროცესი და სოციალურ ურთიერთობათა დინამიკა ურთიერთგანპირობებულია. ამრიგად, საზოგადოება თავად ქმნის ამა თუ იმ ღირებულებებს და თავადაც აუცილებლად ემორჩილება მათ მისივე ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

თუმცა, როდესაც საზოგადოებაში ხდება ფუნდამენტური ცვლილებები მისი სოციალური სტრუქტურის რადიკალური ტრანსფორმაციის, პოლიტიკური, იდეოლოგიური,

ეკონომიკური, კულტურული რეფორმების გამო, ღირებულებათა სისტემა ხშირად ვერ უძლებს დროის გამოცდას. საუკეთესო შემთხვევაში ღირებულებათა სისტემა განიცდის ცვლილებებს, უარეს შემთხვევაში კი - უბრალოდ ირღვევა.

ინსტიტუტები ანაცვლებენ ერთმანეთს, ტრადიციული ინსტიტუციონალური მექანიზმების ნაცვლად ჩნდება თანამედროვე მექანიზმები, რომლებიც ხასიათდებიან კულტურული პლურალიზმით და ორინტირებულნი არიან ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობებზე. ახალი აქსიოლოგიური რეალობა ყალიბდება ძველი რეალობის ფრაგმენტების, წარსული მენტალიტეტის, სოციალური დეზორგანიზაციის პროცესის წყალობით, რომელიც, პრინციპში, შეიძლება გავიაზროთ, როგორც გარდამავალი ეტაპზე ინოვაციური სოციალურ-კულტურული მოდელების აპრობაციის პროცესი. სწორედ ამიტომ, ზოგჯერ ამ რეალობის მთავარ მარკერად გაურკვევლობა გვევლინება.

რადიკალური ცვლილებები საზოგადოების ცხოვრებაში იწვევს სერიოზულ ძვრებს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდების კოლექტიურ და ინდივიდუალურ ცნობიერებაში.

გლობალიზაციის ფონზე ვითარდება ორი ერთმანეთის საპირისპირო ტენდენცია: ერთი მხრივ, ნადგურდება ძველი ნორმები, იდეალები და ღირებულებები, მეორე მხრივ კი, მოქმედებს გარკვეული მუხრუჭი, ვლინდება ცნობიერების სტერეოტიპები. ახალგაზრდები შედიან იმ სოციალურ სივრცეში, რომელიც შეიქმნა მათგან. ეს კი არღვევს თაობათა ბუნებრივ კავშირსა და უწყვეტობას.

გლობალიზაცია ყველაზე მკაფიოდ ვლინდება საზოგადოების ყველა ასპექტის, განსაკუთრებით კი ღირებულებითი მახასიათებლებისა და მოდელების უნიფიცირებაში. თანამედროვე სამყაროში შეფასების სისტემა ადამიანს ახასიათებს სოციალური ფუნქციების განხორციელებაში მის მიერ მიღწეული წარმატების მიხედვით, რაც გამოიხატება შემოსავლის დონეში. შედეგად, თანამედროვე ადამიანი თავისი ენერგიის, დროისა და ფულის დიდ ნაწილს ხარჯავს იდეალური სოციალური სტატუსის მისაღწევად. (გოდარდი & ვიქსბიკა, 2014)

ბუნებრივია, ჩნდება კითხვები:

შესაძლებელია თუ არა მთელი მსოფლიოს ერთიან სტანდარტებზე მორგება, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების მიტოვება და ერთიანი კულტურული სივრცის ჩამოყალიბება?

რატომ არის თანამედროვე ადამიანების, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდების აქსიოლოგიური ორიენტაცია შინაგანად წინააღმდეგობრივი?

ხომ არ იწვევს ამ წინააღმდეგობრიობას ტრადიციული მენტალური სტრუქტურების ახალ გლობალურ სოციალურ-კულტურულ მოდელებთან და ცხოვრების ახალ წესთან შერწყმა?

თავსებადია თუ არა უნივერსალური ადამიანური ღირებულებები ადამიანთა საზოგადოების ეთნიკურ, სოციალურ და რელიგიურ სეგმენტაციასთან?

შესაძლებელია თუ არა საუბარი ზოგადსაკაცობრიო (უნივერსალურ) ღირებულებებზე, თუ ადამიანები, რომლებიც მიეკუთვნებიან სხვადასხვა სოციალურად და ისტორიულად ჩამოყალიბებულ ერთობებს, განსხვავებულ შინაარსს ანიჭებენ „ღირსების“, „მოვალეობის“, „სიკეთის“ და ა.შ. ცნებებს?

პასუხი ყველა კითხვაზე დადებითია, თუმცა დადებითობა არ გამორიცხავს მეტ-ნაკლებობას!

ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები ურთიერთკავშირშია ეროვნულ, ინდივიდუალურ, კოლექტიურ და ჯგუფურ ღირებულებებთან. სწორედ ამ ლოკალური ღირებულებების მეშვეობით გამოიხატება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები. ზოგადსაკაცობრიო და ლოკალური ღირებულებები ერთმანეთს ავსებენ.

და ისევ შეკითხვები:

როგორ ხდება ახალგაზრდა თაობის ღირებულებითი ორიენტირების ტრანსფორმაცია?

რა ტენდენციები ხდება დომინანტური?

როგორ და რამდენად შეიძლება ამ პროცესზე გავლენის მოხდენა?

ინგლისელი და ქართველი რესპოდენტების პასუხების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ახალგაზრდების სულიერი ცხოვრების შეცვლის დომინანტური ტენდენციები:

1. ახალგაზრდების ცნობიერების დიფერენციაცია და ინდივიდუალიზაცია;
2. ღირებულებით-ნორმატიული ცნობიერების რაციონალიზაცია, რომელიც გამოიხატება პრაგმატიზაციაში, სულიერი ფასეულობების არამატერიალურიდან მატერიალურზე, ტერმინალურიდან ინსტრუმენტულზე გადართვით;
3. ცნობიერების დეიტიზაცია, რომელიც გულისხმობს თვითრეგულირების მორალური საფუძვლების კოროზიის პროცესს;
4. ვალდებულებასთან დაკავშირებულ ღირებულებულებათა მიმართ ინდეფერენტული დამოკიდებულება, თვითგანვითარების ლიბერალური ღირებულებებისა და თვითრეალიზაციის სტარტეგიებისათვის უპირატესობის მინიჭება.

საზოგადოებაში ღირებულებების ცვლა თანდათანობით ხდება და, როგორც წესი, ამ პროცესს დიდი დრო სჭირდება. შესაბამისად, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ერთი და იგივე ღირებულებითი ორიენტაციები შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნას ინტერპრეტირებული. ამრიგად, საზოგადოება შეიძლება დახასიათდეს, როგორც ღირებულებითი სისტემა, რომლის კონფიგურაციის თავისებურება დეტერმინირებულია სოციალური პროცესების განვითარების თავისებურებით.

ახალგაზრდა თაობა ეყრდნობა მისი წინამორბედების ცხოვრებას და გამოცდილებას, მათ გადაეცემა კულტურული მემკვიდრეობაც და ტრადიციებიც. ამასთან, ახალგაზრდა თაობა გამოირჩევა თვისებრივად ახალი ღირებულებებით, რომლებიც ახასიათებს ადამიანის თანამედროვე ღირებულებაზე ორიენტირებულ პორტრეტს.

საზოგადოების განვითარების ამჟამინდელი დონე განსაზღვრავს მატერიალური ფასეულობების დომინირებას სხვა ღირებულებით ორიენტაციებზე. აღნიშნულმა ტენდენციამ, პრინციპში, მიაღწია კრიტიკულ დონეს. თანამედროვე ახალგაზრდების მთავარი ღირებულებითი ორიენტაცია მაღალი ხელფასი და მატერიალური კეთილდღეობაა.

XXI საუკუნეში ახალგაზრდების ცხოვრებაში დომინირებს ცხოვრებაში წარმატების მიღწევის სურვილი. ვლინდება ძველი ღირებულებების უწყვეტობა და მემკვიდრეობითობა, პარალელურად კი ჩნდება ახალი სტაბილური ტენდენცია. განათლების დონე განიხილება წარმატების მიღწევის მნიშვნელოვან ფაქტორად.

კვლევის შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ ღირებულებითი ორიენტაციები განსაზღვრავენ თითოეული სოციალურ-კულტურული გარემოსათვის დამახასიათებელ სპეციფიკას: კონკრეტული ღირებულებები დამახასიათებელია კონკრეტული თაობისთვის. ღირებულებითი ორიენტაციების რეპერტუარი ახალგაზრდების თითოეული თაობისთვის განისაზღვრება ფაქტორების კომპლექსით. ერთ-ერთი მათგანია სოციალურ-კულტურული გამოცდილება. ასევე მნიშვნელოვანია საკუთარი თაობის კულტურული პოტენციალის რეალიზების სურვილი.

თანამედროვე ახალგაზრდა თაობის ღირებულებითი ორიენტაციები ხასიათდება პრაგმატული და ჰედონისტური მისწრაფებების ინტენსიურობით, ალტრუისტული ქცევის შესუსტებით. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ახალგაზრდა თაობის ყურადღება მიმართა ინდივიდუალისტურ კულტურულ მოდელებზე.

ახალგაზრდა თაობის ღირებულებითი სისტემის ტრანსფორმაცია განსაზღვრავს თაობების დინამიკას. თაობათა ღირებულებებში არსებული განსხვავებები წარმოადგენს საზოგადოების კულტურული და ისტორიული განვითარების, სხვადასხვა პერიოდის სოციალური გარემოს ტრანსფორმაციის შედეგს.

ჩამოყალიბებული ღირებულებითი ორიენტაციები ადამიანის სიმწიფის ნიშანია, მისი სოციალურობის ინდიკატორია. ღირებულებითი ორიენტაციების სტაბილური და თანმიმდევრული სტრუქტურა განსაზღვრავს ისეთი პიროვნული თვისებების განვითარებას, როგორიცაა: ჰარმონიულობა, საიმედოობა, გარკვეული პრინციპებისა და იდეალებისადმი ერთგულება, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ქონა. წინააღმდეგობრიობა იწვევს ქცევის არათანმიმდევრულობას.

თანამედროვე საზოგადოება მრავალი საუკუნის განმავლობაში იმყოფებოდა თაობათა მუდმივი კონფლიქტის მდგომარეობაში. დღევანდელი ახალგაზრდა თაობა ეჯახება სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაში არსებულ ძვრებს, რომლებსაც თან ახლავს ღირებულებითი ცნობიერების კრიზისი. იმ სოციალურმა ღირებულებებმა, რომლითაც „მამები” ცხოვრობდნენ, დღეს დაკარგეს პრაქტიკული ღირებულება „შვილებისთვის”.

რომელი ღირებულებები ნადგურდება დღეს და რომელი ნარჩუნდება?

რისთვის ცხოვრობენ დღევანდელი მოზარდები?

რა არის მათი ღირებულებითი ორიენტაციის მახასიათებლები?

ინტელექტუალურ - საგანმანათლებლო ღირებულებები - მოზარდთა ღირებულებები განიხილება მათი გონებრივი, შემოქმედებითი პოტენციალის რაკურსში. სამწუხაროდ, ბოლო წლებში შეიმჩნევა მოზარდთა ღირებულებების შემცირების ტენდენცია.

კვლევის შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ მოზარდები საკმაოდ დაბალ შეფასებას აძლევენ თავიანთ ინტელექტუალურ და შემოქმედებით შესაძლებლობებს. გამოკითხულთა მხოლოდ 21% მიიჩნევს, რომ მათი ინტელექტუალური და შემოქმედებითი შესაძლებლობები მაღალია, ხოლო საკუთარ თავს ნიჭიერს გამოკითხულთა 23% უწოდებს.

დაბალი თვითშეფასება იწვევს ახალგაზრდების ურწმუნოებას საკუთარი ძალებში. ეს კი, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება მათ ინტელექტუალურ საქმიანობაზე. ყველა ასაკობრივი ჯგუფი მიზნის მიღწევის მთავარ საშუალებად პროფესიონალიზმს და კვალიფიკაციას მიიჩნევს. თუმცა, მაინც შეიმჩნევა ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის ინტელექტუალური შრომის, განათლებისა და ცოდნის ღირებულების კლების ტენდენცია. აღნიშნული ტენდენცია იკვეთება სტუდენტების გამოკითხვის მონაცემთა ანალიზის შედეგადაც კი.

არასრული საშუალო განათლების მქონე რესპოდენტთა ღირებულებების იერარქიულ რიგში მეორე ადგილი უკავია პროფესიონალიზმსა და კვალიფიკაციას, ადამიანებთან ურთიერთობის უნარს. აღნიშნულ ღირებულებებს მოსდევს ჯანმრთელობა, თვითდაჯერებულობა და დამოუკიდებლობა, კავშირების არსებობა და ინიციატივა. ზოგადი საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები მნიშვნელოვან ღირებულებად განიხილავენ პროფესიონალიზმსა და კვალიფიკაციას, შრომისმოყვარეობასა და შეუპოვრობას, ინიციატივას, კავშირებსა და ჯანმრთელობას.

და ბოლოს, ინგლისელ და ქართველ რესპოდენტთა პასუხების ანალიზმა გამოკვეთა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კანონზომიერება: ახალგაზრდა თაობის ღირებულებითი ორიენტაციები დეტერმინირებულია უფრო მეტად ასაკობრივი, ვიდრე - კულტურული ცვლადით. ჩვენი აზრით, სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს ინგლისელ და ქართველ რესპოდენტთა ღირებულებითი ორიენტაციების მსგავსებას.

4.2. ზრდასრულ ადამიანთა ღირებულებითი ორიენტაციები

ღირებულებები და ღირებულებითი ორიენტაციები ყოველთვის იყო ფილოსოფიის, ეთიკის, სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის შესწავლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტი. სულიერ ღირებულებათა განვითარების მაღალი დონე და საკუთარი თავის სრულყოფის სურვილი ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია.

თანამედროვე ფსიქოლოგიურ კვლევებში წინა პლანზე გამოდის ღირებულებითი ორიენტაციების ანალიზი. მოზარდებისა და ახალგაზრდების ღირებულებითი ორიენტაციების სპეციფიკა ყოველთვის იწვევდა მკვლევართა ინტერესს, თუმცა რაც შეეხება ზრდასრულ ადამიანთა ღირებულებითი ორიენტაციების თავისებურებათა ანალიზს, აქ შეიმჩნევა გარკვეული უსრულობა.

ადამიანის ზრდასრულობის პერიოდი სავსეა როგორც მიღწევებით, ისე სერიოზული გამოცდილებითა და პრობლემებით, ადამიანის ბედისა და ცხოვრებაში მისი ადგილის დაფასებით. მოზარდობა კვებავს ადამიანს იმედითა და მოლოდინებით, ხოლო ზრდასრულობის პერიოდი კი ემუქრება მას ცხოვრების აზრის დაკარგვით. ზრდასრულ ადამიანთა ღირებულებითი ორიენტაციების ანალიზი უნდა იყოს ორიენტირებული ზრდასრულ ასაკში ადამიანის ცხოვრების პერსპექტივის ფსიქოლოგიურ მახასიათებელთა იდენტიფიცირებაზე.

ზრდასრულ ადამიანთა ღირებულებითი ორიენტაციების კვლევაში მონაწილე ყველა რესპოდენტს აქვს უმაღლესი განათლება, სხვადასხვა სოციალური სტატუსი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ.

რამდენადაც ზრდასრული პიროვნების განვითარების კრიზისს თან ახლავს ღირებულებათა სისტემის „გადაწყობა“, ჩვენ დავყავით ინგლისელი და ქართველი რესპოდენტები 3 ჯგუფად პრინციპით „კრიზისიდან კრიზისამდე“. პირველ ჯგუფში შევიდა 30 წლიდან 37 წლამდე რესპოდენტები, მეორე ჯგუფი დაკომპლექტდა 37 წლიდან 45 წლამდე რესპოდენტებით, ხოლო მესამე ჯგუფმა მოიცვა 45 წლიდან 58 წლამდე რესპოდენტები.

ექსპერიმენტულმა კვლევამ უზრუნველყო ზრდასრულ ადამიანთა ცხოვრებისეულ პერსპექტივათა დინამიკის გამოვლენა. მონაცემთა მათემატიკური დამუშავება განხორციელდა სტატისტიკური მეთოდის - SPSS - მეშვეობით.

მიღებული მონაცემების ანალიზმა ცხადყო, რომ ზრდასრული ადამიანებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებაა „ჯანმრთელობა“ (ფიზიკური და ფსიქიკური) - გამოკითხულთა 68,5%. უფრო მეტიც, როგორც ქალებისთვის, ისე მამაკაცებისთვის, ჯანმრთელობა არის ადამიანის ცხოვრებისეული პრიორიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის მისწრაფებათა განხორციელების შესაძლებლობას. რაც უფრო ასაკოვანია ადამიანი, მით უფრო მნიშვნელოვანია მისთვის ეს ღირებულება. ღირებულებათა პრიორიტეტულობა განპირობებულია ასაკის მახასიათებლებით: ზრდასრულ ასაკში ფიზიკური ჯანმრთელობა იწყებს გაუარესებას და, შედეგად, მოითხოვს გარკვეულ ძალისხმევას მის შესანარჩუნებლად. ბოლო დროს ტრენდული ჯანსაღი ცხოვრების წესი ზრდის აღნიშნული ღირებულების მნიშვნელოვნებას.

რანგით მეორე ღირებულებას წარმოადგენს „ბედნიერი ოჯახური ცხოვრება“ - 47%, ხოლო რანგით მესამე ღირებულებაა „სიყვარული“ (სულიერი და ფიზიკური სიახლოვე საყვარელ ადამიანთან) - 42%. მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ ოჯახის კრიზისის მიუხედავად, იგი კვლავ ინარჩუნებს ინდივიდისთვის თავის სოციალურ-ფსიქოლოგიურ (ინტიმური ურთიერთობის, ემოციური კონტაქტის, ურთიერთგაგების საჭიროების დაკმაყოფილების და ა.შ.) ფუნქციებს. აღნიშნულ ღირებულებებს რანგით ოდნავ ჩამოუვარდება თავდაჯერებულობა (შინაგანი ჰარმონია, თავისუფლება შინაგანი წინააღმდეგობებისა და ეჭვებისაგან) - 33%.

ღირებულებათა დინამიკის კვლევამ ცხადყო ასაკთან ერთად ისეთ ღირებულებათა მნიშვნელოვნების კლების ტენდენცია, როგორიცაა: „ცოდნა“, „განვითარება“, „პროდუქტიული ცხოვრება“, „ბედნიერი ოჯახური ცხოვრება“, „კარგი მეგობრების ყოლა“. „თვითგანვითარების“ ღირებულება იკავებს საშუალო პოზიციას ყველა ღირებულებას შორის. „თვითგანვითარება“ იძენს უმაღლესი ღირებულების სტატუსს ადრეულ ზრდასრულ ასაკში, რაც განპირობებულია საკუთარი შესაძლებლობებისა და მაღალი პოტენციალის რეალიზაციის სურვილით. შემდგომში ეს ღირებულება კარგავს მნიშვნელოვნებას. შესაძლოა, ეს გამოწვეულია ასაკობრივი „მარწყხებით“: ადამიანი იწყებს ფიქრს, რომ უკვე გვიანია

რადაცის შეცვლა საკუთარ თავში. ეს პოზიცია ჩნდება იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანმა არ იცის საკუთარი პოტენციალის არსებობის შესახებ ან არ ესმის თვითგანვითარების სარგებელი. ეს პოზიცია იწვევს საკუთარ თავსა და საკუთარ შესაძლებლობებში დაეჭვებას, შედეგად კი, მნიშვნელოვნად ზღუდავს ადამიანის თვითგანვითარების შესაძლებლობებს.

„პროდუქტიული ცხოვრების“ ღირებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადრეულ და შუა ზრდასრულ ასაკში. ამ პერიოდში ადამიანი დიდ დროს უთმობს თავის საქმეს, ჩართულია პროფესიულ სფეროში არსებული პრობლემის გადაჭრაში, იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიული საქმიანობა ცხოვრების მთავარი შინაარსია. ამ ასაკში ადამიანს სჭირდება თავისი შესაძლებლობებისა და ძალების მაქსიმალურად გამოყენება ცხოვრების ჰარმონიზაციისთვის. პროფესიული პროდუქტიულობის კლება იწყება 52-დან 65 წლამდე პერიოდში. ამ კლებას იწვევს შეუსაბამობა, რომელიც, შესაძლოა, არსებობდეს ადამიანის უნარს, ცოდნას, გამოცდილებას და მის ფიზიკურ და ფუნქციურ მზაობას შორის.

35 წლიდან 45 წლამდე რესპოდენტებში ოჯახური ცხოვრების მნიშვნელობა მკვეთრად იზრდება და აღწევს მაქსიმალურ მაჩვენებელს. ამ ასაკიდან ადამიანისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ყველაფერს, რაც მისი ოჯახის ცხოვრებას უკავშირდება, ის დიდ დროსა და ენერგიას უთმობს ოჯახის პრობლემების გადაჭრას, მიაჩნია, რომ ცხოვრებაში მთავარია კეთილდღეობა. რესპოდენტთა ასაკის მატებასთან ერთად მნიშვნელოვნად მცირდება აღნიშნული ღირებულების მნიშვნელოვნება: ვლინდება პრობლემები მეუღლეთა ურთიერთობაში, ცოლქმრული სიყვარული კარგავს წინანდელ ვნებას, რომელიც ჩაიკარგება ხოლმე ცხოვრების წვრილმანებში. ბავშვები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ოჯახის სიმტკიცეს, იზრდებიან და იწყებენ საკუთარი ცხოვრებით ცხოვრებას, წლებთან ერთად მცირდება ოჯახთან კომუნიკაცია და იგი ერთფეროვანი ხდება. ზოგიერთ ოჯახში იკარგება პირადი ურთიერთობები და ცხადი ხდება, რომ ოჯახი ნარჩუნდებოდა მხოლოდ შვილების მიმართ მოვალეობის გრძნობის წყალობით. ფსიქოლოგები აღწერენ „ცარიელი ბუდის“ ფენომენს, როდესაც უმცროსი შვილის ტოვებს მშობლიურ სახლს. მშობლები, რომლებიც განიცდიან ჩვეული კავშირისა და საზრუნავის დეფიციტს, იძულებულნი არიან გადახედონ თავიანთ ურთიერთობებსა და ცხოვრების წესს.

ადრეულ სრულწლოვანებამდე ადამიანისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აქტიურ სოციალურ კონტაქტებს, „კარგ მეგობრებს“; შემდგომ ეტაპებზე, აღნიშნულ ღირებულებათა

მნიშვნელობა მცირდება. ზრდასრულობის პირველ პერიოდებში ადამიანისთვის მნიშვნელოვანია სოციალური კავშირების, წრის გაფართოება, შემდგომ პერიოდში კი ადამიანი იწყებს საკუთარი სოციალური წრის დავიწროებას - იგი კმაყოფილდება საკუთარი ოჯახით, რომელიც სავსებით საკმარისია ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ემოციური სიახლოვისა და მხარდაჭერის მისაღებად.

მონაცემთა ანალიზმა ცხადყო, რომ მამაკაცები და ქალები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გარკვეული ღირებულებებისათვის მნიშვნელოვნების მინიჭების თვალსაზრისით: მამაკაცებისათვის მაღალი ღირებულება გააჩნია ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა: „საინტერესო სამსახური“, „პროდუქტიული ცხოვრება“, „განვითარება“. ოჯახისა და სიყვარულის ღირებულებებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ქალები, განსაკუთრებით კი, ზრდასრულ ასაკში, ხოლო მამაკაცებში დომინირებს ორიენტირებულობა ოჯახის მიღმა საქმიანობაზე - სამსახურზე, თვითრეალიზაციაზე.

საკმაოდ საინტერესოა ცხოვრების იმ სფეროების რეიტინგის შინაარსობრივი ანალიზი, რომლებსაც რესპოდენტებისათვის გააჩნია მიმზიდველობის დაბალი ხარისხი. ყველაზე არამიმზიდველი შემდეგი ღირებულებებია: „სხვათა ბედნიერება“ - გამოკითხულთა 43,5%, „გართობა“ - 56% და „შემოქმედებითობა“ - 64,5%.

ზრდასრულობის ადრეულ პერიოდში ადამიანებში დომინირებს „შემოქმედებითობის“ ღირებულება, ხოლო შემდგომ პერიოდებში მისი მნიშვნელოვნება მცირდება, რაც ადრეულ ზრდასრულ ასაკში ცხოვრებისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების მნიშვნელობაზე მიუთითებს. ვიდრე ადამიანი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, იგი ცდილობს გააცნობიეროს თავისი შემოქმედებითი პოტენციალი, შეიტანოს ცვლილებები თავისი ცხოვრების ყველა სფეროში. წლების განმავლობაში ადამიანი სულ უფრო მეტად მიჰყვება დამკვიდრებულ ნორმებსა და ღირებულებებს, ავლენს კონსერვატიზმისაკენ მიდრეკილებას. მსგავსი ტენდენციით ხასიათდება „განვითარების“ ღირებულება. უნდა აღინიშნოს, რომ „სხვათა ბედნიერების“ ღირებულება უარყოფილ ღირებულებათა შორისაა, რაც მიუთითებს უმრავლესობის ორიენტირებულობაზე ინდივიდუალიზმის, ეგოიზმის, დამოუკიდებლობისა და კონკურენტუნარიანობის თანამედროვე ღირებულებებზე.

და მაინც უნდა ითქვას, რომ მამაკაცებისათვის უფრო მნიშვნელოვანია „შემოქმედებითობის“ და „სხვა ადამიანების ბედნიერების“ ღირებულებები, ვიდრე - ქალებისათვის. შეიძლება

ვივარაუდოთ, რომ ქალები ნაკლებად ზრუნავენ სხვების ბედნიერებაზე იმ მიზეზით, რომ მათ უფრო მეტად აწუხებთ პირადი ბედნიერების საკითხი, რაც დასტურდება ისეთი ღირებულებების წამყვანი პოზიციით, როგორიცაა „ბედნიერი ოჯახური ცხოვრება“ და „სიყვარული“.

ღირებულებების არამიმზიდველობის შეფასების სურათი ზოგიერთ შემთხვევაში იცვლება ასაკთან ერთად. ამრიგად, 50 წლის ასაკისათვის „გართობა“ კარგავს თავის მნიშვნელობას. ეს გამოწვეულია სამსახურსა და ოჯახურ ცხოვრებაზე ორიენტირებულობით, რაც შეესაბამება ასაკობრივ ნორმებს.

ინსტრუმენტული ღირებულებების ანალიზმა ცხადყო, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია: პასუხისმგებლობა (მოვალეობის გრძნობა, პირობის შესრულების უნარი) - რესპოდენტთა 58,5%, მხიარულება (იუმორის გრძნობა) - 32%; რაციონალიზმი - 28,5%. ჩვენი აზრით, ეს მონაცემები ადასტურებს რესპოდენტთა ფსიქოლოგიურ სიმწიფეს - ისინი პასუხისმგებელნი არიან საკუთარ ცხოვრებაზე, ისინი მოქმედებენ მიზანმიმართული რაციონალური გადაწყვეტილებების საფუძველზე და იღებენ პასუხისმგებლობას ამ საქმიანობის შედეგებზე.

ნაკლებ მიმზიდველი ღირებულებები აღმოჩნდა: გამბედაობა საკუთარი აზრისა და შეხედულებების დაცვაში - რესპოდენტთა 33%; მაღალი მოთხოვნები (ცხოვრებისადმი მაღალი მოთხოვნები) - 47%, შეუწყნარებლობა საკუთარი თავში და სხვა ადამიანებში არსებული ნაკლოვანებების მიმართ - 73,5%. ინსტრუმენტული ღირებულების დაბალი მნიშვნელობა - „გამბედაობა საკუთარი აზრისა და შეხედულებების დაცვაში“ - შეიძლება მიუთითებდეს პასიური შემსრულებლის პოზიციაზე, კმაყოფილებაზე იმით, რაც აქვს და ინდეფერენტულ დამოკიდებულებაზე საკუთარ ცხოვრებაში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობის მიმართ.

რაც შეეხება ისეთ ღირებულებას, როგორიცაა „მაღალი მოთხოვნები“, ის მაინც უფრო ხშირად შეინიშნება ახალგაზრდებში, რომელთაც არასაკმარისი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ. მოწიფული ადამიანი გონივრულ მოთხოვნებს უყენებს საკუთარ თავს, სხვა ადამიანებს და ზოგადად ცხოვრებას. შედეგად, ამ ღირებულების მნიშვნელობა ასაკთან ერთად მცირდება.

ასაკთან ერთად მნიშვნელოვნებას კარგავს „საკუთარი და სხვა ადამიანების ნაკლოვანებებისადმი შეუწყნარებლობის“ ღირებულება. გამოცდილებით, საკუთარ თავზე

მუშაობით, ყალიბდება საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების „პატიების, გაგების, მიღების“ უნარი. კვლევაში რესპოდენტთა 72,5%-მა აღნიშნულ ღირებულებას ინსტრუმენტულ მნიშვნელობათა ნუსხაში ბოლო ადგილი მიუჩინა. რესპოდენტთა ამ პოზიციას ამყარებს ისეთ ფასეულობებთან საშუალო მნიშვნელობა, როგორიცაა: „განათლება“, „ტოლერანტობა“, „ფართო თვალსაწიერი“, „მგრძნობიარობა“.

ასაკობრივი ფაქტორის გავლენამ ადამიანისთვის ინსტრუმენტული ფასეულობების მნიშვნელოვნებაზე ცხადყო, რომ ასაკთან ერთად ადამიანები ხდებიან უფრო მეტად მგრძნობიარეები, უფრო მაღალ შეფასებას აძლევენ თვითკონტროლს, პასუხისმგებლობას, რაციონალიზმსა და განათლებას. ისეთ ღირებულებას, როგორიცაა „დამოუკიდებლობა“ ახასიათებს მნიშვნელოვნების ხარიხის კლება. ეს, შესაძლოა, მიუთითებდეს ადამიანის მიერ დახარჯული ძალისხმევისა და მიღებული შედეგს შორის ოპტიმალური თანაფარდობის არსებობის, ასევე ოჯახის ცხოვრებაში ჩართულობის სურვილზე. საშუალო ასაკობრივ ჯგუფში იზრდება პასუხისმგებლობა როგორც ბავშვების, ისე ხანდაზმული მშობლების მიმართ. ასაკთან დაკავშირებულ ცვლილებებს ექვემდებარება ისეთი ღირებულებები, როგორიცაა „კარგი მანერები“, „მოვალეობა“ და „პატიოსნება“. ადამიანის სიმწიფის მთელი პერიოდის განმავლობაში აღნიშნული ღირებულებები იკავებენ მნიშვნელოვან ადგილს ცხოვრებაში და მეტყველებენ რესპოდენტთა მაღალ მორალურ თვისებებზე.

ანალიზმა გამოკვეთა აღნიშნულ ინსტრუმენტულ ღირებულებებში გენდერული განსხვავებების არსებობა: ქალები მამაკაცებზე უფრო მაღალ შეფასებას აძლევენ „კარგ მანერებს“ და „შრომისმოყვარეობას“, „ტოლერანტობას“ და „მგრძნობიარეობას“. მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ქალის ფსიქიკა უფრო მოქნილი და სტაბილურია, სავარაუდოდ, სწორედ ტოლერანტობის გამო.

კვლევის მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა გარკვეული კანონზომიერებები:

ღირებულებათა სისტემის დომინანტურ ღირებულებას წარმოადგენს „ოჯახი“, მეორე ადგილს კი იკავებს „თვითრეალიზაცია“. ბირთვულ ღირებულებათა შორისაა კომუნიკაციური და ეგზისტენციალური კატეგორიები. ასაკთან ერთად იცვლება კატეგორიათა რეპერტუარი.

ზრდასრული ადამიანებისათვის მნიშვნელოვანია ისეთი ღირებულებები, როგორიცაა: „ჯანმრთელობა“ (ფიზიკური და ფსიქიკური), „ბედნიერი ოჯახური ცხოვრება“, „სიყვარული“ (სულიერი და ფიზიკური სიახლოვე საყვარელ ადამიანთან), „თვითდაჯერებულობა“ (შინაგანი ჰარმონია, თავისუფლება შინაგანი წინააღმდეგობებისა და ეჭვებისაგან). აღნიშნულ ღირებულებებს ამყარებს ისეთი ღირებულებები, როგორიცაა: „პასუხისმგებლობა“ (მოვალეობის გრძნობა, პირობის შესრულების უნარი) და „რაციონალიზმი“.

ასაკთან ერთად ფასეულობათა სისტემა განიცდის ტრანსფორმაციას, კერძოდ: ასაკთან ერთად იზრდება ოჯახური ღირებულებების, მჭიდრო კონტაქტების, ცხოვრებისეული სიბრძნის, ცხოვრების არსის, ადამიანის მიერ ამქვეყნად საკუთარი ადგილის ძიების მნიშვნელოვნება. ასაკთან ერთად, იზრდება ჯანმრთელობის ღირებულება და მცირდება ისეთ ღირებულებათა მნიშვნელოვნება, როგორიცაა: „ცოდნა“, „განვითარება“, „პროდუქტიული ცხოვრება“, „კარგი და ნამდვილი მეგობრების ყოლა“.

და ბოლოს, ინგლისელ და ქართველ რესპოდენტთა პასუხების ანალიზმა გამოკვეთა შემდეგი კანონზომიერებები:

ღირებულებათა მნიშვნელოვნება დეტერმინირებულია გენდერული ცვლადით: მამაკაცებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ მიზნებს, როგორიცაა: „პროდუქტიული ცხოვრება“, „განვითარება“, „საინტერესო სამსახური“, „აქტიური ცხოვრება“; ქალებისათვის კი უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენს „ბედნიერი ოჯახური ცხოვრება“, „სიყვარული“, „თვითდაჯერებულობა“. მამაკაცები აფასებენ თვითკონტროლს, პატიოსნებას, ასევე შეუწყნარებლობას საკუთარ თავსა და სხვებში არსებული ნაკლოვანებების მიმართ; ქალებისათვის მნიშვნელოვანია მხიარულება, რაციონალიზმი და კარგი აღზრდა.

ზრდასრულ ადამიანთა ღირებულებითი ორიენტაციები დეტერმინირებულია უფრო მეტად ასაკობრივი, ვიდრე - კულტურული ცვლადით. ჩვენი აზრით, სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს ინგლისელ და ქართველ რესპოდენტთა ღირებულებითი ორიენტაციების მსგავსებას.

4.3. ქართული და ინგლისური საზოგადოებების შედარებითი ანალიზი

თანამედროვე ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური და ლინგვისტური კვლევების განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ახალგაზრდების ღირებულებითი ორიენტაციების თავისებურებათა განსაზღვრა, რადგან სწორედ ამ ასაკში ხდება სოციალური იდენტობის ჩამოყალიბება, დამოუკიდებლობის განცდის გაძლიერება და ცხოვრებისეული სტრატეგიის არჩევა. ახალგაზრდებისთვის დამახასიათებელია მაღალი მოტივაცია საკუთარი თავის რეალიზაციისა და პიროვნული ზრდის მიმართ, თუმცა ამავე დროს, ისინი ხშირად განიცდიან ციფრული გარემოს, თანატოლთა ჯგუფის და სოციალური ქსელების ძლიერი გარე ზეგავლენას.

ახალგაზრდა ადამიანთა ღირებულებითი ორიენტაციების შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ამ ასაკში ღირებულებითი სისტემა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია და დამოკიდებულია როგორც სოციალურ, ისე კულტურულ ფაქტორებზე. კვლევის მიზანი იყო იმ ფსიქოლოგიური და სოციალური მახასიათებლების გამოვლენა, რომლებიც განსაზღვრავს ახალგაზრდების მიერ ღირებულებათა პრიორიტეტების განაწილებას.

ახალგაზრდობა ერთ-ერთი ყველაზე დინამიური და მრავალგანზომილებიანი სოციალური კატეგორიაა, რომლის კონცეპტუალიზაციაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ენობრივ, კულტურულ და აქსიოლოგიურ ფაქტორებზე. ენა არა მხოლოდ ასახავს, არამედ ქმნის კიდევ იმ გამოცდილებას, რომლითაც საზოგადოებები განსაზღვრავენ ახალგაზრდობის როლს, ფუნქციებსა და შესაძლებლობებს. შესაბამისად, ახალგაზრდობის დისკურსის კვლევა მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა სოციალური მსოფლხედვის, ღირებულებითი პრიორიტეტებისა და კულტურული თავისებურებების შესახებ.

ქართულ და ინგლისურ საზოგადოებებში არსებობს რიგი პარალელები - თავისუფლებისკენ სწრაფვა, განათლების ღირებულება, პროფესიული განვითარების მნიშვნელობა - თუმცა განსხვავდება ამ ღირებულებების ენობრივი ობიექტივაცია, აქსიოლოგიური დატვირთვა და დისკურსული ფორმები. სწორედ ამიტომაც მეტად მნიშვნელოვანი ახალგაზრდობის კონცეპტის შედარებითი ენობრივი ანალიზი, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ორი კულტურის ღირებულებითი და სემანტიკური სტრუქტურების სპეციფიკა.

კოგნიტური ლინგვისტიკის მიხედვით (Lakoff & Johnson, 1980), ენა ასახავს არა მხოლოდ რეალობას, არამედ განსაზღვრავს სამყაროს კონცეპტუალურ მოდელებს. აქსიოლოგიური ლინგვისტიკა (Wierzbicka, 1992) მიუთითებს, რომ ღირებულებები არ არსებობს ენის მიღმა - ისინი სწორედ ლინგვისტურ ფორმებში რეალიზდებიან.

ახალგაზრდა თაობის ასოციაციები ისტორიული და სოციალური კონტექსტის მიხედვით იცვლება. ქართულ ტრადიციულ სისტემაში ახალგაზრდობა ხშირად დაკავშირებულია კოლექტიურ ენერგიასთან, ერთიანობასა და სულიერ სიმტკიცესთან, მაშინ როცა დასავლურ მოდელში ახალგაზრდობა ინდივიდუალიზმის, თვითნაკარნახევი არჩევანისა და კარიერის დაგეგმვის კონცეპტებში ჯდება.

აღნიშნულ კვლევაში მონაწილე ინგლისელი და ქართველი რესპოდენტებს - ახალგაზრდა ქალებსა და მამაკაცებს (18-29 წელი) აქვთ განსხვავებული განათლების დონე (საშუალო, არასრული უმაღლესი, უმაღლესი), სხვადასხვა სოციალური სტატუსი და პროფესიული ორიენტაცია.

იმის გათვალისწინებით, რომ ახალგაზრდა ასაკიც მოიცავს განვითარების სხვადასხვა ეტაპს, რომელიც გავლენას ახდენს ღირებულებათა სტრუქტურაზე, მონაწილეები დაიყვნენ სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფში შევიდნენ 18-21 წლამდე ახალგაზრდები, მეორე ჯგუფი დაკომპლექტდა 21-25 წლის ასაკამდე წარმომადგენლებით, ხოლო მესამე ჯგუფმა მოიცვა 25-29 წლამდე ასაკის პირები. ამ ტიპის დაყოფამ უზრუნველყო სხვადასხვა კატეგორიის ასაკობრივ ჯგუფებში ღირებულებითი ორიენტაციების დინამიკის განსაზღვრის საშუალება.

მონაცემთა ანალიზი განხორციელდა სტატისტიკური საშუალებებით (SPSS), რამაც შესაძლებელი გახადა ახალგაზრდების ღირებულებითი სისტემის სტრუქტურისა და პრიორიტეტების დადგენა.

კვლევის მონაცემების მიხედვით, ახალგაზრდებისთვის უმაღლესი ღირებულება „თავისუფლებაა“ (61,2%). ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა „თვითგამორკვევა“, „დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილებები“, „საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება“, ქმნის „ავტონომიური სუბიექტის“ კონცეპტს.

რესპოდენტებმა შემდეგი პასუხები გააჟღერეს: „ახალგაზრდობას სურს დამოუკიდებლობის მოპოვება და საკუთარი გზის არჩევა“. „ახალგაზრდა თაობა თვითრეალიზაციას აყენებს პირველ ადგილზე.“

„განათლება“ წარმოდგენილია როგორც სოციალური მობილობისა და პიროვნული ზრდის კრიტიკული ფაქტორი (54,7%).

„განათლება ახალგაზრდას თვითრეალიზაციის გზას უხსნის.“

18–21 წლის ახალგაზრდებში კიდევ უფრო მკვეთრად ვხედავთ სემანტიკურ ხაზებს:

„მეგობრობა“, „ურთიერთგაგება“, „გუნდური მხარდაჭერა“.

ინგლისურ კორპუსებში youth ხშირად თანდართულია სიტყვებთან: independence, responsibility, decision-making, freedom of choice.

“Youth independence is closely tied to financial responsibility.”

“Young adults are expected to make autonomous choices early in life.”

ინგლისურ დისკურსში განათლება ნაკლებად სიმბოლური და უფრო პრაქტიკულია – უნარებისა და კვალიფიკაციების დაგროვებას უკავშირდება. მაგ: “Youth today must gain multiple skills to remain competitive.” ქართულ დისკურსთან შედარებით, ინგლისურში იშვიათად გვხვდება youth + friendship, emotional support.

მიღებული შედეგების მიხედვით, ახალგაზრდებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება აღმოჩნდა „თავისუფლება“ - განსაკუთრებით პიროვნული, პროფესიული და არჩევანის თავისუფლება (61,2%). როგორც ქალებისთვის, ისე მამაკაცებისთვის, თავისუფლება აღიქმება როგორც საფუძველი საკუთარი თავის რეალიზაციისა და ცხოვრებისეული მიზნების შესრულებისთვის. ახალგაზრდობის პერიოდი არის ეტაპი, როდესაც ინდივიდი ცდილობს დამოუკიდებლობის მოპოვებას, ამიტომ თავისუფლება ბუნებრივად იკავებს ცენტრალურ ადგილს ღირებულებათა სისტემაში.

მეორე მნიშვნელოვანი ღირებულებაა „განვითარება და განათლება“ (54,7%). ახალგაზრდები მაღალი სიხშირით ასახელებდნენ ცოდნის გაღრმავებას, პროფესიული უნარების მიღებასა და პიროვნული ზრდის სურვილს. ეს შედეგი ასახავს თანამედროვე საზოგადოების

მოთხოვნებს, სადაც განათლება და უწყვეტი თვითგანვითარება განიხილება წარმატებული ცხოვრების აუცილებელ პირობად.

აღსანიშნავია, რომ ჯგუფებს შორის შეინიშნებოდა განსხვავება: 18-21 წლის რესპოდენტები უფრო მეტად უსვამდნენ ხაზს კომუნიკაციას, მეგობრობასა და სოციალურ ურთიერთობებს, ხოლო 25-29 წლის მონაწილეები უფრო ხშირად გამოხატავდნენ სტაბილურობის, კარიერული წინსვლისა და მატერიალური უზრუნველყოფის მნიშვნელობას.

კვლევამ ცხადყო, რომ როგორც ინგლისელი, ისე ქართველი ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანია ის ღირებულებები, რომლებიც დაკავშირებულია პიროვნული თავისუფლების, თვითრეალიზაციისა და განვითარების სურვილთან. მათი ღირებულებითი ორიენტაციები მეტწილად მომავლისკენაა მიმართული და დამოკიდებულია საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებაზე.

ქართულ დისკურსში ახალგაზრდობა ხშირად აღიქმება როგორც „მომავლის ენერგია“, რომელიც თანაბრად ითხოვს როგორც პიროვნულ თავისუფლებას, ისე სოციალურ მხარდაჭერას.

ინგლისურ დისკურსში ახალგაზრდობა განიხილება როგორც „საკუთარი ცხოვრების მართვის“ ეტაპი, სადაც მთავარი აქცენტი კეთდება ინდივიდის პასუხისმგებლობასა და პროფესიული კომპეტენციის დაგროვებაზე. აქ ემოციური ურთიერთობები ნაკლებად ცენტრალურია.

იდენტობა ერთ-ერთი ცენტრალური ფაქტორია ინდივიდის მიერ საკუთარი თავის, სხვა ადამიანებისა და გარემომცველი რეალობის აღქმაში. იდენტობა რთული და დინამიური ფენომენია, რომელიც ვლინდება და კონსტრუირდება ინდივიდის ჯგუფთან/საზოგადოებასთან ურთიერთქმედების პროცესში გენდერის, ეთნიკური წარმომავლობის, სტატუსის, პროფესიული და კულტურული კუთვნილების, მორალური, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსის კოორდინატებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ იდენტობის სხვადასხვა სახეობა გავლენას ახდენს ერთმანეთზე. იდენტობა არ წარმოადგენს ცალკეულ კატეგორიათა მარტივ ჯამს. ასე, მაგალითად, გენდერულ იდენტობას დიდწილად განსაზღვრავს კულტურული და ისტორიული

კონტექსტი (ქალები და კაცები განსხვავებულად აღიქმებიან დასავლურ და აღმოსავლურ კულტურებში).

გენდერული აღქმა ასევე დეტერმინირებულია ინდივიდის სოციალური და სტატუსებრივი პოზიციით ჯგუფში ან საზოგადოებაში. გარდა ამისა, ინდივიდის პროფესია გარკვეულ კვალს ტოვებს სხვა სახის იდენტობაზე.

ინდივიდის საბოლოო მიზანია მიაღწიოს გენდერული იდენტობის ბალანსს, რომელშიც იგი აკმაყოფილებს სოციალურ მოლოდინებს და ინარჩუნებს საკუთარ თავს - საკუთარ თვითმყოფადობას. ეს ბალანსი მიიღწევა ფემინური და მასკულინური მახასიათებლების სხვადასხვა პროპორციით შერწყმით ორივე სქესის ინდივიდებში.

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია ვისაუბროთ დომინანტური (მასკულინური ან ფემინური) საწყისის არსებობაზე და ამ საწყისის დამატებით კომპონენტებზე, რომლებიც ქმნიან ყველაზე აქტუალური ფაქტორების კომბინაციას (პროფესია, სოციალური სტატუსი, ასაკი და ა.შ.).

ინდივიდუალური და საზოგადოებრივი (სტერეოტიპული) ცნობიერების მიერ გარემომცველი რეალობის ფრაგმენტის აღქმაში არსებული შეფასებითი ასიმეტრიის შედეგად ხდება სამეტყველო ქმედების მოტივაციის ცვლილება, რასაც თან ახლავს აქსიოლოგიური შეფერილობის ცვლილება ან სრული ტრანსფორმაცია.

კვლევამ შესაძლებლობა მოგვცა გამოგვევლინა ქართულ მონაცემებთან პარალელურად ინგლისურენოვანი ახალგაზრდების აქსიოლოგიური პროფილი გენდერულ ჭრილში და დაგვედგინა, თუ როგორ განსხვავდება ღირებულებითი პრიორიტეტები ახალგაზრდა ქალებსა და მამაკაცებში. მსოფლმხედველობრივი ხაზები დიდწილად ემთხვევა ქართულ ტენდენციებს, თუმცა განსხვავდება ლინგვისტურ-პრაგმატიკული აქცენტები და კონცეპტუალური კონტურები.

თავისუფლება - (ქალები - 63,1%) ახალგაზრდა ქალები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს პიროვნული და პროფესიული თვითგამორკვევის თავისუფლებას, თვითდამკვიდრებისა და პირადი საზღვრების დაცვის მნიშვნელობას. (მამაკაცები-59,1%) მამაკაცებისთვის უმთავრესად მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, კარიერული არჩევანის თავისუფლება და სოციალური დამოუკიდებლობა.

ინგლისელი ქალები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პირადი სივრცის დაცვის თავისუფლებას (personal boundaries), ღირსეული სამუშაო გარემოს შექმნას (workplace autonomy), განათლებისა და კარიერის დამოუკიდებლად დაგეგმვას. ხშირად ფიქსირდება გამონათქვამები: “freedom to choose my path” , “autonomy over personal decisions”.

მამაკაცებში მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება და პროფესიულ თავისუფლებას. ლექსიკური ერთეულები ხაზს უსვამს პრაქტიკულობას: “independent decision-making”, “freedom to pursue career goals”

განვითარება და განათლება - (ქალები-57,8%) ქალები უფრო ხშირად აღნიშნავენ უწყვეტი განათლების მიღების სურვილს, ინტელექტუალური ზრდისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობას.

მამაკაცები (51,2%) განვითარების მნიშვნელობას ხშირად უკავშირებენ პრაქტიკულ და პროფესიულ წინსვლას, ახალი უნარების სწავლას ტექნიკურ და პროფესიულ დარგებში.

ქალებისთვის (48,6%) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ემოციური მხარდაჭერა, მეგობრობა, ურთიერთგაგება და კომუნიკაცია. მამაკაცები (34,7%) უფრო ნაკლებად უსვამენ ხაზს სოციალურ ურთიერთობებს, თუმცა მაინც აღნიშნავენ მეგობრობისა და სანდო გარემოს მნიშვნელობას.

ქალებში (39,4%) სტაბილურობის მნიშვნელობა ხშირად დაკავშირებულია უსაფრთხოების განცდასთან, სამომავლო ცხოვრების დაგეგმვასთან და ფინანსურ დამოუკიდებლობასთან. მამაკაცებში (46,8%) სტაბილურობა და ფინანსური უზრუნველყოფა უფრო მაღალი პრიორიტეტით გამოირჩა, განსაკუთრებით 25–29 წლის ჯგუფში.

ახალგაზრდა ქალები (44,1%) კარიერას განიხილავენ როგორც თვითრეალიზაციის საშუალებას. მამაკაცებისთვის (52,3%) კარიერული წინსვლა უფრო ხშირად ასოცირდება სტატუსთან და ცხოვრების სტაბილურობასთან.

კვლევის მასალის ლინგვისტურ-აქსიოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდების დისკურსში ღირებულებითი კონსტრუქციები ძირითადად ორიენტირებულია სამ ძირითად სემანტიკურ პოლუსზე: თავისუფლება, განვითარება და თვითრეალიზაცია. გამოყენებული ლექსიკა და სემანტიკური კონსტრუქციები ხაზს უსვამენ ინდივიდის დამოუკიდებლობას,

შესაძლებლობების ზრდასა და მომავლისკენ სწრაფვას. ხშირია ისეთი ლინგვისტური ერთეულები, როგორიცაა „თვითგამორკვევა“, „საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება“, „დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილებები“, „პროფესიული წინსვლა“, „ინტელექტუალური ზრდა“. აღნიშნულ ერთეულთა სემანტიკა უშუალოდ უკავშირდება პიროვნების დამოუკიდებლობასა და განვითარების აქსიოლოგიურ კოდს.

აქსიოლოგიური სტრუქტურის თვალსაზრისით, ახალგაზრდების მიერ არტიკულირებული ღირებულებები ასახავენ პოსტმოდერნული საზოგადოების პრიორიტეტებს, სადაც იერარქიულ კოლექტიურ ღირებულებებს ენაცვლება პერსონალიზებული და ინდივიდზე ორიენტირებული მიზნები. ლინგვისტური ნიშნების მიხედვით, ახალგაზრდების ღირებულებითი ორიენტაციები აგებულია „მე“-ცენტრულად და ეფუძნება პიროვნულ მისწრაფებებს.

ქართული მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ დომინანტურია მაღალი აბსტრაქციის მქონე ნეოლოგიზირებული კონსტრუქციები, რომლებიც ხაზს უსვამენ შინაგან, პერსონალურ პროცესებს: თვითგანვითარება, თვითშემეცნება, პირად საზღვრებზე ზრუნვა, საკუთარი თავის ძიება.

ინგლისურ მასალაში თვალსაჩინოა სხვაგვარი აქსიოლოგიური აქცენტები. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური ღირებულებები მსგავსია (freedom, development, self-realization), ლინგვისტური ფორმები ბევრად უფრო პრაგმატული, დინამიკური და ქმედებაზე ორიენტირებულია. ყველაზე ხშირია შემდეგი ერთეულები: self-improvement, career advancement, personal growth, achieving goals, work-life balance, financial independence.

ინგლისურენოვან დისკურსს ახასიათებს ზმნური ლექსემების მაღალი წილი (to improve, to grow, to achieve, to build), რაც ქმნის მოქმედებით და შედეგით დატვირთულ აქსიოლოგიურ სქემას. ქართული ენისგან განსხვავებით, აქ ნაკლებად გვხვდება აბსტრაქტული კონსტრუქციები - აქცენტი გადატანილია პრაგმატულ შედეგებზე.

გენდერულ ჭრილში იკვეთება განსხვავებული აქსიოლოგიური ხაზები: ქალების დისკურსში თვალსაჩინოა ემოციური ურთიერთობების, ინტელექტუალური ზრდისა და თვითგამორკვევის სემანტიკური ხაზები. მათი საუბრის სემანტიკა უფრო მრავალფეროვანია

სოციალურ-ემოციურ სფეროებში და ხშირად მოიცავს ურთიერთობებზე, მხარდაჭერასა და პირად საზღვრებზე მიმართულ ლექსიკურ ერთეულებს.

მამაკაცების შემთხვევაში პრიორიტეტულად გამოიკვეთა სტაბილურობა, კარიერული პროგრესი და ავტონომიის აქსიოლოგიური კოდი. მათი ლექსიკა უფრო პრაქტიკული, მიზანზე ორიენტირებული და სტატუსთან დაკავშირებული სემანტიკური ერთეულებით ხასიათდება.

ასაკობრივი სეგმენტების მიხედვით: 18-21 წლის ახალგაზრდებში დომინირებს კომუნიკაციის მახვილქვეყნიერებელი ლექსიკა (მეგობრობა, ურთიერთობა, ჯგუფური მხარდაჭერა), 25-29 წლის ასაკში კი - სტაბილურობისა და კარიერული წინსვლის მახვილქვეყნიერებელი ლექსიკა (ფინანსური უსაფრთხოება, პროფესიული სტატუსი, გრძელვადიანი მიზნები).

ჯამში, დისკურსი წარმოაჩენს ახალგაზრდებს როგორც მომავალზე ორიენტირებული ღირებულებების მატარებლებს. ახალგაზრდების აქსიოლოგიური სისტემა აგებულია განმანათლებლურ-ლიბერალურ პრინციპებზე: პიროვნული თავისუფლება, თვითრეალიზაცია, ინტელექტუალური პროგრესი, პროფესიული დამოუკიდებლობა და სტაბილური ცხოვრების სტრატეგიის ჩამოყალიბება.

ამ ტიპის სემანტიკურ-აქსიოლოგიური ტენდენციების არსებობა ადასტურებს, რომ ახალგაზრდების ღირებულებითი ორიენტაციები მოიცავს როგორც ინდივიდუალურ-ეგზისტენციალურ, ისე სოციალურ-პრაგმატულ პრიორიტეტებს, ხოლო მათი ენობრივი გამოვლინება ასახავს თანამედროვე სოციალური სივრცის მრავალგანზომილებიან მოთხოვნებსა და შესაძლებლობებს.

ორივე ენობრივი სივრცე წარმოაჩენს მომავალზე ორიენტირებულ აქსიოლოგიურ მოდელს, თუმცა: ქართული დისკურსი უფრო ინტროვერტული, ინტელექტუალური და ეგზისტენციალური ტიპის ღირებულებებს აყალიბებს. ინგლისურენოვანი დისკურსი ნაკლებად აბსტრაქტულია - აქ ღირებულებები უფრო პრაგმატული და შედეგზე ორიენტირებულია.

ამგვარად, ქართული და ინგლისური მასალის შეპირისპირებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ მიუხედავად ღირებულებითი ღერძის საერთო კონტურებისა, ენობრივი საშუალებები განსხვავებული კულტურულ-აქსიოლოგიური პრიორიტეტების მატარებელია.

ახალგაზრდების ღირებულებითი ორიენტაციები იმყოფებიან თანამედროვეობის სოციალურ-კულტურულ კონტექსტთან თანხვედრაში და ასახავენ მომავლისაკენ მიმართულ, თვითრეალიზაციასა და განვითარებაზე ორიენტირებულ აქსიოლოგიურ მოდელს. ახალგაზრდებისთვის დამახასიათებელია ისეთი ღირებულებები, რომლებიც ეფუძნება პიროვნულ თავისუფლებას, ინდივიდუალურ ზრდას, განათლებისადმი დადებით დამოკიდებულებას, ასევე კარიერული და ფინანსური სტაბილურობის მიღწევისკენ მიმართულ ქცევით სტრატეგიებს.

შესაბამისად, ახალგაზრდების ღირებულებითი სისტემა შეიძლება შეფასდეს როგორც მრავალფუნქციური, პროგრესული და მაღალი ადაპტაციური უნარით გამორჩეული სტრუქტურა, რომელიც მომავლის შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას ემსახურება და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ სოციალურ, პროფესიულ და პიროვნულ ნარატივებზე.

4.4. კონცეპტი „სიღარიბე“ ინგლისური და ქართული საზოგადოებების სამყაროს ენობრივ ხატში

კონცეპტი „სიღარიბე“ წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ლინგვოკულტურულ ერთეულს, რომლის სემანტიკურ-პრაგმატული სურათი მკვეთრად იცვლება ენობრივი და კულტურული გარემოს მიხედვით.

კვლევის მიზანია ორი განსხვავებული კულტურულ-ენობრივი სისტემის, კერძოდ ინგლისური და ქართული საზოგადოებების მიერ კონცეპტის „სიღარიბე“ სემანტიკური, ასოციაციური და აქსიოლოგიური სტრუქტურების ექსპლიკაცია და შედარება.

კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო ეფუძნება ლინგვოკულტუროლოგიის, კონცეპტოლოგიისა და კულტურათაშორისი სემანტიკის ინტეგრირებულ მიდგომას, რომელიც იძლევა საკვლევი კონცეპტის ენობრივი, ღირებულებითი, სოციალური და ფსიქოლოგიური კონტურების გამოვლენის საშუალებას.

ინგლისური და ქართული საზოგადოებების მიერ ამ კონცეპტის შეფასება განსხვავებულ აქსიოლოგიურ სისტემებზეა დაფუძნებული, რაც გამოიხატება როგორც სიტყვათა ასოციაციურ ველში, ისე მეტაფორულ სტრუქტურებსა და ენობრივ ქცევაში.

მონაცემების მისაღებად გამოყენებულ იქნა თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტი და ინტერვიუ-კითხვარი. პირველ ეტაპზე გაკეთდა ასოციაციური ტესტის სტანდარტული ფორმა, რომელშიც მონაწილეებს ვთავაზობდით ერთ სიტყვას - „სიღარიბე“ (ქართული ჯგუფისთვის) და „poverty“ (ინგლისური ჯგუფისთვის).

პირველ ეტაპზე მონაწილეებს უნდა დაესახელებინათ სიტყვა-სტიმულთან დაკავშირებული პირველი ასოციაციები (რეაქციები), მეორე ეტაპზე კი უნდა განემარტათ, თუ რატომ იყო ეს ასოციაცია მათთვის მნიშვნელოვანი. ამ მეთოდმა შესაძლებელი გახადა კონცეპტის ემოციურ, მორალურ, ეკონომიკურ და მეტაფორულ შრეებზე წვდომა.

ქართული ასოციაციური ველი - პირველი რეაქციები სიტყვაზე „სიღარიბე“ - სირცხვილი / ღირსების შელახვა (32%); უპოვრობა / უქონლობა / შიმშილი (26%); სოციალური უსამართლობა (18%); თანაგრძნობა / დახმარების სურვილი (12%); სულიერი სიღარიბე (8%); უმუშევრობა (4%).

ინგლისური ასოციაციური ველი - პირველი რეაქციები სიტყვაზე „poverty“ - Low income / financial hardship 40%; Economic inequality (22%) ; Government welfare / social programs (14%); Homelessness (12%); Hardship / difficulties (emotional) (8%); Responsibility / employment issues (4%).

რესპოდენტების პასუხებმა ცხადყო, რომ ქართულ ასოციაციურ ველში სიღარიბე აღიქმება მორალურ კატეგორიად (სირცხვილი, ღირსება). მაღალია ემოციური შეფერილობა და თანაგრძნობის ასოციაციები. ასევე მნიშვნელოვნადაა წარმოდგენილი სულიერი განზომილება.

ინგლისურ ასოციაციურ ველში "Poverty" აღიქმება ეკონომიკურ-სტრუქტურულ კატეგორიად, ნაკლებადაა მარკირებული ემოციური დატვირთვით - უმეტესად გამოიყენება ნეიტრალური, პოლიტიკური და ინსტიტუციური ტერმინები.

მეორე ეტაპზე გამოყენებულ იქნა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ, რომელიც მოიცავდა ღია კითხვებს:

1. რა ნიშნავს რესპონდენტისთვის სიღარიბე?
2. ვინ არის პასუხისმგებელი სიღარიბეზე - ინდივიდი თუ სახელმწიფო?
3. როგორ განისაზღვრება მისი მიზეზები და შედეგები?
4. რა ფერია სიღარიბე?
5. სიღარიბე უფრო ინდივიდუალისტური, თუ სისტემური პრობლემაა?
6. რამდენად უკავშირდება სიღარიბე მორალურ კატეგორიებს.

ინტერვიუ ჩატარდა ინგლისელ და ქართველ რესპოდენტებთან. თითოეულ ჯგუფში შედიოდა სხვადასხვა ასაკის, განათლებისა და პროფესიის მქონე ადამიანები.

სიტყვა-სტიმულზე რესპოდენტთა რეაქციებმა (ასოციაციებმა) ცხადყო, რომ:

ქართული კონცეპტუალური სივრცე „სიღარიბეს“ უმეტესად მორალურ, ემოციურ და სოციალურ განზომილებებში განიხილავს.

ჩატარებული ასოციაციური მოდელირების მიხედვით კონცეპტის შინაარსობრივი ველი ასე ნაწილდება:

ემოციურ-მორალური ასოციაციები - 38%, სოციალური უსამართლობის ასოციაციები - 22%,
ეკონომიკური ასოციაციები - 18%, სულიერი/კულტურული მეტაფორიკა - 12%,
სოლიდარობა და თანაგრძნობა - 10%.

აღნიშნული განაწილება ცხადყოფს, რომ ქართულ კულტურაში სიღარიბე მოიაზრება არა როგორც მხოლოდ მატერიალური ნაკლოვანება, არამედ ღირსების დაკარგვის, სირცხვილის, სოციალური დაუცველობის ინდიკატორი. მეტაფორა „სულით ღარიბი“, პირდაპირ მიუთითებს კონცეპტის სულიერ - ეთიკურ განზომილებაზე. სიღარიბე ხშირად მოიაზრება როგორც არა ინდივიდის მიერ გამოწვეული მოვლენა, არამედ როგორც სისტემური, სოციალური პრობლემის შედეგი, რომლის დაძლევა კოლექტიურ ინსტინქტებს უკავშირდება.

ინგლისურენოვან კულტურაში დომინირებს სრულიად განსხვავებული მიდგომა - „poverty“, პირველ რიგში, განისაზღვრება ეკონომიკურ კატეგორიად, რომელთანაც ასოცირდება

სტრუქტურული პრობლემები და სოციალური მექანიზმები. კონცეპტის შინაარსობრივი ველი კი ასე ნაწილდება:

ეკონომიკურ-სტრუქტურული ასოციაციები — 46%, სოციალური შედეგები და საზოგადოებრივი უთანასწორობა — 24%, პირადი პასუხისმგებლობა — 12%, ემოციური ასპექტები — 10%, ეთიკური მსჯელობა და ქველმოქმედება — 8%.

ინგლისური ენობრივი სურათი ნაკლებად იყენებს ემოციურ მეტაფორიკას. ტერმინები, როგორიცაა „income poverty”, „welfare dependence”, „the poverty line”, იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ კონცეპტი ფუნქციონირებს როგორც სტრუქტურული სოციალური მაჩვენებელი და არა როგორც მორალურ-ფსიქოლოგიური კატეგორია.

ანალიზმა გამოავლინა მკაფიო კულტურული ასიმეტრია:

ქართულში ემოციურ-მორალური კომპონენტი 38%-ს შეადგენს, ინგლისურში კი - მხოლოდ 10%-ს, რაც მიუთითებს ქართულ კულტურაში სიღარიბის პერსონალიზებულ, ღირსებასთან დაკავშირებულ ხასიათზე.

ინგლისურში ეკონომიკური კომპონენტი 46%-ით არის წარმოდგენილი, ქართულში კი - მხოლოდ 18%-ით, რაც ასახავს განსხვავებულ ეკონომიკურ ცნობიერებასა და ინსტიტუციურ დამოკიდებულებას.

ამრიგად, კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ კონცეპტი „სიღარიბე” ქართულში ძირითადად ემოციურ-ეთიკური განზომილებითაა დატვირთული, რაც გამოიხატება როგორც მორალური კატეგორიების (სირცხვილი, ღირსების შელახვა), ისე სოციალური სოლიდარობისა და თანაგრძნობის ასოციაციების დომინირებაში. ქართულში აქცენტირებულია სიღარიბის კოლექტიური, სოციალური სისტემიდან გამომდინარე ხასიათი, სადაც ინდივიდუალური პასუხისმგებლობა შედარებით მეორეხარისხოვანია, ხოლო პრობლემის გადაჭრა დაკავშირებულია საზოგადოების, ოჯახის ან სხვა კოლექტიური ინსტიტუციების აქტიურ ჩარევასთან.

განსხვავებული ტენდენცია შეინიშნება ინგლისურში, სადაც კონცეპტი „poverty” ინტენსიურადაა რეპრეზენტირებული ეკონომიკურ-სტრუქტურულ დისკურსში. აქ დომინირებს ფინანსური და სოციალური მაჩვენებლების ანალიზი (შემოსავლის ნაკლებობა,

ეკონომიკური უთანასწორობა, სოციალური პროგრამები), ხოლო ემოციური ან მორალური ასოციაციები პერიფერიულია.

ფრაზის „Poverty is the punishment for a crime you did not commit“ ინტერპრეტაცია ორივე კულტურულ-სოციალურ სივრცეში უსამართლობის აღქმას უკავშირდება, თუმცა ლინგვისტური ფორმები, სიმბოლური ჩარჩოები და აქსიოლოგიური აქცენტები ქართულ და ინგლისურ კონტექსტში სხვადასხვა მიმართულებით იმლება.

ქართულენოვანი რესპოდენტები ხშირად იყენებდნენ მაღალი ემოციურობით დატვირთულ ლექსემებს: „უსამართლობა“, „გაუბედურება“, „დასჯა“, „სიყოჩადის არქონა“. მეტაფორული მოდელი უფრო პერსონალიზებული და ეთიკურ-ემოციურ სამართლიანობაზე დაფუძნებულია. დომინირებს „კოლექტიური ტკივილთან“ ასოცირებული მეტაფორები - სიღარიბე როგორც „სასჯელი“, რომელიც ინდივიდს თავს ატყდება.

ინგლისურენოვანი რესპოდენტები იყენებენ უფრო სტრუქტურულ და ინსტიტუციურ ტერმინებს: „systemic inequality“, „lack of opportunity“, „economic structures“, „discrimination“.

მეტაფორები ნაკლებად ემოციური და მეტად ანალიტიკურია - სიღარიბე გააზრებულია როგორც „სისტემის შედეგი“.

ქართულ საზოგადოებაში ლინგვისტური აქცენტები ინდივიდის დაუცველობაზეა მიმართული. ხშირად გამოიყენება ისეთი კონსტრუქციები, რომლებიც ადასტურებენ ადამიანის სიწმინდესა და გარემოს დანაშაულს: „ადამიანი არაფერშია დამნაშავე“, „ბედისგან დასჯილი“, „ბედის სასჯელი“. აქსიოლოგიურად დომინირებს მორალური პასუხისმგებლობის გადანაწილება საზოგადოებაზე ან ხელისუფლებაზე.

ინგლისურენოვან საზოგადოებაში აქცენტი კონცეპტუალურად უფრო სტრუქტურულ უდანაშაულობაზე კეთდება და არა ინდივიდის ემოციურ „წარმატებაზე“. პასუხები როგორიცაა „not a result of personal failure“, „product of environmental factors“ - აქსიოლოგიურად ეყრდნობა ლიბერალურ ინდივიდუალიზმს, რომელიც ინდივიდს პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს, მაგრამ მიზეზად სტრუქტურულ ბარიერებს ასახელებს.

ფრაზის “Poverty is the punishment for a crime you did not commit” ინტერპრეტაცია ორივე კულტურულ სივრცეში დაკავშირებულია სოციალური უსამართლობის აღქმასთან, თუმცა ლინგვისტური კონსტრუქციები და აქსიოლოგიური ფოკუსები არსებითად განსხვავდება.

ქართულ დისკურსში სიღარიბე მეტაფორიზებულია როგორც ინდივიდისაგან დამოუკიდებელი, მორალურ-ემოციური სასჯელი, რაც კულტურულად დაკავშირებულია კოლექტიური ტრამეული გამოცდილების, ისტორიულ-გეოპოლიტიკური რყევებისა და ინტენსიური ემპათიური სტრუქტურების გავლენასთან. ლექსიკური რესურსებში აქცენტირებულია ინდივიდის უდანაშაულობა, ტკივილი და უსამართლობა.

ინგლისურში სიღარიბის მიზეზად უფრო ინსტიტუციური და ეკონომიკური ფაქტორები სახელდება; აქცენტირებულია პოლიტიკური და სტრუქტურული მექანიზმები.

ორ საზოგადოებას შორის არსებული ლინგვისტურ-აქსიოლოგიური განსხვავება ფიქსირდება ემოციურ-პერსონალურ და სტრუქტურულ-ანალიტიკურ პარადიგმებს შორის. ეს განსხვავება ცხადყოფს, რომ სოციალურ ფენომენებს თითოეული ენა და კულტურა არა მხოლოდ აღწერს განსხვავებულად, არამედ აკონსტრუირებს საკუთარი ღირებულებითი ჩარჩოებით. სრორედ ეს ფაქტი განაპირობებს სიღარიბის მიმართ განსხვავებულ სოციალურ აღქმებსა და მორალურ პოზიციებს.

ანალიზმა გამოკვეთა კონცეპტის „სიღარიბე“ იმ ტიპის განსხვავებები, რომლებიც წარმოადგენენ ორი კულტურის ღირებულებით პრიორიტეტებს შორის არსებული სხვაობის მანიფესტაციას: ქართული კულტურა კოლექტივისტურ, მორალისტურ და ემოციურ-ეთიკურ განზომილებებს ანიჭებს უპირატესობას, ინგლისური კულტურა კი -ინსტიტუციურ, ეკონომიკურ-სტრუქტურულ და ინდივიდუალისტურ ხედვას.

თავი V. სტატიკა და დინამიკა

5.1. აქსიოლოგიური ველების სტატიკურობა და დინამიურობა

ადამიანის ცნობიერებაში სამყაროს ღირებულებითი ხატი ეფუძნება რეალობის ობიექტებისა და ფენომენების მახასიათებელთა პიროვნულ შეფასებას. (მარტინი & ვაითი, 2005).

გამოხატავს რა საკუთარ თვალსაზრისს სამყაროს შესახებ, ადამიანი მუდმივად არგებს სამყაროს სიკეთესა და ბოროტებაზე არსებულ ზოგადსაკაცობრიო და ინდივიდუალურ წარმოდგენათა ბადეს.

ზნეობრივი ღირებულებები არეგულირებენ ადამიანსა და გარე სამყაროს შორის არსებულ ურთიერთობას, განსაზღვრავენ პიროვნების ზნეობრივ ქცევას. საზოგადოების რიგითი წევრები მორალურ ღირებულებებს ითვისებენ აბსტრაქტული აქსიოლოგიური ცნებების (მოვალეობა, ბედნიერება, სიკეთე, კეთილშობილება, სიყვარული და ა.შ.) და წარმოდგენების სახით ადამიანის ზნეობრივ თვისებებზე (კეთილი, პატიოსანი, ბოროტი და ა.შ.).

ღირებულებათა მნიშვნელოვან ნაწილს გააჩნია უნივერსალური ხასიათი. ეროვნულობის საფუძველში ძვეს ერთი საერთო ზოგადსაკაცობრიო იდეალი, რომელიც აღბეჭდილია ეროვნული „იერით“.

მორალური შეფასება წარმოებულია ღირებულებებისა და ნორმების სისტემიდან: შეფასება ნიშნავს აზრის გამოთქმას შესაფასებელი ობიექტის ღირსებებსა და ნაკლოვანებებზე. შეფასება მარკირებულია პიროვნების გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელ ღირებულებათა სისტემით. (დიუი, 1939).

განზოგადებული ფორმით, ზნეობრივი თვისების ცნებაში იკვეთება და ფასდება ადამიანის ქცევის გარკვეული ასპექტები. ემოციები, ისევე როგორც შეფასება, შედის ზნეობრივი ცნობიერების შინაარსში. ღირებულება ღრმად ემოციური ხასიათისაა, რადგან სწორედ ემოციები ასრულებენ შეფასების ძირითად ფუნქციას ადამიანის მიერ სამყაროს გააზრებისა და ათვისების პროცესში. შეფასების შეფასებითი და ემოციური ასპექტები კონცენტრირებულია ზნეობრივ და ეთიკურ ცნებებში. (მარტინი, 2000).

საზოგადოებასათვის უმნიშვნელოვანეს ღირებულებათა ტრანსფორმაციის დინამიკა წარმოადგენს საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-კულტურული ცვლილებების

მნიშვნელოვან მაჩვენებელს. საზოგადოებას ახასიათებს ღირებულებათა ფორმირებისა და მათდამი დამოკიდებულების ჩამოყალიბების რთული პროცესი. (Parsons & Shils / პარსონსი & შილსი, 1951). შესაბამისად, ღირებულებები პირდაპირ დამოკიდებულია საზოგადოების სოციალურ-კულტურულ მახასიათებლებზე. ღირებულებები გვევლინება არა მხოლოდ ადამიანის ქმედებათა მოტივად, არამედ ადამიანის ქმედების ფუნდამენტურ ნორმად. (პარსონსი, 1977).

საზოგადოების ღირებულებათა სისტემა მოქმედებს როგორც ინდივიდების ღირებულებითი იდეების ერთობლიობა. ღირებულებათა სკალა არ არის დამოკიდებული ინდივიდების ინდივიდუალურ და ცვლად შეფასებებზე. ადამიანები საზოგადოებისგან იღებენ უკვე ჩამოყალიბებულ ღირებულებებს, რომლებსაც უნდა მოერგოს ადამიანი. მექანიზმი, რომელიც არეგულირებს საზოგადოებაში ადამიანის ქცევას, წარმოადგენს ადამიანის მიერ ღირებულებათა მიღების მზაობას საზოგადოებრივი აზრის გავლენით.

ამერიკელი სოციოლოგი ტ. პარსონსი აღნიშნავს, რომ საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საჭიროებას წარმოადგენს ნორმატიული მოდელის რეპროდუქცია. ღირებულებები წამყვან როლს თამაშობენ მოდელის შენარჩუნებაში, რადგან ისინი გვევლინებიან ერთგვარ სტანდარტად, რომელთა მიხედვითაც ხდება მოქმედების მიზნების შერჩევა. კონკრეტულ საზოგადოებაში მიღებული ღირებულებების სტრუქტურა და ბუნება დამოკიდებულია საზოგადოებაში გაბატონებულ იდეებზე (ცნებებზე). ცნებები აფუძნებენ ღირებულებებს. პარსონსის აზრით, ღირებულებათა სისტემა ერთდროულად აერთიანებს და ყოფს კიდევ ადამიანებს. ეს ფაქტი კი ხელს უწყობს სოციალური კლასების, ფენების, ეთნიკური ჯგუფების, ერებისა და ხალხების წარმოქმნას. ღირებულებები აყალიბებენ ერთობის „კოლექტიურ პორტრეტს“, განსაზღვრავენ ერთობის სპეციფიკას და მიჯნავენ ერთმანეთისაგან ერთობებს. ის, რაც მისაღებია ერთი საზოგადოებისთვის, მიუღებელია - მეორისათვის. (პარსონსი, 1964).

პარსონსი სოციალური მოქმედების კონცეფციაში ღირებულების ცნებას ღირებულების ორიენტაციასთან აკავშირებს. ინდივიდის ღირებულებითი ორიენტაცია მოქმედებს როგორც საზოგადოების კულტურაში დამკვიდრებული და აღიარებული სტანდარტებისადმი ერთგულება. (პარსონსი, 1937). შესაბამისად, ღირებულებითი ორიენტაციები აძლევენ ადამიანს გარკვეული წესების დაცვის შესაძლებლობას არსებული ალტერნატივებიდან ერთ-

ერთის შერჩევისას. ყოველთვის, როდესაც ადამიანს აიძულებენ არჩევანის გაკეთებას, ღირებულებითი ორიენტაციები სთავაზობენ მას გარკვეული ნორმების გარანტიას, რომლებითაც იგი იხელმძღვანელებს. (პარსონსი, 1953, გვ. 212-237).

ღირებულებათა სისტემას ორმაგი საფუძველი აქვს. სოციოლოგიის კლასიკოსების შეხედულებების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ღირებულებები, როგორც ინდივიდის ცნობიერების კომპონენტი, საზოგადოებრივი ცნობიერების განუყოფელი ნაწილია. მოქმედებენ რა როგორც კულტურის ელემენტები, ღირებულებები ასრულებენ ინტეგრაციულ ფუნქციას საზოგადოებაში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეხმარებიან ინდივიდს აირჩიოს, საზოგადოებრივი თვალსაზრისით, გამართლებული ქცევა.

ინდივიდისათვის ღირებულებათა სისტემა არის სოციალური მოქმედების მთავარი მოტივატორი, რომელიც გავლენას ახდენს საჭიროებებსა და ინტერესებზე. საზოგადოების კულტურაში აკუმულირებული ღირებულებათა სისტემის მეშვეობით რეგულირდება აქტორების ქცევა. საზოგადოებაში დამკვიდრებულ და აღიარებულ ღირებულებათა დახმარებით, ადამიანი ითვისებს სოციალურ გამოცდილებას და ახდენს მის რეპროდუცირებას. უნდა აღინიშნოს, რომ მეტად მნიშვნელოვანია აქტორის მიერ სოციალური გამოცდილების ათვისება და მისი გამოვლენა გარკვეულ ქმედებებში. ამისათვის საჭიროა, გაანალიზდეს ის საჭიროებები და მოტივები, რომლებიც უბიძგებენ ადამიანს აქტიურობისაკენ. ამავე დროს ჩნდება მოტივაციის საკითხი, ანუ რატომ ასრულებს მოცემულ სიტუაციაში მყოფი ადამიანი ამა თუ იმ ქმედებას. გარკვეულწილად, მოტივის არჩევანი ხსნის სოციალური დამოკიდებულების ცნების არსს.

ღირებულებები არ არიან ერთმანეთისაგან იზოლირებული - ისინი ყოველთვის ქმნიან ერთგვარ ინტეგრალურ სისტემას. ღირებულებათა სისტემა მოიცავს ღირებულებათა სხვადასხვა ჯგუფს, რომლებიც ქმნიან კულტურის ბირთვს. თითოეულ საზოგადოებას გააჩნია თავისი სპეციფიკური ღირებულებითი სტრუქტურა, თავისი „ძირითადი“ ღირებულებები, რომლებსაც აღიარებს და რომლებსაც მხარს უჭერს ამ საზოგადოების უდიდესი ნაწილი.

ღირებულებითი სტრუქტურის ბირთვი წარმოადგენს გარკვეულ იდეალს - სასურველი მომავლის სოციალურ-პოლიტიკურ და მორალურ ხატს. ღირებულებითი ორიენტაციები, რომლებსაც ადამიანი სტანდარტად მიიჩნევს, ასე თუ ისე, შეესაბამებიან იდეალს.

ღირებულებითი ორიენტაციები აყალიბებენ ცხოვრებისეული მიზნების საკუთარ იერარქიას, ღირებულებებს, საშუალებებს და წარმოდგენებს ქცევის ნორმების შესახებ.

ღირებულებები, უპირველეს ყოვლისა, მოქმედებენ ადამიანის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების, იდეალების, შერჩევის კრიტერიუმებისა და ზნეობრივი ქმედებების შეფასების სახით.

ღირებულებებისა და ეთიკის კომპლექსურ სისტემებს, რომლებიც აყალიბებენ ადამიანის ქცევასა და სოციალურ ნორმებს, ერთდროულად ახასიათებთ სტატიკურობა და დინამიურობა.

აქსიოლოგიური ველის სტატიკურობასა და დინამიურობას შორის ურთიერთქმედება იძლევა ადამიანურ ღირებულებათა ბუნების სპეციფიკისა და დროთა განმავლობაში ამ ღირებულებათა ევოლუციის წდომის საშუალებას.

აქსიოლოგიური ველი ემყარება სტატიკურ საფუძველს, რომელსაც ქმნის ინდივიდებისა და კონკრეტული საზოგადოებისათვის ფუნდამენტური ღირებულებები და პრინციპები. ამ ღირებულებებს გააჩნია მძლავრი კულტურული, სოციალური და პიროვნული გავლენები, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ღირებულებები წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელზედაც აგებულია მორალური ჩარჩოები. ეს ღირებულებები ქმნიან იმ სტაბილურ ბირთვს, რომლის გარშემოც გენერირდება ეთიკური და საზოგადოებრივი ნორმები.

აქსიოლოგიური ველების სტატიკური ასპექტები ასახავენ მარადიულ ჭეშმარიტებებსა და მარადიულ პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მორალურ სტაბილურობას. ეს უკანასკნელი კი განსაზღვრავს ადამიანის ქცევის სპეციფიკას თაობებსა და კულტურაში. მაგალითად, სამართლიანობის, ღირსებისა და თანაგრძნობის ცნებები ხშირად არღვევენ დროისა და სივრცის საზღვრებს. ეს ცნებები გვევლინებიან მორალური ქცევის უნივერსალურ საფუძველად.

მიუხედავად მათი საფუძვლის სტატიკურობისა, აქსიოლოგიური ველები არ იმყოფებიან სტაგნაციაში. ისინი განიცდიან მუდმივ ევოლუციასა და ტრანსფორმაციას. დინამიური პროცესი განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: კულტურული ცვლილებები, ტექნოლოგიური მიღწევები და პირადი გამოცდილება.

აქსიოლოგიური ველების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს კულტურული დინამიკა. როდესაც საზოგადოება ვითარდება და „ეჯახება“ ახალ იდეებსა და პერსპექტივებს, ხდება ღირებულებების გადაფასება და რეინტერპრეტაცია. მაგალითად, გლობალიზაცია ხელს უწყობს კულტურული ნორმების გაცვლას. ეს კი იწვევს ჰიბრიდული ღირებულებითი სისტემების გაჩენას, რომლებშიც ინტეგრირებულია ტრადიციული და თანამედროვე გავლენები.

აქსიოლოგიური ველების დინამიკას ხელს უწყობს ტექნოლოგიური პროგრესიც. ინტერნეტი და სოციალური მედია აჩქარებს ღირებულებებისა და იდეოლოგიების გავრცელებას. ეს კი, თავის მხრივ, იწვევს სწრაფ ცვლილებებს საზოგადოებაში. გარდა ამისა, ახალი ტექნოლოგიები, როგორცაა ხელოვნური ინტელექტი და ბიოტექნოლოგია, იწვევს ეთიკურ დილემებს. ამ დილემებთან გამკლავება კი მოითხოვს არსებული მორალური ჩარჩოების გადახედვას.

პირადი გამოცდილება და პიროვნული ზრდა ასევე აძლიერებს აქსიოლოგიური ველების დინამიკას. მორალურმა დილემებმა და ცხოვრებისეული გამოწვევების დაძლევა შეიძლება გამოიწვიოს პიროვნების ღირებულებათა ტრანსფორმაცია. ასეთი პიროვნული ტრანსფორმაციები ვრცელდება საზოგადოებრივი ნორმების მეშვეობით, რაც ხელს უწყობს აქსიოლოგიური სივრცის მუდმივ ცვლილებას.

აქსიოლოგიურ ველებში სტატიკურობასა და დინამიურობას შორის არსებული ურთიერთქმედება წარმოადგენს უწყვეტობასა და ცვლილებას, ტრადიციასა და ინოვაციებს შორის ბალანსის მანიფესტაციას. სტატიკური ღირებულებები უზრუნველყოფენ სტაბილურობას, დინამიური ღირებულებები კი უზრუნველყოფენ საზოგადოების პროგრესს.

აქსიოლოგიურ ველებში სტატიკურობასა და დინამიურობას შორის არსებული ურთიერთქმედების გააზრება აუცილებელია ადამიანური ღირებულებებისა და ეთიკის რთულ სამყაროში ორიენტაციისათვის. ძირითადი ღირებულებების მარადიული მნიშვნელობის აღიარება, ისევე როგორც კულტურული ევოლუციისა და პიროვნული ზრდის ტრანსფორმაციული ძალის გათვალისწინება, იძლევა ინკლუზიური, მდგრადი და აქტიური საზოგადოების შექმნის საშუალებას.

ამრიგად, აქსიოლოგიური ველების სტატიკურობა და დინამიურობა წარმოადგენს ადამიანურ ღირებულებათა პარადოქსულობის მანიფესტაციას - აქსიოლოგიური ველების სტატიკურობასა და დინამიურობაში იკვეთება მუდმივობასა და ცვლილებას შორის არსებული ბალანსი.

მარადიული პრინციპების აღიარებით, რომლებსაც ემყარებიან მორალური ჩარჩოები, ევოლუციური ძალების არსის გააზრებით, რომლებიც განსაზღვრავენ მათ ტრაექტორიას, შესაძლებელი ხდება სამყაროში ადამიანურ ღირებულებათა ფუნქციის წვდომა.

აქსიოლოგიური ველების სტატიკურობასა და დინამიურობას შორის ბალანსი აუცილებელია მუდმივად ცვალებად სამყაროში ადამიანური ღირებულებების სტაბილურობის შესანარჩუნებლად და ღირებულებათა ახალ რეალობასთან ადაპტაციისათვის.

განვიხილოთ აქსიოლოგიურ ველებში არსებული ბალანსის არსი:

აქსიოლოგიურ ველებში არსებული ბალანსი წარმოადგენს ბალანსს ძირითად სტატიკურ ღირებულებებსა და დინამიურ ევოლუციურ ძალებს შორის. ეს ბალანსი უზრუნველყოფს აქსიოლოგიური ველების შინაგან სტაბილურობას, ადამიანურ ღირებულებათა თანმიმდევრულობასა და უწყვეტობას.

აქსიოლოგიური ველების სტატიკური საფუძველი, რომელიც შედგება ფუნდამენტური ღირებულებებისა და პრინციპებისგან, ასრულებს ორიენტირის ფუნქციას კონკრეტული საზოგადოების მიერ აღიარებულ ნორმებთან შესაბამისი ქცევისათვის. სტატიკური ღირებულებები უზრუნველყოფენ სტაბილურობას, მემკვიდრეობითობასა და თანმიმდევრულობას, ამლიერებენ ადამიანურ ღირებულებებს საზოგადოებრივი ცვლილებებისა და კულტურული ძვრების ფონზე.

ამავდროულად, აქსიოლოგიური ველი ექვემდებარება დინამიურ ევოლუციას. დინამიური ძალები ხელს უწყობენ ადაპტაციას, ინოვაციებსა და საზოგადოებრივ პროგრესს. კულტურული ცვლილებები, ტექნოლოგიური მიღწევები და პიროვნული ზრდა ხელს უწყობს ადამიანური ღირებულებებისა და ეთიკური პარადიგმების უწყვეტ ტრანსფორმაციას.

მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკური ღირებულებები იძლევიან უწყვეტობისა და ტრადიციის განცდას, დინამიური ძალები უზრუნველყოფენ ახალ რეალობებთან, ცვალებად სოციალურ საჭიროებებთან და ახალ ეთიკურ გამოწვევებთან გამკლავების უნარს. ბალანსი ხელს უწყობს მდგრადობას, ადაპტირებას და ეთიკურ სიცოცხლისუნარიანობას საზოგადოებებში.

აქსიოლოგიური ველის სტატისტიკურობასა და დინამიურობას შორის არსებული ბალანსი უზრუნველყოფს საზოგადოების მდგრადობასა და სიცოცხლისუნარიანობას.

აქსიოლოგიური ბალანსის შექმნა და შენარჩუნება მოითხოვს მნიშვნელოვან ძალისხმევას ინდივიდუალურ, სოციალურ და ინსტიტუციურ დონეებზე. დიალოგი და კრიტიკული რეფლექსია ხელს უწყობს სხვადასხვა ღირებულებითი სისტემებისა და იდეოლოგიური პერსპექტივების შეჯერებას.

ბუნებრივია ჩნდება შეკითხვა: რა ხდება მაშინ, როდესაც ირღვევა ეს ბალანსი?

განვიხილოთ აქსიოლოგიური ბალანსის დარღვევის შედეგები და ამ შედეგების გავლენა სოციალურ დინამიკაზე:

1. აქსიოლოგიური დისბალანსის ერთ-ერთ მთავარ შედეგს წარმოადგენს სოციალური ერთობის რღვევა. როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი შეუსაბამობა საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტის ღირებულებებს შორის, ადგილი აქვს დაყოფას, პოლარიზაციასა და კონფლიქტს. ერთიანობის ნაკლებობა ანგრევს საზოგადოების სტრუქტურას;
2. აქსიოლოგიური დისბალანსი ხშირად იწვევს ეთიკურ დილემებსა და მორალურ დაბნეულობას. როდესაც ინდივიდები ეჯახებიან ურთიერთსაწინააღმდეგო ღირებულებებს ან ეთიკურ პრინციპებს, იქმნება ეთიკური გაურკვევლობა. სწორედ ამ დროს ჩნდება მორალური რელატივიზმი, რომლის დროსაც ადამიანებს უჭირთ ჭეშმარიტისა და მცდარის, სიმართლისა და სიცრუის დიფერენცირება. მორალური რელატივიზმი ართულებს ეთიკური სტანდარტებისა და პრინციპების დაცვას;
3. აქსიოლოგიურმა დისბალანსმა შეიძლება გაანადგუროს საჯარო ინსტიტუტებისადმი ნდობა. როდესაც ინსტიტუტები არ იცავენ მათ მიერვე დეკლარირებულ ღირებულებებს ან მოქმედებენ საზოგადოებრივი ნორმების საწინააღმდეგოდ, საზოგადოებაში ჩნდება იმედგაცრუება და ცინიზმი. ნდობის ნაკლებობა ანადგურებს

ინსტიტუტების ლეგიტიმურობას და ასუსტებს სოციალურ ერთიანობას. ეს კი, თავის მხრივ, იწვევს მმართველობისა და ანგარიშვალდებულების რღვევას;

4. აქსიოლოგიური დისბალანსი ხშირად ზრდის სოციალურ დაძაბულობას და ქმნის კონფლიქტებს საზოგადოებაში. როდესაც სხვადასხვა ჯგუფს განსხვავებული ღირებულებები აქვს, როდესაც ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ მის ღირებულებებს საფრთხე ემუქრება მეორე ჯგუფისაგან, ჩნდება მტრობა, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის სოციალური არეულობით, პროტესტითა და ძალადობით;
5. ზოგიერთ შემთხვევაში, აქსიოლოგიურმა დისბალანსმა შეიძლება გამოიწვიოს სტაგნაცია და ინოვაციის ნაკლებობა. როდესაც დამკვიდრებული ღირებულებები ან იდეოლოგიები დომინირებს საჯარო დისკურსში, შეიძლება საფრთხე დაემუქროს შემოქმედებითობას, მრავალფეროვნებასა და პროგრესს.

აქსიოლოგიური ველის დინამიკაზე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ღირებულებათა მუდმივ ევოლუციაზე, ამ ღირებულებათა ურთიერთქმედებაზე ინდივიდსა და საზოგადოებაში, გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი. ამ ფაქტორების განხილვას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესისა და ადამიანის თვალსაზრისების სპეციფიკის, ასევე სოციალური დინამიკის სირთულეთა გასააზრებლად.

განვიხილოთ ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ აქსიოლოგიური ველის დინამიკას:

კულტურული კონტექსტი წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც აყალიბებს აქსიოლოგიური ველის დინამიკას. სხვადასხვა კულტურას გააჩნია განსხვავებული ღირებულებები და მორალური სქემები, რომლებიც განსაზღვრავენ ინდივიდუალური და კოლექტიური ქცევის სპეციფიკას. (ბობროუ & ნორმანი, 1975, გვ. 131-149). აღნიშნული კულტურული ნორმების ტრანსლაცია ხდება სოციალიზაციის პროცესების მეშვეობით (ოჯახის, განათლების, რელიგიისა და მედიის მეშვეობით). საზოგადოების განვითარების პროცესში კულტურული ღირებულებები ურთიერთქმედებენ და განიცდიან ცვლილებებს. ეს კი იწვევს აქსიოლოგიური ველის ცვლილებას. მაგალითად, გლობალიზაციამ გამოიწვია იდეებისა და ღირებულებების ტრანსალაცია კულტურებს შორის,

რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო კულტურულ ჰიბრიდიზაციასა და ახალი მორალური პარადიგმების გაჩენას.

სოციალიზაციის ისეთი აგენტები, როგორიცაა ოჯახი, მეგობრები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და რელიგიური ორგანიზაციები, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ინდივიდების ღირებულებითი სისტემების ჩამოყალიბებაში. პიროვნების ფორმირების პროცესში ინდივიდები ითვისებენ ამ აგენტების მიერ დამკვიდრებულ ღირებულებებს, რაც განსაზღვრავს მათი თვალსაზრისებისა და ქცევის სპეციფიკას. უფრო მეტიც, სოციალიზაცია არის უწყვეტი პროცესი, რომელიც გრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე, რადგან ინდივიდები იძენენ ახალ გამოცდილებასა და პერსპექტივებს. სოციალიზაციის აგენტების ცვლილებებმა ან სოციალური სტრუქტურების რღვევამ შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების აქსიოლოგიური ველის ტრანსფორმაცია.

ფსიქოლოგიური ფაქტორები, ინდივიდუალური ფსიქოლოგიური მახასიათებლები და კოგნიტური პროცესები ასევე გავლენას ახდენენ აქსიოლოგიური ველის დინამიკაზე. პირადი გამოცდილება, ემოციები, კოგნიტური მიკერძოებულობა და მორალური ინტუიცია განსაზღვრავს იმას, თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები ღირებულებებს და როგორ ანიჭებენ მათ პრიორიტეტს. მაგალითად, ადამიანებმა, რომლებსაც გააჩნიათ თანაგრძნობის უნარი, შეიძლება უპირატესობა მიანიჭონ თანაგრძნობასა და ალტრუიზმს თავიანთ ღირებულებათა იერარქიაში, ხოლო მათ, ვინც მიდრეკილია უტილიტარიზმისკენ, შეიძლება უფრო მეტი მნიშვნელობა მიანიჭონ ეფექტურობასა და პრაგმატიზმს. უფრო მეტიც, კოგნიტურმა დისონანსმა და მორალურმა დილემებმა შეიძლება გამოიწვიოს საკუთარი ღირებულებითი სისტემის გადაფასება და დროთა განმავლობაში კორექტირებაც კი.

ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ აქსიოლოგიური ველის დინამიკაზე როგორც ინდივიდუალურ, ისე სოციალურ დონეზე. პოლიტიკური იდეოლოგიები აყალიბებენ სოციალურ ნორმებს, გავლენას ახდენენ სამართლიანობასთან, თავისუფლებასა და მმართველობასთან დაკავშირებულ ღირებულებებზე. ეკონომიკურმა უთანხმოებებმა, პოლიტიკურმა კონფლიქტებმა და ძალაუფლებისათვის ბრძოლამ შეიძლება გამოიწვიოს იდეოლოგიური პოლარიზაცია და საზოგადოების მორალური ფრაგმენტაცია.

აქსიოლოგიური ველების დინამიკას ხელს უწყობს ტექნოლოგიური მიღწევები. განსაკუთრებული ძვრები გამოიწვია ინტერნეტმა და სოციალურმა მედიამ კომუნიკაციისა და ინფორმაციის გავრცელებაში, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო იდეებისა და ღირებულებების სწრაფ გავრცელებას მთელს მსოფლიოში. ონლაინ პლატფორმები წარმოადგენენ იდეოლოგიური დებატებისა და კულტურულ ღირებულებათა გაცვლის ასპარეზს, რაც გავლენას ახდენს სოციალური ღირებულებების ევოლუციაზე. უფრო მეტიც, ახალი ტექნოლოგიები, როგორცაა ხელოვნური ინტელექტი და ბიოტექნოლოგია, ბადებს ეთიკურ კითხვებს კონფიდენციალურობისა და ავტონომიის შესახებ, რაც მოითხოვს ტრადიციული მორალური სქემების რევიზიას.

ამრიგად, აქსიოლოგიური ველის დინამიკა ყალიბდება კულტურული, სოციალური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური და ტექნოლოგიური ფაქტორების კომპლექსური ურთიერთქმედებით. საზოგადოების განვითარებასთან ერთად, ჩნდება ახალი გამოწვევები, მუდმივად ხდება ღირებულებებისა და ეთიკური პრინციპების გადაზრება.

5.2. ინგლისური და ქართული აქსიოლოგიური ველების დომინანტური ღირებულებები და დინამიკა

კვლევის მონაცემთა ანალიზმა ცხადყო, რომ ინგლისური აქსიოლოგიური ველის შემადგენლობა ჰეტეროგენულია - იგი მოიცავს ღირებულებათა ფართო სპექტრს. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური ღირებულებები შეიძლება განსხვავდებოდნენ ისეთი ფაქტორების მიხედვით, როგორცაა რეგიონი, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და პირადი შეხედულებები, მაინც შესაძლებელია ინგლისური აქსიოლოგიური ველის შემადგენლობაში ისეთი ბირთვული დომინანტური ღირებულებების გამოყოფა, როგორიცაა:

1. ინდივიდუალიზმი: ინგლისური საზოგადოება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ინდივიდუალურ ავტონომიურობას, დამოუკიდებლობას, თავისუფლებას, პიროვნულ მიღწევებს, საკუთარი მიზნებისა და ინტერესების მიღწევის უნარსა და თვითგამოხატვის უფლებას. ეს კი ვლინდება ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში, მათ შორის პოლიტიკაში, ეკონომიკასა და სოციალურ ინტერაქციაში;
2. თანასწორობა და სამართლიანობა: თანასწორობასთან, სამართლიანობასა და მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ღირებულებები ფუნდამენტურია

ინგლისური საზოგადოებისათვის. თანაბარი უფლებები, კანონის უზენაესობა და შესაძლებლობათა ხელმისაწვდომობა ფუნდამენტურია ინგლისური საზოგადოების ნორმებისათვის;

3. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება: ინგლისური კულტურა აფასებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც დემოკრატიისა და პიროვნების რეალიზაციის განუყოფელ ნაწილს. მრავალფეროვანი შეხედულებების, მოსაზრებებისა და თვალსაზრისების გამოხატვის უფლება დაცულია;
4. პლურალიზმი და მრავალფეროვნება: ინგლისური საზოგადოება აღიარებს და პატივს სცემს ეთნიკურ, კულტურულ და რელიგიურ მრავალფეროვნებას; მრავალფეროვნების პატივისცემა, ტოლერანტობა და ინკლუზიურობა მნიშვნელოვანი სოციალური ღირებულებებია. შედეგად, ინგლისურ აქსიოლოგიურ ველში დომინირებს ისეთი ღირებულებები, როგორიცაა პლურალიზმი, შემწყნარებლობა და მრავალფეროვნების პატივისცემა;
5. განათლება და ინტელექტუალიზმი: ცოდნა, განათლება, კრიტიკული აზროვნება, უწყვეტი სწავლა, ცნობისმოყვარეობა და ინოვაცია ინგლისური საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულებებია. ეს კი აისახება საგანმანათლებლო სისტემებში, კულტურულ ინსტიტუტებსა და ინტელექტუალიზმისადმი საზოგადოების დამოკიდებულებაში;
6. დემოკრატია და სამოქალაქო ჩართულობა: დემოკრატიული პრინციპები, როგორიცაა სამოქალაქო ჩართულობა, პოლიტიკური აქტიურობა და სამოქალაქო პასუხისმგებლობა, ფუნდამენტურია ინგლისური საზოგადოებისთვის;
7. ჰუმანურობა და თანაგრძნობა: ინგლისურ საზოგადოებაში ფასდება თანაგრძნობა, მოხალისეობა და ქველმოქმედება. ამ ღირებულებათა დაცვა განიხილება საზოგადოებაში დადებითი წვლილის შეტანის გზად;
8. ლიბერალური ღირებულებები: ლიბერალიზმმა, თავისი აქცენტით თავისუფლებაზე, თანასწორობასა და სამართლიანობაზე, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ინგლისურ აქსიოლოგიურ ველზე. ისეთი ღირებულებები, როგორიცაა დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა და სოციალური სამართლიანობა, ცენტრალურია ინგლისური საზოგადოებისთვის. ეს ღირებულებები ხშირად განსაზღვრავენ საჯარო დისკურსის, პოლიტიკისა და სოციალური ნორმების სპეციფიკას;

9. გარემოსდაცვითი ცნობიერება: ბოლო დროს ინგლისურ საზოგადოებაში იზრდება ისეთ ღირებულებათა პოპულარობა, როგორიცაა გარემოზე ზრუნვა და გარემოს დაცვა;
10. პრაგმატიზმი, უტილიტარიზმი და ინოვაცია: ინგლისური საზოგადოება აფასებს პრაგმატიზმს, ახალ გადაწყვეტილებათა ძიებასა და ინოვაციებს. ადაპტაცია, ეფექტურობა და კრეატიულობა ღირებულ თვისებებად განიხილება ბიზნესში, ტექნოლოგიებსა და ხელოვნებაში. ინგლისურ კულტურაში პრიორიტეტს ანიჭებენ პრაქტიკულობას, ეფექტურობასა და ეფექტიანობას გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების გადაჭრის პროცესებში. ეს ვლინდება სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, ეკონომიკასა და საჯარო პოლიტიკაში, სადაც აქცენტი კეთდება კონკრეტული შედეგების მიღწევასა და სარგებლის მაქსიმიზაციაზე;
11. კონსუმერიზმი და მატერიალიზმი: მომხმარებელზე ორიენტირებულ ეკონომიკაში, სადაც ფასეულია სიმდიდრის, სტატუსისა და მატერიალური კეთილდღეობის ძიება, კონსუმერიზმი და მატერიალიზმი შეიძლება გააზრებულ იქნას მნიშვნელოვან ღირებულებებად.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ ღირებულებათა ნუსხა არ არის ამომწურავი. ამასთანავე, ეს ღირებულებები შეიძლება განსხვავდებოდნენ ინდივიდებში კონტექსტისა და სუბიექტური აღქმის მიხედვით. უფრო მეტიც, საზოგადოებრივი ღირებულებები დინამიურია - ისინი ექვემდებარებიან ცვლილებას დროთა განმავლობაში სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური კონტექსტების გავლენით.

ინგლისურ კულტურაში მრავალფეროვანი აქსიოლოგიური ცვლადების არსებობა ხელს უწყობს სოციალური ღირებულებების, ნორმებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.

ეს აქსიოლოგიური ცვლადები ასახავენ ინგლისური საზოგადოების კულტურულ, ისტორიულ და სოციალურ კონტექსტს, აყალიბებენ ინდივიდებისა და თემების ღირებულებებს, რწმენასა და ქცევას, პრინციპებსა და პრეფერენციებს.

ინგლისური აქსიოლოგიური ველის კონსტანტები წარმოადგენენ სტაბილურ ღირებულებებსა და პრინციპებს, რომლებიც ფესვგადგმულია სოციალურ ნორმებში, ქცევასა და ურთიერთობებში. ეს კონსტანტები ასახავენ ინგლისური საზოგადოებისათვის

ფუნდამენტურ რწმენასა და იდეალებს, რომლებიც დროთა განმავლობაში აყალიბებენ ინგლისური საზოგადოებების ეთიკას.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ღირებულებები შეიძლება ვარიირებდნენ სხვადასხვა თემში, ისინი მაინც უნდა იქნას გააზრებული ინგლისური საზოგადოებების ზოგადი ეტიკეტის მაფორმირებელ და შემანარჩუნებელ ძალად.

რაც შეეხება ქართულ კულტურას, კვლევის მონაცემთა ანალიზმა ცხადყო, რომ იგი აღბეჭდილია ტრადიციებით, ისტორიითა და რელიგიით, რაც მნიშვნელოვან გავლენას ქართული აქსიოლოგიური ველის შემადგენლობაზე. ქართული აქსიოლოგიური ველი მოიცავს ისეთ დომინანტურ ღირებულებებს, როგორიცაა:

1. სტუმართმოყვარეობა: ქართველები გამოირჩევიან სტუმართმოყვარეობითა და გულუხვობით. სტუმრის პატივისცემა წარმოადგენს ქართული კულტურის ფუნდამენტურ ასპექტს;
2. ოჯახისადმი დამოკიდებულება: ოჯახური კავშირები წარმოადგენს ქართული აქსიოლოგიური ველის დომინანტურ ღირებულებას, რომელშიც აქცენტირებულია ერთგულება, ურთიერთდახმარება და პატივისცემა. ოჯახი განსაკუთრებულ როლს თამაშობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც უზრუნველყოფს მიკუთვნებულობისა და იდენტობის განცდას;
3. უფროსებისადმი პატივისცემა: ქართულ კულტურაში ახალგაზრდები პატივს სცემენ უფროსი თაობის წარმომადგენლებს, მათ სიბრძნესა და გამოცდილებას;
4. რელიგიური მრწამსი: ქართული საზოგადოება აღბეჭდილია მართლმადიდებლური ქრისტიანული ტრადიციითა და რელიგიური ღირებულებებით. რწმენა და სულიერება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მორალური ღირებულებებისა და სოციალური ნორმების ჩამოყალიბებაში;
5. პატრიოტიზმი და ეროვნული იდენტობა: ქართველები ამაყოფენ თავიანთი კულტურული მემკვიდრეობით, ენით და ეროვნული იდენტობით;
6. გამძლეობა და შეუპოვრობა: ქართველები განთქმულნი არიან სირთულეთა წინაშე გამძლეობითა და შეუპოვრობით. ქართულ საზოგადოებაში ფასდება გამძლეობა, მონდომება, შეუპოვრობა და დაბრკოლებების გადალახვის უნარი;

7. ერთგულება ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებებისადმი: ქართული კულტურა მდიდარია ტრადიციებით, ფოლკლორითა და წეს-ჩვეულებებით, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა. კულტურული მემკვიდრეობის, რიტუალებისა და ტრადიციების შენარჩუნება მნიშვნელოვანი ღირებულებებია, რომლებიც ხელს უწყობენ ეროვნული იდენტობის განცდის ჩამოყალიბებას;
8. სოციალური ჰარმონია და კოლექტივიზმი: ქართულ კულტურაში ხშირად აქცენტირდება სოციალური ჰარმონიისა და კოლექტივიზმის მნიშვნელობა, ასევე ფასდება თანამშრომლობა, სოლიდარობისა და ერთობის გრძნობა. ხშირად პრიორიტიზირებულია ჯგუფის და არა ინდივიდის საჭიროებები და პირადი ინტერესები;
9. სწრაფვა განათლებისაკენ: ქართულ საზოგადოებაში პატივს სცემენ ინტელექტუალიზმს და ცოდნისკენ სწრაფვა განიხილება, როგორც გზა პიროვნული ზრდისა და სოციალური კეთილდღეობისკენ;
10. დამოკიდებულება გენდერული როლებისადმი: ტრადიციული გენდერული როლები კვლავაც აქტუალურია ქართულ საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ იკვეთება სვლა თანასწორობის ღირებულებებისკენ, განსაკუთრებით ქალაქებში, ტრადიციული გენდერული ნორმები კვლავაც გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ დინამიკაზე.

ეს ღირებულებები არა მხოლოდ აყალიბებენ ინდივიდუალურ ქცევას, არამედ გავლენას ახდენენ ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ საზოგადოებრივ ნორმებზე, ინტერპერსონალურ ურთიერთობებსა და ინსტიტუციურ პრაქტიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს ღირებულებები დომინანტურია, მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ ქართული საზოგადოება, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა, მრავალფეროვანი და დინამიურია - ქართული საზოგადოებაში იკვეთება ამ ღირებულებათა ინტერპრეტაციებისა და რეპრეზენტაციების ვარიანტების სხვადასხვა კონტექსტსა და თაობაში.

ქართული აქსიოლოგიური ველის ცვლადები ასახავენ ქართული საზოგადოების კულტურულ, ისტორიულ და სოციალურ კონტექსტს.

ქართული აქსიოლოგიური ველის კონსტანტები წარმოადგენენ მდგრად დომინანტურ ღირებულებებსა და პრინციპებს, რომლებიც დროთა განმავლობაში ინარჩუნებენ სტაბილურობას. აქსიოლოგიური ველის კონსტანტები აყალიბებენ სოციალურ ნორმებს,

ქცევასა და დამოკიდებულებებს. ეს კონსტანტები ასახავენ ქართულ საზოგადოებაში ღრმად ფესვგადგმულ ფუნდამენტურ რწმენასა და იდეალებს.

ჯამში, ქართული აქსიოლოგიური ველის დინამიკა ასახავს ტრადიციული ღირებულებების, რელიგიური მრწამსის, კულტურული მემკვიდრეობისა და სოციალური ნორმების ერთობლიობას, რომელიც აყალიბებს ქართველი ხალხის დამოკიდებულებებს, ქცევებსა და ინტერპერსონალურ ურთიერთობებს. მიუხედავად იმისა, რომ მოდერნიზაციამ და გლობალიზაციამ ცვლილებები შეიტანა ქართულ საზოგადოებაში, ტრადიციული ღირებულებები კვლავაც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ერის კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებაში.

თანამედროვე ინგლისური და ქართული აქსიოლოგიური ველების დინამიკის განმსაზღვრელი ფაქტორები წარმოადგენენ ელემენტთა შორის არსებულ მიმართებათა მრავალფეროვან ერთობლიობას, რომელიც ასახავს თითოეული ენის უნიკალურ კულტურულ, ისტორიულ, სოციალურ და ენობრივ კონტექსტს.

ჯამში, თანამედროვე ინგლისური და ქართული აქსიოლოგიური ველების დინამიკის განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენს:

1. კულტურული მემკვიდრეობა და ტრადიცია: ინგლისურ და ქართულ კულტურას აქვს მდიდარი ისტორია და ტრადიციები, რომლებიც აყალიბებენ ღირებულებებისა და თვალსაზრისების სისტემებს. რიტუალები და ისტორიები, რომლებიც გადაეცემა თაობიდან თაობას, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ აქსიოლოგიური სივრცის განსაზღვრაში;
2. რელიგია და მრწამსი: რელიგიური ტრადიციები მნიშვნელოვნად მოქმედებენ აქსიოლოგიურ ველებზე. ქრისტიანობამ ისტორიულად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ორივე კულტურაში ღირებულებების, მორალისა და ეთიკური პრინციპების ჩამოყალიბებაში;
3. სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი: სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, როგორცაა სიმდიდრის განაწილება, სოციალური უთანასწორობა და რესურსებზე ხელმისაწვდომობა, გავლენას ახდენენ აქსიოლოგიური ველების დინამიკაზე; ეკონომიკური იდეოლოგიები, შრომითი ურთიერთობები და მართვის სისტემები

გავლენას ახდენენ სამუშაოსთან, სიმდიდრესთან, სოციალურ სამართლიანობასა და თანასწორობასთან დაკავშირებულ ღირებულებებზე;

4. გლობალიზაცია და ტრანსნაციონალური გავლენა: გლობალიზაციამ გამოიწვია იდეებისა და ღირებულებების გაცვლა ინგლისურ და ქართულ საზოგადოებებს შორის. მედიის, ტექნოლოგიების, პოპკულტურისა და საერთაშორისო ურთიერთობების ტრანსნაციონალური გავლენა აყალიბებს საკვლევ კულტურათა ღირებულებებსა და ნორმებს;
5. ისტორიული ტრაექტორიები და პოლიტიკური დინამიკა: ისტორიულმა და პოლიტიკურმა მოვლენებმა ჩამოაყალიბა როგორც ინგლისელი, ისე ქართველი ხალხების კოლექტიური ცნობიერება და ღირებულებითი სისტემები. ორივე კულტურაში ისტორიული ტრაექტორიებისა და პოლიტიკური დინამიკის სპეციფიკა გავლენას ახდენს შეხედულებებზე იდენტობის, პატრიოტიზმისა და სამოქალაქო ღირებულებების თაობაზე;
6. საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებები: საგანმანათლებლო სისტემები, კულტურული დაწესებულებები და მედია გადამწყვეტ როლს თამაშობენ აქსიოლოგიური ველების, კულტურული ღირებულებების, ნორმებისა და იდეოლოგიების ფორმირებაში;
7. ღირებულებათა თაობათაშორისი ტრანსლაცია და სოციალიზაცია ინგლისურ და ქართულ საზოგადოებებში: ღირებულებები გადაეცემა თაობიდან თაობას. თაობათაშორისი დინამიკა განმტკიცებულია სოციალიზაციის პროცესის მეშვეობით ოჯახებში, საზოგადოებასა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ჯამში, ინგლისური და ქართული აქსიოლოგიური ველების დინამიკა მრავალფეროვანი და ცვალებადია. ეს დინამიკა ასახავს იმ მრავალფეროვანი ფაქტორების კომპლექსურ ურთიერთქმედებას, რომლებიც აყალიბებენ ინდივიდუალურ და კოლექტიურ ღირებულებათა სისტემებს. ეს ფაქტორები ასახავენ ინგლისური და ქართული საზოგადოებების უნიკალურ კულტურულ, ისტორიულ, სოციალურ და ენობრივ კონტექსტს.

5.3. ინგლისური და ქართული აქსიოლოგიური ველების უცვლელობის მიზეზები

ღირებულებები შეიძლება უცვლელი დარჩეს დროთა განმავლობაში. ეს კი მეტყველებს საზოგადოებაში მუდმივი პრინციპების, რწმენისა და ნორმების არსებობაზე.

განვიხილოთ აქსიოლოგიური ველის უცვლელობის რამდენიმე ძირითადი მიზეზი:

1. კულტურული ტრადიცია და მემკვიდრეობა: ღირებულებები ხშირად მჭიდროდაა დაკავშირებული კულტურულ ტრადიციებთან და ისტორიულ მემკვიდრეობასთან. კულტურის ეს უცვლელი ასპექტები გადაეცემა თაობიდან თაობას, რაც უზრუნველყოფს იდენტობის განცდას. რიტუალები, ტრადიციები და ღირებულებები წამყვან როლს ასრულებენ - მათი რეალიზაციის მეშვეობით ხერხდება უწყვეტობისა და მემკვიდრეობითობის შენარჩუნება;
2. თანხმობა: ღირებულებების თანმიმდევრულობამ შეიძლება ხელი შეუწყოს თანხმობას საზოგადოებაში ურთიერთქმედებისა და თანამშრომლობის საერთო საფუძვლის უზრუნველყოფის გზით. საერთო ღირებულებები ამყარებენ საზოგადოების წევრებს შორის მიკუთვნებულობის, ნდობის და სოლიდარობის გრძნობას;
3. რელიგიის გავლენა: რელიგიაში ფესვგადგმული ღირებულებები შეიძლება უცვლელი დარჩეს მათი აღქმული ტრანსცენდენტული ან აბსოლუტური ბუნების გამო. რელიგიური დოქტრინები, მორალური პრინციპები და ეთიკური სწავლებები გვევლინებიან იმ მორალურ ორიენტირებად, რომლებიც განსაზღვრავენ ინდივიდების ღირებულებებსა და ქცევას;
4. ინტერპერსონალური ურთიერთობები და ოჯახი: ოჯახში ათვისებული ღირებულებები, როგორიცაა პატივისცემა, ნდობა და ერთგულება, ხშირად ნარჩუნდება ინდივიდის ცხოვრებაში. ოჯახის ტრადიციები, ღირებულებები და ნორმები გადაეცემა თაობიდან თაობას. ეს უკანასკნელნი აყალიბებენ ინდივიდის მიერ ჭეშმარიტისა და მცდარის აღქმას, ასევე უზრუნველყოფენ ღირებულებათა უწყვეტობას ოჯახებში;
5. ეროვნული იდენტობა და სიამაყე: ეროვნულ იდენტობასა და სიამაყესთან ასოცირებული ღირებულებები, როგორიცაა პატრიოტიზმი, კულტურული მემკვიდრეობა და სამოქალაქო პასუხისმგებლობა, შეიძლება შენარჩუნდეს საზოგადოების ცვლილებების მიუხედავად. საერთო სიმბოლოები, ნარატივები და ისტორიული მოვლენები აძლიერებენ კოლექტიური იდენტობისა და ძირითადი ღირებულებების განცდას;
6. გარე გავლენებისადმი წინააღმდეგობა: ზოგიერთ ღირებულებას ძალუძს გარე გავლენებისათვის, კულტურულ იდენტობასთან ასოცირებული საფრხეებისათვის

წინააღმდეგობის გაწევა. საზოგადოებებმა შეიძლება აქტიურად შეინარჩუნონ ტრადიციული ღირებულებები გლობალიზაციის, კულტურული ჰომოგენურობის ან კულტურული იმპერიალიზმის საპასუხოდ, რათა შეინარჩუნონ უნიკალური კულტურული იდენტობები და ტრადიციები;

7. ფსიქოლოგიური კომფორტი და უსაფრთხოება: დამკვიდრებული ღირებულებებისადმი ერთგულებას შეუძლია ინდივიდებისათვის ფსიქოლოგიური კომფორტისა და უსაფრთხოების განცდის გაჩენა; სამყაროში ღირებულებების პროგნოზირებადობა და სტაბილურობა ეხმარება ადამიანებს ცხოვრებისეული გამოწვევების გამკლავებაში;
8. ინსტიტუციები: ღირებულებები შეიძლება შენარჩუნდეს და გაძლიერდეს ისეთი სოციალური ინსტიტუტების მეშვეობით, როგორიცაა განათლება, რელიგია და მთავრობა; ეს ინსტიტუტები გადასცემენ საზოგადოებას სოციალურ ღირებულებებს ფორმალური და არაფორმალური მექანიზმების მეშვეობით, რაც ხელს უწყობს კულტურული ნორმებისა და მოლოდინების უწყვეტობას;
9. პირადი რწმენა და ვალდებულება: მიუხედავად გარე ზეწოლისა და საზოგადოების ტენდენციებისა, ზოგიერთი ადამიანი მტკიცედ იცავს საკუთარ ღირებულებებს პირადი რწმენისა და ვალდებულების გამო; ძირითადად ღირებულებებმა, რომლებიც შეესაბამებიან ინდივიდების ღრმად გააზრებულ რწმენას, პრინციპებსა და მორალს, შეიძლება შეინარჩუნონ სახელმძღვანელო პრინციპების სტატუსი ადამიანის მთელი ცხოვრების განმავლობაში;
10. ცვლილებებისადმი მდგრადობა: ზოგიერთ ღირებულებას შეუძლია გაუძლოს გარე ზეწოლას და ცვლილებებს საზოგადოებაში მათი გამძლეობისა და ადაპტაციის გამო. ღირებულებები, რომლებიც ადაპტირებადი, ფუნქციონალური და სასარგებლოა სხვადასხვა კონტექსტში, შეიძლება შენარჩუნდეს დროთა განმავლობაში გამოწვევების არსებობისა და გარე გავლენების არსებობის მიუხედავად.

ზოგადად, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებები და კულტურები შეიძლება განვითარდნენ და შეიცვალონ, გარკვეული ღირებულებები რჩება ძირითად პრინციპებად. ეს უკანასკნელნი კი აყალიბებენ ადამიანების რწმენას, ქცევასა და სოციალურ ნორმებს თაობების განმავლობაში. ეს კონსტანტები უზრუნველყოფენ უწყვეტობასა და სტაბილურობას მუდმივად ცვალებად სამყაროში.

ინგლისური კულტურა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა, ექვემდებარება ცვლილებას ისეთი ფაქტორების გამო, როგორიცაა გლობალიზაცია, სოციალური ტენდენციები, ტექნოლოგიური მიღწევები, ეკონომიკური ძვრები და პოლიტიკური მოვლენები. ყველაზე ცვალებადი ღირებულებების იდენტიფიცირება ინგლისურ კულტურაში საკმაოდ რთულია, ვინაიდან ღირებულებები განსხვავებულად ვითარდება საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტში. თუმცა, მაინც შესაძლებელია სხვებთან შედარებით ცვლილებისადმი უფრო მგრძნობიარე რამდენიმე ღირებულების გამოყოფა:

1. დამოკიდებულება მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის მიმართ: ბრიტანეთის საზოგადოება სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება, იზრდება ეთნიკური, რელიგიური და კულტურული პლურალიზმი. შედეგად, მრავალფეროვნების, მულტიკულტურალიზმისა და ინკლუზიისადმი დამოკიდებულება იცვლება, უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოლერანტობას, მიმდებლობასა და თანასწორობას;
2. გენდერული როლები და თანასწორობა: ინგლისურ საზოგადოებაში ტრადიციული გენდერული როლები განიცდიან მნიშვნელოვან ცვლილებებს - აქცენტირებულია გენდერული თანასწორობა, ქალთა უფლებები და ლგბტ+ უფლებები. გენდერული როლების მიმართ დამოკიდებულება, ოჯახის დინამიკასა და დასაქმებასთან ასოცირებული მოლოდინები იცვლება სოციალურ ცვლილებათა საპასუხოდ;
3. დამოკიდებულება სამუშაოსა და კარიერისადმი: დამოკიდებულება სამუშაოს, კარიერასა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსის მიმართ იცვლება ტექნოლოგიური მიღწევებისა და ეკონომიკური პრიორიტეტების შეცვლის საპასუხოდ; ახალგაზრდა თაობა მეტადაა ორიენტირებული სამუშაოს, კარიერასა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსის შენარჩუნებაზე;
4. დამოკიდებულება ძალაუფლებისა და ინსტიტუტების მიმართ: ბოლო წლებში ინგლისურმა საზოგადოებამ განიცადა ცვლილებები ძალაუფლებისადმი დამოკიდებულებასთან, ინსტიტუტებისადმი ნდობასა და პოლიტიკაში ჩართულობასთან მიმართებაში. ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა პოლიტიკური სკანდალები, სოციალური მოძრაობები და ტექნოლოგიური მიღწევები, გავლენა მოახდინა ძალაუფლების, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის შესახებ საზოგადოების აღქმაზე;

5. ტექნოლოგიებისა და ციფრული კულტურისადმი დამოკიდებულება: ინგლისური საზოგადოების დამოკიდებულება ტექნოლოგიების, სოციალური მედიისა და ციფრული კულტურის მიმართ მუდმივად ვითარდება, რასაც მოჰყვება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები სოციალურ ინტერაქციაში, კომუნიკაციებსა და კონფიდენციალურობაში;
6. დამოკიდებულება ტრადიციებისა და მემკვიდრეობის მიმართ: ინგლისურ კულტურაში შეინიშნება ტრადიციისადმი დამოკიდებულების ცვლილება; განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში ადგილი აქვს ტრადიციული წეს-ჩვეულებების, რიტუალებისა და ინსტიტუტების გადაფასებას თანამედროვე ღირებულებების, გლობალური გავლენისა და კულტურული მრავალფეროვნების კონტექსტში.

ეს ღირებულებები ექვემდებარება მუდმივ ცვლილებას და ადაპტაციას შიდა და გარე გავლენების საპასუხოდ.

ახლა კი განვიხილოთ ქართულ კულტურაში, სხვებთან შედარებით, ცვლილებისადმი უფრო მგრძნობიარე რამდენიმე ღირებულება:

1. გენდერული როლები: ქართულ საზოგადოებაში ტრადიციული გენდერული როლები ცვლილებას განიცდის ქალთა განათლებისა და ეკონომიკური შესაძლებლობების მზარდი ხელმისაწვდომობის პირობებში; იზრდება გენდერული თანასწორობის მნიშვნელობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ტრადიციული გენდერული ნორმების, საზოგადოების მოლოდინებისა და ქცევის მოდელების ცვლილება;
2. სოციალური იერარქია: ტრადიციული სოციალური იერარქია, რომელიც დაფუძნებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ასაკი, სქესი და სოციალური სტატუსი, იცვლება ურბანიზაციის, გლობალიზაციისა და კულტურათა ურთიერთქმედების გამო;
3. ოჯახის სტრუქტურა: ოჯახის სტრუქტურა იცვლება, განსაკუთრებით ქალაქებში; ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა მიგრაცია, ურბანიზაცია და გლობალიზაცია, გავლენა იქონია ოჯახურ ურთიერთობებზე, ოჯახის შემადგენლობასა და გენდერულ როლებზე;

4. ტრადიციისადმი დამოკიდებულება: ტრადიციებისადმი დამოკიდებულება იცვლება, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში; რამდენადაც ქართული საზოგადოება მოდერნიზდება და ხდება უფრო კოსმოპოლიტური, იცვლება ტრადიციული წეს-ჩვეულებებისა და რიტუალებისადმი დამოკიდებულება;
5. შრომისა და წარმატების აღქმა: ქართული საზოგადოების დამოკიდებულება შრომის, წარმატებისა და მატერიალიზმის მიმართ იცვლება ეკონომიკური ცვლილებებისა და გლობალური პროცესების გავლენით; ცხოვრების დასავლური სტილისა და სამომხმარებლო კულტურის გავლენით იცვლება ღირებულებები, რომლებიც დაკავშირებულია კარიერულ ამბიციებთან, სიმდიდრესა და მატერიალურ კეთილდღეობასთან;
6. რელიგიისადმი დამოკიდებულება: მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებლური ქრისტიანობა კვლავაც ინარჩუნებს თავის გავლენას ქართულ კულტურაში, იცვლება დამოკიდებულება რელიგიის, სულიერებისა და სეკულარიზმის მიმართ, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში; მრავალფეროვანი რელიგიური შეხედულებებისა და სეკულარული იდეოლოგიების ზემოქმედება განსაკუთრებით იგრძნობა ახალგაზრდა თაობაზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ღირებულებების ცვლა ხდება თანდათანობით და განსხვავდება ქართული საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტში. უფრო მეტიც, ტრადიციული ღირებულებები ხშირად თანაარსებობს თანამედროვე ღირებულებებთან ერთად. ეს თანაარსებობა კი ქმნის დინამიურ აქსიოლოგიურ ველს, რომელიც ასახავს როგორც უწყვეტობას, ისე ცვლილებას.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ და ქართულ საზოგადოებებს განსხვავებული კულტურა, ისტორია, ენა და სოციალურ-კულტურულ კონტექსტი აქვთ, ორივე საზოგადოებაში არსებული აქსიოლოგიურ ველებში ფიქსირდება გარკვეული მსგავსების არსებობა. ეს მსგავსება შეიძლება მომდინარეობდეს საერთო ადამიანური ღირებულებებიდან ან უფრო ფართო გლობალური ტენდენციების გავლენიდან.

განვიხილოთ ინგლისური და ქართული აქსიოლოგიური ველების ინტეგრალური ელემენტები:

1. ოჯახური ღირებულებები: როგორც ინგლისური, ისე ქართული კულტურა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ოჯახს, როგორც ცენტრალურ სოციალურ ინსტიტუტს; ორივე საზოგადოებაში ფასდება უფროსების პატივისცემა, თაობათა ერთმანეთისათვის მხარდაჭერა და ოჯახური კავშირების მნიშვნელოვნება;
2. ტრადიციის პატივისცემა: ორივე კულტურა აფასებს ტრადიციას და კულტურულ მემკვიდრეობას, თუმცა სხვადასხვა გზით; ტრადიციული წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების პატივისცემა იკვეთება როგორც ინგლისურ, ისე ქართულ საზოგადოებებში, რაც ასახავს კულტურული უწყვეტობისა და მემკვიდრეობითობის შენარჩუნების სურვილს;
3. ჰუმანურობა და თანაგრძნობა: თანაგრძნობისა და ემპათიის, სხვათა კეთილდღეობაზე ზრუნვის ღირებულებები ტიპურია როგორც ინგლისური, ისე ქართული კულტურისათვის; ორივე საზოგადოებაში სიკეთე და ქველმოქმედება გააზრებულია როგორც საზოგადოებაში დადებითი წვლილის შეტანის გზა;
4. ეკოლოგიური ცნობიერება: ბოლო დროს გაიზარდა ინფორმირებულობა გარემოსდაცვითი საკითხებისა და მდგრადი განვითარების შესახებ როგორც ინგლისურ, ისე ქართულ საზოგადოებაში; ისეთი ღირებულებები, როგორიცაა ეკოლოგია, კონსერვაცია და ეკოლოგიური ცნობიერება სულ უფრო აქტუალური ხდება, რაც ასახავს გარემოზე ზრუნვის ტენდენციას;
5. განათლება და ინტელექტუალიზმი: განათლებას უაღრესად აფასებენ როგორც ინგლისურ, ისე ქართულ კულტურაში; აქცენტირებულია ცოდნის მიღებისა და კრიტიკული აზროვნების მნიშვნელოვნება; ცოდნისკენ სწრაფვა საერთო ღირებულებაა ორივე საზოგადოებაში;
6. პატრიოტიზმი და ეროვნული იდენტობა: მიუხედავად იმისა, რომ პატრიოტიზმის და ეროვნული იდენტობის გამოვლინებები შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ინგლისურ და ქართულ საზოგადოებებში, კულტურული მემკვიდრეობით, ენითა და ისტორიით სიამაყე ორივე საზოგადოების ინტეგრირებული ღირებულებაა.

მიუხედავად ინგლისურ და ქართულ კულტურებს შორის არსებული სხვაობისა, ინგლისურ და ქართულ აქსიოლოგიურ ველებში ფიქსირდება გარკვეული მსგავსება. ეს მსგავსება წარმოადგენს ადამიანური ღირებულებებისა და პრინციპების უნივერსალურობის

მანიფესტაციას. ეს ის კონსტანტებია, რომლებიც არღვევენ კულტურულ საზღვრებს, ასახავენ ადამიანის ბუნების ფუნდამენტურ ასპექტებს და წარმოადგენენ როგორც ინგლისური, ისე ქართული საზოგადოებების ფუნდამენტურ ელემენტებს.

ახლა კი განვიხილოთ ინგლისურ და ქართულ აქსიოლოგიურ ველებს შორის არსებული განსხვავება:

1. ინდივიდუალიზმი კოლექტივიზმის საპირისპიროდ: ინგლისური კულტურა მხარს უჭერს ინდივიდუალიზმს, აფასებს პიროვნულ ავტონომიასა და თვითგამოხატვას; ამის საპირისპიროდ, ქართული კულტურაში უფრო აქცენტირებულია კოლექტივიზმი, ფასდება საზოგადოების ჰარმონია, ოჯახური კავშირები, ჯგუფური სოლიდარობა და ჯგუფური ინტერესი;
2. რელიგიის გავლენა: ქართული კულტურა განიცდის მართლმადიდებლური ქრისტიანობის დიდ გავლენას, რელიგიური ფასეულობებით აღბეჭდილია ცხოვრების მრავალი ასპექტი; ამის საპირისპიროდ, ინგლისურ კულტურაში იკვეთება რელიგიურ რწმენათა მრავალფეროვნების, სეკულარიზმისა და რელიგიური პლურალიზმის პატივისცემა;
3. ტრადიცია და თანამედროვეობა: ქართული კულტურა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ტრადიციასა და მემკვიდრეობითობას, ორიენტირებულია კულტურული წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების შენარჩუნებაზე; ინგლისურ კულტურაში კი, ტრადიციების დაფასებისას, მეტადაა აქცენტირებული ინოვაცია, პროგრესი და თანამედროვეობასთან ადაპტაცია;
4. სოციალური სტრუქტურები და იერარქია: ტრადიციულად, ქართულ საზოგადოებას უფრო იერარქიული სოციალური სტრუქტურა აქვს, სადაც ავტორიტეტისა და უფროსების პატივისცემა ძალიან ფასდება; ინგლისურ კულტურაში მეტად ფასდება თანასწორობისა და მერიტოკრატიის ღირებულებები;
5. გენდერული როლები: მიუხედავად იმისა, რომ ორივე კულტურა განიცდის ცვლილებებს გენდერულ ნორმებში, ქართულ საზოგადოებას, ტრადიციულად, აქვს უფრო მკაფიოდ განსაზღვრული გენდერული როლები, ასევე ამ როლებთან ასოცირებული მოლოდინები ოჯახსა და საზოგადოებაში მამაკაცისა და ქალის

როლებსა და პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით; ინგლისური კულტურა უფრო მოქნილი და ღიაა გენდერული როლების მიმართ;

6. სამოქალაქო ჩართულობა და დემოკრატია: მიუხედავად იმისა, რომ ორივე კულტურა აფასებს დემოკრატიულ პრინციპებს, სამოქალაქო ჩართულობის გამოხატულება ინგლისურ და ქართულ საზოგადოებებში განსხვავდება; ინგლისურ საზოგადოებაში, ქართული საზოგადოებისაგან განსხვავებით, ფიქსირდება უფრო განვითარებული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პოლიტიკური აქტივიზმის უფრო მაღალი დონის არსებობა.

ეს განსხვავებები ასახავენ ინგლისური და ქართული საზოგადოებების უნიკალურ კულტურულ, ისტორიულ და სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტს, რომელიც აყალიბებს თითოეულ კულტურაში ინდივიდთა ღირებულებებს, ნორმებსა და ქცევას.

5.4. ინგლისური და ქართული აქსიოლოგიური ველების შინაარსობრივი და სტრუქტურული თავისებურებები

აქსიოლოგიური ველის ჰეტეროგენულობაში იგულისხმება ველის კონსტიტუენტების ვარიაციურობა ვალორატიულობის ხარისხისა და ლინგვოკულტურულ ცნობიერებაში ინტერიერიზაციის თვალსაზრისით.

აქსიოლოგიური ველის ორგანიზაციის თავისებურება განპირობებულია რეალურ და წარმოსახვით სამყაროთა კონცეპტუალიზაციის სპეციფიკით.

აქსიოლოგიური ველის სისტემურობა გულისხმობს ველის კონსტრუირებულობას სტრუქტურისა და სისტემის პრინციპების მიხედვით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქსიოლოგიური ველის სისტემურობა გულისხმობს მასში ელემენტთა განლაგების არაქაოტურობასა და მოწესრიგებულობას.

სისტემოლოგიის კანონებისა და პრინციპების გათვალისწინებით, ნაშრომში აქსიოლოგიური ველი გააზრებულია როგორც ეთნოსის ფსიქომენტალური და კოგნიტურ-სემანტიკური ერთეულების კონტინიუმი.

მატერიისა და სულის ევოლუციური განვითარებისათვის დამახასიათებელი დინამიკა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს აქსიოლოგიური ველის თავისებურებას.

კონცეპტის აქსიოლოგიური ველის ტრანსფორმაციასთან ერთად, იცვლება სამყაროს ენობრივი ხატიც, შესაბამისად კი, აქსიოლოგიური ველიც.

აქსიოლოგიური ველის ცვალებადობა გულისხმობს:

1. მშობლიური ენის მატარებელთა ლექსიკიდან კონცეპტუალური იდეოლოგიემების გაქრობას;
2. კონცეპტუალური იდეოლოგიემების აქსიოლოგიური პოლუსის კარდინალურ ცვლილებას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეფასების დადებითი ნიშნის გარდაქმნას შეფასების უარყოფით ნიშნად.

აქსიოლოგიური ველის ცვლილებისას:

1. ნიველირდება ვალორატიული კომპონენტი;
2. კონცეპტუალური კომპონენტი ივსება მნიშვნელობის ახალი ნიუანსებით;
3. ძლიერდება იმ კონცეპტთა ვალორატიული კომპონენტი, რომლებიც ხასიათდებიან აქტუალობის მზარდი ხარისხით ახალ პირობებში.

ეს პროცესები ნათლად მეტყველებს საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილებაზე იმის მიმართ, რაც წარმოადგენს კონცეპტუალიზაციის ობიექტს.

აქსიოლოგიურ ველში ნათლად იკვეთება შემდეგი ტენდენციები:

1. ელემენტის ვალორატიული კომპონენტის დასუსტება;
2. ელემენტის ვალორატიული კომპონენტის გაძლიერება;
3. დასუსტებული ვალორატიული კომპონენტის მქონე ელემენტის გაქრობა;
4. დასუსტებული ვალორატიული კომპონენტის მქონე ელემენტის ჩანაცვლება ძლიერი ვალორატიული კომპონენტის მქონე კონცეპტით.

არსებობს გარკვეული რაოდენობა იმ ელემენტებისა, რომელთა ვალორატიული კომპონენტები არ ექვემდებარებიან არანაირი ტიპის გავლენას, შესაბამისად, ასეთი ელემენტები გვევლინებიან ღირებულებით კონსტანტებად.

როგორც წესი, ღირებულებითი კონსტანტები ხასიათდებიან:

1. ტრანსკულტურული მნიშვნელობით;

2. უნივერსალურობით, რაც გულისხმობს იმ ფაქტს, რომ უნივერსალური ღირებულებები იწვევენ ერთი და იმავე ემოციებს და ქმნიან ერთი და იმავე ღირებულებით ორიენტირებს ყველა ლინგვოკულტურაში (და მაინც, არსებობს იმის მტკიცების საფუძველი, რომ უნივერსალური ღირებულებებიც აღბეჭდილნი არიან ეროვნული სპეციფიკით, უფრო ზუსტად კი, არსებობს იმის მტკიცების საფუძველი, რომ ერთი და იგივე უნივერსალური ღირებულება სხვადასხვაგვარად განიცდება სხვადასხვა კულტურაში);

აქსიოლოგიურ ველთა შორის არსებული სხვაობა გულისხმობს სხვაობას სხვადასხვა ენობრივ და კულტურულ საზოგადოებათა ღირებულებებს, მენტალიტეტებს, მსჯელობის ტიპურ ფორმებს, შეხედულებებისა და წარმოდგენების სისტემებს, ეთნიკურ-მენტალურ პრინციპებს, მეტყველებისა და აზროვნების ფორმებს შორის.

საზოგადოების ტრანსფორმაციის პროცესს თან სდევს გარკვეულ ღირებულებათა ფუნქციონალური რეორიენტაციის აქტიური პროცესი.

მისი ისტორიული დინამიკის პროცესში, აქსიოლოგიური ველი შეიძლება შეიცვალოს არა მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში, არამედ ერთი თაობის თვალწინაც კი.

ცხადია, ადამიანის კონცეპტუალურ სამყაროსთან ერთად, შესამჩნევ ტრანსფორმაციას განიცდიან აქსიოლოგიური ველებიც: ზოგი ღირებულება ქრება; ზოგი ღირებულება ახლით ნაცვლდება; ზოგი ღირებულება ექვემდებარება გადააზრებას.

შესაბამისად, იცვლება აქსიოლოგიური ველების კონფიგურაციები, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დროთა განმავლობაში აქსიოლოგიური ველებში იცვლება:

1. კონსტანტებისა და ცვლადების რაოდენობა;
2. ღირებულებათა სტატუსი, რაც გულისხმობს კონსტანტას ან ცვლადის სტატუსის ან კარგვას ან შეძენას;
3. ღირებულებებს შორის არსებული კოგნიტურ-სემანტიკური კავშირები;
4. აქსიოლოგიურ ველში ამ თუ იმ ღირებულების არსებობა-არარსებობის პროგნოზირებადობის ხარისხი.

აქსიოლოგიური ველების კონფიგურაციათა ცვლილება წარმოადგენს სამყაროს კონცეპტუალური ხატის დინამიურობის მანიფესტაციას.

მიუხედავად აქსიოლოგიური ველების ცვალებადობისა, მათი უმრავლესობა მაინც ინარჩუნებს სტაბილურობას, თუმცა თავად სინერგიული სტაბილურობის ხარისხი ცვლადია.

აქსიოლოგიურ ველს შეუძლია სინერგიული სტაბილურობის იმ ხარისხის შენარჩუნება, რა ხარისხითაც ძალუმს მას მასში ღირებულებათა გაქრობისა და გაჩენის დარეგულირება. შესაბამისად:

1. რაც უფრო მაღალია აქსიოლოგიური ველის პოტენციალი დაარეგულიროს მასში მომხდარი ცვლილებები, მით უფრო მაღალია ამ აქსიოლოგიური ველის სინერგიული სტაბილურობის ხარისხი;
2. რაც უფრო დაბალია აქსიოლოგიური ველის თვითრეგულაციის პოტენციალი, მით ნაკლებია ამ აქსიოლოგიური ველის სინერგიული სტაბილურობის ხარისხი.

აქსიოლოგიური ველების დინამიკის პრინციპი განისაზღვრება ონტო და ფილოგენეზის კანონებით. ეს ის კანონებია, რომლებიც უზრუნველყოფენ აქსიოლოგიური ველის შემადგენლობიდან ამა თუ იმ ღირებულების გაქრობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქსიოლოგიური ველიდან ქრება ის ღირებულება, რომელმაც დაკარგა აქტუალობა ინდივიდუალური ან კოლექტიური ცნობიერებისთვის.

გარდა ამისა, აღნიშნული კანონები უზრუნველყოფენ კონცეპტთა აქსიოლოგიურ ველებში ახალ ერთეულთა ინტეგრაციას.

კონცეპტთა აქსიოლოგიური ველების დინამიკის მექანიზმი მუშაობს უწყვეტ რეჟიმში. იგი მოქმედებს ისეთი სინერგიული პროცესების ფარგლებში, როგორიცაა მიტიგაცია და ინტენსიფიკაცია.

მიტიგაცია უზრუნველყოფს კონცეპტთა აქსიოლოგიური ველების იმ ერთეულებისაგან გათავისუფლებას, რომლებიც აღარ შეესაბამებიან კონკრეტულ სოციო-კულტურულ ერთობას.

რაც შეეხება ინტენსიფიკაციას, იგი უზრუნველყოფს აქსიოლოგიური ველების შევსებას იმ ერთეულებით, რომლებიც იძენენ აქტუალობას სოციალური განვითარების ახალ პირობებში.

კონსტრუირებული აქსიოლოგიური ველები ხასიათდებიან ენობრივი ველისათვის ტიპური გრადუალური სტრუქტურით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქსიოლოგიურ ველებში იკვეთება ერთმანეთის მიმართ დომინანტური სეგმენტების, კერძოდ, ბირთვისა და პერიფერიის არსებობა.

აქსიოლოგიური ველების ბირთვი წარმოდგენილია მსგავსი (უნივერსალური) ელემენტებით, ხოლო პერიფერია კი - განსხვავებული (უნიკალური) ელემენტებით.

ელემენტთა უნივერსალურობის საფუძველს წარმოადგენს მათი ზოგადკაცობრიული მნიშვნელოვნება, ხოლო ელემენტთა უნიკალურობის საფუძველს კი - მათი მნიშვნელოვნება კონკრეტული კულტურისათვის.

აქსიოლოგიური ველების ბირთვი წარმოდგენილია კონსტანტებით, ხოლო პერიფერია კი - ცვლადებით.

ელემენტის სტაბილურობა-ცვლადობა კორელირებს ელემენტის დომინანტურობა-არადომინანტურობასთან, შესაბამისად კი, ელემენტის მიერ აქსიოლოგიური ველში საკუთარი ადგილის შენარჩუნების მაღალ ან დაბალ პოტენციალთან.

აქსიოლოგიური ველის დომინანტური ღირებულებები არა მხოლოდ აყალიბებენ ინდივიდუალურ ქცევას, არამედ გავლენას ახდენენ საზოგადოებაში დამკვიდრებულ საზოგადოებრივ ნორმებზე, ინტერპერსონალურ ურთიერთობებსა და ინსტიტუციურ პრაქტიკაზე. მიუხედავად ამ ღირებულებათა სიმტკიცისა, ინგლისური და ქართული საზოგადოებები ხასიათდებიან დინამიურობით - ორივე საზოგადოებაში იკვეთება დომინანტური ღირებულებების ინტერპრეტაციათა რეპრეზენტაციების ვარიანტურობა სხვადასხვა კონტექსტსა და თაობაში.

დროთა განმავლობაში აქსიოლოგიური ველების კონფიგურაცია იცვლება, კერძოდ, ინგლისურ ენაში იკვეთება ინდივიდუალურ უფლებებზე კონცენტრაცია და ძველი ღირებულებების ჩანაცვლება ახალი ღირებულებებით.

ცვლილებას ექვემდებარება ქართული აქსიოლოგიური ველების კონფიგურაცია, კერძოდ, სულ უფრო საგრძნობი ხდება ორი ტენდენციის თანაარსებობა, რომელთაგან პირველი

ტენდენცია გულისხმობს ტრადიციული ღირებულებების გაძლიერებას, ხოლო მეორე კი - ევროპულ-ლიბერალურ ღირებულებებათა მნიშვნელოვნების ზრდას.

აქსიოლოგიური ველი, როგორც კონსტრუქტი, ერთდროულად ღიაა და დახშულიც.

აქსიოლოგიური ველის ღიაობა გულისხმობს დროითა და სივრცით განპირობებულ ცვლილებათა მიმდებლობას, ხოლო დახშულობა კი - რეზისტენტულობას დროითა და სივრცით განპირობებულ ცვლილებათა მიმართ.

აქსიოლოგიური ველის ღიაობის მანიფესტაციას წარმოადგენს მისი დინამიურობა, ხოლო დახშულობის მანიფესტაციას კი - სტატიკურობა.

აქსიოლოგიური ველის დინამიურობა უზრუნველყოფს კონსტრუქტის კონფიგურაციის ტრანსფორმაციას - მის ადაპტაციას დროითა და სივრცით განპირობებულ ცვლილებთან, ხოლო სტატიკურობა კი იწვევს კონსტრუქტის კონფიგურაციის უცვლელობას დროსა და სივრცეში.

აქსიოლოგიური ველის კონფიგურაციის ტრანსფორმაციაზე მოქმედებს:

1. გლობალური ტენდენციები: უნივერსალური ღირებულებათა ჰიბრიდიზაცია; გენდერული და დემოკრატიული ღირებულებების გაძლიერება და სხვ.
2. ლოკალური ტენდენციები: ტრადიციული, კერძოდ, ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი ღირებულებების თანაარსებობა დასავლურ ნორმებთან; არსებული კონცეპტების რეფრეიმინგი და სხვ.

დასკვნა

აქსიოლოგიური ველი წარმოადგენს ეთნოსის ფსიქომენტალური და კოგნიტურ-სემანტიკური ერთეულების მოწესრიგებულ და ჰეტეროგენულ კონტინიუმს.

აქსიოლოგიური ველის ჰეტეროგენულობა წარმოადგენს მის ელემენტთა ვარიაციულობის მანიფესტაციას მათი ვალორატიულობისა და ლინგვოკულტურულ ცნობიერებაში ინტერიერიზაციის ხარისხის თვალსაზრისით.

აქსიოლოგიური ველი სისტემურობის საფუძველს წარმოადგენს მასში სისტემოლოგიის კანონებისა და პრინციპების მოქმედება, რაც უზრუნველყოფს აქსიოლოგიური ველში ელემენტთა განლაგების არაქაოტურობასა და მოწესრიგებულობას.

აქსიოლოგიური ველის ორგანიზაციის თავისებურება განპირობებულია რეალურ და წარმოსახვით სამყაროთა კონცეპტუალიზაციის თავისებურებით.

ადამიანის მიერ სამყაროს კონცეპტუალიზაციის სტილის ცვლილებასთან ერთად, ტრანსფორმირდება აქსიოლოგიური ველების კონფიგურაცია: ზოგი ღირებულება ქრება; ზოგი ღირებულება ახლით ნაცვლდება, ზოგი ღირებულება კი - ექვემდებარება გადააზრებას.

დროთა განმავლობაში აქსიოლოგიურ ველებში იცვლება: კონსტანტებისა და ცვლადების რაოდენობა; ღირებულებათა სტატუსი, რაც გულისხმობს კონსტანტას ან ცვლადის სტატუსის კარგვას ან შეძენას; ღირებულებებს შორის კოგნიტურ-სემანტიკური კავშირები; აქსიოლოგიურ ველში ღირებულებათა არსებობა-არარსებობის პროგნოზირებადობის ხარისხი.

მატერიისა და სულის ევოლუციური განვითარებისათვის დამახასიათებელი დინამიკა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კონცეპტის აქსიოლოგიური ველის თავისებურებას.

კონცეპტის აქსიოლოგიური ველის ტრანსფორმაციასთან ერთად, იცვლება სამყაროს ენობრივი ხატიც, რასაც თან სდევს კონცეპტთა გადაფასება, შესაბამისად კი, კონცეპტის აქსიოლოგიური ველის ცვლილებაც.

აქსიოლოგიური ველის ცვალებადობა გულისხმობს: მშობლიური ენის მატარებელთა ლექსიკიდან კონცეპტუალური იდეოლოგიემების გაქრობას; კონცეპტუალური

იდეოლოგიემების აქსიოლოგიური პოლუსის კარდინალურ ცვლილებას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონცეპტის შეფასების დადებითი ნიშნის გარდაქმნას შეფასების უარყოფით ნიშნად.

კონსტრუირებულ აქსიოლოგიურ ველებში ნათლად იკვეთება: კონცეპტის ვალორატიული კომპონენტის დასუსტება; კონცეპტის ვალორატიული კომპონენტის გაძლიერება; დასუსტებული ვალორატიული კომპონენტის მქონე კონცეპტის გაქრობა; დასუსტებული ვალორატიული კომპონენტის მქონე კონცეპტის ჩანაცვლება ძლიერი ვალორატიული კომპონენტის მქონე კონცეპტით.

მიუხედავად კონცეპტთა აქსიოლოგიური ველების ცვალებადობისა, მათი უმრავლესობა მაინც ინარჩუნებს სტაბილურობას, თუმცა თავად სინერგიული სტაბილურობის ხარისხი ცვლადია.

აქსიოლოგიურ ველს შეუძლია სინერგიული სტაბილურობის იმ ხარისხის შენარჩუნება, რა ხარისხითაც ძალუმს მას მასში ღირებულებათა გაქრობისა და გაჩენის დარეგულირება. შესაბამისად:

1. რაც უფრო მაღალია აქსიოლოგიური ველის პოტენციალი დაარეგულიროს მასში მომხდარი ცვლილებები, მით უფრო მაღალია ამ აქსიოლოგიური ველის სინერგიული სტაბილურობის ხარისხი;
2. რაც უფრო დაბალია აქსიოლოგიური ველის თვითრეგულაციის პოტენციალი, მით ნაკლებია ამ აქსიოლოგიური ველის სინერგიული სტაბილურობის ხარისხი.

კონცეპტთა აქსიოლოგიური ველების დინამიკის პრინციპი განისაზღვრება ონტო და ფილოგენეზის კანონებით. ეს ის კანონებია, რომლებიც უზრუნველყოფენ აქსიოლოგიური ველის შემადგენლობიდან ამა თუ იმ ღირებულების გაქრობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქსიოლოგიური ველიდან ქრება ის ღირებულება, რომელმაც დაკარგა აქტუალობა ან ინდივიდუალური ან კოლექტიური ცნობიერებისთვის.

გარდა ამისა, აღნიშნული კანონები უზრუნველყოფენ კონცეპტთა აქსიოლოგიურ ველებში ახალ ერთეულთა ინტეგრაციას.

კონცეპტთა აქსიოლოგიური ველების დინამიკის მექანიზმი მოქმედებს ისეთი სინერგიული პროცესების ფარგლებში, როგორიცაა მიტიგაცია და ინტენსიფიკაცია.

მიტიგაცია უზურნველყოფს კონცეპტთა აქსიოლოგიური ველების იმ ერთეულებისაგან განთავისუფლებას, რომლებიც აღარ შეესაბამებიან კონკრეტულ სოციოკულტურულ ერთობას.

რაც შეეხება ინტენსიფიკაციას, იგი უზურნველყოფს კონცეპტთა აქსიოლოგიური ველების შევსებას იმ ერთეულებით, რომლებიც იძენენ აქტუალობას სოციალური განვითარების ახალ პირობებში.

ინგლისურ და ქართულ აქსიოლოგიურ ველთა სხვაობა გულისხმობს სხვაობას ინგლისურ და ქართულ ენობრივ და კულტურულ საზოგადოებათა ღირებულებებს, მენტალიტეტებს, ფენომენების შესახებ მსჯელობის ტიპურ ფორმებს, შეხედულებებისა და წარმოდგენების სისტემებს, ეთნიკურ-მენტალურ პრინციპებს, მეტყველებისა და აზროვნების ფორმებს შორის.

კონსტრუირებული ველების თავისებურებათა ანალიზმა ცხადყო, რომ:

აქსიოლოგიური ველი ხასიათდება ენობრივი ველისათვის დამახასიათებელი იერარქიული სტრუქტურით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქსიოლოგიურ ველში იკვეთება ერთმანეთის მიმართ დომინანტური სეგმენტების, კერძოდ, ბირთვისა და პერიფერიის არსებობა.

თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში კონსტრუირებული აქსიოლოგიური ველების ბირთვი წარმოდგენილია მსგავსი (უნივერსალური) ელემენტებით, ხოლო პერიფერია კი - განსხვავებული (უნიკალური) ელემენტებით.

ელემენტთა უნივერსალურობის საფუძველს წარმოადგენს მათი ზოგადკაცობრიული მნიშვნელოვნება, ხოლო ელემენტთა უნიკალურობის საფუძველს კი - მათი მნიშვნელოვნება კონკრეტული კულტურისათვის.

თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში კონსტრუირებული აქსიოლოგიური ველების ბირთვი წარმოდგენილია კონსტანტებით, ხოლო პერიფერია კი - ცვლადებით.

ელემენტის სტაბილურობა-ცვლადობა კორელირებს ელემენტის დომინანტურობა-არადომინანტურობასთან, შესაბამისად კი, ელემენტის მიერ აქსიოლოგიური ველში საკუთარი ადგილის შენარჩუნების მაღალ ან დაბალ პოტენციალთან.

აქსიოლოგიური ველის დომინანტური ღირებულებები არა მხოლოდ აყალიბებენ ინდივიდუალურ ქცევას, არამედ გავლენას ახდენენ ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ საზოგადოებრივ ნორმებზე, ინტერპერსონალურ ურთიერთობებსა და ინსტიტუციურ პრაქტიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს ღირებულებები დომინანტურია, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საზოგადოება, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა, მრავალფეროვანი და დინამიურია - ქართულ საზოგადოებაში იკვეთება აღნიშნულ ღირებულებათა ინტერპრეტაციათა რეპრეზენტაციების ვარიანტურობა სხვადასხვა კონტექსტსა და თაობაში.

ინგლისურ და ქართულ აქსიოლოგიურ ველებში არსებული მსგავსება წარმოადგენს ადამიანური ღირებულებებისა და პრინციპების უნივერსალურობის მანიფესტაციას. ეს ის კონსტანტებია, რომლებიც არღვევენ კულტურულ საზღვრებს, ასახავენ ადამიანის ბუნების ფუნდამენტურ ასპექტებს და წარმოადგენენ როგორც ინგლისური, ისე ქართული საზოგადოებების ფუნდამენტურ ელემენტებს.

ინგლისურ და ქართულ აქსიოლოგიურ ველებში არსებული განსხვავება ასახავს ინგლისური და ქართული საზოგადოებების უნიკალურ კულტურულ, ისტორიულ და სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტს, რომელიც აყალიბებს თითოეულ კულტურაში ინდივიდთა ღირებულებებს, ნორმებსა და ქცევას.

დროთა განმავლობაში აქსიოლოგიური ველების კონფიგურაცია იცვლება, კერძოდ, ინგლისურ ენაში იკვეთება: ინდივიდუალურ უფლებებზე კონცენტრაცია და ძველი ღირებულებების ჩანაცვლება ახალი ღირებულებებით.

ცვლილებას ექვემდებარება აქსიოლოგიური ველების კონფიგურაცია ქართულ ენაშიც, კერძოდ, სულ უფრო საგრძნობი ხდება ორი ტენდენციის თანაარსებობა, რომელთაგან პირველი ტენდენცია გულისხმობს ტრადიციული ღირებულებების გაძლიერებას, ხოლო მეორე კი - ევროპულ-ლიბერალურ ღირებულებებთან მნიშვნელოვნების ზრდას.

აქსიოლოგიური ველი, როგორც კონსტრუქტი, ერთდროულად ღიაა და დახშულიც.

აქსიოლოგიური ველის ღიაობა გულისხმობს დროითა და სივრცით განპირობებულ ცვლილებათა მიმდებლობას, ხოლო დახშულობა კი - რეზისტენტულობას დროითა და სივრცით განპირობებულ ცვლილებათა მიმართ.

აქსიოლოგიური ველის ღიაობის მანიფესტაციას წარმოადგენს მისი დინამიურობა, ხოლო დახშულობის მანიფესტაციას კი - სტატიკურობა.

აქსიოლოგიური ველის დინამიურობა უზრუნველყოფს კონსტრუქტის კონფიგურაციის ტრანსფორმაციას - მის ადაპტაციას დროითა და სივრცით განპირობებულ ცვლილებებთან, ხოლო სტატიკურობა კი იწვევს კონსტრუქტის კონფიგურაციის უცვლელობას დროსა და სივრცეში.

ინგლისურ და ქართულ ენებში აქსიოლოგიური ველების დინამიკა მრავალფეროვანი და ცვალებადია. ეს დინამიკა ასახავს იმ კულტურული, ისტორიული, სოციალური და ლინგვისტური ფაქტორების კომპლექსურ ურთიერთქმედებას, რომლებიც აყალიბებენ ინდივიდუალურ და კოლექტიურ ღირებულებათა სისტემებს.

აქსიოლოგიური ველების სტატიკურობასა და დინამიურობას შორის ბალანსი წარმოადგენს მუდმივად ცვალებად სამყაროში ადამიანური ღირებულებების სტაბილურობის შენარჩუნებისა და ღირებულებათა ახალ რეალობასთან ადაპტაციის აუცილებელ პირობას.

აქსიოლოგიურ ველებში არსებული ბალანსი წარმოადგენს ძირითად სტატიკურ ღირებულებებსა და დინამიურ ევოლუციურ ძალებს შორის არსებულ ბალანსს. სწორედ ეს ბალანსი უზრუნველყოფს აქსიოლოგიური ველების შინაგან სტაბილურობას, ადამიანურ ღირებულებათა თანმიმდევრულობას, მემკვიდროებითობასა და უწყვეტობას.

აქსიოლოგიური ველების სტატიკური საფუძველი, რომელიც მოიცავს ფუნდამენტურ ღირებულებებსა და პრინციპებს, ასრულებს ორიენტირის ფუნქციას კონკრეტული სოციუმის მიერ აღიარებულ ნორმებთან შესაბამისი ქცევისათვის. სტატიკური ღირებულებები უზრუნველყოფენ აქსიოლოგიური ველების შინაგან სტაბილურობას, ადამიანურ ღირებულებათა თანმიმდევრულობას, მემკვიდროებითობასა და უწყვეტობას. სტატიკური ღირებულებები აძლიერებენ ადამიანურ ღირებულებებს საზოგადოებრივი ცვლილებებისა და კულტურული ძვრების ფონზე.

ამავდროულად, აქსიოლოგიური ველი ექვემდებარება დინამიურ ევოლუციას. დინამიური ძალები ხელს უწყობენ ახალ რეალობასთან ადაპტაციასა და საზოგადოებრივ პროგრესს. სწორედ დინამიური ძალები უზრუნველყოფენ ეთიკური პარადიგმების უწყვეტ ტრანსფორმაციას.

აქსიოლოგიური დისბალანსი იწვევს: სოციალური ერთობის რღვევას; ეთიკურ დილემებს; ინსტიტუტებისადმი ნდობის კარგვას; სოციალური დამაბულობის ზრდას; სტაგნაციასა და ინოვაციის ნაკლებობას.

აქსიოლოგიური ველის კონფიგურაციის ტრანსფორმაციაზე მოქმედებს:

გლობალური ტენდენციები: უნივერსალური ღირებულებათა ჰიბრიდიზაცია; გენდერული და დემოკრატიული ღირებულებების გაძლიერება და სხვ.

ლოკალური (ენობრივ-კულტურული) ტენდენციები: ტრადიციული, კერძოდ, ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი ღირებულებების თანაარსებობა დასავლურ ნორმებთან; არსებული კონცეპტების რეფრეიმინგი და სხვ.

ჯამში, კვლევის შედეგად მიღებული მასალის ანალიზმა ცხადყო კვლევის დასაწყისში ფორმულირებული ჰიპოთეზის მართებულობა - კვლევაში გამოკვეთილი ტენდენციები და კანონზომიერებები სრულ შესაბამისობაშია პროგნოზირებულ შედეგებთან.

ამრიგად, კვლევის შედეგებმა სრულად დაადასტურა რომ:

თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში სხვადასხვა კონცეპტების აქსიოლოგიურ ველებში არსებობს უნივერსალური მუდმივები, რომლებიც მსგავსად რეალიზდება ორივე ენაში, თუმცა იმავდროულად ფიქსირდება ეროვნული მეტალობითა და კულტურულ-ისტორიული გამოცდილებით დეტერმინირებული აქსიოლოგიური ცვლადების არსებობაც;

აქსიოლოგიურ ველებში იკვეთება კონცეპტის ბირთვული (მუდმივები) და პერიფერიული (ცვლადების) ზონების ტიპოლოგიური კორელაცია: ორივე ენაში კონცეპტების აქსიოლოგიური ველები მოიცავენ სტაბილურ ბირთვულ ზონასა და დინამიურ პერიფერიას;

ქართულ ენაში აქსიოლოგიური ველები უფრო მეტადაა მარკირებული კოლექტივისტური ფილოსოფიით, ინგლისურში კი დომინირებს ინდივიდუალისტური და ფუნქციურ-პრაგმატული ღირებულებები.

გამოყენებული ლიტერატურა

- Abelson, R. P. (1973). The structure of belief systems. In R. C. Schank & K. Colby (Eds.), *Computer models of thought and language*. Freeman.
- Aitchison, J. (2012). *Words in the mind: An introduction to the mental lexicon* (4th ed.). Wiley-Blackwell.
- Alefirenko, N. (2015). Language as a state of ethno-cultural consciousness. *Linguae*, 8, 2–18.
- Alexander, J. C., & Seidman, S. (Eds.). (1990). *Culture and society: Contemporary debates*. Cambridge University Press.
- Anderson, E. (1993). *Value in ethics and economics*. Harvard University Press.
- Audi, R. (2015). *Moral value and human diversity*. Oxford University Press.
- Ayer, A. J. (1936). *Language, truth and logic*. Gollancz.
- Bahm, A. (1993). *Axiology: The science of values*. Rodopi.
- Baier, K. (1958). *The moral point of view*. Cornell University Press.
- Baier, K. (1969). What is value? An analysis of the concept. In K. Baier & N. Rescher (Eds.), *Values and the future* (pp. 33–67). Free Press.
- Barsalou, L. W. (1992). Frames, concepts, and conceptual fields. In A. Lehrer & E. F. Kittay (Eds.), *Frames, fields, and contrasts*. Erlbaum.
- Bartlett, F. C. (1932). *Remembering: A study in experimental and social psychology*. Cambridge University Press.
- Bartmiński, J. (2009). Aspects of cognitive ethnolinguistics. *Equinox*.
- Bernard, H. R. (2006). *Research methods in anthropology*. AltaMira Press.
- Bobrow, D. G., & Norman, D. A. (1975). Some principles of memory schemas. In D. G. Bobrow & A. M. Collins (Eds.), *Representation and understanding* (pp. 131–149). Academic Press.
- Brandt, R. (1979). *A theory of the good and the right*. Oxford University Press.
- Bragina, N., Oparina, E., & Sandomirskaja, I. (1998). Phraseology as a language of culture. In A. P. Cowie (Ed.), *Phraseology: Theory, analysis, and applications*. Clarendon Press.

- Broadbent, D. E. (1958). Perception and communication. Oxford University Press.
- Bryman, A. (2006). Integrating quantitative and qualitative research. *Qualitative Research*, 6(1).
- Burger, H. (2015). *Phraseology: An international handbook of contemporary research* (Vols. 1–2). De Gruyter Mouton.
- Calhoun, C. (1992). Integrity. *Ethics*, 112(2), 235–267.
- Casson, R. W. (1981). *Language, culture, and cognition*. Macmillan.
- Chisholm, R. (1978). Intrinsic value. In A. I. Goldman & J. Kim (Eds.), *Values and morals*. Reidel.
- Choi, S.-C., & Kim, K. (2000). *Intercultural differences in self-concept*. McGraw-Hill.
- Cienki, A. (2007). Frames, idealized cognitive models, and domains. In D. Geeraerts & H. Cuyckens (Eds.), *The Oxford handbook of cognitive linguistics*. Oxford University Press.
- Clark, H. H. (1970). Word associations and linguistic theory. In J. Lyons (Ed.), *New horizons in linguistics*. Penguin.
- Crisp, R. (Ed.). (2005). *The Oxford handbook of ethical theory*. Oxford University Press.
- Croft, W., & Cruse, D. A. (2004). *Cognitive linguistics*. Cambridge University Press.
- Daems, J., Zenner, E., & Heylen, K. (2015). Change of paradigms – New paradoxes.
- Deese, J. (1965). *The structure of associations in language and thought*. Johns Hopkins University Press.
- Dewey, J. (1939). *Theory of valuation*. University of Chicago Press.
- Dijk, T. A. van. (1998). *Ideology: A multidisciplinary approach*. Sage.
- Dobrovol'skij, D., & Piirainen, E. (2009). Cultural knowledge and idioms. *International Journal of English Studies*, 9(2), 13–32.
- Duranti, A. (2001). *Key terms in language and culture*. Blackwell.
- Duranti, A. (2013). *Linguistic anthropology*. Cambridge University Press.
- Erl, A., Nünning, A., & Young, S. B. (2008). *Cultural memory studies*. De Gruyter.
- Evans, V., & Green, M. (2006). *Cognitive linguistics*. Edinburgh University Press.

- Evseeva, M. (2020). Axiological lexemes in contrastive analysis. *International Review of Pragmatics*, 12(2), 165–184.
- Fairclough, N. (1992). *Discourse and social change*. Polity Press.
- Fauconnier, G. (1985). *Mental spaces*. MIT Press.
- Fillmore, C. J. (1982). Frame semantics. In *Linguistics in the Morning Calm* (pp. 111–137). Hanshin.
- Fishman, J. A. (1972). *Language and social change*. Stanford University Press.
- Fitzpatrick, T. (2007). Word association patterns. *International Journal of Applied Linguistics*, 17(3), 319–331.
- Foot, P. (2001). *Natural goodness*. Oxford University Press.
- Frankfurt, H. (1988). *The importance of what we care about*. Cambridge University Press.
- Geach, P. (1956). Good and evil. *Analysis*, 17(2), 33–42.
- Geeraerts, D. (2010). *Theories of lexical semantics*. Oxford University Press.
- Geertz, C. (1973). *The interpretation of cultures*. Basic Books.
- Gibbs, R. W. (1995). Idiomaticity and human cognition. In M. Everaert et al. (Eds.), *Idioms*. Lawrence Erlbaum.
- Givón, T. (1989). *Mind, code, and context*. Erlbaum.
- Goddard, C. (2004). Ethnopragmatics and semantics of metaphors. *Journal of Pragmatics*, 36(7), 1211–1230.
- Goddard, C., & Wierzbicka, A. (2014). *Words and meanings*. Oxford University Press.
- Grant, L. E., & Bauer, L. (2004). Criteria for redefining idioms. *Applied Linguistics*, 25(1), 38–61.
- Griffin, J. (1986). *Well-being*. Oxford University Press.
- Habermas, J. (1990). *Moral consciousness and communicative action*. MIT Press.
- Halliday, M. A. K. (1978). *Language as social semiotic*. Edward Arnold.
- Heidegger, M. (1962). *Being and time* (J. Macquarrie & E. Robinson, Trans.). Harper & Row.
- Jackendoff, R. (1990). *Semantics and cognition*. MIT Press.
- Kant, I. (1996). *Critique of practical reason*. Cambridge University Press.

- Kecskes, I. (2014). *Intercultural pragmatics*. Oxford University Press.
- Kövecses, Z. (2005). *Metaphor in culture*. Cambridge University Press.
- Kramsch, C. (1998). *Language and culture*. Oxford University Press.
- Kripke, S. (1980). *Naming and necessity*. Harvard University Press.
- Lakoff, G., & Johnson, M. (1980). *Metaphors we live by*. University of Chicago Press.
- Langacker, R. (1991). *Concept, image, and symbol*. Mouton de Gruyter.
- Langlotz, A. (2006). *Idiomatic creativity*. John Benjamins.
- Mackie, J. L. (1977). *Ethics*. Penguin.
- Martin, J. R., & White, P. R. R. (2005). *The language of evaluation*. Palgrave Macmillan.
- Mill, J. S. (1998). *Utilitarianism*. Oxford University Press.
- Moon, R. (1998). *Fixed expressions and idioms in English*. Oxford University Press.
- Nietzsche, F. (1998). *On the genealogy of morality*. Hackett.
- Omazić, M. (2008). Processing of idioms and idiom modifications. In S. Granger & F. Meunier (Eds.), *Phraseology* (pp. 67–79). John Benjamins.
- Pavlenko, A. (2005). *Emotions and multilingualism*. Cambridge University Press.
- Putnam, H. (1975). *Mind, language, and reality*. Cambridge University Press.
- Rosch, E. (1978). Principles of categorization. In *Cognition and categorization*. Erlbaum.
- Rokeach, M. (1973). *The nature of human values*. Free Press.
- Sharifian, F. (2011). *Cultural conceptualisations and language*. John Benjamins.
- Sharifian, F. (2017). *Cultural linguistics*. John Benjamins.
- Strauss, C., & Quinn, N. (1997). *A cognitive theory of cultural meaning*. Cambridge University Press.
- Talmy, L. (2000). *Toward a cognitive semantics*. MIT Press.
- Tomasello, M. (1999). *The cultural origins of human cognition*. Harvard University Press.
- Underhill, J. W. (2012). *Ethnolinguistics and cultural concepts*. Cambridge University Press.
- Wierzbicka, A. (1992). *Semantics, culture, and cognition*. Oxford University Press.

- Wierzbicka, A. (1996). *Semantics: Primes and universals*. Oxford University Press.
- Wierzbicka, A. (1999). *Emotions across languages and cultures*. Cambridge University Press.
- Wierzbicka, A. (2006). *English: Meaning and culture*. Oxford University Press.
- Williams, R. (2006). *Moral responsibility*. Routledge.
- Wilson, R. A. (2005). Collective memory and group minds. *Cognitive Processing*, 6(4), 227–236.
- Wilson, J. (1983). *The moral sense*. Free Press.
- Zagzebski, L. (1996). *Virtues of the mind*. Cambridge University Press.

ლექსიკონები

- Apperson, G. L., et al. (2006). *The Wordsworth dictionary of proverbs*. Wordsworth Editions.
- Cambridge University Press. (1998). *Cambridge international dictionary of idioms*. Cambridge University Press.
- Collins, V. H. (1964). *A book of English idioms*. Longmans, Green & Co.
- Hendrickson, R. (1987). *The Facts on File encyclopedia of word and phrase origins*. Facts on File.
- Longman Group Ltd. (1979). *Longman dictionary of English idioms*. Longman
- Mieder, W. (2003). *English proverbs*. Philip Reclam jun.
- Oxford University Press. (2003). *The Oxford book of aphorisms* (J. Gross, Ed.). Oxford University Press.
- Oxford University Press. (2008). *The Oxford dictionary of proverbs* (5th ed.). Oxford University Press.
- Oxford University Press. (2011). *The Oxford concise dictionary of quotations* (6th ed.; S. Ratcliffe, Ed.). Oxford University Press.
- Radford, E. (1973). *To coin a phrase: A dictionary of origins* (A. Smith, Rev. ed.). Hutchinson
- Stevenson, B. (1949). *Stevenson's book of proverbs, maxims and familiar phrases*. Routledge & Paul.
- Wordsworth Editions. (1998). *Wordsworth concise dictionary of quotations* (C. Robertson, Ed.). Wordsworth Editions.